# კვირის პალიტრა

№ 18 (479) ◆ 3 – 9 მაისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ასლან აბაშიძემ პოლიტიკური „ხარაკირი“ გაიკეთა...

გვ.2,3



„ის ყველანაირად ეცდება, ცენტრალური ხელისუფლება გამოიწვიოს და შეიარაღებული ქმედებების განხორციელება აიძულოს, მაგრამ... ხელისუფლებამ აჭარის კვანძი მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ უნდა გახსნას. ...ამ წვრთნებით აბაშიძის შეშინებაც იყო ჩაფიქრებული. უნდა გითხრათ, რომ ვინც ეს ჩაიფიქრა, ძალიან კარგად ჩაიფიქრა და განახორციელა, რადგან შედეგი აბაშიძის შეშინებისა, სახეზეა — ის უკვე ისტერიაშია“.

**პაატა ზაქარეიშვილი**

## მოასწრო თუ არა კენჭაძემ კვალის წაშლა?!

გვ.5



„თუ ჭიჭიაშვილს სიცოცხლის გარანტიას მისცემენ, ალაპარაკდება...“



პროკურატურა მალე თარგამაძე-ბაკურაძეს მიადგება. არ გამორიცხავენ, რომ დაკითხვაზე უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძეც დაიბარონ... გამოძიება აკაკი ელიავას წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის კანონიერებითაც ინტერესდება.

## „ბიტკინა“ — მოპარული მანქანების ყველაზე მსხვილი შემსყიდველი

გვ.5,13



როგორ დავიბრუნოთ მოპარული მანქანები?

## „თბილისის ქუჩებში ინსპექტორები აღარ დადგებიან“



გვ.6

**„ამ შენობაში დოლარების უხილავი „სტანოკი“ მუშაობდა“**

— კაბინეტში იკეტებოდა და დღეში დაახლოებით 100-120 მანქანის „ლევ“ რეგისტრაციას აკეთებდა. არ ვიცი, საიდან მოჰქონდა ყალბი დეკლარაციები, თითოეული მანქანის რეგისტრაციისთვის 500 დოლარს იღებდა. დღეში 50 ათას დოლარს იჯიბავდა(!). 4 თვე იმუშავა ჩვენთან იმ კაცმა. ამბობენ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ნათესავი იყოო. თვითონ თურმე გაიძახოდა — ზემოთ დიდი ფული მაქვს გადახდილი და ხელსაც ვერავინ მახლებსო. აი, ასეთი უხილავი დოლარების „სტანოკი“ მუშაობდა ამ შენობაში. შეიძლება ის ადგილი 100 ათასზე მეტიც ღირდა. ამდენს ვინც იხდიდა, მერე მის ამოღებაზეც მუშაობდა. ასეთი წესი იყო.

## „რატომ უნდა შემეტანა აჭარაში ბროწეული?“



„პროკურატურაში გამოძახება ერთიორად უსიამოვნოა მინისტრისათვის“

„ბულგარელები ისრაელში „ქართულ ღვინოს“ ასხამდნენ“(?!)

გვ.7

## პირადი ჩანაწერები, ანუ მოგზაურობა „ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში“

გვ.22

**„გადავწყვიტე და გადმოგცემთ ამ ჩანაწერებს...“**

„გულით რაც გინდა, ის სად არის, ბაბაია? „ზაკონ პოდლოსტი პროცვეტაეტ“. ზუსტად ერთ საათში დამიძახეს ეტაპზე გასავლელად. ეგეთი რამ მე არ მახსოვს, რაც ეტაპებში ვარ, რომ მატარებლიდან მატარებელზე დავეძახეთ ერთ დღეში, მაგრამ ხომ ხვდებით, რატომ მოხდა ასე? მე მინდოდა, რომ დავრჩენილიყავი კრასნოიარსკში. „ვნუტრენი გოლოსი“ კვლავ მეუბნება: „ეჰ, გიაჯან! შენი მიკვირს, ველარ გაიგე, რომ უბედო ხარ? ამ ხნის კაცი მაკვირვებ, აი!“



## ხაზიურების ოჯახში სასწაულის სანახავად უამრავი ადამიანი მოდის...

გვ.4,13

საააღდგომო საჩუქრის სასწაული



## წმინდა გიორგის მადლი გვფარავდეს!

## გოგიტიძემ ხიდები ააფეთქა(!)

ასლან აბაშიძის ხელისუფლებამ 2 მაისს ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტა და ქაქუთის, ჩოლოქის და ბათუმის ოზურგეთთან დამაკავშირებელი ჯიხანჯირის ხიდები ააფეთქა(!) და ფაქტობრივად მოსახლეობა მძევლად აქცია. ამის მიზეზი ფოთში მიმდინარე სამხედრო წვრთნები, იქ პრეზიდენტ სააკაშვილის ჩასვლა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აჭარლების ჩოლოქისკენ მიმავალი აქცია შეიქნა. აჭარლების აქციის ავტორები „ჩვენი აჭარის“ ლიდერები არიან. მათი განცხადებით, აქცია მიზნად ისახავდა ავტონომიურ რესპუბლიკაში პროცესების მშვიდობიანად დარეგულირებას. თუმცა ხიდების აფეთქების გამო აქცია შეწყდა. ხალხი ჩოლოქთან მისვლამდე გაბრუნდა უკან. ჩვენი აჭარის ლიდერების განცხადებით, „ეს პრეზიდენტ სააკაშვილის მითითებით მოხდა. ასე შევეცადეთ აგვერიდებინა სავალალო შედეგები. ჩოლოქთან სნაიპერები აქციის მონაწილეებს ტყვიებს დაუშენდნენ“, — ამბობენ ისინი. ჩოლოქთან აჭარის მხრიდან მობილიზებულია შეიარაღებული რაზმები, რომლებიც მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ ჟურნალისტებს.

ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა ფოთში ყოფნისას განაცხადა, რომ საზღვარს აჭარის მოსახლეობა თავად გახსნის და რომ საქართველოს ხელისუფლება რეგიონში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას არ გეგმავს. იმავეს ადასტურებენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.

აჭარაში ხიდების აფეთქების შემდეგ სააკაშვილმა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად ფოთი დატოვა და თბილისში გამოემგზავრა, სადაც აჭარის საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა.

აჭარისკენ მიმავალი საავტომობილო გზებისა და ხიდების აფეთქებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს ასლან აბაშიძემ და აჭარის შს მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ (რომლის უშუალო ბრძანებითაც განხორციელდა აფეთქებები): „ცენტრს რეგიონთან მშვიდობიანი დიალოგი არ სურს. ამიტომ რეგიონის უსაფრთხოების მიზნით ავაფეთქეთ ხიდები“, — აცხადებს ჯემალ გოგიტიძე. აბაშიძეს კი გამუდმებით სამხედრო ოპერაციები ელანდება და ხსნას რუსეთსა და თურქეთში ეძებს. იგი უნდობლობას უცხადებს აშშ-საც. ამერიკული ტელეკომპანია CNN-ის ჟურნალისტს შეხვედრისას უსაფრთხოების მიზნით ტელეკამერა ჩამოართვეს და ინტერვიუ ასლან აბაშიძის კუთვნილი ტელეკამერით ჩაიწერეს. „წარმოუდგენელია, ასეთი რამ ნორმალურ ქვეყანაში ხდებოდეს. მომხდარის გამო ხელისუფლებისგან უმკაცრესი ნაბიჯები გადაიდგმება და ეს დანაშაულებრივი ფაქტები რეაგირების გარეშე არ დარჩება“, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი კი მომხდარს ტერორის კვალიფიკაციას აძლევენ და აჭარის მოსახლეობას ტყვედ აყვანილს უწოდებენ.

## ათი დღე აბაშიძისათვის

აჭარის მოვლენებთან დაკავშირებით გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აბაშიძეს „განაჩენი“ გამოუტანა.

„აბაშიძემ და მისმა გარემოცვამ პროვოკაცია მოაწყვეს — ვითომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების აჭარის რეგიონში შეჭრის აღკვეთის მიზნით, ააფეთქეს ხიდები. ეს რომ გვნდომოდა, რომელი ხიდი დააკავებდა შეიარაღებულ ძალებს?! ხიდების აფეთქება საკურორტო სეზონის ჩაშლას ნიშნავს აჭარაში, რითაც თავი გააქვს რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს. დღეს საქართველოს აქვს ერთი კაცის, ასლან აბაშიძის პრობლემა. მივმართავ მის გარემოცვას — ნუ გადააყოლებთ ქვეყნის და თქვენი შვილების ინტერესებს ერთი კაცის ამბიციებს. მივმართავ ყველა აჭარელს — ქვეყნის ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ პრობლემა უმტკივნეულოდ მოგვარდეს. ათ დღეს ვაძლევთ აბაშიძეს იმისთვის, რომ თავისი შეგნებითა და ქმედებით საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდეს. ჩაგვაბაროს იარაღი, მოაგვაროს ყველა პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით კონსტიტუციით მონიჭებული უფლების თანახმად დავითხოვოთ აჭარის ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოები და რეგიონის სტატუსისა და კონსტიტუციური ცვლილებების გარეშე თქვენ, აჭარლებს, მოგცეთ საშუალება აირჩიოთ ახალი ადგილობრივი ხელისუფლება და აღადგინოთ კანონიერი რეჟიმი. ჩემი მოვალეობაა შევინარჩუნო ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობა და ყველაფერი გავაკეთო საიმისოდ, რომ საქართველოს სვლა უკეთესობისაკენ ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩეროს“.

## „დივერსია საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ“

აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების გამიზნული აფეთქებისას საქართველოს პრეზიდენტი, უშიშროების საბჭოს მდივანი, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და გენერალური შტაბის უფროსი საპატრულო კატარღა „ქუთაისიდან“ სამხედრო სწავლებას ადევნებდნენ თვალს.

აფეთქების ორგანიზატორები მომხდარს ასე ხსნიან — სამხედრო სწავლების საბაბით ხელისუფლება ტანკებით აპირებდა ბათუმზე შეტევასო.

„კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველის ინფორმაციით, რომელიც სწორედ იმ დროს კატარღა „ქუთაისზე“ იმყოფებოდა, სწავლება მიმდინარეობდა არა ბათუმის, არამედ უფრო ჩრდილოეთით, ყულევის სანაპიროსთან. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ეჭვი და შიში სრულიად უსაფუძვლო იყო.

საქართველოს პრეზიდენტი თბილისიდან ფოთში Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენით ჩაფრინდა და მომხდარის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო საზეიმო ცერემონიალში, რომელიც საბერძნეთიდან ფოთის პორტში სარაკეტო კატარღა „დიოსკურიის“ შემოსვლას მიეძღვნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმი ორი დღის მანძილზე ადევნებდა თვალს კატარღების: „დიოსკურიის“ „ივერიისა“ და „მესტიის“ სვლას საბერძნეთიდან ფოთის მიმართულებით. ბათუმის მხრიდან შესაძლო პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად, კატარღების დასაცავად ფოთიდან სამი სარაკეტო კატარღა გაიგზავნა. საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით აღძრულია საქმე დივერსიის ბრალდებით.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველთან საუბრისას განაცხადეს, „ასლან აბაშიძემ ამ გაუმართლებელი ქმედებით თავისი თავის სრული იზოლაცია მოახდინა“.

## „დიოსკურია-2004“ დასრულდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების უახლეს ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა „დიოსკურია-2004“ დასრულდა. წვრთნის დასკვნით ეტაპს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. წვრთნის გასრულებისთანავე საქართველოს სამხედრო ძალებს საბერძნეთმა საჩუქრად გადასცა სწრაფმავალი სარაკეტო კატარღა „დიოსკურია“.

ფოთში 2 მაისს ასევე იმყოფებოდნენ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და ყველა ძალოვანი მინისტრი. „ეს წვრთნა არის იმის დემონსტრირება, რომ ჩვენ ნორმალურ, ძლიერ, დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. იმდენად ძლიერს, რამდენადაც ეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას სჭირდება. ჯარის მთავარი ამოცანა არის ის, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა შეინარჩუნოს და შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც კონკრეტულ ეტაპზე ქვეყნის განვითარებისათვის არის საჭირო“, — განაცხადა ფოთში ყოფნისას ნინო ბურჯანაძემ.

## ასლანის კიდევ ერთი დანაკლისი

პირველ მაისს ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვარი აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ანზორ დუმბაძემაც გადმოკვეთა. აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და აჭარის ეკოლოგიური პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ანზორ დუმბაძე აჭარის დატოვების პოლიტიკურ მიზეზად უკანასკნელ პერიოდში ასლან აბაშიძის მიერ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გატარებულ პოლიტიკას ასახელებს, რაც, მისივე შეფასებით, ქვეყნის ინტერესებს აშკარად არ შეესაბამება.

„ეს ჩემთვის სამწუხაროდ მხოლოდ ახლა, თბილისსა და ბათუმს შორის გართულებული პოლიტიკური ვითარების შემდეგ გახდა გასაგები. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპოლიტიზებული სტრუქტურაა, ასლან აბაშიძის მიერ უკანასკნელ დღეებში გადადგმულმა ნაბიჯებმა იძულებული გამხადა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიმეღო და აჭარა დამეტოვებინა. ბათუმიდან წამოსვლით მე არჩევანი ასლან აბაშიძესა და სამშობლოს შორის გავაკეთე და მზად ვარ, უარი ვთქვა ყოველგვარ პირადულ ინტერესზე და ქვეყნის სამსახურში ჩავდგე“, — აცხადებს ანზორ დუმბაძე.

ასლან აბაშიძეს პირველ მაისს ასევე განუდგა მისი ყოფილი მარჯვენა ხელი, აჭარელი ბიზნესმენი, 300-კაციანი შეიარაღებული დაჯგუფების „პატრონი“ ალეკო დავითიძე. მისი სახელი ბათუმში გასული წლის ნოემბერში ნაციონალთა წინასაარჩევნო კამპანიის მიზნით გამართული მიტინგის დარბევას უკავშირდება. თუმცა დავითიძეს ამ „ცოდვებს“ აბაშიძის ღალატის გამო მიუტევებენ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები და მათ შორის „ჩვენი აჭარის“ ლიდერებიც.

ალეკო დავითიძე თბილისში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისთვის და მისი რაზმისთვის საქართველოს ინტერესები უმთავრესია და ისინი არასოდეს დაუპირისპირდებიან ქვეყნის ხელისუფლებას.

## თავდასხმა ბათუმის ცენტრში

გიორგი აბაშიძის მეგობარს, კოტე აბაშიძეს ბათუმის ცენტრში უკვე მეორედ დაესხნენ თავს. მანქანას, რომელშიც იგი იმყოფებოდა, უცნობმა პირებმა ქალაქის ცენტრში ცეცხლი გაუხსნეს. დაზიანდა ავტომანქანა, მასში მსხდომები არ დაზარალებულან. კოტე აბაშიძეს ერთი თვის წინაც დაესხნენ თავს და იგი ფეხში დაჭრეს. მაშინ ამ შემთხვევას გიორგი აბაშიძის სამეგობროში არსებული განხეთქილებით ხსნიდნენ. დღეს კი ვარაუდობენ, რომ კოტე აბაშიძეს მამამისის გამო ესროლეს, რომელიც ასლან აბაშიძისგან გამდგარი, თბილისში პრეზიდენტთან ჩამოსული აჭარელი ბიზნესმენის, ალეკო დავითიძის ახლობელი და მეგობარია. თუმცა, ოჯახის წევრები თავდასხმის პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავენ. კომენტარს არ აკეთებენ ადგილობრივი სამართალდამცველები და თვითონ კოტე აბაშიძეც.

## ბოდიში, შევცდით!

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გაეროს გენერალური მდივნის მრჩევლის თანამდებობაზე დანიშვნა-არდანიშვნის ფაქტის გამო ატეხილ აჟიოტაჟს წერტილი დაესვა. კოფი ანანმა შევარდნაძეს ბოდიშებით სავსე წერილი გამოუგზავნა. კოფი ანანი ბოდიშს იხდის იმის გამო, რაც შევარდნაძისა და გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის, გაუტამოს შეხვედრას მოჰყვა. ანანი წერილში შევარდნაძისადმი პატივისცემას გამოხატავს და აღნიშნავს: „კარგად მესმის თქვენი შეშფოთება და მინდა მოგიბოდიშოთ იმ სამწუხარო გაუგებრობისათვის, რომელიც ამ შეხვედრაზე წარმოიშვა. გარწმუნებთ, რომ განზრახული არ გვქონდა თქვენ მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა. მინდა დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი მხრიდან დახმარების საჭიროებისთანავე, პირადად დაგიკავშირდებით“, — სწერს ანანი შევარდნაძეს.

## პური აღარ გაძვირდება?

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას აშშ-ში სტუმრობა შედეგიანი აღმოჩნდა. ვაშინგტონში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აშშ-ის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვენმანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოსთვის 50.000 ტ ხორბლის ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოყოფის შესახებ. ეს ფაქტი ალბათ გავლენას იქონიებს პურის ფასის სტაბილურობაზე. თუმცა ამერიკელების ნაჩუქარ ხორბალს საქართველოს მოსახლეობა უფასოდ ვერ მიიღებს. პროექტი სასურსათო უსაფრთხოების ფარგლებში ხორციელდება და როგორც საქართველოს პრემიერმა განაცხადა, ნაჩუქარი ხორბალი საქართველოს პურის ბაზარზე სტაბილური ვითარების შენარჩუნებას მოხმარდება, ხოლო მისი მონეტარიზაციით მიღებული თანხა კი ბიუჯეტში ჩაირიცხება. აშშ-ის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, ამერიკული მხარე გასულ წელს პროგრამის შეწყვეტას გეგმავდა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მისი განახლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. კულუარული ინფორმაციით, ამერიკული ხორბალი დროებით მოაგვარებს პრობლემას, მაგრამ მომავალში ხალხს უპუროდ და მინისტრებს კი სავარძლების გარეშე დარჩენის საფრთხე კვლავაც ემუქრება.

## ერაყში ქართულ ბატალიონს გააგზავნიან?

ერაყიდან კოალიციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის ჯარისკაცების გამოყვანის შემდეგ, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება თავისუფალ ადგილებზე ქართველი სამხედროების ჩანაცვლებას აპირებს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ პენტაგონში აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, პოლ ვულფოვიცთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ერთ ბატალიონამდე გაზარდოს საქართველოს სამხედრო კონტინგენტი ერაყში. თავის მხრივ, პოლ ვულფოვიცმა პრემიერ-მინისტრს აუწყა, რომ ამერიკის მხარე მზადაა ქართული კონტინგენტის ეკიპირებასა და ყოველმხრივ აღჭურვაზე იზრუნოს, თუმცა ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ხელფასებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაუხდიან. ამჟამად ერაყში 100 ქართველი სამხედრო პირი იმყოფება, ბატალიონში კი, როგორც წესი, 500-მდე სამხედრო მოსამსახურე მოიაზრება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კონგრესში ამერიკის ეროვნულ გმირს, სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდა, რომელმაც ერაყში აქტიური მხარდაჭერისათვის, მათ შორის ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობისათვის, მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს ხელისუფლებას პრეზიდენტ ბუშის „ათასწლეულის განვითარების პროგრამასთან“ მიერთებაში. აღნიშნული პროგრამით პირველ ეტაპზე — 1 მილიარდის, შემდგომ წლებში კი 3 მილიარდი დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც რეფორმებს წარმატებით ახორციელებენ. რამდენს გამოუყოფენ ქართულ მხარეს, ჯერ ცნობილი არ არის.

## ხელისუფლება ამას ვერ შეეგუება

ნიუ-იორკში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აფხაზეთის სეპარატისტები არაკონსტრუქციულ პოზიციაში დაადანაშაულა.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, აფხაზი სეპარატისტების პოზიცია აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ბედნიერებისაკენ სწრაფვის საყოველთაო უფლებას ართმევს, რასთან შეგუებასაც საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას, თუმცა არ შეიძლება, რომ ასიათასობით დევნილი დაუსრულებლად იტანჯებოდეს“, — აღნიშნა ჟვანიამ, რომელიც იმედოვნებს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნები და განსაკუთრებით რუსეთი პოზიტიურ წვლილს შეიტანენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

## ლუჟკოვი სეპარატისტებს ეხმარება...

რუსეთი თავისას არ იშლის და მიუხედავად აფხაზთა თავნებობისა, მათ კვლავაც დახმარების ხელს უწვდის. მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის დახმარებით გულრიფშში ასფალტის ქარხანა ამოქმედდა.

სოხუმის თვითმარქვია ხელისუფლების ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გულრიფშის ასფალტის ქარხანას სხვადასხვა მიზეზის, უპირველესად კი ასფალტის დამზადებისთვის აუცილებელი ბითუმის უქონლობის გამო არ უმუშავია. რუსეთის დედაქალაქის მთავრობამ გულრიფშის ასფალტის ქარხანას ორი თვის მუშაობისთვის საჭირო ბითუმი გამოუყო, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე მიტანილია ქარხანაში. სოხუმის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ასფალტის ქარხნის ამოქმედებით შესაძლებელი გახდება აფხაზეთის ავტომაგისტრალების დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება.

## სანაიას პროცესი გრძელდება

ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე კვლავაც იდუმალებით მოცული რჩება. საოლქო სასამართლოში გარდაცვლილი ჟურნალისტის მეუღლე ხათუნა ჩხაიძე დაიკითხა. მისი თქმით, გიორგი სანაიას მკვლელობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დამატებით გამოძიებაში უნდა დაბრუნდეს, ვინაიდან მკვლელობა შეკვეთილი იყო. მისივე მონაცემებით, სანაიას მკვლელი სახლში დახვდა და ამის მოწმეები არსებობენ. ხათუნა ჩხაიძე შემკვეთის გამოვლენასა და დასჯას მოითხოვს. პროცესზე პარლამენტარი ელენე თევდორაძე უნდა დაეკითხათ. თუმცა დაკითხვა უკვე მეორედ გადაიდო, ელენე თევდორაძის სტრასბურგში ყოფნის გამო.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას დაღუპული ჟურნალისტის მეუღლე ხათუნა ჩხაიძე და ადვოკატი დავით დადიანი საოლქო სასამართლოში ცალ-ცალკე ასაჩივრებენ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, გრიგოლ ხურცილავას განზრახ მკვლელობის მოტივის დადგენის გარეშე 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ხათუნა ჩხაიძე — საქმის დამატებით გამოძიებას, ხოლო ადვოკატი დავით დადიანი მკვლელობის მოტივის დადგენას მოითხოვს.

პროცესი საოლქო სასამართლოში 10 მაისს განახლდება.

## ჩვილი ჩანთით მიჰყავდა

ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ 30 მაისს დააკავა მოქალაქე, რომელსაც საკუთარი შვილიშვილი, ახალშობილი გოგონა სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში დახურული ჩანთით გადაჰყავდა. ახალშობილს ზემოდან სხვადასხვა პროდუქტი და სარეცხი საშუალებები ჰქონდა დაწყობილი. ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის, ვაჟა აბაკელიას განცხადებით, ქალს ყურადღება ახალშობილის ტირილის გამო მიაქციეს. ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიასთან მას ჩანთის გახსნა მოსთხოვეს და მასში თითქმის უგონოდ მყოფი 6 დღის გოგონა აღმოაჩინეს.

როგორც დაკავებული გლუშკოვა განმარტავს, ახალშობილი მან თბილისის №4 სამშობიარო სახლიდან გამოიყვანა და იმის გამო, რომ მისი შვილის ფეხმძიმობის შესახებ მეზობლებმა და მამამ არაფერი იცოდნენ, სახლში ახალშობილის მალულად მიყვანა სურდა.

პროკურორის განმარტებით, სამშობიარო სახლის პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, რადგან მედპერსონალს უფლება არ აქვს ახალშობილის ბიოლოგიურ დედას დაბადების მოწმობის აღების შემდეგ საკუთარი შვილის გაყვანაზე უარი განუცხადოს.

პროკურორის თქმით, გამოძიებას პრეტენზია მხოლოდ იმაზე ექნება, რომ ახალშობილის გადაყვანა მისი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ხდებოდა. საქმეც ამავე შინაარსის მუხლით აღიძრა. გლუშკოვას ბავშვი ჩამოერთვა და იგი ჩვილ ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. ახალშობილის დედა საავადმყოფოდან უკვე გასულია, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

CMYK

# ასლან აბაშიძემ პოლიტიკური „ხარაკირი“ გაიკეთა...

## „ხელისუფლებამ აჭარის კვანძი მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ უნდა გახსნას“



**რა, ბოლშევიზმის ეპოქაში ვართ, როცა მატროსებს მინისტრებად ნიშნავდნენ?**

**ის ყველანაირად ეცდება, ცენტრალური ხელისუფლება გამოიწვიოს და შეიარაღებული ქმედებების განხორციელება აიძულოს. მეორე მხრივ, არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა, რომ ფოთის წვრთნებიდან ჯარს შეიძლებოდა აჭარაში გადაენაცვლა. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ტრადიციულ დანიშნულებასთან ერთად, ამ წვრთნებით აბაშიძის შეშინებაც იყო ჩაფიქრებული. უნდა გითხრათ, რომ ვინც ეს ჩაიფიქრა, ძალიან კარგად ჩაიფიქრა და განახორციელა, რადგან შედეგი აბაშიძის შეშინებისა, სახეზეა – ის უკვე ისტერიაშია და სრულიად შეურაცხად ნაბიჯებს დგამს.**

ასლან აბაშიძისა და ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირებამ გასული კვირის ბოლოს უაღრესად საშიში ფორმა მიიღო. როგორც ჩანს, აჭარის მმართველი უკან მართლაც არაფერზე დაიხევს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საეჭვოა, ხიდების აფეთქებითა და აჭარის რეგიონის იზოლაციაში მოქცევით ცენტრს რამე დააკლდეს — როგორც წესი, ბლოკადით ის ზარალდება, ვინც შიგნით არის... შეიძლება ითქვას, რომ აბაშიძემ პოლიტიკური „ხარაკირი“ გაიკეთა, იგი უაზრო რისკზე წავიდა. მისთვის გაცილებით საშიში (და საბედისწეროც!) საკუთარი მოსახლეობის რისხვა შეიძლება აღმოჩნდეს — ბლოკადის შედეგად, ბუნებრივია, აჭარაში პროდუქტები გაძვირდება და უბრალო ხალხი გასული ზაფხულიდან მორჩენილ უკანასკნელ კაპიკებსაც დახარჯავს (თუკი, რა თქმა უნდა, დარჩა რამე...), მოახლოებული ზაფხული კი, ძირითადად, საკურორტო სეზონზე დამოკიდებულ ხალხს — უწინარესად ბათუმელებსა და ქობულეთელებს — კარგს არაფერს უქადის. საეჭვოა, ესოდენ გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში ვინმემ აჭარაში შვებულების გატარება მოინდომოს. მაგრამ ასეთ შორეულ პერსპექტივაზე ალბათ არც აბაშიძე ფიქრობს. ზემონათქვამის გააზრებას გენერალური შტაბის ანალიტიკოსობა ნამდვილად არ სჭირდება და ამას აბაშიძეც რამენაირად მიხვდებოდა. როგორც ჩანს, ჩრდილოელი მფარველების წაქეზებითა და დახმარებით აჭარის „მარადმწვანე“ მმართველი ცენტრალური ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობს, მაგრამ ჩვენ ხომ 5 და 6 წლის ერი არ ვართ. საქართველოს ისტორიის მე-6 კლასის სახელმძღვანელოშიც კი შეიძლება ამოიკითხოთ — ასეთი პროვოკაცია, ერთი და ორი პოლიტიკოსის კი არა, მთელი ერის წინააღმდეგ დაგეგმილ პროვოკაციას უფრო ჰგავს...

ვესაუბრებით პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს**:

**— ფოთში სამხედრო წვრთნების ჩატარებას ასლან აბაშიძემ ხიდების აფეთქებით უპასუხა, რითიც, ფაქტობრივად, მძევლად აიყვანა აჭარის მოსახლეობა...**

— მან მართლაც მძევლად აიყვანა საკუთარი ხალხი და, ვფიქრობ, უპირველესად, აქედან დასკვნები თავად ამ ხალხმა უნდა გამოიტანოს. ეს უკვე პარანოიაა — ლოგიკური გაგრძელება და შედეგი იმ ქმედებისა, რასაც აბაშიძე ახორციელებდა წლების მანძილზე.

ზემოთაც გითხარით, რომ ის ყველანაირად ეცდება, ცენტრალური ხელისუფლება გამოიწვიოს და შეიარაღებული ქმედებების განხორციელება აიძულოს. მეორე მხრივ, არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა, რომ ფოთის წვრთნებიდან ჯარს შეიძლებოდა აჭარაში გადაენაცვლა. ამავე დროს, ისიც ფაქტია, რომ ტრადიციულ დანიშნულებასთან ერთად, ამ წვრთნებით აბაშიძის შეშინებაც იყო ჩაფიქრებული. უნდა გითხრათ, რომ ვინც ეს ჩაიფიქრა, ძალიან კარგად ჩაიფიქრა და განახორციელა, რადგან შედეგი აბაშიძის შეშინებისა, სახეზეა — ის უკვე ისტერიაშია და სრულიად შეურაცხად ნაბიჯებს დგამს. ახლა უკვე ცენტრის „თამაშის“ ჯერია — ვფიქრობ, აბაშიძის ეს სულელური ნაბიჯი ყოველგვარი ძალისმიერი გამოხმაურების გარეშე უნდა დარჩეს. მას თავისი ხალხი მიხედავს — ხალხი, რომელიც ხიდების აფეთქებისა და რკინიგზის აყრის შედეგად, ფაქტობრივად, მშიერი დარჩა...

ზოგადად, პოლიტიკაში მორალური ფასეულობებით მოქმედება მიზანშეწონილი არ არის. თუმცა, ეს საყოველთაოდ მიღებული წესი არ გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკა, თავისი შინაარსით, ამორალურია. პოლიტიკა არ შეიძლება იყოს უზნეო იმდენად, რამდენადაც მას ზნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ბოლო დროს აბაშიძის გარემოცვიდან თბილისისკენ დაწყებული „ემიგრაცია“ საკმაოდ დადებით ტენდენციას უკავშირდება — გემს მხოლოდ მაშინ ტოვებენ, როდესაც გემის ჩაძირვა გარდაუვალია... თავის მხრივ, სააკაშვილიც ყველაფერს აკეთებს, რათა აბაშიძეს უახლოესი გარემოცვაც მოაშოროს. ეს სტრატეგია, აბაშიძესთან მიმართებაში, ჩემთვის მისაღებია, რადგან ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ვფიქრობ, დიდი მსჯელობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის დამტკიცებას თუ ახსნას, რომ ასლან აბაშიძე დღეს სხვა სახელმწიფოს — კერძოდ კი, რუსეთის დაკვეთებს და ინტერესებს ემსახურება. დღეს სწორედ რუსეთია მონდომებული, მთელ მსოფლიოს დაანახვოს, რომ საქართველო, რევოლუციური და დემოკრატიული სულისკვეთების მიუხედავად, კვლავაც მაჩანჩალა სახელმწიფოდ რჩება, რომ საქართველოში პოლიტიკური მოტივით კვლავაც შეიძლება სისხლი დაიღვაროს. აბაშიძე დღეს ყველანაირად ცდილობს, ხელისუფლება აიძულოს, ხმალი იშიშვლოს. თუ გახსოვთ, თავის დროზე არძინბამ განაცხადა, — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართველებმა თოფი გვესროლონო. გააკეთა კიდეც. მაგრამ თუ აფხაზეთთან შეცდომის დაშვება არ შეიძლებოდა, აჭარასთან მიმართებაში მით უმეტეს, არასგზით არ შეიძლება — აკი პრეზიდენტმაც განაცხადა, ეს იგივე იქნება, თბილისის ერთმა უბანმა მეორეს ომი გამოუცხადოსო... სწორედ ეს ნათქვამი მაძლევს იმედს, რომ თბილისი პროვოკაციას არ წამოეგება და ეცდება აბაშიძე, შევარდნაძის მსგავსად, ხალხის ნებით მოიშოროს. იმგვარი სიტუაციებისა და სულისკვეთებისგან, რაც თბილისში ნოემბრის თვეში სუფევდა, ბათუმი ჯერ შორს არის, მიუხედავად აბაშიძის მიმართ აჭარლების კრიტიკული განწყობისა. არც ისე ბევრი, სულ რაღაც 3-4 თვეა საჭირო და აჭარა აბაშიძის სახით არსებულ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტს თავად მოიშორებს. მანამდე კი აუცილებელია, პარლამენტმა აჭარის უფლებამოსილება განსაზღვროს.

მეორე საკითხია, რამდენად კონსტრუქციულად მიუდგება და შეაფასებს ამ მოვლენას ასლან აბაშიძე, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან თავისი პოზიცია, კონსტიტუციური თვალსაზრისით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს. სხვაგვარად, არა მგონია, ბათუმში მიტინგების გამართვით ამ ეტაპზე რაიმე ხეირი ვნახოთ — ეს, უპირველესად, აბაშიძეს აძლევს ძალიან კარგ და მოსახერხებელ შანსებს, პროვოკაცია მოაწყოს და ბათუმში უბრალო მოქალაქეების სისხლი დაღვაროს, რის შემდეგაც ცენტრი იძულებული გახდება, წესრიგის დასამყარებლად იქ ჯარები შეიყვანოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს ყოვლად გამოუსწორებელი შეცდომა იქნება... ნუ დაგვავიწყდება, რომ აბაშიძე დღეს ბათუმში არსებულ რეჟიმს წლების განმავლობაში, სასათბურე პირობებში აყალიბებდა და ის გაცილებით ძლიერი და მობილურია, ვიდრე შევარდნაძე იყო. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ის პირები, რომლებიც აბაშიძესთან ბოლომდე დარჩებიან, უდანაშაულო ხალხის სისხლის დაღვრაზე უარს არ იტყვიან. რა შეუშლით ხელს — ზნეობა, რომელიც არა აქვთ, თუ მათ მიერ წლების განმავლობაში დაჩაგრულ და გაძარცულ ხალხთან „ბედნიერი თანაცხოვრების“ პერსპექტივა პოსტასლანურ პერიოდში?!

თუ ცენტრალური ხელისუფლება მოახერხებს და აჭარის კვანძს მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ გახსნის, გაცილებით გაუადვილდება სხვა, ბევრად რთული პრობლემების მოგვარება, პრობლემებისა, რომლებიც მემკვიდრეობით ერგო.

**— ერთ-ერთი ასეთი უსერიოზულესი პრობლემა აფხაზეთია. აფხაზეთის დეპუტაცია აცხადებს, რომ მათი უფლებამოსილების შეჩერებით თბილისმა არძინბას უფლებამოსილება აღიარა...**

— გასაოცარია პირდაპირ! 5 წლის მანძილზე ადამიანები ახალ პროფესიას ეუფლებიან — მეცნიერები ხდებიან. ეს „მარადმწვანე“ დეპუტატები კი, 12 წელი დადიოდნენ პარლამენტში და ისიც კი ვერ ისწავლეს, როგორ ხდება უფლებამოსილების აღიარება. იმის გამო, რომ წლების მანძილზე რამდენიმე კაცს დეპუტატობის პრივილეგია ჰქონდა დაკანონებული, დევნილებში პოლიტიკური ცხოვრებაც დაკონსერვებული იყო და, შესაბამისად, ეს ხალხიც სხვაგვარად ზრუნავდა ადაპტაციაზე. ერთადერთი საზრუნავი — თავის გადარჩენა, ლუკმაპურის შოვნა იყო და ამ პროცესში ხდებოდა მათი ასიმილაციაც. პარლამენტს გარეთ დარჩენილი აფხაზური დეპუტაცია ვიშვიშებს — ვინღა იზრუნებს დევნილების უფლებებზეო. რა, დევნილებზე ზრუნვა მხოლოდ რამდენიმე დეპუტატის პრეროგატივა და ვალდებულება უნდა იყოს? ამაზე განა მთელი საკანონმდებლო ორგანო და სახელმწიფო არ უნდა ზრუნავდეს? თანაც, იმის გამო, რომ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი საფეხური — დეპუტატობა — მუდმივად დაკავებული იყო, დევნილებს შორის არც პოლიტიკური აქტივობა, ასე ვთქვათ, პოლიტიკური „დუღილის პროცესი“ — არ მიმდინარეობდა. აფხაზეთში დასაბრუნებლად და იქ ცხოვრების ასალორძინებლად მხოლოდ კარგი ინჟინრები, ან კარგი ექიმები და მასწავლებლები არ გვჭირდება — ნუ დაგვავიწყდება, რომ აფხაზეთში მოვლენები არ დაკონსერვებულა. იქ აქტიური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს და იქაურ პოლიტიკოსებს, ისევე, როგორც ზოგადად ხალხს, სხვა მიწაზე ვერ გადავასახლებთ — მათ აფხაზეთში ცხოვრების ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ქართველებს. მაშინ, ვინ უნდა გაუწიოს აფხაზ პოლიტიკოსებს კონკურენცია? რამდენიმე კაცმა, რომელთა მთავარი საქმიანობა წლიდან წლამდე მხოლოდ საპარლამენტო ვაჭრობა და პოლიტიკური ინტრიგები იყო? რომლებიც ცოტა ხანში, თუნდაც, ასაკის გამო, დეპუტატები ვეღარ იქნებოდნენ? მეორე მხრივ, პარლამენტში აფხაზეთისთვის განკუთვნილი კვოტის გამოთავისუფლება საქართველოს მხრიდან აფხაზებისადმი კეთილგანწყობის გამომხატველი ერთგვარი ჟესტიც არის. ჩვენ მათ ვეუბნებით — ეს ადგილები საქართველოს პარლამენტში ქართველებთან ერთად აფხაზ პოლიტიკოსებსაც ელოდება, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აფხაზეთი ბუნებრივ წიაღში, ქართულ სახელმწიფოებრიობაში დაბრუნდება. დღეს ხომ აფხაზურ სახელმწიფოებრიობაზე, დამოუკიდებლობაზე არავინ ზრუნავს და ფიქრობს — აფხაზები ერთმანეთს რუსული პასპორტების აღებაში ეჯიბრებიან. რატომ? — იმიტომ, რომ იქ უკეთესი ცხოვრებაა, უკეთესი ეკონომიკური პირობები და გამორჩენა აქვთ. შევუქმნათ ჩვენც ისეთი პირობები, რომ ქართული პასპორტის აღება ამჯობინონ. გასულ კვირაში ამის საუკეთესო მაგალითიც მივიღეთ — კვიპროსის ევროგაერთიანებაში შესვლის სახით. კვიპროსის თურქულმა ნაწილმა ათწლეულების მანძილზე დაძაბულობისა და სისხლის ღვრის მიუხედავად, არჩევანი კარგი ცხოვრების სასარგებლოდ გააკეთა და ევროგაერთიანება ამჯობინა. დღეს ჩვენც გვაქვს იმის შანსი, რომ აფხაზებს უკეთესი ცხოვრება ვაჩვენოთ. მაგრამ თუ აბაშიძესთან ურთიერთობის გარკვევა ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზრდება, ამ შანსს ერთი ხელის მოსმით დავკარგავთ... ამ შანსს დავკარგავთ იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო ცხოვრებას კვლავაც რევოლუციური რიტმით გააგრძელებს და ხელისუფლება თავის ყველა — მცდარ თუ გამართლებულ ქმედებას რევოლუციურ და ფორს-მაჟორულ მოტივს დაუდებს საფუძვლად...

**— აფხაზეთის გარდა საქართველოში სხვა რეგიონებიც არის, სადაც საჭიროების შემთხვევაში, „კეთილგანწყობილ“ მეზობელ ქვეყნებს პროცესების გამწვავება შეუძლიათ. თავის დროზე სომხებისა თუ აზერბაიჯანელების კომპაქტური მოსახლეობა შევარდნაძის გუბერნატორებს ჰქონდათ „პრივატიზებული“ და ყველანაირად ცდილობდნენ, ეს ხალხი მათზე ყოფილიყო დამოკიდებული...**

— ასეთი რეგიონები ყოველთვის ხელისუფლების მორჩილნი არიან — ყოველგვარი გაცნობიერებისა და პოლიტიკური მოტივაციის გარეშე. მათთვის პრეზიდენტის ერთგულება გარკვეულ გარანტიას ნიშნავს, იმისგან დამოუკიდებლად, პრეზიდენტი შევარდნაძე იქნება თუ სააკაშვილი. მახსოვს, ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც გარდაბანში სკანდალური წინასაარჩევნო გასვლა მოაწყო, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, — ჩვენ შევარდნაძის რეჟიმის ბასტიონში შეღწევა პირველად მოვახერხეთო. ეს მართალიც იყო. მაგრამ, როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მას ამ ბასტიონის დანგრევა არც უცდია — ის, უბრალოდ, დაიკავა. თუ მიაქციეთ ყურადღება, რამდენი გასვლა მოაწყო ახალმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა საქართველოს რეგიონებში. რამდენჯერ ეწვია სააკაშვილი, ვთქვათ, თუნდაც, სამეგრელოს? რამდენჯერმე, რადგან ეს პოლიტიკურად აქტიური რეგიონია და გარანტია არავის აქვს, რომ ხვალ სხვა პარტიას ან პოლიტიკურ მოძრაობას არ დაუჭერს მხარს. მარნეულში, გარდაბანსა და ზოგადად ქვემო ქართლში კი პრეზიდენტი არჩევნების შემდეგ, საგანგებოდ აღარ ყოფილა — დღესასწაულზე ჩასვლა, ამ შემთხვევაში, მხედველობაში მისაღები არ არის. ანუ, გამოდის, რომ აქაური მოსახლეობის მოქალაქეობრივ შეგნებაზე დღესაც არავინ ზრუნავს — როგორც ძველი, ასევე ახალი ხელისუფლებისთვისაც მათი ლოიალობა საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა რამდენად საიმედო და სასურველია, სახელმწიფოებრიობის განცდა მხოლოდ მორჩილებაზე იყოს დაფუძნებული, თან განაპირა და თანაც სხვა ეთნიკური შემადგენლობით დასახლებული რაიონისა, სხვა საკითხია...

ამის პარალელურად, უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაადგება საშველი სამცხე-ჯავახეთში გზების შეკეთება-დაგებას და ამით ამ მხარის მოსახლეობა, ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ცენტრს ბევრად უფრო მტკიცედ დაუკავშირდება.

**— ახალი მთავრობის ფორმირებისა თუ სხვადასხვა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებისას ერთი ტენდენცია შეინიშნება — არჩევანი პოლიტიკურ საიმედოობაზე კეთდება და არა პროფესიონალიზმზე. რამდენად მისაღებია საქართველოსთვის პარტიული ნიშნით მოვლენების წარმართვა და სახელმწიფო საქმიანობა?**

— „გამარჯვებული ხალხის სამართლით“ სახელმწიფოს შენება ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. დღეს ჩემ გარშემო ბევრ უკმაყოფილო ადამიანს ვამჩნევ — მე იქ ვიდექი, დროშებს ვაფრიალებდი, ამას ვაკეთებდი, იმას ვიძახდი და არსად დამნიშნესო. „იქ“ მეც ვიდექი, მაგრამ არა იმ იმედით, რომ რაიმე დივიდენდი და გამორჩენა მიმეღო — უბრალოდ, არსებული რეჟიმი არ მომწონდა. სხვათა შორის, ამ უკმაყოფილო ადამიანებს თავისი არგუმენტებიც აქვთ — ისინი უსაფუძვლოდ არაფერს მოითხოვენ. მათ აქვთ მაგალითები, როდესაც ხალხი სწორედ რევოლუციური წარსულის წყალობით დაწინაურდა. რა, ბოლშევიზმის ეპოქაში ვართ, როცა მატროსებს მინისტრებად ნიშნავდნენ? მეორე, უფრო დიდი საფრთხის შესახებაც მინდა ვთქვა — შევარდნაძე არასამთავრობო სექტორს, უბრალოდ, ყურადღებას არ აქცევდა — ილაპარაკებენ, დაიღლებიან და გაჩერდებიანო. როგორც ვნახეთ, მწარედ მოტყუვდა. ახალმა ხელისუფლებამ კი კარგად იცის, რა ძალა აქვს არასამთავრობო სექტორს. მე სოროსის ფონდის იმ საზოგადოებრივი კომისიის წევრი ვარ, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციისთვის გრანტების გაცემაზე მსჯელობს. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ზეწოლაა, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციას გრანტი მივცეთ. როგორც ჩანს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, არასამთავრობო სექტორის „დასაბმელად“ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, ეს კი, უპირველესად, თავად ხელისუფლებისთვის იქნება ძალიან ცუდი, რადგან აბსოლუტურად შეუმცდარი არავინ არის, არათუ ხელისუფლება და პოლიტიკოსები. დღევანდელი ტენდენციით, როგორც ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ ვერ სძლია ცდუნებას, პოლიტიკა საიმედოობის თვალსაზრისით წარემართა და არა კომპეტენციის მიხედვით. „მე ხომ ჭკვიანი ვარ. მაშ, რა საჭიროა, ჭკვიანი ქვეშევრდომი. მთავარია, ზუსტად გააკეთოს ის, რაც მე მინდა“, — ეს შეხედულება კიდევ უფრო საშიში ხდება მაშინ, როდესაც პირამიდის სახეს იღებს, რადგან ასეთ შემთხვევაში ჭკუა, იერარქიის შესაბამისად, ქვედა დონეებზე უფრო და უფრო იკლებს. ერთ კაცს კი, რაც უნდა გენიალური იყოს, ყველას მაგივრად ფიქრი და აზროვნება, დამეთანხმებით, გაუჭირდება. თუმცა ახალ ხელისუფლებას გასაკეთებელთან ერთად უფრო მეტი გაფუჭებული საქმეც დახვდა. იმედი ვიქონიოთ, რომ მათი გამოსწორების კვალდაკვალ, სახელმწიფოს მართვისა და განვითარების ამჟამინდელი წესებიც შეიცვლება და დაიხვეწება...

**დაჩი გრძელიშვილი**

**დღეს სწორედ რუსეთია მონდომებული, მთელ მსოფლიოს დაანახვოს, რომ საქართველო, რევოლუციური და დემოკრატიული სულისკვეთების მიუხედავად, კვლავაც მაჩანჩალა სახელმწიფოდ რჩება, რომ საქართველოში პოლიტიკური მოტივით კვლავაც შეიძლება სისხლი დაიღვაროს. აბაშიძე დღეს ყველანაირად ცდილობს, ხელისუფლება აიძულოს, ხმალი იშიშვლოს. თუ გახსოვთ, თავის დროზე არძინბამ განაცხადა, – ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართველებმა თოფი გვესროლონო. გააკეთა კიდეც. მაგრამ თუ აფხაზეთთან შეცდომის დაშვება არ შეიძლებოდა, აჭარასთან მიმართებაში მით უმეტეს, არასგზით არ შეიძლება.**

# ხაზიურების ოჯახში სასწაულის სანახავად უამრავი ადამიანი მოდის...




ერეკლე ხაზიური

მამა ზაქარია

## სააღდგომო საჩუქრის სასწაული

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ უფალმა საქართველოს კიდევ ერთი სასწაული მოუვლინა: იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ერთ-ერთ ასლს მირონი სდის. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ მირონმდინარე ქაღალდის ხატი ერთ-ერთია ქაშუეთის ხელთუქმნელი ხატის ათიათასობით ასლისაგან, რომლებიც „კვირის პალიტრამ“ წმინდა სანთლებთან ერთად სააღდგომო საჩუქრად დაარიგა. სასწაული ბრწყინვალე შვიდეულის კვირის გასრულების ჟამს თელავში მოხდა:

„კვირის პალიტრის“ სააღდგომო ნომერში ჩადებამდე ხატები თბილისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა **მამა გიორგი თევდორაშვილმა** აკურთხა. სასწაულის შესახებაც მისგან გავიგეთ.

— მეუფე დავითი გვესტუმრა და გვამცნო, რომ თელავში სასწაული მოხდა: უფლის ხელთუქმნელი ხატის ქაღალდის ასლს მირონი სდისო. მოვახსენეთ მას, რომ ეს ხატი ჩვენ ვაკურთხეთ. ძალიან გავიხარეთ ამ ამბით და გადავწყვიტეთ, თქვენთვისაც შეგვეტყობინებინა. პირადად მე, ამ მოვლენამ ძალიან გამაძლიერა, ნუგეში მომცა. ღვთის მიერ მოვლენილ სასწაულს გარკვეული მიზანმიმართულება აქვს. იგი კიდევ უფრო განამტკიცებს ადამიანის რწმენას და მას ღმერთთან აახლოებს. ამ სასწაულში აუცილებლად უნდა დავინახოთ ნიშანი იმისა, რომ თუ ვაშენებთ ახალ საქართველოს, იგი აუცილებლად უნდა იყოს ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღჭურვილი. ხშირად ვამაყობთ წარსულით, წინაპრების სარწმუნოებრივი სიმტკიცით და არაფერს ვამბობთ ჩვენს ურთიერთობაზე უფალთან აწმყოსა და მომავალში. ვფიქრობ, ამ სასწაულებით ღმერთი მიგვანიშნებს, რომ მეტად განვმტკიცდეთ ჭეშმარიტ აღმსარებლობაში. სასწაული კარგი ამბის მაუწყებლად უნდა მივიღოთ, თუმცა, შესაძლოა, იგი უარყოფითის მაუწყებელიც იყოს. ამას უფალი დაგვანახვებს. ახლა უნდა ვილოცოთ, რომ თუ განსაცდელი გველის, უფალმა აგვარიდოს. ათონის მთაზე ივერთა მონასტერში სასწაულმოქმედი კანკელი საქართველოში განვითარებული მოვლენების მიხედვით მოძრაობს. კანკელის მოძრაობის მიმართულების მიხედვით წმინდა ბერებმა უწყიან, კარგი ამბები ელის საქართველოს თუ ცუდი. მე არ ვიცი, ახლა როგორ ბრუნავს ის კანკელი, მაგრამ ჩვენ სულ ფხიზლად უნდა ვიყოთ და სასწაულებით არ უნდა გავთამამდეთ.


მამა გიორგი

მამა გიორგისთან საუბრის შემდეგ გეზი თელავისკენ ავიღეთ.

ულამაზეს კოპწია ქალაქში იქაურებს ბევრი რამ აქვთ თავის მოსაწონებელი: მარტო 800-წლოვანი ჭადარი რად ღირს. უძველეს ღირებულებებთან ერთად თელაველები თავს წმინდა ნინოს სახელობის ახალი ეკლესიითაც იწონებენ, რომელიც იმ გორაკზე აუშენებიათ, სადაც 1937 წელს უამრავ უდანაშაულო ადამიანს ხვრეტდნენ და საერთო სამარეში ყრიდნენ. წლების მანძილზე ამ ადგილზე თურმე უამრავი ცოდვა დატრიალდა. ახლა, როგორც მოძღვრები ამბობენ, „ტაძარმა განწმინდა ადგილი“, სადაც უკვე უფლის სადიდებლად დადის მრევლი. თელაველები გახარებული და გაოცებული არიან იმ სასწაულით, რომელიც მათ თვალწინ ხდება.

მამა გიორგის რჩევით, პირველად თელავის ღვთაების სახელობის ეკლესიას ვესტუმრეთ, სადაც **მამა ზაქარიამ (ჩიხრაძე)** მიგვიღო და სასწაულის შესახებ გვესაუბრა.

— ჩემს მრევლში არის აღმსარებელი ერეკლე ხაზიური, რომელსაც სტიქაროსნად ვამზადებ. რამდენიმე დღის წინ მოვიდა და მითხრა, — შინ ერთ-ერთ ხატს მირონი სდისო. აბა, მაჩვენე-მეთქი. იესოს ხელთუქმნელი ხატი მომიტანა და ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოსდიოდა ცრემლივით უფალს ორივე თვალიდან მირონი. ერეკლეს ვუთხარი: — ეს სასწაულია, ხატი ჩარჩოში ჩასვი, მერე კი თეფშზე დააბრძანე-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ერეკლე მოვიდა და მამცნო — მირონი მარტო თეფშზე კი არ ჩამოდის, ხატიც თითქმის მთლიანად გაიჟღინთა და ფერიც იცვალაო. ვნახე, მარტო თვალებიდან კი არ მოდიოდა მირონი, არამედ ეკლიანი გვირგვინიდანაც. ეს დიდი სასწაული ალავერდის მიტროპოლიტს მეუფე დავითსა და სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს ვაუწყე. მათ სხვა სასულიერო პირებთან ერთად ხატის ნახვა გადაწყვიტეს. მანამდე კი, ხაზიურების სახლის საკურთხებლად გამაგზავნეს. მოვამზადე ოჯახის წევრები მეუფესთან შესახვედრად. ერეკლეს დედაც ჩვენი ეკლესიის აღმსარებელია. მამამისს, გიორგის კი ვუთხარი: თქვენს ოჯახში ხატის ასეთი სასწაული ბევრ რამეს მოითხოვს, თქვენც უნდა გახდეთ აღმსარებელი-მეთქი.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „ჩვენი ეზოს“ გასაჭირი, ანუ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია?!

თბილისში ბევრი ეზოა, მათგან ცოტაა ისტორიული. ცხადია, მოვლა ყველას სჭირდება, მაგრამ როცა ისტორიულ ეზოს უმადურად ვეპყრობით, არა მარტო დღევანდელობას შეურაცხვყოფთ, არამედ წარსულსაც. ამას წინათ რედაქციაში ქალბატონმა დაგვირეკა — თუ ქალაქის სისუფთავეს ამდენ ყურადღებას აქცევთ, ჩვენს ეზოში რატომ არ შემოიხედავთო... კარგად რომ ჩავეკითხეთ, თბილისის ერთ-ერთი უძველეს ეზოზე ლაპარაკობდა, რომელსაც რეზო ჩხეიძის ფილმით „ჩვენი ეზო“ მთელი საქართველო იცნობს...

ხსენებულ ადგილზე მტკვრის სანაპიროს მხრიდან მივედით და მშვენიერი ეზო „ვარაუდით“ შევიცანით ისე იყო ბოლში გახვეული. შესასვლელში პირველივე ბუნკერი ნაგვით იყო სავსე და სწორედ მას ეკიდა ცეცხლი. იქაურობა დავიარეთ და ფაქტობრივად მხოლოდ ეს ერთი ბუნკერი აღმოჩნდა მოქმედი. ყველაფერი რომ უფრო კარგად წარმოგიდგინოთ, გეტყვით, რომ კორპუსებით დახურული ეს ეზო საქვაბის პრინციპითაა აგებული და იქ დაახლოებით 100 ოჯახი ცხოვრობს. ახლა იმასაც მიხვდებით, რა დღეში იქნება მთელი ეზო და იმ ბუნკერის ზემოთ მცხოვრები ხალხი, სადაც თითქმის მთელი ეზო ყრის ნაგავს. ამას დაამატეთ ისიც, რომ ნაგავს ხშირად ცეცხლი უკიდია. ეზოში შესულებმა დავინახეთ, რა შეშინებულები ხსნიდნენ სარეცხს დიასახლისები და ერთ ქალბატონსაც გავესაუბრეთ. ცოდვა გამხელილი სჯობს და იმდენად გვწვავდა ყელს შხამიანი კვამლი, ერთი სული გვქონდა, ვიდრე იქაურობას გავეცლებოდით.

— არ გეგონოთ, რომ ასეთი სურათი აქ პირველად არის. ცალკე ნერვები დაგვიზიანდა და ცალკე — ფილტვები ამ ნაგვის ბოლით. დღეს არაფერი აწყობილად არ მუშაობს და დასუფთავების სამსახურს როგორ მოვთხოვოთ ოპერატიულობა... როცა ნაგავი გასატანი რჩებათ, აქაურობა საშინლად ყარს... რამდენჯერმე ვთხოვეთ დასუფთავების სამსახურს, — ნაგვის კონტეინერები დაგვიდგითო, მაგრამ გვპასუხობენ: მოსახლეობის ნაწილს კონტეინერების დადგმა არ უნდა, იმიტომ რომ მანქანების დასაყენებელი ადგილი არ რჩებათო... მართლა არ მესმის, კომფორტი სხვის ხარჯზე როგორ უნდა მოიწყო?.. გასაგებია, რომ ისინი მანქანებს უფრთხილდებიან, მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ? თითქოს ეს არ კმაროდეს, — ბუნკერს კარი არ აქვს და იქ ზოგჯერ ღამეს ბომჟები ათევენ. თაღში გაზის ძველი მილები გადის, გული მისკდება — სადმე არ იყოს დაზიანებული და მათ მიერ დანთებულმა ცეცხლმა სახლი არ ააფეთქოს. ახლა ამას დაუმატეთ ის, რომ ნაგავი მეზობელი მაღაზიებიდანაც მოაქვთ... თქვენ ავტორიტეტული გაზეთი ხართ — გთხოვთ კეთილმოწყობის სამსახურთან გვიშუამდგომლოთ, ეგებ ამ გასაჭირიდან გვიხსნათ...

როცა ადამიანს შენი იმედი აქვს,


„ჩვენი ეზო“

როგორ უნდა დაზარდე... ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ **გივი რუხაძეს** მივაკითხეთ: — მაგ ეზოს კარგად ვიცნობ, ჩვენც ხალხი ვართ, ვიცით, სიძველეს რომ გაფრთხილება უნდა და ყველაფერს გავაკეთებთ, რასაც შევძლებთო და იქვე დასძინა, — პრობლემა, იცით, რაშია? — ხალხს შინაგანი კულტურა არ ჰყოფნის, რომ სუფთად იცხოვროს... საბედნიეროდ, ასეთი არც ისე ბევრია, მაგრამ ხომ იცით, ცუდის მაგალითი მკვეთრად ჩანს. კიდევ კარგი, ბოლო წლებში იმას მაინც მივაღწიეთ, ქუჩაში ნაგავს პირდაპირ კი არა, ცელოფანებით ისვრიან, ასე ასაღებად ადვილია მაინც. მაგ ეზოს პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებით, მანდ მცხოვრები ხალხი თუ დაგვიდგა გვერდში... კონტეინერებსაც დავუდგამთ და ნაგვის მანქანასაც ყოველდღე გავუგზავნით. წარმოუდგენელია, ამხელა ეზო ერთ ბუნკერში ყრიდეს ნაგავს და თანაც ის ნაგავი იქვე იწვებოდეს... მაგრამ შესაძლებლობა მომეცა და კარგი ამბავიც უნდა გითხრათ, — მშვენიერი თაობა წამოვიდა... ამას წინათ სტუდენტებმა — გმირთა მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელს გავასუფთავებთო... გახსოვთ, ალბათ, იქ ისეთი სიბინძურე იყო, ჩასვლა არ შეიძლებოდა. ბავშვებმა სამადლო საქმე გააკეთეს და ახლა იქ განათებაც დავაყენეთ. ხომ ხედავთ, რომ ჩვენი საქმე არც ისე ცუდად ყოფილა...

**კოტე დიხამინჯია**, კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე: — მაგ ეზოსთვის ამ რაიონის კეთილმოწყობის სამსახურს მართლა ბევრი რამ აქვს გაკეთებული. ძალიან ძვირი დაჯდა, მაგრამ წყალგაყვანილობის მილები მთლიანად შევცვალეთ — ეზო წყლით იტბორებოდა. აი, იმის შესახებ, რომ იქ კონტეინერები არ დგას, თქვენგან გავიგე... სხვათა შორის, სულ ცოტა ხანში, ევროპული წესით, ბუნკერული სისტემა ყველგან სანაგვე კონტეინერებით შეიცვლება... ახლავე რაიონის დასუფთავების სამსახურს დავურეკავ — კონტეინერები საბედნიეროდ, აქვთ და დღესვე მივატანინებ. დაზარალებული სადარბაზოს ბუნკერს კი რკინის კარს შევაბამთ.

...და ბატონმა კოტემ მაშინვე სადღაც დავალება მისცა, აღნიშნულ ეზოში კონტეინერები მიეტანათ... რამდენიმე საათის შემდეგ, კრწანისის რაიონის დასუფთავების სამსახურის დირექტორი **რომან კეჟერაშვილი** დაგვიკავშირდა: — დავალება მაშინვე შევასრულე, მაგრამ ამ ეზოს რამდენიმე მობინადრემ კონტეინერების დადგმაზე კატეგორიული უარი განაცხადა, ამიტომ უკანვე წამოვიღეო(!).

ვერ ვიტყვი რომ მანქანების მფლობელების არ გვესმის (თუმცა, ძნელია), მაგრამ ნამდვილად არ გვესმის, შენი ნაგავი სხვას რატომ უნდა დაუყარო ცხვირწინ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირია?.. ან რას აკეთებს ის, ვისაც ევალება ამ ეზოს მობინადრეები წესრიგს დაუმორჩილოს.

საბედნიეროდ, კრწანისის რაიონის გამგეობამ და ადგილობრივმა დასუფთავების სამსახურმა, „ჩვენი ეზოს“ პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოაგვარეს — ამიერიდან დასუფთავების სამსახურის მანქანა ამ ეზოში, 10-15 წუთის განმავლობაში, მამაპაპური წესით, — ზარით მოუხმობს მობინადრეებს... იმედი გვაქვს, მოსახლეობა ზემო სართულებიდან დილით ჩამობრძანებას ინებებს, ერთმანეთისა და თავისი ეზოს მიმართ სიყვარულს გამოიჩენს და საოჯახო ნარჩენებს ამ მანქანას გაატანს...

ჩვენი მხრივ, მადლობას მოვახსენებთ იმ ადამიანებს, ვინც ყურად იღო რედაქციის თხოვნა და ამ ეზოს შეწუხებულ მობინადრეებს დაეხმარა.

*ეთერ ერაძე*

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „იქნებ ძაღლის თავი რკინიგზაშია დამარხული?!“ — 132 ხმა
2. **ნოდარ შოშიტაშვილი** — „უშიში გიორგი პირველი“ — 43

3-4. **ლელა ჯიყაშვილი** — „კრწანისის ბრძოლა შეიძლება „განმეორდეს...“ — 29

3-4. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რატომ არ სთხოვს გენერალური პროკურატურა სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ზარალის ანაზღაურებას?!“ — 29

5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 28
6. **დაჩი გრძელიშვილი** — „ან მთელ საქართველოში იქნება დემოკრატიული წყობა, ან მთელ საქართველოში არ იქნება!..“ — 27
7. **ეკა ლომიძე** — „ყველა აფხაზური ტურისტული სააგენტოს უკან კრიმინალები დგანან“ — 24
8. **ლელა ჯიყაშვილი** — „კარლო საკანდელიძე: შუბლზე „ძმაკაცობის ნიშანი“ და ბევრი სხვა ამბავი““ — 20
9. **იზო რიკაძე** — რუბრიკა — „დაპირისპირება?“ — 19
10. **ინგა ჯაყელი** — „ჩემი ძვირფასი დედინაცვალი...“ — 15

მკითხველის სახელით პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს — **ვაჟა გავაშელს.**



*„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 403-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

# მოასწრო თუ არა კენჭაძემ კვალის წაშლა?!

## „თუ ჭიჭიაშვილს სიცოცხლის გარანტიას მისცემენ, ალაპარაკდება...“

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ექსხელმძღვანელი, რომელიც ბოლო დროს რუსთავის „აზოტის“ დაცვის უფროსად მუშაობდა, გასულ ხუთშაბათს რუსთავი-თბილისის გზაზე დააკავეს.

გამოძიება ლევან კენჭაძეს ერთდროულად ორ საკითხს ედავება. საქმე ეხება ანტიტერორისტული ცენტრიდან ჩამოწერილ იარაღს და ესპანელი ბიზნესმენების გატაცების საკითხს.

კენჭაძის დაპატიმრების ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნამდვილად არ ჰგავდა. ამას ჯერ კიდევ მაშინ ელოდნენ, როცა პანკისის ხეობიდან გათავისუფლებულმა ესპანელმა ბიზნესმენებმა ხოსე ანტონიო გომესმა და ფრანცისკო როდრიგესმა ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსანი დაასახელეს. ესპანელების განცხადებით, მათი გატაცების საქმეში ლევან კენჭაძის გვარიც ფიგურირებდა. დასახელდა აგრეთვე კახა თარგამაძე და კახა ბაკურაძეც. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საქმე მაშინ მიფუჩეჩდა და პასუხიც არავის უგია.

რაც შეეხება ჩამოწერილ იარაღს, მის შესახებ საქმე ჯერ კიდევ 2002 წელს აღიძრა გენპროკურატურაში. გამოძიებას 397-ე მუხლით ჰქონდა საქმე აღძრული, რაც სამხედრო ქონების განზრახ განადგურებას გულისხმობს. გრძელი დღე არც ამ ბრალდებას აღმოაჩნდა. საქმე მალევე დაიხურა, რადგან გამოძიებამ მიიჩნია, რომ განადგურებული იარაღი ქონებრივ ფასეულობას არ წარმოადგენდა(?!).

კიდევ რაში ადანაშაულებენ ლევან კენჭაძეს, ამას მისი ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძეც ვერ ამბობს. იგი აღნიშნავს, რომ საქმის შესწავლას დრო სჭირდება. ამასობაში, აკაკი ელიავას ლიკვიდაციის ოპერაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილეს — ლევან კენჭაძეს სასამართლომ უკვე შეუფარდა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა.

სხვათა შორის, გამოძიება ელიავას წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციის კანონიერებითაც ინტერესდება. თუმცა, მთავარ ბრალდებად მაინც იარაღის საქმე რჩება. გამოძიების ვერსიით, კენჭაძემ ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ კერძო მაღაზიასთან, რომელიც იარაღის შესყიდვით იყო დაინტერესებული, მაგრამ ეს იარაღი მალევე დააბრუნა უკან იმ მიზეზით, რომ უვარგისი იყო და შეკეთებას არ ექვემდებარებოდა. ლაპარაკია საკმაოდ დიდი ოდენობის ავტომატებსა და ყუმბარმტყორცნებზე. მოგვიანებით გაფორმდა ჩამოწერის ოქმი, რომლის თანახმად, უვარგისი იარაღი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე განადგურდა. გამოძიების მტკიცებით, იარაღის განადგურება ისე მოხდა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის მაშინდელ ხელმძღვანელს საფუძვლიანად არც შეუსწავლია, მართლა უვარგისი იყო თუ არა. თუმც არსებობს უფრო სერიოზული ბრალდებაც — კიდევ ერთი ვერსიით, იარაღის ჩამოწერისა და განადგურების ოქმი ფიქციურად გაკეთდა. სინამდვილეში, იარაღი პანკისის ხეობაში შევიდა და მაშინ იქ მყოფ ჩეჩენ მებრძოლებზე გაიყიდა.


შოთა ჭიჭიაშვილი

გენპროკურატურაში უკვე ლაპარაკობდნენ, რომ იარაღის პანკისისეული ისტორიის საქმეში კენჭაძის გარდა სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებსაც მოუწევთ პასუხისგება. ამ მიზეზით პროკურატურა მალე თარგამაძე-ბაკურაძეს მიადგება. არ გამორიცხავენ, რომ დაკითხვაზე უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძეც დაიბარონ.

რამდენად მოახერხებს გამოძიება ამ ბრალდების დამტკიცებას, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **გურამ დალაქიშვილი** აცხადებს, რომ ბრალდება პანკისის ხეობაში იარაღის გაყიდვის შესახებ ბოლომდე ვერსიად დარჩება: — რაც უნდა ილაპარაკონ ლევან კენჭაძეზე და რა ბრალდებაც უნდა წაუყენონ, ერთ რამეს ვერ წაართმევთ — იგი პროფესიონალია და თუ ასეთი რამე ჩაიდინა, კვალს არ დატოვებდა. ამიტომ გენპროკურატურას ისღა რჩება, რომ მას იარაღის განადგურების კანონიერებაში შეედავოს. მაგრამ ვფიქრობ, კენჭაძეს ამ მხრივაც ექნება თავის გამართლების სერიოზული არგუმენტები.


ლევან კენჭაძე

— **პანკისის ხეობაში იარაღი რომ შედიოდა, ამას წინა ხელისუფლების დროსაც აღიარებდნენ. რატომ არის წარმოუდგენელი, რომ კენჭაძეც ამ პროცესების მონაწილე ყოფილიყო?**

— არ ვამბობ, რომ ეს იარაღი პანკისში არ შესულა. უბრალოდ, ამას დამტკიცება უნდა. ასეთი ოპერაციის დროს კი, როგორც წესი, კვალი არ რჩება. ასე რომ, გამოძიებას ამ ბრალდების განვითარება გაუჭირდება, თუკი მოწმეები არ გამოჩნდებიან.

— **არსებობს მოწმე შოთა ჭიჭიაშვილის სახით.**

— მას მართლაც ბევრი რამის თქმა შეუძლია, მაგრამ ჯერჯერობით დუმს. შეიძლება იმიტომ, რომ მისი სიცოცხლე ამ დუმილზეა დამოკიდებული. ესპანელმა ბიზნესმენებმა ისეთი გვარები დაასახელეს, იმის მიუხედავად, რომ ეს პირები დღეს იქ აღარ მუშაობენ, საკუთარი ხალხი მაინც დარჩათ უწყებებში, საჭიროების დროს ისინი ნებისმიერ საქმეზე წავლენ.

— **გამოძიებას ხომ შეუძლია ესპანელების ჩვენებას დაეყრდნოს და ბრალდება ამ კუთხით წარიმართოს?**

— სკანდალური ისტორიების მოყვარულებს ალბათ არასოდეს უფიქრიათ, კენჭაძე და ჭიჭიაშვილი, თუკი მართლაც ერთად მოქმედებდნენ, გატაცებულებს რატომ დაენახვებოდნენ?

— **გამოდის, კენჭაძეს ამ კუთხით ბრალდებას ვერ წაუყენებენ?**

— იარაღი პანკისის ხეობაში მართლაც შედიოდა. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ საქმეში კენჭაძისა და სხვა მაღალჩინოსნების ხელიც ურევია, მაგრამ ჩვენ ამის დამტკიცება ჯერჯერობით არ შეგვიძლია. ანალოგიურ სირთულეს წააწყდება გამოძიებაც. თუმცა, დღეს ქვეყანაში ვითარება შეიცვალა და შეიძლება მოწმეებიც გამოჩნდნენ.

— **სხვათა შორის, მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ შოთა ჭიჭიაშვილი ალაპარაკდა, მაგრამ ამას ოფიციალურად არ ახმოვანებენ და სწორედ მის ჩვენებას უკავშირდება კენჭაძის დაკავება.**

— შესაძლებელია ასეც იყოს. ჭიჭიაშვილი ჭკვიანი კაცია. თუკი იმის მყარ გარანტიას მისცემენ, რომ მას ალაპარაკების შემთხვევაში არაფერი დაემუქრება და სასჯელსაც შეუმსუბუქებენ, ამაზე წავა. პროკურატურას კი ამით მყარი არგუმენტები ექნება ხელში...

***დავით დევიძე***

# „პიტკინა“ — მოპარული მანქანების ყველაზე მსხვილი შემსყიდველი

## როგორ დავიბრუნოთ მოპარული მანქანები?

მოპარული მანქანების ბიზნესი დღემდე სარფიან საქმედ ითვლება. ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლას სამართალდამცველები, ჯერჯერობით, აგებენ. მოპარული უცხოური მარკის ავტომანქანები ახლაც ისევე გადის საქართველოს საზღვრებს გარეთ, როგორც ადრე გადიოდა. მეტიც, არაოფიციალური მონაცემებით, ავტომანქანების ქურდობების რიცხვი ბოლო ექვსი თვის მანძილზე კატასტროფულად გაიზარდა. ექსპერტები ამას საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში უცხოურ მანქანებზე მზარდი მოთხოვნილებით ხსნიან.

„კვირის პალიტრა“ უკვე წერდა მოპარული მანქანების კავკასიური „ბერმუდის სამკუთხედის“ შესახებ. ლაპარაკია სქემაზე, რომლის მიხედვითაც მოპარული მანქანების ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაყვანა ხდება.

სად გადაჰყავთ საქართველოში მოპარული მანქანები? საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, ჩვენში მოპარულ მანქანებს სომხეთშიც იპოვით და აზერბაიჯანშიც. მაგრამ განსაკუთრებული მოთხოვნა მაინც სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთზე მოდის.

„კვირის პალიტრას“ ერთ-ერთი ასეთი მოპარული მანქანის პატრონი — **გელა გვეტაძე** ესაუბრება, რომელმაც საკუთარ ავტომანქანას ვლადიკავკაზში მიაგნო: — ჩემი „მერსედესი“ სამი თვის წინ მოიპარეს. ქუჩის სადგომზე იდგა. თითქმის ყველა „სეკრეტი“ მქონდა დაყენებული, მაგრამ ისე გახსნეს და დაქოქეს, პრობლემა არ შეჰქმნიათ. პოლიციასაც მივაკითხე და განცხადებაც დავწერე.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***



*მას შემდეგ, რაც შალვა ოგბაიძემ ოქრუაშვილთან სტუმრობის შემდეგ თანამდებობიდან წასვლა გადაწყვიტა, რესპუბლიკის ავტოინსპექციის შეფად გიორგი ბარამიძემ ბავშვობის მეგობარი და თანაკლასელი* ***ვასილ მარგალიტაძე*** *დანიშნა. ამ ყველაზე კორუმპირებულ უწყებაში, დაწყებული მაღალჩინოსნებით და დამთავრებული რიგითი ინსპექტორებით, ყველა თავიდან არის აღსაზრდელიო, გაგვიმხილა ბარამიძის პროტეჟემ და ისიც გვითხრა, სამმართველოს ხელმძღვანელობა ძველი ტრადიციების ნგრევით დაიწყო, უპირველესად, ძველი რიტუალი, ე. წ. „პრეფრივები" „გავაუქმეო", როდესაც მისი უწყების მაღალჩინოსნებს რესტორანში ერთი „პატარა ნახემსება" თურმე 300 დოლარი უჯდებოდათ.*

*რესპუბლიკის მთავარმა ავტოინსპექტორმა მის სამსახურში არსებული ფულის კეთების ბევრი საინტერესო ხერხი გაგვიმხილა და არც ის დაუმალავს, თავად როგორ ადიოდა კარიერის საფეხურებზე:*

— თავის დროზე ჟვანიასთან ვმუშაობდი „მოქალაქეთა კავშირში". მერე სამთავრობო დაცვაში, საიდანაც საჯაიასთან, უშიშროების საბჭოში საიდუმლოების დაცვის განყოფილების რეფერენტად გადავედი. მიმუშავია შოთა კვირაიასა და ჯემალ გახოკიძესთან, ვალერი ხაბურძანიას მეჯვარე ვარ, უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი კოტეტიშვილი ჩემი მეგობარია, იუსტიციის საბჭოს მდივან გია გეწაძესა და გივი იუკურიძესთან ერთად ვმუშაობდი, ასევე ჩემი ბავშვობის მეგობარია გიგი წერეთელიც. საერთოდ კომუნიკაბელური ვარ, ურთიერთობა არავისთან არ მიჭირს.

უშიშროების სამინისტრო და ავტოინსპექციის მთავარი სამმართველო ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. კომუნისტების დროს უშიშროებაში გაცილებით ინტელექტუალური ხალხი მუშაობდა, პოლიცია კი ძალას ეფუძნებოდა, — თავად სახელმწიფო იყო პოლიციური, ამიტომ პოლიციასაც დიდი ძალა ჰქონდა. ცნობილია, პოლიციაში როგორი კორუფციული სისტემა არსებობდა, მაგრამ ყველაზე დიდი პირამიდა აქ, საგზაო პოლიციაში, იყო. წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ავტომობილის ნომერი („ბლატნოი") 4 და 5 ათას დოლარად გაყიდულა. ახლაც ბევრი მოდის, ვასილიჩ, იქნებ კარგი ნომერი მოგვიხერხოო. უარს არ ვეუბნები, არადა, თავად არანაირი გართულება არ მაქვს ნომრებზე. მანქანა არც მყავს, სამსახურისას ვჯერდები.

— **მაინც რომელი სერია და ნომრებია მოდაში?**

— დიდი მოთხოვნაა „ვიპ", „აოა" (ყოფილი უშიშროების ნომრები) და „მსმ"-ზე. ზოგს უნდა სერია სახელს დაამთხვიოს. ერთხანს „ილი" და „ლუკ" სერია გამოვუშვით და თუ ვინმეს ილია ან ლუკა ჰყავდა ოჯახში, ყველა აქ მოვარდა — ეს სერია გვინდაო. ნომრებიდან ყველას 001 ან 777 უნდა. 666-ის ყველა სერია მაქვს, მაგრამ კაციშვილს არ მიაქვს. ასეა, რატომღაც ნომრებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ... რესპუბლიკის ავტოინსპექციის მთავარ სამმართველოში ყოველთვის დიდი ფული კეთდებოდა. აქ რაღაც განსხვავებული სისტემაც არსებობდა. მაგრამ ჯერ კიდევ ჩემმა წინამორბედმა შეცვალა აქ ძველებური წესები, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მას. ამიტომ მე გაცილებით უკეთესი ვითარება დამხვდა, ვიდრე მას. შალვა ოგბაიძემ აუხსნა თანამშრომლებს — წითელია ანთებული, ფულს არ ვაკეთებთო და მეც გამიადვილდა გამეგრძელებინა ეს კურსი. ვცდილობ, ძველებური ფულაობა აღარ იყოს ამ სისტემაში. 1.000 დოლარი მაქვს ხელფასი (სოროსის ფონდი გვაფინანსებს), ტყუილად ხომ არ გვიხდიან ამდენს.

— **გყოფნით?**

— იცით, ხვალინდელი დღის შიში არ მაქვს. 1.000 დოლარს 2 ათასი და 10 ათასი ჯობს, მაგრამ როდესაც ხალხს 17 ლარი აქვს პენსია, სასაყვედურო არაფერი მაქვს... ყოველთვიურად ჩვენს სამმართველოს 67.500 დოლარს აძლევენ. ამ თანხას თავად ვანაწილებ. თავდაპირველად ყველას თანაბრად გავუნაწილე ხელფასი, ახლა კი ზოგს კაპიკიც არ მივეცი და მათ ხარჯზე ანაზღაურება სხვებს გავუზარდე. ინსპექტორს ერთი თვის მანძილზე ერთი აქტი რომ არ ექნება დაწერილი და ვერც ერთ დარღვევას ვერ გამოავლენს, ხელფასს როგორ მივცემ? თავიდანვე განვაცხადე, გაკეთებული საქმის მიხედვით აიღებთ ხელფასს და თუ უკეთ იმუშავებთ, მოვითხოვ, 67 ათასის ნაცვლად 130 ათასი დოლარით დაგვაფინანსონ-მეთქი. თანამშრომლის გატანა ვიცი, არავის დავაჩაგვრინებ, გენერალურ ინსპექციასაც კი, ოღონდ თავადაც მხარში უნდა ამომიდგეს. ხელი არ უნდა წაუცდეს, თორემ თუ მიღალატა, არ დავინდობ. ვცდილობ, თანამშრომელში ჯერ კარგი თვისება დავინახო, მაგრამ სიტყვის გამტეხებს ვერ ვიტან, ასეთებს არაფერს ვაპატიებ. ალბათ გაიგებდით, ამას წინათ ჩვენი თანამშრომელი რომ აიყვანეს. სანამ დაიჭერდნენ, რამდენიმე დღით ადრე თელეთის ტრასაზე შევხვდი, პლეხანოველი აღმოჩნდა, 24-ე სკოლელი, მეც იმუბნელი ვარ, გამიხარდა, ამაზე მეტად ვის უნდა ვენდო-მეთქი. ვუთხარი, თუ 1 და 2 ლარს გაჩუქებენ, აიღე, მაგრამ მძღოლს ფული არ წაართვა, არავინ გაამწარო-მეთქი. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ჩემი სიტყვები ახდა და რაც არ მინდოდა, სწორედ ის მოხდა. პროკურატურიდან დამირეკეს, თქვენს თანამშრომელზე საჩივარი დაიწერა და მომჩივანი ჩვენთან არისო. ჩავედი ბოლნისის პროკურატურაში და აკანკალებული დამხვდა მძღოლი (ძველი „მოსკვიჩი" ჰყოლია), საღამოს 8 საათზე გაუჩერებია ჩემს ნაცნობს. მძღოლმა მიამბო, — პასპორტი და მართვის მოწმობა დავკარგე, მაგრამ პოლიციაში განვაცხადე და ორივე დოკუმენტის ქვითარი ავიღე. მეორე დღეს გამაჩერა ინსპექტორმა და რაკი საბუთები არ მქონდა, ოქმი არც შეუდგენია, მანქანას კაპოტი ახადა, ტრამლიორი მოხსნა და მითხრა, — ფეხით წადი და 2 საათში 30 ლარი მომიტანე, მანქანას მერე გაგატანო. მერე მობილური გამოურთმევია და უთქვამს — თუ აქ აღარ დაგხვდი, „ტეკზე" ამომიტანე ფული, თუ გინდა, რომ მობილური გაგატანოო(!). საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ჩემიანზე ასეთი რამ რომ მითხრეს. ვუყურებდი, როგორ დანომრეს მოწმეების თანდასწრებით 30 ლარი. ვფიქრობდი, ნეტავ ტყუილი აღმოჩნდეს მძღოლის ნათქვამი-მეთქი (რატომღაც მოწყობილი მეგონა ეს ამბავი). მთელი ღამე 4 მანქანით აღმა-დაღმა დავდიოდი ამ საგუშაგოსთან, ვაკვირდებოდი

# „ამ შენობაში დოლარების უხილავი „სტანოკი" მუშაობდა"

## „თბილისის ქუჩებში ინსპექტორები აღარ დადგებიან"



— კაბინეტში იკეტებოდა და დღეში დაახლოებით 100-120 მანქანის „ლევ" რეგისტრაციას აკეთებდა. არ ვიცი, საიდან მოჰქონდა ყალბი დეკლარაციები, თითოეული მანქანის რეგისტრაციისთვის 500 დოლარს იღებდა. დღეში 50 ათას დოლარს იჯიბავდა(!). 4 თვე იმუშავა ჩვენთან იმ კაცმა. ამბობენ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ნათესავი იყოო. თვითონ თურმე გაიძახოდა — ზემოთ დიდი ფული მაქვს გადახდილი და ხელსაც ვერავინ მახლებსო. აი, ასეთი უხილავი დო-ლარების „სტანოკი" მუშაობდა ამ შენობაში. შეიძლება ის ადგილი 100 ათასზე მეტიც ღირდა. ამდენს ვინც იხდიდა, მერე მის ამოღებაზეც მუშაობდა. ასეთი წესი იყო.

სიტუაციას და კაციშვილმა ყურადღება არ მომაქცია. დილით მივიდა „მოსკვიჩის" მძღოლი, გადასცა ინსპექტორს 30 ლარი და სპეცდანიშნულების რაზმმა მაშინვე აიყვანა. 30 ლარის გამო 4-წლიანი სასჯელი არგუნეს. რაკი მიღალატა და ჩემი სიტყვა არ შეისმინა, წამითაც არ შემცოდებია. ამის შემდეგაც ველაპარაკე თანამშრომლებს, — აქ თქვენს გასაფუჭებლად არ მოვსულვარ. ფრთხილად იყავით, თუ ქრთამს აიღებთ, ჩემი იმედი ნუ გექნებათ-მეთქი.

მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა ასეთია, ბევრი გამოსწორდა. საქართველოში სულ 9 ტრასაა. ვიცი, რომ აქედან 3 ტრასაზე ფულს არ იღებენ და ამით ვამაყობ. თანდათან ყველგან გამოსწორდება მდგომარეობა. ტრასის უფროსებს დაახლოებით 400 დოლარი აქვთ ხელფასი და ნელნელა ეჩვევიან მხოლოდ ხელფასზე ცხოვრებას.

— **ალბათ გეცოდინებათ, საინტერესოა ორიოდე წლის წინ საშუალოდ რამდენს შოულობდა ტრასის უფროსი?**

— შოვნით ბევრს შოულობდა, მაგრამ 400 დოლარზე მეტი მაინც არ რჩებოდა, აქ მოჰქონდა. „სტავკა" იყო — 25%-ზე მეტს ტრასის უფროსი ვერ დაიტოვებდა, აღებული ფულის 75% აქ, ტრასების უფროსთან, მოდიოდა. რაღაცას, დაახლოებით 200 დოლარს, ისიც დაიტოვებდა. მასთან კიდევ 9 ტრასის უფროსს მიჰქონდა ფული და ჯამში ურიგო თანხა არ გროვდებოდა. მერე მას ფული თავის კურატორთან, სამმართველოს უფროსის მოადგილესთან მიჰქონდა. მოადგილე თანხას სამმართველოს უფროსს მიუტანდა, რომელსაც მისნაირი რამდენიმე ფულის მომტანი ჰყავდა და შესაბამისად, შემოსავალიც დიდი ჰქონდა. ჩვენი სამსახურიდან ფული სამინისტროში მიდიოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, შს მინისტრს რამდენი „კრუპნი" მიმტანი ჰყავდა და რა შემოსავალიც ექნებოდა. ეს ძველებური უზარმაზარი სეიფი (სეიფზე გვითითებს. — მ.ზ.) იმდროინდელია, მისი მოცულობა ალბათ კარგად მეტყველებს, რა თანხებიც ინახებოდა აქ.

— **მაინც რამდენი რჩებოდა ყოველთვიურად რესპუბლიკის ავტოინსპექციის ხელმძღვანელს?**

— დაახლოებით 25-30 ათასი დოლარი. თუ შემოსავლიანი თვე იქნებოდა, 40 ათასამდეც ავიდოდა(?!). შს მინისტრს კი მინიმუმ 200-300 ათასი დოლარი მაინც უგროვდებოდა. უშიშროებაში მუშაობისას დავიანგარიშე — წელიწადში დაახლოებით 8-10 მილიონამდე შავი ფული ტრიალებდა ამ სამინისტროს „ობშჩიაკში"...

— **ანუ ყველა სამსახურის უფროსს ჰქონდა მსუყე ლუკმა?**

— ყველას არა. არის სამსახურები, რომლებიც ფულს ვერ აკეთებდნენ. მაგალითად, ჩვენს სამმართველოში, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურში, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ფულს ვერ გააკეთებდნენ. მათ მხოლოდ შუქნიშნების გაკონტროლება, საგზაო ნიშნების დადგმა და გზების დახაზვა ევალებათ და ვისგან აიღებენ ქრთამს?

— **სიტყვამ მოიტანა და ქალაქში შუქნიშნები საკმაო ხარვეზებით მუშაობს, არც გზებია დახაზული და საკანალიზაციო სარქვლების უმეტესობაც თავახდილია. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მძღოლებსაც და ფეხით მოსიარულეებსაც. რამდენადაც ვიცი, ამ საკითხზე მეთვალყურეობა კონკრეტულ მონაკვეთზე მიმაგრებული ავტოინსპექტორის მოვალეობაა.**

— ქუჩების დახაზვას მერია აკეთებს. როდესაც მონაკვეთზე მიმაგრებული ინსპექტორი ქუჩაში ახდილ სარქველს ან ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ გარემოებას ნახავს, წესის თანახმად წერს წერილს



იმ უბნის საგზაო სამსახურის ხელმძღვანელის სახელზე (ეს საგზაო დეპარტამენტს ეხება). თუ სამი გაფრთხილების შემდეგ რეაგირება არ მოხდა, ჩვენი საგზაო პოლიციის მონაკვეთის უფროსი რაიონის პროკურორს აფრთხილებს... მაგრამ როგორც წესი, საგზაო დეპარტამენტი პრობლემების მოუგვარებლობას ბიუჯეტსა და უსახსრობას აბრალებს. მოსახლეობას ისე უჭირს, რომ ორიოდე ლარის გულისთვის ხსნის სარქვლებს და ჯართში აბარებს. ძნელია ასეთ პრობლემასთან ბრძოლა. მომავალში შს სამინისტროში საპატრულო სამსახური იქმნება (ჯერჯერობით, მხოლოდ თბილისში განხორციელდება ეს პროექტი). ქალაქში სპეცტექნიკითა და კომპიუტერებით აღჭურვილი დაახლოებით 70 მანქანა იმოძრავებს, ეკიპაჟს ექნება საგზაო პოლიციის, მოკვლევისა და დაკავების ფუნქციები. ვფიქრობ, საპატრულო სამსახურის შემოღება ბევრ პრობლემას მოხსნის. ქუჩაში ინსპექტორები აღარ დადგებიან.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ საპატრულო სამსახური მეტ ფულს აიღებს, ვიდრე ავტოინსპექტორი...**

— ამ მოვლენასთან საბრძოლველად კონტროლის მექანიზმია გასაძლიერებელი, ადმინისტრაციული პოლიცია და გენერალური ინსპექცია უნდა გააქტიურდეს. როდესაც სამინისტროში ხელფასების დანიშვნაზე ვმსჯელობდით, ვთქვი, — ყველაზე მაღალი ხელფასი მაკონტროლებლებს უნდა დაენიშნოთ, რომ ხელი არაფერზე წაუცდეთ-მეთქი. იუსტიციის სამინისტროში გენინსპექციის უფროსი ვიყავი, ჩემი თანამშრომელი, რომელსაც 29 ლარი ჰქონდა ხელფასი, ნოტარიუსს ამოწმებდა, რომელიც მხოლოდ ერთ საქმეზე აკეთებს 200 დოლარს. დღეში კი შესაძლოა 40-50 ასეთი საქმე გაეკეთებინა. 29-ლარიანი მაკონტროლებელი სანამ გაძლებდა ენთუზიაზმით, როგორ გგონიათ, არ წაუცდებოდა ხელი?

— **გასულ კვირას საგზაო პოლიციის რეიდის გამო მთელ დედაქალაქში პარალიზებული იყო მოძრაობა. რას უკავშირდებოდა ეს ღონისძიება?**

— ასეთი რეიდების მიზანია პრევენცია. უკვე უფრთხიან ოსეთისკენ მანქანების წაყვანას, მარშრუტი შეიცვალა. ბევრი მოპარული მანქანა გადადის აფხაზეთსა და სომხეთში. ამიტომაც გადავკეტეთ რუსთავისა და მარნეულის, ყაზბეგისა და იმერეთის მიმართულების, ასევე ხევი-იმერეთის გზები, საიდანაც შემოვლითი ბილიკებით გადაჰყავთ მანქანები *(ჩვენს რესპონდენტს საუბარი ტელეფონის ზარმა შეაწყვეტინა. ნატახტართან მისი მეგობრის, უშიშროების ერთ-ერთი სამხარეო სამმართველოს უფროსის ნათესავის განუბაჟებელი მანქანა გაეჩერებინათ. მანქანის გაშვებას ნუ მთხოვთ, თქვენ რომ დაგეხმაროთ, მერე სხვას პასუხს ვეღარ მოვთხოვო, — გაანაწყენა რესპუბლიკის მთავარმა ავტოინსპექტორმა მეგობარი. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, ჩვენც გაგვიჩინა შეკითხვა).*

— **ბოლო დროს განუბაჟებელი მანქანების გამო დიდი აურზაური შეიქნა. ბევრმა მძღოლმა აღმოაჩინა, რომ მისი სავსებით პატიოსნად შეძენილი და თავის დროზე განბაჟებული მანქანა მოპარული ან განუბაჟებელი ავტომობილების ნუსხაში აღმოჩნდა.**

— ამის გამო მართლაც სერიოზული ქაოსია. ადამიანი, რომელიც მანქანას ყიდულობდა, მოდიოდა ჩვენთან მანქანის განსაბაჟებლად (აქ იჯდა მებაჟე), იხდიდა 1.500 ლარს და მებაჟეც დეკლარაციას ავსებდა (რომელიც, სამწუხაროდ, ყალბი იყო). მერე მიდიოდა საგზაო პოლიციაში რეგისტრაციისთვის (მათთან შეკრული იყვნენ მებაჟეები და დღეს ეს ხალხი იძებნება) და ისინიც „განბაჟებულ" მანქანას აფორმებდნენ. ამ შემთხვევაში მანქანის მფლობელი კანონის წინაშე სავსებით პირნათელია, მაგრამ თაღლითებმა რომ მოატყუეს, გვიან აღმოაჩენს, კერძოდ კი მაშინ, როდესაც მანქანას გაყიდის. მის გასაფორმებლად მოსულ ახალ მყიდველს რესპუბლიკის საგზაო სამმართველოში უთუოდ მიედავებიან, — თქვენი მანქანა განუბაჟებელიაო.

— **მერე რა ქნას მანქანის მფლობელმა?**

— ჯერ ვერ მოვიფიქრე, როგორ მოვერიო ამ პრობლემას. პროკურატურა ჩავაყენე საქმის კურსში, მოსამართლესაც დავუკავშირდი... აბსურდული სიტუაციაა, ჯერჯერობით, არ გარკვეულა, როგორ მოევლება ამას. ჩემი აზრით, განუბაჟებელი მანქანების მეპატრონეებმა სიმბოლური თანხა უნდა გადაიხადონ. გადასახადის დიფერენციაციაც უნდა მოხდეს მანქანის ღირებულების მიხედვით. სიტყვაზე „მერსედესის ჯიპის" განბაჟებისთვის 500 ლარი უნდა გადაიხადონ, „ოპელ-ვექტრაზე" ან 1982 წლის „ფიატუნოზე" კი გაცილებით ნაკლები, მაგალითად, 20-30 ლარი.

— **არ ჯობს ის თაღლითები დაიჭირონ და მათ გადაახდევინონ ეს თანხები ბიუჯეტში?**

— ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, მაგრამ თაღლითი რის თაღლითია, რომ ვერ მიიმალოს. მათზე ძებნაა გამოცხადებული. აქ მანქანების რეგისტრაციაში მუშაობდა ერთი, მამუკა ბარბაქაძე. თავის კაბინეტში იკეტებოდა და დღეში დაახლოებით 100-120 მანქანის „ლევ" რეგისტრაციას აკეთებდა. არ ვიცი, საიდან მოჰქონდა ყალბი დეკლარაციები, თითოეული მანქანის რეგისტრაციისთვის 500 დოლარს იღებდა. დღეში 50 ათას დოლარს იჯიბავდა(!). 4 თვე იმუშავა ჩვენთან იმ კაცმა. ამბობენ, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ნათესავი იყოო. თვითონ თურმე გაიძახოდა — ზემოთ დიდი ფული მაქვს გადახდილი და ხელსაც ვერავინ მახლებსო. აი, ასეთი უხილავი დოლარების „სტანოკი" მუშაობდა ამ შენობაში. შეიძლება ის ადგილი 100 ათასზე მეტიც ღირდა. ამდენს ვინც იხდიდა, მერე მის ამოღებაზეც მუშაობდა. ასეთი წესი იყო.

— **ზემოთ რომ თქვით, ზოგჯერ 4 ათასი დოლარი გადაუხდიათ ნომერშიო, ახლა რა ღირს მანქანის ნომრის აღება?**

— 54 ლარი... შესაძლებელია ამ საქმიდან ბიუჯეტის შევსებაც მოხერხდეს, არსებობს ასეთი მექანიზმები საზღვარგარეთ. მაგალითად, მე გადავცემ მთლიან სერიას რომელიმე შპს-ს, რომელიც გადაიხდის თვითღირებულებას, ნომრებს გაყიდის და შესაბამისად დაიბეგრება კიდეც, ჩემი სტრუქტურა კი მხოლოდ ამ ნომრის რეგისტრაციას მოახდენს. გვაქვს კიდევ ერთი შეხედვით არცთუ დიდი, მაგრამ ძალზე სერიოზული ღვედების პრობლემაც. გერმანიას 15 წელი დასჭირდა, იქაური მძღოლები უსაფრთხოების ღვედებს რომ შეჰგუებოდნენ და ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენთან რამდენი ხანი დასჭირდება? არადა, ახლა ისეთი მანქანები შემოდის („აირბაგიანი" — საჰაერო დამცავი ბალიშით), თუ ღვედი არ გაქვთ შეკრული, საგზაო შემთხვევისას კისერი სწყდება მგზავრს. ვფიქრობ, სკოლიდანვე უნდა ასწავლონ ბავშვებს ღვედებით სარგებლობა.

— **ბატონო ვასო, ლიპიან ავტოინსპექტორებს რას უპირებთ?**

— ლიპიანები უნდა გავუშვა... თურაშაული ვაშლივით გალაყლაყებული პოლიციელები არ გვჭირდება. ამას წინათ თათბირი მქონდა, ზოგიერთი ლიპიანი ისე აქოშინებული შემოვიდა, ვიხუმრე, კაბინეტი მე-3 სართულიდან პირველზე ხომ არ ჩავიტანო-მეთქი. ჩვენ ჯანიანი, ხალისიანი და ზრდილობიანი ავტოინსპექტორები გვჭირდება და არა ქონიანები...

პრობლემებსა და მოსაგვარებელ საკითხებს რა გამოლევს, კიდევ ბევრი გვაქვს. ავიღოთ თუნდაც ის, რომ თბილისი მიკროავტობუსებით არის გადაჭედილი. ისე უწესრიგოდ მოძრაობენ და იმდენად თავაშვებულნი არიან, ფეხით მოსიარულეებსაც საფრთხეს უქმნიან და საკუთარ მგზავრებსაც. სამარშრუტო ხაზის მფლობელების დაბარებას ვაპირებ. ასე აღარ შეიძლება გაგრძელება... ან დაიცავენ მოძრაობის წესებს, ან მკაცრად დაისჯებიან.

*ამით დასრულდა მთავარ ავტოინსპექტორთან „კვირის პალიტრის" სტუმრობა. რაკი „ახალია", მეტს აღარ ჩავძიებივართ. ჩვენი მხრიდან კი ბატონ ვასოს ერთს ვპირდებით, რომ სამომავლოდ უხერხულ კითხვებს უთუოდ დავუსვამთ და დაპირებებზე „ანგარიშსაც მოვთხოვთ", რათა ქვეყანაში ამ სფეროში პრობლემები აღარ იყოს...*

***იზო როკაძე***

ომების ისტორიას თუ გავიხსენებთ, რა არ გამხდარა ადამიანთა დაპირისპირების მიზეზი, — ლამაზი ქალი, ეჭვიანობა, სიმდიდრისა თუ ძალაუფლების წყურვილი, მაგრამ ომის „საპატიო მიზეზთა“ სიაში ვერსად იპოვით გვარჯილას — ეს 21-ე საუკუნის საქართველოს „საავტორო უფლებაა“ და სწორედ ამ საბაბით დაიწყო ჩვენთან ე. წ. „სასუქის ომი“, რომელიც მთლად ფიშტოს გავარდნამდე არა, მაგრამ ტროტილამდე კი მართლაც მივიდა. ისე, ზოგისთვის თვით ასეთ აბსურდსაც აქვს ახსნა და ასლან აბაშიძის ერთი შეხედვით დაულაგებელ ბრალდებაში სავსებით ნათელ მიზანს ხედავენ — აჭარის ლიდერს არ სურს სააკაშვილს მის სამფლობელოში მადლიერი ხალხი ჰყავდეს. ამ სულზე მისწრებული სასუქით კი პრეზიდენტი მართლაც მოიგებდა აჭარლების გულს. სწორედ ეს არის „მიზეზთა მიზეზი და თავად მიზეზი“. ამ მიზეზთა გამო სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრ **დავით შერვაშიძეს** აჭარაში ჩატანილი სასუქი უკან გამოატანეს. დაბნეულ და შეცბუნებულ მინისტრს „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა:



# „პროკურატურაში გამოძახება ერთიორად უსიამოვნოა მინისტრისათვის“

— რაკი საქართველო აგრარული ქვეყანაა, როგორც ჩანს, ჩვენთან მიმდინარე ყველა პროცესი, იქნება იგი პოლიტიკური თუ აპოლიტიკური, სოფლის მეურნეობას უკავშირდება. ჩვენი კეთილი განზრახვა, დავხმარებოდით აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობას, რატომღაც არასწორად გაიგო აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობამ.

აჭარაში კარგად იცოდნენ, რომ იქ პრეზიდენტის სპეციალური დავალებით ჩავედი. მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით განაცხადა, აჭარის მოსახლეობას სასუქით დავეხმარებითო... მე, სოფლის მეურნეობის მინისტრს, ჩოლოქთან იქაური გამგებელი დამხვდა და მითხრა, ცოტა ხნით შეჩერდითო. მალე გამშვებ პუნქტთან აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი და როსტომ ჯაფარიძე მოვიდნენ. დებოში არ ამიტეხია, მაგრამ გულწრფელად გაკვირვებულმა ვიკითხე, — რა ხდება-მეთქი. ამიხსნეს — რაკი ავტონომიის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობაა, ტვირთი ქობულეთში დავასაწყობოთ და მერე გავუნაწილოთ მოსახლეობასო.

თუკი მებაჟეებს ტვირთზე რაიმე ეჭვი გაუჩნდათ, შეემოწმებინათ. პრობლემას არ შევუქმნიდი, მაგრამ ჩემთან საუბრისას ეჭვი არავის გამოუთქვამს. მარწმუნებდნენ, ჩვენ უკვე მივაწოდეთ მოსახლეობას სასუქიო, თუმცა მე სხვა ინფორმაცია მქონდა.

— **რატომ არ დათანხმდით მათ წინადადებას, რომ რამდენიმე დღით ქობულეთში გადაეტანათ სასუქი. თქვენც რაიმე ეჭვი ხომ არ გაგიჩნდათ?**

— ნამდვილად ვერ დაველოდებოდი, როდის მეტყოდნენ — ვითარება ჩაცხრა და სასუქის მოსახლეობაზე განაწილება ახლა შეგიძლიაო. ხალხი სასუქს ელოდება. რამდენიმე დღეში უნდა მოვასწროთ დარიგება, თორემ 1-2 თვეში აღარაფერში დასჭირდებათ... ტვირთის მოსახლეობამდე ჩატანაზე პასუხისმგებლობა მქონდა აღებული და თუნდაც რამდენიმე დღით ვერსად დავტოვებდი. თანაც, ვერავინ მომცემდა იმის გარანტიას, რომ მას ხულოს მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობა დროულად მიიღებდა და სხვა მიმართულებით არ წავიდოდა... არ შეიძლება გლეხთან ურთიერთობა და მისთვის სასუქის მიწოდება პოლიტიკის დონემდე აიყვანო. არ შეიძლება, რომ მინისტრს რაღაც უსაფუძვლო არგუმენტებით გზას უკეტავენ. სამწუხაროდ, აჭარაში არ მომცეს საშუალება მოსახლეობას დავხმარებოდი. ხულოელ გლეხს ამბროლაურელისგან ვერ განასხვავებ. მათ ერთნაირი, არცთუ დალხენილი ყოფა აქვთ და დახმარებაც ერთნაირად სჭირდებათ, მაგრამ...

— **აბაშიძე ამტკიცებს, იმ ტომრებში ტროტილი იყოო.**

— ვერ გავიგე, რას მეუბნებით. რატომ უნდა შემეტანა აჭარაში ტროტილი?..

— **კარგი, სხვა თემაზე გადავიდეთ. რატომ არის, რომ ზოგჯერ კარგი მოსავალიც პრობლემა ხდება ჩვენი გლეხისთვის. რამდენიმე წლის წინ გლეხობამ ხორბლის უხვი მოსავალი მოიწია, მაგრამ სახელმწიფომ მათგან კი არ შეისყიდა მარცვლეული, უცხოეთიდან შემოიტანა...**

— ეს რომ აღარ განმეორდეს, წელს პირველად შევიდა ბიუჯეტში თანხა ადგილობრივი მოსავლის შესასყიდად. ბიუჯეტი დააფინანსებს ჩაის წარმოების განვითარებას, მეთესლეობას, ქართული უნიკალური ვაზის ჯიშების აღდგენას, თეთრი ყურძნის შესყიდვას, საკონსერვო წარმოების განვითარებას. მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, — გლეხისგან პროდუქტი რომ შეიძინო, ის ხარისხიანი უნდა იყოს. რაგინდ პატრიოტიც უნდა იყოს კაცი, უხარისხო ბოსტნეულს ან ხორბალს არ იყიდის. სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, საქართველოში მოყვანილი პროდუქტის ექსპორტზეც.

— **რამდენიმე წლის წინ ერთმა თქვენმა**

# „რატომ უნდა შემეტანა აჭარაში ტროტილი?“

## „ბულგარელები ისრაელში „ქართულ ღვინოს“ ასხამდნენ“(?!)

**კოლეგამ მოლდაველებს მიჰყიდა ქართული ღვინის წარმოების ლიცენზია და რუსული ბაზარიც მოლდავური წარმოების „ხვანჭკარით“ გაჯერდა. როდესაც სახელმწიფოს ჩინოვნიკები ასე აზროვნებენ, ჭირს სასიკეთო პერსპექტივის დანახვა.**

— ამ საკითხს ამჟამად უკვე კანონი არეგულირებს. ზემოთ ხსენებული ლიცენზია გაუქმებულია, რადგან ქვეყანაში უკვე მოქმედებს ახალი კანონი „ღვინისა და ვაზის შესახებ“. ივლისში გერმანელების დახმარებით ვხსნით ლაბორატორიას, რომელიც ამ პროცესს მოაწესრიგებს. ღვინის ქარხანაში შესული თითოეული კილოგრამი ყურძენი აღირიცხება. თუ საწარმო არ იქნება საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული, ის თავის პროდუქტს ქართულ სახელს ვერ მიანიჭებს. ამ პირობის დამრღვევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. ამჟამად ღვინის საკითხზე რამდენიმე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. რომელიღაც ბულგარული ფირმა ისრაელში საკუთარ პროდუქტს ქართული ღვინის სახელით ყიდდა და ვუჩივლეთ. ასეთი პროცესები კვლავაც გაგრძელდება. თუ ვინმე ქართულ „ხვანჭკარას“ სადღაც „ცეხში“ ასხამდა, ნუ ჰგონია, რომ შერჩება. საქართველოში ნაწარმოებ ყოველ ბოთლ ღვინოს შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა ახლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გავანადგურებთ, მწარმოებელსა და გამყიდველს კი პასუხისგება მოუწევთ.

— **ღვინოზე იმდენი ვილაპარაკეთ, უსათუოდ უნდა გკითხოთ, თქვენ თუ სვამთ, რომელ ღვინოს და რამდენს?**

— რომ გითხრათ, არ ვსვამ-მეთქი, დამიჯერებთ? ძალიან მიყვარს ოჯახური კახური ღვინო, ასევე „ხვანჭკარა“, იმერული „ცოლიკაური“, „ციცქა“ და „ოჯალეში“. თუ მეორე დღეს სადმე არ მივდივარ, რამდენიმე ლიტრიც დამილევია. 3-4 ლიტრიც შეიძლება დალიო კაცმა, მაგრამ საქმე ისაა, დალევის მერე როგორ მოიქცევი. სირცხვილია, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ფრანგულ ღვინოს სვამდეს, როდესაც ჩვენს „საფერავს“ არაფერი ჯობს.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ვთქვი — დღეში თითო ფინჯანი ქართული ჩაი რომ დალიოთ, ადგილობრივი ჩაის წარმოება განვითარდება-მეთქი... და მართლაც ასეა.

— **რამდენიმე თვის წინ თქვენი წინამორბედი (და მეგობარი) დავით კირვალიძე პროკურატურაში კარგა ხანს შეაყოვნეს, ცოტა ხანში თავად აღმოჩნდით კირვალიძის მდგომარეობაში. არ შეგეშინდათ, როდესაც პროკურატურაში გამოგიძახეს?**

— არ შემშინებია, მაგრამ რომ გითხრათ, ისე მიხაროდა იქ წასვლა, როგორც პაემანზე-მეთქი, ხომ მოგატყუებთ? იქ მისვლა სასიამოვნო არავისთვის იქნება და ერთიორად უსიამოვნოა ეს პროცესი მინისტრისთვის. თუმც არც ის მიფიქრია, რომ დამაკავებდნენ.

— **არ გეხამუშებათ, ხელფასს სოროსი რომ გიხდით?**

— სიმართლე გითხრათ, არანაირი სინდისის ქენჯნა არ მაქვს ამის გამო და არც იმაზე შევწუხდებოდი, თუ ყველა ჩვენს მოქალაქეს ამდენ ხელფასს მისცემდა რომელიმე საერთაშორისო ფონდი.

დღეს ზოგიერთი გაიძახის, — ჩვენი მინისტრები უცხოური ფონდების გავლენის ქვეშ მოექცნენ და ამიტომ ეროვნულ პოზიციას ვერ შეინარჩუნებენო. სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემზე გეტყვით, ვილაცამ რომ მითხრას, — ქართველ მევენახეს ყურძნის მოყვანაში არ დაეხმარო, კალიფორნიიდან ღვინო უნდა შემოვიტანოო, ხომ გამორიცხულია, რომ ამას ოდესმე დავეთანხმო, რამდენიც უნდა გადამიხადონ.

***იზო რიკაძე***

# „ლობისტობა დიდი ფული ღირს“

## „დინებას დიდხანს ვერავინ შეაჩერებს“



*გასულ კვირას პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომა მედიისთვის დაიხურა. კონსპირაციას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. განსახილველი საკითხი კი ასლან აბაშიძისთვის ესოდენ „საყვარელი თემა“ — ყარსის ხელშეკრულება გახლდათ. მეცნიერებმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტებმა და იურისტებმა ერთხმად დაასკვნეს — ხელშეკრულება საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხეს არ უქმნისო, მაგრამ რატომღაც აბაშიძე მაინც ითხოვს რუსებისგან „ყარსის ხელშეკრულების ეგიდით“ დახმარებას. მისმა მცდელობამ კი ასე თუ ისე შედეგი გამოიღო — გასულ კვირას რუსეთის დუმაში აჭარის საკითხებზე(!) იმსჯელეს და სათანადო დადგენილების შედგენასაც არ დაგვზარდნენ.*

*რას გულისხმობს ყარსის ხელშეკრულება, რამდენად შეიძლება დღეს მასში აღნიშნული პირობების დაცვა და რატომ სპეკულირებენ ამ საკითხით მავანნი, ამ კითხვით პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს,* ***კოტე გაბაშვილს*** *მივმართეთ (რომელიც ხუმრობს, ყარსის ხელშეკრულების თემა უკვე „ყარსო“):*

— გასული საუკუნის დასაწყისში თურქეთსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი დავა დამთავრდა იმ გადაწყვეტილებით, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს დაუბრუნდებოდა. ამის შესახებ ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო. შემდეგ კი 1921 წელს, საბჭოთა საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და ოსმალეთს შორის ე. წ. ყარსის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელშიც ჩაიწერა, — აჭარის ტერიტორიული და მიწათმოწყობა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, საქართველოს პრეროგატივააო. სხვათა შორის, ხელშეკრულებაში ისიც ჩაიწერა — ბათუმში შესვლისას თურქულმა გემებმა ბაჟი არ უნდა გადაიხადონო (რომელიც არავის დაუცავს). ხელშეკრულებითვე განისაზღვრა საზღვარი — სადემარკაციო ხაზი თურქეთსა და საქართველოს შორის (მასში სოფელ-სოფელ არის მითითებული, სად გადის საზღვარი). შემდგომ კი დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრედ თავი არ უღიარებია, ის პარლამენტის გადაწყვეტილებით მე-11 არმიის მიერ ანექსირებულად გამოცხადდა. ამიტომაც დღევანდელი საქართველო არც არის ვალდებული აღიაროს ის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა საქართველომ თავის დროზე აღიარა. მაგრამ ეს ცალკე თემაა... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაორდინარული ვითარება შეიქნა — ვაზიანში, ბათუმში, ახალქალაქში, გუდაუთაში რუსული სამხედრო ბაზები დარჩა, ბომბორა გაძეძგილი იყო რუსული შენაერთებით, აფხაზეთში ისევ არსებობდა სამხედრო ლაბორატორია, საქართველო-თურქეთის საზღვარზე მესაზღვრეებადაც ისევ რუსეთის უშიშროების ჯარები იდგნენ. ამ დროს ხშირად გაისმოდა ეროვნულ ნიადაგზე აღტყინებული ხალხის მოწოდებები — საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე აღვადგინოთო... თურქეთმა არ იცოდა, როგორ გზას აირჩევდა საქართველო და ამიტომ 1992 წელს შემოგვთავაზა — ყარსის ხელშეკრულება დავიცვათო (მათ საზღვარი აღელვებდათ და არც უხსენებიათ გემების უბაჟო შესვლა ბათუმში) და ჩვენც დავუდასტურეთ თურქეთს, რომ არ წავუყენებდით პრეტენზიებს საზღვრის გამო.

დამოუკიდებელ საქართველოს საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრედ თავი არ უღიარებია, ის პარლამენტის გადაწყვეტილებით მე-11 არმიის მიერ ანექსირებულად გამოცხადდა. ამიტომაც დღევანდელი საქართველო არც არის ვალდებული აღიაროს ის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა საქართველომ თავის დროზე აღიარა.

დღეს ამ თემის წამოწევით რუსეთის როლის წარმოჩენა უნდათ აჭარის საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ავიწყდებათ, რომ როგორც შეთანხმების მხარე, ყარსის ხელშეკრულებაში რუსეთი არ მონაწილეობდა. უბრალოდ, ის ამ დოკუმენტზე ხელმოწერას ესწრებოდა. მოდი, პირდაპირ ვთქვათ — ამ ხელშეკრულების რეანიმაცია და ყურით მოთრევა პროვოცირება და აჭარის ხელისუფლების პრობლემის მოგვარებაში თურქეთისა და რუსეთის ჩარევის მცდელობაა. როდესაც აჭარაში ამაზე დაიწყო ლაპარაკი, ორიოდ დღეში რუსეთის დუმაში გაჩნდა იდეა, რომ აჭარის საკითხზე დადგენილება მიეღოთ. ეს შემთხვევით არ მომხდარა.

— **სხვათა შორის, რუსეთის სათათბიროში საკმაოდ მძაფრი განცხადებები გაკეთდა საქართველოს პრეზიდენტის მისამართითაც.**

— დადგენილება, რომელიც დუმამ მიიღო, სავსებით ნორმალური და ზომიერია. თუ არ ჩავთვლით, რომ ვიღაც მიტროფანუშკამ (როდესაც ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს მიტროფანოვი „პადონოკს“ უწოდებს, „მიტროფანუშკად“ მისი მოხსენიების უფლება მაქვს) და რამდენიმე დეპუტატმა მართლაც მძაფრი განცხადებები გააკეთეს და მოითხოვეს დადგენილებაში ისეთი ფრაზები ჩაწერილიყო, რომლებიც უფრო აგრესიულად წარმოაჩენდა საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს აჭარაში. ნუ ჩავთვლით, რომ ამ დადგენილების მიღებით რუსეთი საქართველოს საქმეებში ჩაერია. უბრალოდ, რუსეთი რეგიონში დიდი მოთამაშეა და თავისი პოზიცია გამოხატა — საქართველოში არეულობა არ მესიამოვნება, რადგან ეს ჩემთვის ლტოლვილებს, ეკონომიკურ პრობლემასა და მეზობლად არაკონტროლირებადი ტერიტორიის გაჩენას ნიშნავსო. ამის გამო რუსეთს შარს ვერ მოვდებთ. არც ღირს ვიღაცის ზეპირ გამონათქვამებს წამოვეგოთ, საზოგადოების ეგზალტირება მოვახდინოთ და ამით რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლებაც გავაღიზიანოთ და ის სამხედროებიც, რომლებიც დღეს ბათუმში არიან. ამიტომ ჩემი წინადადებაა — ნუ მივაქცევთ ამ დადგენილებას ყურადღებას, რადგან მასში სახიფათო არაფერი წერია. ჩვენთვის უმთავრესი სახელმწიფოს ინტერესი უნდა იყოს. ჩვენს მტრებს სურთ საქართველოში მიმდინარე პროცესებში რუსებისა და თურქების ჩართვა, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენს საქმეებში არავინ ჩაერიოს. ჩვენი მთავარი მეგობარი ჩვენივე ინტერესები უნდა იყოს, აქედან გამომდინარე უნდა ავაგოთ ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან.

— **როგორც ამბობენ, ასლან აბაშიძეს რუსეთის დუმაში სერიოზული ლობი ჰყავს და ყოველთვის მოახერხებს იქ ქომაგების პოვნასო.**

— რასაკვირველია, რუსეთის დუმაში (და სხვაგანაც) არის ხალხი, რომელიც მის სასარგებლოდ მუშაობს. სამწუხაროდ, ფული ჯოჯოხეთს ანათებს. თუმცა ეს ლობი გადამწყვეტი არ არის საერთო აზრის ჩამოყალიბებისას. ლობისტობა დიდი ფული ღირს, მაგრამ ნეგატიური მოვლენის ლობისტობას აზრი არ აქვს, რადგან ის განწირულია — თავად ლობისტისთვის არის დამღუპველი.

— **როგორც გავიგეთ, შტატებში ყოფნისას პრემიერ-მინისტრს უთხრეს, ჩვენი მხარდაჭერის იმედი მაშინ გქონდეთ, თუკი მშვიდობიანი მეთოდებით იმოქმედებთ აბაშიძის წინააღმდეგო. დიპლომატიურ ენაზე ეს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას გამორიცხავს?!**

— ეს ნიშნავს, აჭარაში კონფლიქტს ნუ შექმნითო. მაგრამ მშვიდობიანი მეთოდი არ გულისხმობს იმას, რომ არ დააკავო მკვლელი და მოძალადე. ვერავინ მოგვთხოვს, დამნაშავეს ლმობიერად მოექეცი და არ დასაჯოო, ოღონდ დამნაშავის დაკავებამ არ უნდა შექმნას პრობლემა და გამოიწვიოს არეულობა. კონფლიქტური, არეული და სისხლიანი საქართველო დღეს არავის სჭირდება. ყველას უნდა განვითარებული, აყვავებული და დემოკრატიული საქართველო, რადგან ეს ნიშნავს დიდ საინტერესო კვანძს, გასაღებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ახლა აბაშიძის საქმეა, შეძლებს ნაპირზე მშვიდობიანად გასვლას თუ ისე წაიღებს ნაკადი, რომ შთანთქავს. მე ერთი რამ ვიცი, — დინებას დიდხანს ვერავინ შეაჩერებს.

***მარი ზანდუკელი***

# ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები — „თუ ვინმეს ეშინია, შეუძლია ეს ძალის დემონსტრირებად ჩათვალოს“


საზღვაო ხომალდის ეკიპაჟი მზადაა მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად

***ჩვენი დოსიე:*** *სამეთაურო-საშტაბო წვრთნებში მონაწილეობა 2.300-მა სამხედრომ მიიღო. გამოყენებული იქნა 12 ცალი T-72 ტიპის ტანკი; 20 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1; ოთხი თვითმავალი საზენიტო დანადგარი ЗСУ-23-4 „შილკა“, МТ-ЛБ-ს ტიპის ჯავშანგამწევებზე დამონტაჟებული 7 საზენიტო ქვემეხი ЗУ-23-2, 6 მცურავი საშუალება (სარაკეტო, საარტილერიო და სადესანტო კატარღები), 4 მოიერიშე Су-25, 3 ერთეული UH-1H „იროკეზი“, ორი დამრტყმელი Ми-24 და ორი სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 ტიპის შვეულმფრენი.*

„ჩვენ არ გვიფიქრია ძალის გამოვლინებაზე, მაგრამ თუ ვინმეს რაღაცის ეშინია, შეუძლია ეს ძალის დემონსტრირებად ჩათვალოს. გულშიც არ გაგვივლია, აჭარაში შესვლა და იქაური ხელისუფლების შეცვლა; თუმცა, თუკი ძალებს გავთვლით, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს“, — განუცხადა „კვირის პალიტრას“ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუკურიძემ ფოთში მიმდინარე სამეთაურო-საშტაბო სწავლების, „დიოსკურია-2004“-ის დროს.

მაგრამ ჩოლოქთან მდგართ არ სჯერათ საქართველოს ხელისუფლებისა და ამ ადმინისტრაციულ საზღვარს კვლავ ამაგრებენ მოსალოდნელი სატანკო შეტევის მოსაგერიებლად. პოზიციებზე მალულად განთავსებულია „ფაგოტის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები, ხოლო საჰაერო სივრცეს აკონტროლებს ხუთი (მათგან სამი სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული) ЗУ-23-2 ტიპის ავტომატური საზენიტო ქვემეხი.

...„დიოსკურია-2004“ კი თავისი გეგმით მიმდინარეობდა. სწავლების ლეგენდის თანახმად, ერთ-ერთ რეგიონში, სადაც მრავალი კუთხის წარმომადგენელი ცხოვრობს, ერთ-ერთმა კრიმინალურმა კლანმა იარაღისა და ტერორის საშუალებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და ამ რეგიონის გაუკონტროლებელ, „თეთრ ლაქად“ გადაქცევას ლამობს. შეიარაღებულ ძალებს ევალება, კრიზისული რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუირება.

ეს პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნებია, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის დროს გაიმართა.

ამ სწავლებაში დიდი ყურადღება ექცეოდა შტაბების მომზადების დონის ამაღლებას, ჯარების სხვადასხვა სახეობის კოორდინირებულ მოქმედებასა და საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას.

„წვრთნისა და აღჭურვის“ აწ უკვე დასრულებული ამერიკულ-ქართული პროგრამის ფარგლებში მომზადებული ბატალიონების ასეულებმა პირველად განახორციელეს ზღვიდან ნაპირზე დესანტირება.

კარგი გამოცდილება მიიღო იმ დანაყოფების პირადმა შემადგენლობამ, რომლებიც საავტომობილო კოლონებით ჩავიდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ტანკისტებმა და ჯავშანმანქანების მექანიკოს-მძღოლებმა ისწავლეს მძიმე მუხლუხებიანი საბრძოლო მანქანების მოთავსება სარკინიგზო ეშელონებზე.

გარდა ამისა, ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები ზღვის სანაპიროზე დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის ზღუდის მოსაწყობად და პირობითი მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის მოსაგერიებლად.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ სწავლება დაახლოებით 256 ათასი ლარი დაჯდა და ეს თანხაც ძირითადად საწვავის შესასყიდად და მძიმე ტექნიკის რკინიგზით გადასატანად დაიხარჯა. დანახარჯში არ შედის წვრთნებისთვის მობილიზებული დანაყოფების პირადი შემადგენლობის კვების თანხები, რადგან გენშტაბში განმარტავენ, რომ ჯარისკაცებს ჭამა მუდმივი დისლოკაციის ადგილზეც სჭირდებათ. ტყვია-წამლის ხარჯი კი, გეგმური სწავლებით იყო გათვალისწინებული.

საგულისხმოა, რომ წინა ხელისუფლების დროს გამართულ ანალოგიური მასშტაბის წვრთნებისას 3-5-ჯერ მეტი თანხა „ჩამოიწერებოდა“ ხოლმე.


საზღვაო ქვეითები გემებიდან დესანტირებისთვის ემზადებიან

## ავტოინსპექტორზე შურისძიების ყველაზე „ორიგინალური“ ხერხი

ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებით პრობლემები მარტო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს როდი შეექმნათ.

ამ ოციოდე წლის წინ, ჩოლოქზე, საგზაო ავტოინსპექციის ქმედებამ ნახევარი აჭარა შეაშინა.

...იმ დღეს საგუშაგოზე „ვოლგა“ გააჩერეს და ნაბახუსევ მძღოლს მართვის მოწმობა ჩამოართვეს. საბუთები ვისთვის არ წაურთმევიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილობრივი ავტოინსპექტორი ნამდვილად შეცდა, რადგან მართვის მოწმობა სამხედრო მფრინავს ჩამოართვა.

კაპიტანი მიხეილ კუზიაევი მაშინ სოფელ მერიაში მდგარ საავიაციო პოლკში მსახურობდა და МиГ-23 ტიპის გამანადგურებლის რიგიან პილოტად ითვლებოდა.

მართვის მოწმობის ჩამორთმევის შემდეგ ჩოლოქელ ავტოინსპექტორს მერიიდან სამხედროების პატარა ჯგუფი ეწვია და საბუთების დაბრუნების სანაცვლოდ პილოტის ტყავის საფრენოსნო ქურთუკიც შესთავაზა, მაგრამ ამაოდ — კაპიტან კუზიაევს ნახევარი წლით აუკრძალეს საყვარელი „ვოლგის“ მართვა.

ცოტა ავანტიურისტული ხასიათის კუზიაევმა ეს ვერ აიტანა და ამ ავტოინსპექტორზე შურისძიების საიდუმლო გეგმა შეიმუშავა.

რუსმა მფრინავმა დაადგინა, რომ მისი გამამწარებელი ავტოინსპექტორი ქობულეთთან ახლოს მდებარე სოფელ ხუცუბანში ცხოვრობდა. საღამოს მეგობრის მანქანიდან კარგად შეათვალიერა ავტოინსპექტორის სახლი.

მეორე დღეს კი, ჩვეულებისამებრ, მორიგი საწვრთნელი ფრენები დაიწყო. კაპიტან კუზიაევის გამანადგურებლის ფრენის მარშრუტი ზღვის თავზე გადიოდა, მაგრამ მან თვითმფრინავი, ზღვის ნაცვლად, სოფელ ხუცუბნისკენ მიმართა და 15-ტონიანი მანქანით ავტოინსპექტორის სახლის თავზე, დაბალ სიმაღლეზე გადაიქროლა, თანაც ზებგერითი სიჩქარით!

იმ დღეს ამ სოფელში სანთლითაც ვერავინ იპოვიდა ფანჯრის მთელ მინას, ხოლო ავტოინსპექტორის სახლი ნაომარს ჰგავდა...

კაპიტან კუზიაევს ვერაფერი დაუმტკიცეს, რადგან მან ეს თვითმფრინავის გაუმართაობით ახსნა, ხოლო საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრო ასე ადვილად არ გაწირავდა მფრინავს, რომლის მომზადებაც მილიონები დაუჯდა...



# ან დისციპლინა არსებობს არმიაში, ან არმია არ არსებობს

## არცთუ იშვიათად ირღვევა სამხედრო წესები



„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული ელიტარული ბატალიონი თავისი დისციპლინით ქართული არმიის ეტალონი უნდა გახდეს.

თელავში მომხდარი საკმაოდ სერიოზული ინციდენტი, ადგილობრივ პოლიციასა და იქ დისლოცირებული თავდაცვის სამინისტროს მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის 111-ე ბატალიონის წევრებს შორის, თვალის დახამხამებაში ჩაფარცხეს.

მაგრამ დარჩა პრობლემა: არმიის დაბალი დისციპლინა ან — უდისციპლინობა. ნებისმიერი სამხედრო ნაწილი, სადაც არ არის დაცული უფროს-უმცროსობა, არ სრულდება ბრძანება, საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე სწორედ უდისციპლინობის პირველი მსხვერპლი ხდება.

ცამდე მართლებიც რომ ყოფილიყვნენ 111-ე ბატალიონის წევრები (ისიც დანაშაულია, რომ პოლიციამ ჯარისკაცები, თუნდაც შექეიფიანებულნი, სცემა), მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ, მეორე დღეს, თითქმის მთელი ასეულის შემადგენლობით, იერიშის მიტანა ეცადათ პოლიციის სამმართველოს შენობაზე.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ არმიაში დისციპლინა დღემდე ვერ გახდა უპირველესი აუცილებლობა, მით უმეტეს, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულ ელიტურ ბატალიონებში. აქ არცთუ იშვიათად ირღვევა სამხედრო წესები, რასაც უმეტესად ჩქმალავენ. ხშირად ოთხივე ბატალიონის წევრები საღამოობით ნასვამები გამოდიან სამხედრო ნაწილების ტერიტორიებიდან და კონფლიქტი მოსდით როგორც სამართალდამცველებთან, ისე მოსახლეობასთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ამ ბატალიონების ჯარისკაცები 365 ლარს იღებენ ხელზე, კვება უფასო აქვთ, ხშირად უსახსრობისა და უსაწვავობის გამო, ვერ გადიან სამხედრო წვრთნებს, უამრავი დრო რჩებათ და ენერგიას აყალმაყალში ხარჯავენ.

გარდა ამისა, თავი იჩინა კიდევ ერთმა ცუდმა თვისებამ — ამ ბატალიონის ზოგიერთ წარმომადგენელს შეეყარა ე.წ. „ვარსკვლავური სენი. უმაღლესი მთავარსარდლის — პრეზიდენტისგან არაერთგზის შექებულებს ჰგონიათ, რომ სხვებზე ბევრად მაღლა დგანან, რაც მთლად მართალი არ არის.

რადგან ერთია პოლიგონურ სიტუაციაში ასდღიანი მომზადება, თუნდაც პროფესიონალი ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით და სულ სხვა — რეალურ საბრძოლო სიტუაციებში გამოცდა, როდესაც შენ წინ არა უმოქმედო ფიტული-სამიზნე დგას, არამედ ნამდვილი მოწინააღმდეგე, რომელიც ცეცხლს ცეცხლითვე პასუხობს.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულ სამხედროებს ბევრად მეტი ნებისყოფა, მოთმინება და, რაც მთავარია, დისციპლინა მართებთ, რადგან მთელი საქართველო მათ იმედის თვალით შეჰყურებს, როგორც მომავალი ღირსეული და, რაც მთავარია, რეალურად ბრძოლისუნარიანი ქართული არმიის საფუძველს.

# ვის ელოდება ჯარისკაცური ულუფა?

## ათ დღეში ან 200 ლარი, ან ყაზარმა

26 აპრილს, ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, პირველი საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო. დღევანდელმა ქვეყნის მეთაურებმა პოლიტიკური ქულები შევარდნაძის დროინდელი ჯარში გაწვევის სისტემის დაუნდობელი კრიტიკითაც მოიპოვეს, ამიტომაც, ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თავად როგორ მოაბამენ თავს არმიის ახალწვეულებით დაკომპლექტებას.

კომენტარი ვთხოვეთ არასამთავრობო ორგანიზაციის, ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორს ბ-ნ **ირაკლი სესიაშვილს,** რომელიც რამდენიმე წელია, ჯარისკაცების უფლებების დაცვას ემსახურება და, ამასთანავე, ცენტრალური გამწვევი კომისიის წევრიცაა.

— **რა სიახლეა ჯარში გაწვევის მექანიზმში?**

— წვევამდელმა, რომელსაც ჯარში გაწვევის ერთი წლით გადავადება სურს, ამის თაობაზე განცხადების შეტანიდან 10 დღეში უნდა გადარიცხოს ბანკში ბეგარა — 200 ლარი. ეს ცვლილება ჩვენი ასოციაციის დაჟინებული მოთხოვნით შევიდა კანონში, თორემ აქამდე მშვენიერი კორუფციის წყარო არსებობდა — გაწვევის გადავადების მსურველს ამის შესახებ განცხადება აუცილებლად გაწვევის გამოცხადებიდან პირველსავე თვეში უნდა შეეტანა და 200 ლარიც გადაერიცხა. გაწვევა სამი თვე გრძელდება და ამიტომაც, ვინც გადავადებას გაწვევის პროცესის მეორე ან მესამე თვეში მოინდომებდა, მას ამ შესაძლებლობას კანონი უსპობდა. ამით კი, ბუნებრივია, სარგებლობდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან არსებული სამხედრო განყოფილებების ზოგიერთი წარმომადგენელი და იმ 200 ლარს ან ცოტა ნაკლებს, ჯიბეში იდებდა, წვევამდელის პირად საქმეს კი მიმალავდა.

ვფიქრობ, ასეთი კორუფციული „ხვრელი“ ამ კანონში საგანგებოდ იყო ჩადებული.

— **ამიტომაც ჭირდა ჯარში გაწვევის გეგმის შესრულება და ჯარი მაინც დაუკომპლექტებელი რჩებოდა?**

— არა მარტო ამიტომ. წინა პრეზიდენტს, ფაქტობრივად, ატყუებდა მისი ხელქვეითი ჯარში გაწვევის საკოორდინაციო სამსახური — გაწვევის გეგმა შევასრულეთო. ვთქვათ, გასაწვევი იყო 5 ათასი კაცი. მიჰყავდათ 3 ათასი, ხოლო 2 ათასისგან გადავადების ბეგარას — 200 ლარს — იღებდნენ და იფიცებდნენ, — გეგმა თითქმის 100 პროცენტით შესრულდაო. არადა, პრეზიდენტის ბრძანებულებაში მკაფიოდ ეწერა, ჯარში უნდა გაეწვიათ 5 ათასი ახალგაზრდა! ამ მაქინაციების წყალობით, შესაბამისად, არმია დაუკომპლექტებელი რჩებოდა.

— **რატომ ვერ ხერხდება 7-8 ათასი ახალგაზრდის გაწვევა, როდესაც ამ კატეგორიას 10-15-ჯერ მეტი ადამიანი ექვემდებარება მთელ საქართველოში?**

— გაწვევის გადავადების დაბეგვრის შემდეგ გაუქმდა რიგი შეღავათებისა და ჯარში გაწვევას დაახლოებით 100 ათასამდე ადამიანი დაექვემდებარა. მაშინ ხელისუფლების გაანგარიშებით, წელიწადში 12-13 ათას კაცს მაინც გაიწვევდნენ, ხოლო 80 ათასზე მეტი — გადავადების ბეგარას — 200 ლარს — გადაიხდიდა, რაც ხაზინას 16 მლნ ლარამდე შემოსავალს მოუტანდა. მაგრამ ეს შევარდნაძის მთავრობის ოცნებად დარჩა, რადგან ჯარში გაწვევის სისტემაში არსებულ კორუფციას არაფერი ეშველა.

— **მაგრამ შეძლებს კი ახალი ხელისუფლება გაწვევის პრობლემის მოგვარებას?**

— სიმართლე რომ გითხრათ, მე წინააღმდეგი ვარ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გეგმისა, თუნდაც იმიტომ, რომ ადგილობრივი მმართველობის სამხედრო განყოფილებები წვევამდელთა შესახებ არანაირ ინფორმაციას არ აწვდიან ცენტრალურ გამწვევ კომისიას. მაგალითად, ამ საგაზაფხულო გაწვევაზე 8 530 ახალგაზრდა უნდა შეგროვდეს, აქედან ვაკე-საბურთალოს რაიონის გეგმაში მხოლოდ 183 კაცია. განა დასაჯერებელია, რომ დედაქალაქის ამ პრესტიჟულ რაიონში, სადაც უამრავი ახალგაზრდა ცხოვრობს, 183 კაცზე მეტი არ ექვემდებარება ჯარში სავალდებულო სამსახურს?

მე ვთხოვე ცენტრალურ გასაწვევ კომისიას, რომ სისტემატურად მოვაწყოთ ადგილობრივი სამხედრო განყოფილებების მოულოდნელი შემოწმებები, რათა ვერავინ გაბედოს ჯარში გაწვევის გადასავადებლად უკანონო მიზეზების მოძებნა.

— **მოითხოვს თუ არა სერიოზულ ცვლილებებს სავალდებულო სამსახურში გაწვევის სისტემა?**

— რასაკვირველია. საერთოდ, გადავადების ბეგარა მოსახსნელია, მაგრამ არა დღეს, თორემ ისევ ფართოდ გაეხსნებათ ხელი კორუფციონერებს. სავალდებულო სამსახური უნდა დარჩეს მანამ, ვიდრე ქვეყანას არ მიეცემა ეკონომიკური შესაძლებლობა პროფესიონალური არმიის შექმნისა, მაგრამ სავალდებულო სამსახურის ვადა ერთ წლამდე უნდა შემცირდეს, ხოლო ვისაც უმაღლესი განათლება აქვს — ნახევარ წლამდე. ჩვენ უნდა გადავიდეთ რეზერვების მომზადებაზე, რათა საქართველოს მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა იცოდეს იარაღთან მოპყრობის ელემენტარული წესები, რათა ომის შემთხვევაში ფრონტის ზურგი მაინც გაამაგროს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბრძოლაშიც ჩაერთოს.

— **თქვენ, როგორც ცენტრალური გასაწვევი კომისიის წევრი, რას ურჩევდით გადავადების მოსურნე წვევამდელებს?**



*საქართველოს სამხედრო ძალები შევსებას ელოდება*

— ქვეყნის დაცვა ვაჟკაცური, საპატიო საქმეა, მაგრამ თუკი ახალგაზრდას სხვადასხვა მიზეზის გამო სურს ერთი წლით გადაივადოს სავალდებულო სამსახურში გაწვევა, შეუძლია გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება — უწყების მიღებისთანავე ადგილობრივ სამხედრო განყოფილებაში დაწეროს განცხადება, რომ სურს, ერთი წლით ჯარში გაწვევის გადავადება და თანახმაა გადაიხადოს ბეგარა — 200 ლარი. მას მისცემენ ბანკის ანგარიშის ნომერს, რომელზეც იგი ამ თანხას გადარიცხავს და ქვითარს სამხედრო განყოფილებაში მიიტანს. ამის შემდეგ წვევამდელის აღრიცხვის ბარათში ჩაიწერება გაწვევის ერთი წლით გადავადების შესახებ, არავინ მოგატყუოთ და 200 ლარის გადახდა უშუალოდ სამხედრო განყოფილებაში არ შემოგთავაზოთ — ეს კანონით დაუშვებელია.

არსენალი

# ტორპედო, რომლისგანაც საშველი არ არის



**ავსტრალიური ფრეგატი „ტორენსი“ ტორპედოს მოხვედრის შემდეგ**

ამ „საშინლად“ შთამბეჭდავი სურათის გაშვება ყოველგვარი კომენტარისა თუ სტატიის გარეშეც შეიძლებოდა — ერთადერთი ტორპედო მოხვედრისთანავე შუაზე გადატეხს უზარმაზარ სამხედრო ხომალდს!

ეს სურათი ავსტრალიის სანაპიროს საზღვაო პოლიგონზე იმ დროსაა გადაღებული, როდესაც ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალების ჩამოწერილ ფრეგატ „ტორენს“ ამერიკული მძიმე უნივერსალური ტორპედო Mk48 მოხვდა.

საერთოდ, ტორპედო ხომალდისთვის საშინელ გამანადგურებელ იარაღად ითვლებოდა. I და II მსოფლიო ომებში ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში ტორპედომ ათასობით სამხედრო თუ სამოქალაქო ხომალდი ჩაძირა. ერთ-ერთი ვერსიით, „ტიტანიკი“ აისბერგთან შეჯახებამ კი არ იმსხვერპლა, არამედ გერმანული წყალქვეშა ნავიდან გაშვებულმა ტორპედომ.

მაგრამ I მსოფლიო ომისა და, ნაწილობრივ, II მსოფლიო ომის დროინდელი ტორპედოები „უჭკუოები“ იყვნენ, ანუ ტორპედოს გამშვები ხომალდი ან წყალქვეშა ნავი აუცილებლად ისეთ პოზიციაზე უნდა დამდგარიყო, რომ გაშვებული უმართავი ტორპედოს სამიზნის ცურვის ტრაექტორია გადაეკვეთა.

ამიტომაც ბევრი გაშვებული ტორპედო მიზანს სცილდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „ტორპედოს ლუკმა“ გემი ამჩნევდა მისკენ წამოსული ტორპედოს მიერ წყლის ზედაპირზე დატოვებულ თეთრ კვალს და სასწრაფოდ ცვლიდა კურსს.

II მსოფლიო ომში დაიწყეს მართვადი ტორპედოების გამოყენება. ისინი აღჭურვილნი იყვნენ აკუსტიკური მოწყობილობებით და გემის წყალქვეშა ხრახნების ხმაურს ერთგული ძაღლივით მიჰყვებოდნენ.

მოგვიანებით გამოჩნდნენ ისეთი ტორპედოები, რომლებიც იმართებოდნენ მაგნიტური ველის აღმოჩენის პრინციპით და სამიზნეს, გემის რკინის კორპუსს მაგნიტური ველით პოულობდნენ.

თანამედროვე ამერიკულ მე-5 მოდიფიკაციის მძიმე უნივერსალურ ტორპედო Mk48-ს აქვს კომბინირებული დამიზნების სისტემა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, სამიზნის მოძებნის რამდენიმე ხერხი ერთდროულად გამოიყენოს.

Mk48 ტიპის ტორპედოები არის აშშ-ისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო ფლოტების შეიარაღებაში. ამ ტორპედოებითაა აღჭურვილი აგრეთვე ამერიკული მრავალდანიშნულებიანი და სტრატეგიული წყალქვეშა ნავებიც.

5,8 მ სიგრძისა და 533 მმ დიამეტრის ამერიკული Mk48 ტიპის უნივერსალური ტორპედო 1 580 კგ-ს იწონის, აქედან 295კგ — ასაფეთქებელ ქობინზე მოდის. ამ ტორპედოს დგუშებიანი ძრავა საშუალებას აძლევს, მაქსიმალური — 55 კვანძი (დაახლოებით 99 კმ/სთ) სიჩქარე განავითაროს. ტორპედო 20 კმ-ზე მიცურავს, ხოლო მოქმედების სიღრმე — 1,2 კმ-მდეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტორპედო უზარმაზარი სიჩქარით (არც ერთ, დღეისთვის მოქმედ წყალქვეშა ნავს ან კრეისერს არ შეუძლია 100 კმ/სთ-მდე სიჩქარე განავითაროს) უკან დასდევს სამიზნეს, რა მანევრიც არ უნდა ჩაატაროს ამ უკანასკნელმა; მის დასამიზნებლად, უმართავი ტორპედოების მსგავსად, აღარაა საჭირო საგანგებო პოზიციის დაკავება. Mk48-ის სამიზნეში ზუსტად მოხვედრას განაპირობებს მისი „ტვინი“, რომელიც თავად ტორპედოზე ბევრად ძვირი ღირს. ტორპედო იმართება როგორც ტელეკამერით, ისე აკუსტიკური თვითდამიზნების სისტემით, ანუ წყალქვეშა ნავზე მყოფი ოპერატორი ტორპედოს ცხვირზე დაყენებული მინიტელეკამერიდან იღებს გამოსახულებას და, მოწინააღმდეგის ხომალდმა საერთოდ რომ გამორთოს ძრავა, ხოლო ეკიპაჟის წევრებმა ხმა გაკმინდონ, მიზანს მაინც მოარტყამს. საბჭოთა და შემდგომში რუსმა კონსტრუქტორებმა, თავიანთი სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების (სწორედ მათ წინააღმდეგ იყო შექმნილი ამერიკული ტორპედო Mk48) კორპუსები ანტიჰიდროლოკაციური მასალით დაფარეს, რათა ისინი ერთგვარი საზღვაო „უჩინმაჩინები“ — „სტელსები“ გამხდარიყვნენ.



**ტორპედო Mk48**

თუმცა, როგორც ირკვევა, რაკეტა Mk48-ის მეხუთე, ბოლო მოდიფიკაციაში ამერიკელმა ინჟინრებმა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ რუსეთში მოპარული საიდუმლო ინფორმაცია გამოიყენეს, რის შედეგადაც ახალ ამერიკულ ტორპედოებს ანტიჰიდროლოკაციურ საფრიანი რუსული წყალქვეშა ნავების მოძებნაც შეუძლიათ ოკეანეების სიღრმეში.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

# ერთ ბოთლ არაყში ნახევარ კილოგრამ ოქროს ითხოვდნენ

***(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №17, 2004 წ.)***




## აღსარება

— მადლობელი ვარ, ჩემო შალვა. მართალია, კვალი ვერ აიღეს, მაგრამ დამნაშავეთა აყვანა კარგად გამოუვიდათ შენს ბიჭებს... — ხმაში მსუბუქი ირონია კი გაურია, მაგრამ ახლა სწორედ იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა გენერალი და თუ გაითვალისწინებდა იმასაც, რომ ეს არცთუ ისე ხშირად ხდებოდა, ქუთაისის მილიციის უფროსს ნამდვილად მისალოცად ჰქონდა საქმე.

— მერჩია, საყვედური გეთქვათ, ალექსი ნიკოლაევიჩ. ლომის წილი ამ საქმეში თქვენ გეკუთვნით და ამათ დაკავებასაც თუ ვერ შევძლებდით, მაშინ სრულიად არ ყოფილა ჩვენი ადგილი ამ სამსახურში, — დარცხვენილმა შალვამ ძლივს გაუსწორა თვალი შინაგან საქმეთა მინისტრს.

— რაკი ყველაფერი კარგად დასრულდა, საქმეს დახურულად ვაცხადებ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომშიც თვალს დავხუჭავთ. ასე რომ, შალვა ჩემო, კარგია, სპორტული მოედანი რომ მოგიწყვიათ და კუნთებს ავარჯიშებთ, მაგრამ თავიც ავარჯიშეთ, თავიც და გახსოვდეთ, ოპერატიული სამსახური აზროვნების ხელოვნებაა და უპირველესად გონების სისხარტეს მოითხოვს. უამისოდ შორს ვერ წახვალ. ახლა კი შემოიყვანეთ ის, მახნოა თუ ატამანი. ვნახოთ, რა თავი აქვს ასეთი, დღემდე რომ მშრალი ანგარიშით გიგებდათ.

ოთახში ერთი საშუალო ტანის, დაკუნთული, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლის მამაკაცი შემოიყვანეს. ორად გაყოფილი ნიკაპი, სწორი, არცთუ მთლად ქართული ცხვირი და მაღალი შუბლი ჰქონდა. მისი ცბიერი, ჭროლა თვალები დაკვირვებულ კაცს მიახვედრებდა, რომ მის წინ გონიერი, მაგრამ მზაკვარი ადამიანი იდგა და ალექსი ინაურმა უსაყვედურა შალვას: — როგორც ჩვენი რუსი კოლეგები ამბობენ, „სიფათი ბორკილებს ითხოვს“, შეიძლებოდა ასეთი კაცის უყურადღებოდ მიტოვება? აბა, ატამანო, გვიამბე ვინ ხარ? საიდან მოდიხარ, საით მიდიხარ? თუმცა, არა, ბოლო კითხვა შეგიძლია უპასუხოდ დატოვო. მე უკეთ ვიცი, საითაც წახვალ, მაგრამ დანარჩენი კი საინტერესოა.

— ჩემთვის დიდი პატივია ისეთ ლეგენდარულ პიროვნებასთან საუბარი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ამხანაგო გენერალო, — ჩვეულებრივ სიტყვაძუნწი ატამანი ენად გაიკრიფა, — თუმცა ვერაფრით ამიხსნია, რით დავიმსახურე თქვენი ყურადღება. ნუთუ ფიქრობთ, რომ ქუჩის პატარა შეხლა-შემოხლა და მასში მონაწილე ადამიანები ქმნიან ამინდს იმ გარემოში, რომელშიც სიმშვიდის დაცვა აქაურ მილიციას ევალება?

ალექსი ინაურს არ გამოჰპარვია, როგორ ხაზგასმით გამოთქვა სიტყვა „ამხანაგო“ ატამანმა.

„პატიოსან კაცს თამაშობს... მისით ჩემი დაინტერესება თითქოს სულაც არ აშფოთებს. ეს კი მის ძლიერ ხასიათსა და შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს“, — თავისთვის დაასკვნა გენერალმა და კითხვა დაუბრუნა ატამანს.

— ეტყობა, ჯერ არ უთქვამთ, რომ თქვენი დაკავების ადგილზე ამოღებულ ძალაყინებსა და ცეცხლსასროლ იარაღზე თქვენი და თქვენი მეგობრების თითების ანაბეჭდებია. ამაზე დასკვნაც წარმოადგინა ჩვენმა ექსპერტმა. გარდა ამისა, გამთენიისას გაჩხრეკილი თქვენი ერთ-ერთი თანამონაწილის სახლიდან აი, ეს ბეჭედი ამოვიღეთ. ჩვენ დავადგინეთ, რომ იგი ამ დღეებში გაძარცული ლომბარდიდანაა წაღებული, — და გენერალმა ძვირფასი ბეჭედი შეათამაშა ხელში.

— მაგის დედა!.. — კბილები გაახრჭიალა ატამანმა და ერთბაშად აცახცახდა, — ხომ ვაფრთხილებდი, სახლში არაფერი შეინახო-მეთქი.

გენერლის წინ ახლა სულ სხვა კაცი იჯდა. ის, წუთის წინ რომ რიხიანად ლაპარაკობდა, სადღაც გამქრალიყო.

— ეს როგორ გავიგოთ? თქვენ აღიარებთ ლომბარდის ძარცვას? — ჰკითხა საქმის ასე სწრაფად შემობრუნების გამო, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა გენერალმა და სმენად გადაიქცა.

— რა აზრი აქვს უარყოფას? ვიცოდი, რომ თქვენ უბრალო ხულიგნებისთვის არ გაირჯებოდით, მაგრამ კონსპირაციის ჩემეული მეთოდების იმედიც მქონდა. სწორედ ამის წყალობაა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენს კვალს ვერავინ მიაგნო. ამიტომაა რაიმეს უარყოფა სისულელე, მთავარი სამხილი ხელთ გაქვთ. სიმართლე თუ გინდათ, ლომბარდი მაგ ბეჭდისთვის გავძარცვეთ, ეგ ნივთი ღირდა ამად. ერთი თხოვნა მექნება თქვენთან: სხვების ძებნას ნუ დაიწყებთ, ყველანი თქვენს ხელთ ვართ. და კიდევ, ერთ-ერთი ჩვენი წევრი ახალბედაა. თქვენ მას იცნობთ. მგონი იმან ჩაგვიშვა, თუმც მეეჭვება, რადგან შეეძლო ეს ისე გაეკეთებინა, თვითონ სრულიად არ გამოჩენილიყო. შეიძლება ისიც ვიფიქრო, რომ დავალებული ჰქონდა ჩვენი ჯგუფის დანაშაულის ფაქტზე მხილება. მაგრამ ესეც რომ არ გვაცალეს, ამიტომ ვერ ვიჯერებ მის ღალატს, — აქამდე თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ახლა გენერლისაკენ შემობრუნდა ატამანი, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა, — ერთი სიტყვით, ის რუსი თუ უკრაინელი არაფერ შუაშია. ჩვენ ოთხნი კი ყველაფერზე ვაგებთ პასუხს... აქამდე იმან გაგვაძლებინა, რომ სხვებს არ ვიკარებდით, ახლა კი ნუთუ მეხუთემ?.. — ერთხელ კიდევ მოიკვნიტა ქვედა ტუჩი ატამანმა. მერე ჭერზე დაკიდებულ იაფფასიან ჭაღს ახედა და კვლავაც თავისთვის ჩამარცვლა:

— კი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაგვაცლიდნენ და დანაშაულის ფაქტზე აგვიყვანდნენ. არა, ვასია არაფერ შუაშია. ეს უბრალოდ, ბედისწერა იყო, მეტი არაფერი. წამიყვანეთ გამომძიებელთან, ყველაფერს დავწერ.

დიახ, გონიერისა და შორსმჭვრეტელი კაცის შთაბეჭდილებას კი ტოვებდა ატამანი, მაგრამ მისმა, ანუ ბოროტმოქმედის გონებამ იმდენი ველარ გააცნობიერა, რომ ალექსი ინაურს არ შეეძლო მსოფლიო ხალხთა ბელადის აგარაკზე თუნდაც ქურდობის მცდელობა დაეშვა.

## კოლიმა! კოლიმა!

განაჩენი სტანდარტული იყო. ატამანსაც ისე მოექცნენ, როგორც იმ წლებში ექცეოდნენ მძიმე დანაშაულის ჩამდენთა უმრავლესობას. ოცდახუთი წელი მიუსაჯეს და გააციმბირეს. მაგადანამდე მისი სამი თანამოსაქმეც იმავე გემით მგზავრობდა. თუმცა მას შემდეგ, რაც ხმელეთზე ფეხი დაადგა, არც ერთი აღარ უნახავს. მერე რამდენიმე დღე ტრანსციმბირის რკინიგზით ათრიეს და მდინარე კოლიმის მთიანეთში ჩამოსვეს. აპრილი იყო, მაგრამ მდინარის გაყინულ ზედაპირზე ტრაქტორები დაგრუხუნებდნენ და ტვირთს დაათრევდნენ. უსაშველოდ ციოდა. დღე კიდევ გაუძლებდა კაცი, ასე ოციოცდახუთი გრადუსი იქნებოდა, მაგრამ ღამით ორმოც-ორმოცდაათ გრადუსამდე რომ დაეცემოდა ტემპერატურა, სუნთქვა ჭირდა. მიწურში დანთებული, გავარვარებული ნახშირის ღუმელი ვერაფერს შველოდა და ატამანიც ბედს შეურიგდა, ალბათ, ცოცხლად გავიყინებიო, მაგრამ ნელ-ნელა შეეჩვია. მალე გაზაფხულმაც თავისი ქნა და ყინულიც დაიძრა. მდინარეზე გემები გამოჩნდნენ. იმედიც ჩაესახა, — ვინ იცის, იქნებ გავუძლო კიდეც. იქნებ საქართველოშიც ჩავაღწიოო და თავს პირობა მისცა, თუ ასე მოხდა, სხვისი ქონებისკენ ჩემს დღეში აღარ გავიხედავ. ეტყობა, ღმერთმა დამსაჯაო. ისიც ინანა, ღმერთი რომ მხოლოდ ახლა, ორმოცდახუთი წლის ასაკში, უკიდურესი გაჭირვების ჟამს გაახსენდა. ოცდახუთი წლის შემდეგ სამოცდაათი წლის იქნება და ვისღა რად უნდა ამ ხნის, თანაც ნაციმბირალი კაცი საქართველოში. არც ცოლი, არც შვილი. კიდევ კარგი, მშობლები ისე გადასახლდნენ სასუფეველში, შვილის ავკაცობაზე არაფერი გაუგიათ.

კოლიმაში საპატიმრო ბანაკების დიდი უმრავლესობა მოშიშვლებულ ადგილებში იყო განლაგებული, ყოველგვარი დაცვისა და მავთულხლართის გარეშე. ტუნდრაში გაქცევა შეუძლებელი იყო და თავსაც არავინ იწუხებდა, ფუჭ საქმედ მიაჩნდათ ბანაკების გამაგრება. აი, ატამანის ბანაკი კი ისე იყო შემოსალტული, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა მის მავთულხლართებზე, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. სასამართლოს განაჩენი ატამანს სასჯელის განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში უნდა მოეხადა და აქაც კი, საიდანაც გაქცევა თვითმკვლელობას ნიშნავდა (ტუნდრაში გადამალვის არანაირი გარანტია არ არსებობდა), გაძლიერებული დაცვის ქვეშ იყო. ბანაკში ერთადერთი ქართველი, რუსთაველი ბადრი კვეკვესკირი (გვარი შეცვლილია) აღმოაჩინა. მეტალურგად ზრდიდნენ თურმე, მაგრამ მასაც ბანდიტურ სინდიკატში მოუნდომებია გაწევრება და ახლა ისიც ატამანის დღეში იყო. ხანმოკლე ზაფხული მალე გაილია და ისევ ჯოჯოხეთური ყინვები დაიჭირა. ამბობდნენ, ღამღამობით მინუს სამოცდაათი გრადუსიაო. გუგულებივით ისხდნენ პატიმრები გაჭვარტლულ მიწურებში და ღმერთს ევედრებოდნენ, აქედან არ გაგვაგდონო, რადგან გარეთ ორიოდ წუთში, ზეზეურად იყინებოდა ადამიანი. საკუთარი თვალით უნახავს ეს ატამანს. ურჩების დასჯის ყველაზე მარტივი მეთოდი იყო მიწურიდან გაგდება. მერე კი ერთი ხელისგულისოდენა აქტი და ადამიანსაც ჩამოწერდნენ.

> **გრძნობდა, მარათონი საცაა დათვის გამარჯვებით დამთავრდებოდა. ზურგს უკან მისი ქოშინის ხმაც კი ესმოდა, მაგრამ მაინც თავგამოდებით გარბოდა. უეცრად მისკენ მომავალ რამდენიმე მარხილს მოჰკრა თვალი. აგერ, მასზე მსხდომებმაც თოფები შემართეს. „უეჭველია, მონადირეები არიან“, — გაიფიქრა და უკან მიიხედა. დათვი ისევ მოსდევდა. მერე, როცა მზერა ისევ წინ გადაიტანა, მოახლოებულ მარხილზე შინსახკომელები დალანდა.**

— ველარ გავუძლებ მე აქაურ ყოფას. არც ის მჯერა, აქედან გაღწევა არ შეიძლებაო. თუ არ შეიძლება, რისთვისაა საჭირო ამდენი მავთულხლართი და დაგეშილი ნაგაზები? მოდი, აგე, იმ ორ რუსს შევეკრათ, კუთხეში რომ სხედან. სამი წელია ვაკვირდები და სანდო ხალხი ჩანს. არც გაქცევაზე იტყვიან უარს. ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, შენც იფიქრე და ისე გადაწყვიტე.

— მეც სულ ამაზე ვფიქრობ, ოცდახუთ წელს აქ რა გამაძლებინებს. ამას სიკვდილი მირჩევნია. მაგრამ როგორ გინდა გააღწიო ლაგერიდან, — ან ნაგაზები დაგვფლეთენ, ან მავთულხლართებში ჩავრჩებით.

— აქ ხომ ყველანი მაღაროელები ვართ. მართალია, ოქროს ვეძებთ და ვპოულობთ კიდეც, მაგრამ რად გინდა, ჩვენ რა? ოქროს იქ, გარეთ აქვს ფასი, თორემ აქ გინდა გოდრები აავსე, რა ბედენაა. ჰოდა, უნდა გავიქცეთ, მაგრამ მავთულხლართებიდან კი არა, გვირაბი უნდა გავთხაროთ და ისე უნდა გავიდეთ, რომ ერთი-ორი დღე ვერაფერი შეიტყონ, მერე კი ველარ დაგვეწევიან.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ ხომ იცი, აქ მიწა ოთხი-ხუთი მეტრის სისქეზეა გაყინული, როგორ გავთხაროთ?

— ჯერ ჭა უნდა ამოვთხაროთ და როცა ყინულის ფენას ჩავცდებით, განზე გავუხვევთ. იქ მიწა რბილი იქნება და იოლად დავძლევთ. აი, ამოსასვლელი ჭის ჩამოღება კი გაგვიჭირდება, მაგრამ ხომ გაგიგონია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო...

რუსებს უარი არ უთქვამთ. სიამოვნებით წამოვალთო, განაცხადეს, მათგან უფროსმა, სერგეიმ კი საქმიანად თქვა:

— Раз в четвером решили сбежать, свинью надо с собой брать, иначе с голоду подохнем.

გაოგნებულმა ატამანმა თვალები ჭყიტა.

— რა, სვინია, რის სვინია, საიდან მოვიყვანო სვინია ამ ყინულეთში, — უთხრა და თვალებში ჩახედა. ფიქრობდა, ალბათ ხუმრობსო. სერგეიმ კი ნარებზე მიყრილ დომინოს თამაშში გართულ პატიმრებს გადახედა და სრულიად მშვიდად, ხმადაბლა განმარტა:

— Вон их сколько, возьмем молоденького, пожарим и на всю дорогу хватит. Идет?

— ჩვენ ბანდიტები ვართ და არა კაციჭამიები. ეტყობა, ვერ მოვრიგდებით. დაივიწყეთ რაც გითხარით, დღეიდან ხელს ვიღებთ ამ საქმეზე, — ატამანი მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობოდა, მზად იყო, აქვე მიეხრჩო ეს არამზადა სერგეი.

— Извините, если что ни так и в тундре и в тайге это нормальное явление. Продуктов здесь не достать. А вы думайте мне охота человеческое мясо есть?

— პროდუქტებს მე ვიშოვი, — განაცხადა ატამანმა, — ოღონდ ეგ სისულელე აღარავინ გაიმეოროს.

— როგორ იშოვი პროდუქტს, როცა ერთი ნაჭერი პურისათვის ერთმანეთს ვხოცავთ პატიმრები?

— ხომ ხედავ, ყველა მიწურში დომინოს რომ თამაშობენ?

— ვხედავ და ისიც ვიცი, ერთ ნაჭერ ლორსა და ერთ კბილ ნიორზე რომ თამაშობენ. რამდენი ხელი უნდა მოიგო, მთელი თვე-თვენახევარი რომ გვეყოს ოთხ კაცს? ან ეგ ჟულიკები რას მოგაგებინებენ?

— ვნახოთ, ვინ უფრო დიდი ჟულიკია ჩვენ შორის. რამდენსაც გინდა, იმდენს მოვიგებ და საჭირო სარჩოსაც ვიშოვი. მორჩა, დღეიდან სამზადისი იწყება, — გამოაცხადა საზეიმოდ და რუსებს ანიშნა, მიყურეთო.

— ბიჭებო, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მეც მათამაშეთ, თორემ მეტისმეტად დამრია ხელი მოწყენილობამ, — დომინოს მოთამაშეებს მიადგა ატამანი. მოთამაშეებმა დიდად გაიხარეს ახალი წევრის გამოჩენით და მაშინვე მიუჩინეს ადგილი... ზედიზედ წააგო რამდენიმე დღის ულუფა ატამანმა და თითქოს თავის დანებებასაც აპირებდა, წამოდგა კიდეც, მაგრამ მაინც აზარტმა სძლია და გაუმართლა კიდეც. ერთიმეორის მიყოლებით მოიგო რამდენიმე ხელი. გაოცებულები მიშტერებოდნენ ბადრი და სერგეი, თვალებს არ უჯერებდნენ. ძველმა მოთამაშეებმა გაცლა ამჯობინეს, — ეტყობა, დღეს არ გვიმართლებს და თამაში ხვალ გავაგრძელოთო. მეორე დღეს კი მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მათი ჯილა გაიქაჩა (ეტყობა, ასე გადაწყვიტეს წინადღეს) და განაცხადა, მე და ატამანი უნდა შევებათ ერთმანეთსო. მასაც თვალი არ დაუხამხამებია, საპასუხო მოთხოვნა წამოაყენა, მაშინ თითო ულუფაზე აღარ ვითამაშებ. რაც გუშინ მოვიგე, ერთიანად ჩამოვდივარო და მაგიდაზე ციფრი 75 ამოკაწრა. რუსმა ეშმაკურად ჩაიღიმა — ყველას ვთხოვ, უკან დაიხიოსო და თამაშიც გაჩაღდა. ქულა ქულაში მისდევდნენ ერთმანეთს მოპაექრეები. აღმოჩნდა, რომ რუსი ტყუილად არ იქაჩებოდა, ატამანის მოგება სასწორზე იდო, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა. ეს დუშაში უჭირვებდა საქმეს. კი, ხელში ამის გარდა ერთი იაგანი და ერთიც დუიაქე ჰქონდა, მაგრამ ეს იმდენად ცოტა იყო, სასწორს თავის მხარეს ვერ გადახრიდა. დუშაში აშკარა წაგებას ნიშნავდა. ატამანმა ძველ, ოდესღაც ნაცად ხერხს მიმართა — უეცრად მარცხენა ყური მოისრისა და კედელთან მდგარი ბადრიც იმავე წამს, თითქოს შემთხვევით წამოედო გახურებულ ღუმელს. საკვამური ხმაურით ჩამოიშალა და საკმარისი შეიქნა საიმისოდ, რომ ატამანს დომინოს ის საბედისწერო ქვა, რომელზეც ორი ექვსიანი იყო გამოსახული, გადაეყლაპა და ახლა თითქოს არაფერიაო, მაგიდაზე დაყარა ხელში შერჩენილი ორი ქვა, რითაც დიდად ასიამოვნა მოწინააღმდეგეს და რუსმაც საზეიმოდ ჩამოამწკრივა თავისი ქვები — იგი მოგებული იყო. მისმა მომხრეებმა ყიჟინა დასცეს და ის იყო, თავიანთი კერპი სიხარულის ნიშნად მაღლა უნდა აესროლათ, რომ მაგიდაზე თავდახრილმა ატამანმა დინჯად განაცხადა:

— კი, მაგრამ სადაა აქ დუშაში? — ირგვლივმყოფნი იქვე გაიყინნენ. ატამანმა კვლავ, ამჯერად უფრო ხმამაღლა გაიმეორა, — სადაა აქ დუშაში?

ყველანი სმენად იქცნენ. მხოლოდ მოგებული არ აქცევდა ყურადღებას მის კითხვას.

— სადაა აქ დუშაში? — ისე იღრიალა და თან მაგიდაზე ისე გამეტებით დასცხო მუშტი, რომ ცალი ფეხი მოსტყდა მაგიდას.

— А я почем знаю где шестерка, поищи если в чем нибудь подозреваешь... — თამამად გამოაცხადა მოგებულმა და დაკარგული ქვის მოძებნას დაელოდა, მაგრამ ამაოდ — ვერც იატაკზე, ვერც პატიმრების ჯიბეებში ქვა ვერ აღმოაჩინეს და ატამანმაც მოგებულზე მიიტანა იერიში:

— შენი დედა, შე მათხოვარო. ექვსიანები შენ გააქრე, რომ პარტია მოგეგო. ახლა ჩემი სამოცდათხუთმეტი ულუფა გმართებს, გაიგე? არადა, აქვე დაგაყრევინებ ნაწლავებს... — და გიგამ ჯიბიდან ფოლადის გრძელი, ალესილი ნაჭერი დააძრო. მოგებულმა უხერხული ღიმილით გახედა თავისიანებს, მაგრამ ვერც ერთის სახეზე თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა. აშკარა იყო, მიწურში მყოფთა ორივე ბანაკი ატამანს უჭერდა მხარს, რადგან ქვის გაქრობა წესით და რიგით წაგებულს არ ეწერებოდა.

— ატამანი მართალია! — ერთხმად გადაწყვიტეს და გაწბილებული მოგებულიც განაჩენს დაემორჩილა. იცოდა, ტლინკების ყრა აქ სასტიკად ისჯებოდა. ამიტომ დანებდა საბრალო, თუმცა მთელი ორი თვის სამყოფ ულუფას კარგავდა — ორი თვე უნდა ეშიმშილა, მაგრამ ბანაკის კანონი შეუვალი იყო. მას თაღლითობაში ედებოდა ბრალი...

მოგვიანებით ატამანმა ისიც გაიგო, რომ არყის შოვნაც შეიძლებოდა და მაღაროდან ყოველდღე გამოჰქონდა ოქროს ნატეხები არაყზე გადასაცვლელად. დომინოს ქვის გადამყლაპავს არც მათი გადაყლაპვა უჭირდა და მართალია, თითო ბოთლ არაყში ნახევარ კილოგრამ ოქროს ითხოვდნენ, ორიოდ თვეში ხუთი ბოთლის შოვნა მოახერხა. ამასობაში, სერგეი და მისი ამხანაგი გენა ბადრისთან ერთად თხუნელებივით თხრიდნენ გვირაბს. დროდადრო ატამანიც ეხმარებოდა ბიჭებს, განსაკუთრებით ჭის თხრის დროს, სადაც 50-60 გრადუსზე გაყინული მიწა ფოლადის სიმტკიცით უძალიანდებოდა გვირაბგამყვანებს.

გვირაბის გათხრა? ამის შიში არასოდეს ჰქონია კოლონიის ადმინისტრაციას. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ტექნოლოგიურად განუხორციელებელი იდეა იყო და არც ერთი გიჟი არ მოჰკიდებდა ამ საქმეს ხელს. ამიტომაც ბანაკში გვირაბის ძებნა ფიქრადაც არავის მოსდიოდა. არადა, მთელი შვიდი თვე ჩალიჩობდა ოთხეული. ამოღებულ მიწას ქარიან ამინდში აბნევდნენ ბანაკის ტერიტორიაზე, ან საკანალიზაციო მილში ყრიდნენ ცოტ-ცოტას...

...ასე რომ, მარტის დასაწყისში სანოვაგითა და არყით მომარაგებული ოთხეული ერთ საღამოს ბანაკიდან გაუჩინარდა. თუმცა, დილაც და საღამოც ერთნაირი იყო. პოლარული ღამეების წყალობით მათი გაქრობა-გაქცევა მესამე დღეს გაიგეს და რაკი უგზოობის გამო კვალდაკვალ დევნა უაზრობად ჩათვალეს, ეს საქმე პოლარული დღეების დადგომამდე გადადეს, რაც არცთუ ისე შორს იყო.

ამასობაში კი გაქცეულები რის ვაი-ვაგლახით მიიწევდნენ წინ. გზადაგზა ტუნდრაში, ჭაობების გავლისას, სადაც ახლა ყინვის წყალობით ეს შესაძლებელი იყო, გამხმარ ბალახეულს აგროვებდნენ. მერე პატარა კოცონს დაანთებდნენ და ისვენებდნენ. არაყი კარგა ხანია შემოეხარჯათ. ღორის ქონი კი ჯერ კიდევ ჰქონდათ, მაგრამ გზას რომ დასასრული აღარ უჩანდა, ეს აღიზიანებდათ. კიდევ კარგი, ნადირს არ გადაყრიან. ტუნდრას ამ დროს ნადირიც ერიდებოდა, მაგრამ პოლარულმა ნათებამ, რომელიც ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, ხანაც პირდაპირ გაკრთებოდა, მგზავრებს ისე აუბნია თავგზა, რომ ცოტაც და ნერვებიც უმტყუნებდათ. მაგრამ, როცა სერგეიმ იყვირა, იურტას ვხედავო, ყველაფერი თითქოს თავის ადგილზე დადგა. მალე გზის მაჩვენებელსაც წააწყდნენ — სრედნეკოლიმსკი, იუწყებოდა იგი და ატამანმაც თავის თავზე აიღო გიდობა.

— ჩვენ ახლა მაგადანის ოლქში კი არა, იაკუტიაში ვართ. აქ კი რამდენადაც ვიცი, ჩამშვები ხალხი არ ცხოვრობს.

***(გაგრძელება იხ. გვ. 11)***

# როგორ გახდნენ სირიელი არაბები საქართველოს მოქალაქეები

თბილისის უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ სირიელი არაბები, ბიძაძმისშვილი აჰმედ და ამედ მაკარატები დააკავეს. იმავდროულად, თბილისის გლდანი-ნაძალადევის უშიშროების განყოფილებამ ამავე რაიონის პოლიციის ქვეგანყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსი ინსპექტორი ტარიელ ძებისაშვილი დააპატიმრა. ამ დაპატიმრებათა გამო საქართველოს მისამართით მეზობელი ქვეყნებიდან (უპირველესად რუსეთი იგულისხმება. — დ. დ.) შეიძლება ახალი სკანდალური განცხადებები გაკეთდეს. საქმე ის არის, რომ სპეცსამსახურები ტარიელ ძებისაშვილს სირიელი არაბებისთვის ქართული პასპორტების არაკანონიერად გაცემაში ადანაშაულებენ. „ამ პასპორტით მაკარატები მთელ ევროპაში მოგზაურობდნენ და კაცმა არ იცის, რა საქმიანობას ეწეოდნენ“, — ამბობენ უშიშროების სამმართველოს წარმომადგენლები.

რატომ დააპატიმრეს მაკარატები და რა აკავშირებთ მათ პოლიციის თანამშრომელთან, ტარიელ ძებისაშვილთან, ამ საკითხში უკეთ გასარკვევად „კვირის პალიტრა“ თბილისის უშიშროების სამმართველოს უფროსს, **მალხაზ მაისურაძეს** დაუკავშირდა: — ტარიელ ძებისაშვილის დაპატიმრების მიზეზი შეიქნა ის, რომ მან სირიელ არაბებს, მაკარატებს საქართველოში მოქმედი პირადობის მოწმობა და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი პასპორტები გაუკეთა(!). თავისთავად, თუკი უცხოელები საქართველოს მოქალაქეობას მიიღებენ, მათთვის პასპორტის მიცემისთვის არავის იჭერენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ძებისაშვილმა მაკარატებს პასპორტები კანონის დარღვევით გადასცა.

**— კონკრეტულად, რით გამოიხატება ამ დანაშაულის არსი?**

— პირადობის მოწმობაში მითითებულია არარსებული მისამართი, სადაც მაკარატები ვითომ ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, პასპორტის გაცემამდე რამდენიმე პროცედურაა ჩასატარებელი: ყველა საბუთი, რომლებიც მაკარატებს ნებას აძლევდა, გამხდარიყვნენ საქართველოს მოქალაქეები (იუსტიციის საბჭოს მისამართით დაწერილი განცხადება და იქიდან გამოსული დადებითი პასუხი, აგრეთვე სხვა დოკუმენტები) ყალბი აღმოჩნდა. სწორედ იმ ყალბი დოკუმენტების საფუძველზე გასცა პასპორტები ძებისაშვილმა.

**— კი, მაგრამ ძებისაშვილს დოკუმენტების ნამდვილობაში ეჭვი როგორ უნდა შეეტანა?**

— არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ სწორედ მან დაამზადა ეს ყალბი საბუთები. ერთი სიტყვით, ძებისაშვილმა მაკარატებს ერთ დღეში მისცა პასპორტები, რისი წყალობითაც მთელ ევროპაში მოგზაურობდნენ.

**— რისთვის დადიოდნენ მაკარატები ევროპაში ან რაში სჭირდებოდათ ქართული პასპორტები?**

— ეს საკითხი შესწავლის პროცესშია...

როგორც ხედავთ, ტარიელ ძებისაშვილს უშიშროება საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს. ბრალდების სიმძიმე საბოლოოდ მაინც ძმები მაკარატების ვინაობის გაშიფვრაზე იქნება დამოკიდებული; ანუ თუკი სირიელ ძმებს საეჭვო წარსული აქვთ და რაიმე აკავშირებთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან, რისი ეჭვიც არსებობს, ქართველ პოლიციელს პასუხს მკაცრად მოჰკითხავენ; ხოლო თუკი მაკარატები მხოლოდ და მხოლოდ რიგითი, სულსწრაფი ბიზნესმენები არიან, რომლებმაც გაწელილ ბიუროკრატიულ პროცედურებს შემოვლითი გზები ამჯობინეს, ალბათ ბრალდებაც დაკარგავს პოლიტიკურ ელფერს.

თუმცა, ამ კითხვებზე მაინც დაპატიმრებულებმა უნდა გასცენ პასუხი. როგორც შევიტყვეთ, უშიშროების იზოლატორში მოთავსებული მაკარატები დუმილის უფლებას იყენებენ და უშიშროების გამომძიებლების კითხვებზე არ უპასუხებენ. ტარიელ ძებისაშვილი კი ქავთარაძის ქუჩაზე განთავსებულ „ლეჩკომბინატში“ — კარდიოლოგიურ კლინიკაში მოათავსეს.

ძებისაშვილს გულის შეტევა დაკითხვის დროს დაემართა. იგი დღემდე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. მას ორი ოპერაცია გაუკეთდა. ამიტომ ძებისაშვილთან გასაუბრებას გამოძიება ვერ ახერხებს. როგორც ძებისაშვილის ახლობლები აცხადებენ, ამ საქმეში იგი სავსებით უდანაშაულოა და პირადობის მოწმობები წესის დაცვით გასცა. „ძებისაშვილმა პირადობის მოწმობები იუსტიციის საბჭოს დოკუმენტებზე დაყრდნობით გასცა, — აცხადებს მისი ადვოკატი გიზო ბერიშვილი, — საბჭოსთვის რომ წერილი გაეგზავნა დოკუმენტების სარწმუნოობის შესახებ, ეჭვის საფუძველი უნდა ჰქონოდა. საზღვარგარეთის პასპორტების გაცემა კი მის კომპეტენციაში სრულიად არ შედიოდა. არარსებულ მისამართზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია“.

ტარიელ ძებისაშვილის უდანაშაულობის შესახებ ვერდიქტის გამოტანა სასამართლოს პრეროგატივაა. თუმცა, ერთი კია, განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ პასპორტის აღება რომ ძნელი არ არის, ყველასთვის ცნობილია. სულ ცოტა ხნის წინ საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტის სწრაფად აღება 100 დოლარი ღირდა. ძებისაშვილის შემთხვევაში საქმეს ის ართულებს, რომ ინციდენტის პერსონაჟები არაბები არიან.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **გიორგი მეგრელიშვილი** მძაფრ განცხადებას აკეთებს: — პასპორტის გაცემის ეს ხერხი მთელ საქართველოშია გავრცელებული და ერთი ადამიანის დაპატიმრება უსამართლობა იქნებოდა. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, თუ ვისზე გაიცა პასპორტები. ფულისთვის ყველაფერზე ხელი არ უნდა აიღოს კაცმა. მით უმეტეს, როცა იცის, როგორი დამოკიდებულებაა დღეს არაბების მიმართ მთელ მსოფლიოში.

**— გინდათ თქვათ, რომ მაკარატები შეიძლება რომელიმე საეჭვო არაბულ ორგანიზაციას უკავშირდებოდნენ?**

— გამორიცხული არაფერია. თუკი ისინი რიგითი ბიზნესმენები არიან, საქართველოს მოქალაქეობა მათ ვერაფერს მისცემდა. სამაგიეროდ, ქართული პასპორტით ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა არაბებისთვის უფრო ადვილია. შესაძლოა, ისინი შუალედურ ფუნქციას ასრულებდნენ ევროპასა და არაბულ სამყაროს შორის.

**— ამავე მიზეზით ხომ შეიძლება მათ საქართველოს მოქალაქეობა ბიზნესისთვისაც სჭირდებოდათ?**

— ბიზნესმენებს არ სჭირდებათ გაყალბებული საბუთებით რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვება და არც არარსებული მისამართის პასპორტში დაფიქსირება. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა რაღაც სამუშაოს შესრულების შემდეგ ქვეყნიდან წასვლა და კვალის დაფარვა არის საჭირო. არ არსებობს ბინა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. გამოდის, ოფიციალურად არც მაკარატები არსებობენ.

**— სხვათა შორის, საავადმყოფოში, სადაც ტარიელ ძებისაშვილი მკურნალობს, შემთხვევით ერთი საინტერესო ვერსია მოვისმინე, რომლის მიხედვით, მაკარატები სერიოზული ბიზნესმენები არიან, მეორადი ტანსაცმლის იმპორტს ეწევიან და უშიშროებამ მათ ბიზნესის წართმევა მოუნდომა.**

— ეს სასაცილოა და კომენტარის გაკეთებაც არ ღირს. ისე კი, ვწუხვარ, რომ ქართველ კაცს ასეთი რამ დაემართა. უმჯობესი იქნებოდა, იგი ყალბ საბუთებს შეცდომაში შეეყვანა, მაგრამ უშიშროება სხვა ბრალდებას უყენებს. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — მას თანამდებობრივად საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტის გაცემის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ, თუკი გამოძიება მის ბრალეულობას დაამტკიცებს, ვფიქრობ, მთელი სიმკაცრით მოუწევს პასუხისგება.

**— ამბობენ, ამ ინციდენტს არაკეთილმოსურნე მეზობელი ქვეყნები ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ და კიდევ ერთხელ აყვირდებიან, საქართველო ტერორისტებს მფარველობსო.**

— ასეთი ბრალდების წამოყენების უფლება არავის ექნება. ჯერ გასარკვევია, მაკარატები ვინ არიან. ამიტომ მისასალმებელია, რომ ჩვენმა სამსახურმა მათი დაკავება მოახერხა. ამასთან, ასეთი ინციდენტისგან არავინ არის დაზღვეული...

P. S. ასეთია ჩვენ მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციის დეტალები. უახლოეს მომავალში ალბათ ყველაფერი გაირკვევა და ვინმეს ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაზე ამის შემდეგ უფრო იოლი იქნება მსჯელობა.

**დავით დევდარიანი**

# ერთ ბოთლ არაყში ნახევარ კილოგრამ ოქროს ითხოვდნენ...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

აქაურთა ერთი ნაწილი თურქულენოვანი მოსახლეობაა და თუ გაგვიმართლა და ასეთებს წავაწყდით, ჩათვალეთ, რომ გვეშველა. მე თბილისში, აზერბაიჯანელებით დასახლებულ უბანში გავიზარდე და ეს ენა ასე თუ ისე ვიცი. აზერბაიჯანული და თურქული კი მონათესავე ენებია. ალბათ, აქაურებსაც გავაგებინებ რაღაცას...

კიდევ კარგა ხანს იარეს, ვიდრე იურტას მიაღწევდნენ, მერე კი აღმოაჩინეს, რომ ამ ტრიალ ადგილზე მხოლოდ ეს ერთადერთი თავშესაფარი და გზის მაჩვენებელი ადასტურებდა სულიერის არსებობას, მეტი არაფერი. ოჯახის პატრონს სულაც არ გახარებია მათი სტუმრობა. ზედვე ეწერათ, ბანაკიდან გამოქცეულები რომ იყვნენ, მაგრამ როცა მათ ხელში ოქრო შენიშნა, უმალ ჩამოხსნა ირმის დამარილებული ბარკლები და სტუმრები სუფრასთან მიიწვია. თურქულ-აზერბაიჯანულისა მასპინძელს არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ცოტ-ცოტა რუსულს ამტვრევდა და საუბარიც შედგა.

— რაო, აქ თქვენს მეტი არავინ ცხოვრობს? — კითხვა რომ გაეგო, რამდენჯერმე გაუმეორა ერთი და იგივე ატამანმა.

— Сейчас не живет, но скоро весна будет, река растает. Люди придут, мне патроны дадут, жену мою и юрту заберут. Экспедиция называется.

სიცილის თავი სად ჰქონდათ, თორემ კაცი ისეთ რაღაცებს ჰყვებოდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ. თბილმა კერიამ და დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩაეძინათ. გაღვიძებულებს კი შინსახკომისემბლემიანი შეიარაღებული ხალხი დაადგათ თავზე.

— გაგვყიდე, ნაბიჭვარო? — წაისისინა სერგეიმ. მერე ელვის უსწრაფესად დაიხარა, ცეცხლის საჩხრეკი აიტაცა და ის იყო, იაკუტის თავზე უნდა დაეშვა, რომ ერთ-ერთმა ჯანმაგარმა შინსახკომელმა შებოჭა და გარეთ გაათრია.

გენა და ბადრი გზაში დახვრიტეს. ეტყობა, „პიკაპის“ განტვირთვის მიზნით. არადა, ხუთადგილიან მანქანაში მართლაც ბევრნი ისხდნენ. სამნი შინსახკომელები იყვნენ, ოთხნიც ესენი და ამიტომაც შეამცირეს ტვირთი. დახოცილებისათვის მიწა სერგეის და ატამანს გააჭრევინეს და გზა გააგრძელეს. ბანაკამდე ჯერ კიდევ შორს იყო, როცა სერგეიმ როგორღაც მოახერხა, შეკრული ხელები გაითავისუფლა და მარტო ეკვეთა სამეულს. თუმცა ვერაფერს გახდა — ტყვია დაახალეს შუბლში. მერე მანქანიდან გადმოვიდნენ, ატამანს ხელები გაუხსნეს, მანქანის კორპუსზე გარედან აკრულ ნიჩაბზე მიუთითეს და საფლავის გაჭრა უბრძანეს. კიდევ კარგი, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ყინულიც გამლღვალიყო და ნიჩაბს ემორჩილებოდა. მიწის თხრას რომ მორჩა, ერთმა შინსახკომელმა იარაღი შემართა, მაგრამ მეორემ შეაჩერა.

— მიწის მიყრაც გეზარებათ ხომ, გარეწრებო! — თავისთვის გაიფიქრა ატამანმა, რომელიც უკვე მესამედ გადაურჩა სიკვდილს და ისიც კარგად გააცნობიერა, რომ მეოთხედ მამაზეციერიც ველარ იხსნიდა. თუ არ მოკლავდნენ, ბანაკში დააბრუნებდნენ და ესეც ხომ სიკვდილის ტოლფასი იყო. ამიტომ, როცა შინსახკომელები მანქანის კაპოტზე გაშლილ საგზალს შეექცეოდნენ და „პერცოვკით“ სავსე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ, დრო იხელთა, მანქანასთან მიიჭრა და თვალის დახამხამებაში სამივეს ნიჩბით დაუხეთქა თავები. მერე მანქანაში შეხტა, დაქოქა, ნახევარწრე მოხაზა და უკუმიმართულებით გაუყვა. თუმცა არც კი იცოდა, სად მიდიოდა. ვიდრე ფეხით მიდიოდნენ, პოლარული ვარსკვლავის იმედი ჰქონდა. ახლა კი გრძელი ღამე დამთავრებულიყო და ორიენტირის გარეშე დაეხეტებოდა ყინულეთის ამ უკიდეგანო ოკეანეში. გაახსენდა, რომ შინსახკომელებს კომპასი ჰქონდათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. დიდი გზა ჰქონდა გამოვლილი და დარჩენილი საწვავით უკან დაბრუნებასაც ველარ მოახერხებდა. მართლაც, ბენზინი მალე გამოელია და მანქანა გაჩერდა. სასწრაფოდ უნდა გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ძალა მოიკრიბა და გზას მაინც გაუდგა. მანქანა აღარ ჩანდა და ეს ამშვიდებდა. კარგა ხანს იარა, თავდაუზოგავად, თავჩახრილი მიაპობდა თოვლს. უეცრად თითქოს ვიღაცის მზერა იგრძნო, თავი ასწია და პირდაპირ ტორებზე შემდგარი დათვი დაინახა. წამით თითქოს გაშეშდა, თუმცა გონი მალევე მოიკრიბა და წუთის წინ რომ ღონემიხდილი ძლივს მილასლასებდა, ისე მოუსვა უკან, გამოცდილ მორბენალსაც შეშურდებოდა. მაგრამ გრძნობდა, მარათონი საცაა დათვის გამარჯვებით დამთავრდებოდა. ზურგს უკან მისი ქოშინის ხმაც კი ესმოდა, მაგრამ მაინც თავგამოდებით გარბოდა. უეცრად მისკენ მომავალ რამდენიმე მარხილს მოჰკრა თვალი. აგერ, მასზე მსხდომებმაც თოფები შემართეს. „უეჭველია, მონადირეები არიან“, — გაიფიქრა და უკან მიიხედა. დათვი ისევ მოსდევდა. მერე, როცა მზერა ისევ წინ გადაიტანა, მოახლოებულ მარხილზე შინსახკომელები დალანდა. მაინც გარბოდა... დათვისგან დაგლეჯას ისევ ტყვიით სიკვდილი ერჩივნა. გარბოდა ერთი სიკვდილისგან მეორისაკენ.

P.S. დასახვრეტად გამზადებულს ხრუშჩოვის „ოტტეპელმა“ მოუსწრო და სიცოცხლე შეუნარჩუნეს. მერე საქართველოშიც დაბრუნდა, მაგრამ უკვე მოტეხილი და დაჩაჩანაკებული. ჩვენს უბანში პატარა სახელოსნო გახსნა და ტანსაცმლის კერვით ირჩენდა თავს.

**ვაჟა გავაშელი**


# უნიკალური ვიტამინები ბავშვებისთვის

ბავშვის მოზარდი ორგანიზმი მშენებარე სახლივითაა. რაც უფრო მტკიცეა ფუნდამენტი, სახლი მით უფრო მყარი იქნება. ბავშვის მოზარდი ორგანიზმის უზრუნველყოფა ვიტამინებითა და მინერალებით, მისი ჯანმრთელი მომავლის საწინდარია.

*ბავშვებმა არ იციან, რა არგებთ, მაგრამ მათ იციან, რა მოსწონთ – ნატურალური და გემრიელი ვიტამინები ამერიკული კომპანია „შიფ“-ისგან.*




2X1 — მოსწონთ ბავშვებს; სასარგებლოა ბავშვებისთვის წელიწადის ნებისმიერ დროს

მიეცით თქვენს შვილს „ჩილდრენზ ჩივეიბლ“ და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ იგი ყველა აუცილებელ ვიტამინსა და მინერალს მიიღებს, რასაც სრულფასოვანი კვებაც კი ვერ უზრუნველყოფს!

„შიფ“-ის ვიტამინების ხარისხი დამოწმებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემით.

თქვენ დარწმუნებულნი უნდა იყოთ მათში, ვისაც თქვენი ბავშვის ჯანმრთელობას ანდობთ!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com




# 9 მაისის ექო

## „მამა იმ გერმანელს ადღეგრძელებდა, ვინც ომის დროს სიცოცხლე აჩუქა“

კარგად მახსოვს დიდი სამამულო ომის დაწყებაც და დამთავრებაც. მამაჩემი არსენი და მისი ბიძაშვილი მოსე ვაშაყმაძეები პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს ფრონტზე. მამა მძიმე ჭრილობების გამო ორ წელიწადში დაბრუნდა. მოსე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის მოხვდა. მამამ მე და დედაჩემს გაგვანდო მისი „დაკარგვის“ საიდუმლო — მე ჩამაკვდა ხელშიო — გვიყვებოდა შეძრწუნებული, — ერთ მაღლობს ვიცავდით. მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებმა მთელი პოლკი გაანადგურა. გადავრჩით სამნი, მათ დროს გერმანელი ავტომატმომარჯვებული დამადგა თავზე. ფერი დავკარგე, მიცვალებულს ხელი გავუშვი. გერმანელ ჯარისკაცთან პირისპირ დავრჩი უიარაღოდ. ერთი შემომხედა, რაღაც ჩაილაპარაკა, იარაღი დაუშვა და გამშორდა... მოსე დავმარხე. მისი სიკვდილის ამბავი ჩემ გარდა არავინ იცის, დაე, ელოდონ...



საირმის ძმათა სასაფლაო



ვალიკო მესხია, ტყვეთა ერთ-ერთი მესაფლავე

შორის, მე და მოსე. მთელი დღე მშიერ-მწყურვალნი ველოდით მტრის ახალ იერიშს. მოსე ღელეში ჩავიდა წყლის ამოსატანად. უკან მობრუნებულს სნაიპერის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე. შებინდებისას მოსეს გვამი შინელში შევახვიე, მინდოდა დამემარხა... ამ

რამდენიმე ხნის შემდეგ კომისარიატმა მამა კურორტ საირმის გზების მშენებლობაზე გაგზავნა ოსტატად. ადგილობრივ გლეხებთან ერთად იქ გერმანელი ტყვეებიც მუშაობდნენ. 1944 წლის ბოლოს მამამ სახლში (სოფელ საპრასიაში) ერთი გერმანელი ტყვე მოგვიყვანა, მიშელს ეძახდა. დააპურა, გამოაწყო, პატრონობდა. მიშელმა შინაურებს წერილიც კი მისწერა, მაგრამ მე და დედამ მისი გაგზავნა ვერაფრით ვერ შევძელით. გაზაფხულზე ტიფი მოედო ჩვენს მხარეს. დედაჩემი კარტოფილსა და რაღაც ტაბლეტებს ატანდა მამაჩემს გერმანელი ტყვეების გამოსაკვებად და სამკურნალოდ. ტიფმა იმსხვერპლა ჩემი ხუთი წლის და ნანა. მამაჩემის ტყვე-მუშებიდან კი 51 კაცი ამოწყდა. მათ შორის, მიშელიც იყო. მათი დაკრძალვის ორგანიზაცია მამას, ვალიკო მესხიას და იროდი ფიფიას დაევალა. წესი ქრისტიანულად აუგეს. ხშირად იხსენებდნენ მათ გამძლეობას და შრომისმოყვარეობას.

მე ჩემი გზა მქონდა. მივიღე სათანადო განათლება. 30 წელზე მეტი ვემსახურე ქვეყანას. ვმონაწილეობდი ლენინგრადის ოლქის ძმათა სასაფლაოების მშენებლობაში.

...შარშან საირმეში ვიყავი. გერმანელთა საძმო სასაფლაო რომ ვნახე, გული მეტკინა. შევხვდი ვალიკო მესხიას და იროდი ფიფიას ოჯახის წევრებს: მათგან შევიტყვე, რომ მამაჩემს თურმე ხშირად მიჰქონდა პურმარილი, გაუვლიდა მესხიას და ფიფიას, დასხდებოდნენ ტყვეთა სასაფლაოზე და უცხოტომელთა შესანდობარს სვამდნენ. მამაჩემი ადღეგრძელებდა იმ გერმანელს, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა. 80-იან წლებში გურამ გეწაძის თაოსნობით სასაფლაო შეუკეთებიათ, მაგრამ ისევ გაპარტახებულა. ზედ საქონელი დადის. ამის შესახებ თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეს ვრცლად მივწერე, მას ხომ გერმანიაში დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ამაოდ.

ჩვენს ქვეყანაში ახლა ბევრი რამ შეიცვალა. იქნებ გერმანიის საელჩომდე მივიდეს ჩემი გულისტკივილი. თუ ფინანსურად დაგვეხმარებიან, მზად ვარ, თვითონ ჩავუდგე სათავეში სასაფლაოს კეთილმოწყობას. მინდა, მამაჩემის სიცოცხლის გადარჩენისათვის პატივი მივაგო იმ ადამიანთა ხსოვნას, ვინც ფაშიზმს ისევე შეეწირა მსხვერპლად, როგორც ჩვენი თანამემამულენი. მინდა, ქართველობას მუდამ უნათებდეს გზას შთაგონება იმისა, რომ „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“.

***ავთანდილ ვაშაყმაძე, შინაგან საქმეთა სამსახურის მაიორი***

# წუთისოფლის სტუმრები ვართ!..

— რასა იქმ, გოგო, ეგეც ცოცხალია და სტკივა, დაანებე თავი. დრო რომ იყოს, თავად ჩამოგიგდებს დამწიფებულს. ვერა ხედავ, ჯერ მწვანეა, სხივი არ შესდგომია! — მომესმა ზურგს უკან წყენაშერეული ნათქვამი, როცა გამეტებით ვარხევდი ზრდადაუსრულებელ ვაშლის ხეს. მოვიხედე, ჩია დედაბერი წამომდგომოდა თავს, დამჭკნარ ტუჩებშუა სამიოდე კბილი შერჩენოდა, სახეც ჩამოსჭკნობოდა მზეზე დაკიდებული ჩირივით. უცებ შემეშინდა კიდევაც, მაგრამ ისეთი სითბო ედგა თვალებში, რომ უცებ დავმშვიდდი — ასეთი თვალების პატრონი ავის გამკეთებელი არ იყო...

— ძალიან მინდოდა ვაშლი... — ბოდიში გავურიე ნათქვამში.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჯერ ადრეა... ვისი ხარ, გოგო?!

— შემთხვევით მოვხვდი, ბებო, აქ, აქაურობის სილამაზემ შემომიტყუა.

— თუ სტუმარი ხარ, ჩემთან წამოდი. აი, იმ გორაზე ავიდეთ, ცხვარს დავხედოთ. აქ, ჩემო კარგო, ღვთისმშობელი დადიოდა და აქაურობას კაბის კალთებით ჰგვიდა. ია-იები ხომ გიყვარს, ისინი ღვთისმშობლის ცრემლებია და მაშინ გაჩნდნენ, უღვთოდ ნაწამებ შვილს რომ დასტიროდა, იები მის ცრემლებზე ამოდიოდა. იებს ვინც გაჩუქებს, უნდა მოეფერო, დიდ მადლს და სიყვარულს გჩუქნის და იმიტომ... აი, ვაშლი რომ გყვარებია, ფერიცვალობამდე არ უნდა სჭამო, გაწყენს, სამოთხეც ვაშლის გამო არ დაკარგეს ადამიანებმა?!.

— გჯერათ სამოთხისა და ჯოჯოხეთისა?!.

— მჯერა და დიდი იმედიც მაქვს, რომ იქ გასწორდება მრუდი სამართალი. სამოთხე ღარიბისაა, ობლისა და ქვრივ-ოხერისა... წუთისოფელში შეიძლება დიდი გაჭირვება ნახო, მაგრამ უფლის სადიდებელს თუ ალავლენ, აგევსება სინათლით სული. მდიდარი ღმერთზე ნაკლებად ფიქრობს, რადგან ოქროს ბრწყინვალებით აქვს დაბინდული გონება. ასე რომ არ იყოს, მშიერს განიკითხავდა, უნუგეშოს იმედს გაუჩენდა... ამბობენ, ქალაქში ჩემი ხნის ბებრები მათხოვრობენ და ქოხიც არ უდგათო, ბავშვები კიდენა... არ მინდა დავიჯერო, რომ მართლა ასე გავფუჭდით ქართველები და ასე მოგველო ბოლო. მითხარი, რომ ტყუილს ამბობენ. მიამბე რამე, — მუდარით მომაცქერდა მოხუცი და... ვერ მოვატყუე, არადა არც სიმართლის თქმა მინდოდა. ვცადე მისი ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა.

— ცხვარი სულ თქვენია?!

— ზოგი ჩემია, ზოგიც მეზობლისა. ცხვარი რომ ოჯახში შევა, სახლს სიმდიდრით ავსებს. ერთ კუთხეში მატყლს დატოვებს, მეორეში ხორცს, მესამეში ყველსა და ერბოს... ამაღამ მატყლის საბან-ლეიბში დაგაძინებ, თუ რამე გტკივა, ყველა სატკივარს გამოგიწელებს, წამალია, მააშ!..

— რა გქვია, ბებო?!

— მზევინარს მეძახიან. ადრე მართლაც მზესავით ვანათებდი, ყველა მლოცავდა, აი, მზეთუნახავიო, — ამბობდნენ. მეც შევიფერებდი ხოლმე ქებას. ახალგაზრდა ვიყავ და წუთისოფლისა ბევრი არაფერი გამეგებოდა... აე, მზე ისევ კაშკაშა და უბერებელია, მე კი ისე ჩამოვჭკნი, ბალღებს ვერიდები, არ შევაშინო-მეთქი. განა შენ კი არ შეგატყე წეღან შიში, თითქოს ტყიდან კუდიანი დედაბერი გამოგეცხადაო, მაგრამ არა ვბრაზობ, ახალგაზრდა მეც ეგეთი ვიყავი, მეც უსასრულო მეგონა წუთისოფელი, მაგრამ გული არაფერზე მწყდება. კარგი დედმამა და და-ძმა მყავდა, კარგი ვაჟკაცის ცოლი გავხდი და დედობა მეღირსა. ექვსი შვილი მაჩუქა ღმერთმა, 18 შვილიშვილი და შვილთაშვილებს ხომ ვეღარა ვთვლი, რამდენი ხანია...

უკან მობრუნებულებმა სასაფლაოზე შევიარეთ: — ყოველდღე მოვდივარ აქა და ვესაუბრები ჩემს მკვდრებს... მიწა სხეულსა ჭამს, თორემ სული ისევ ჩვენ შორის ტრიალებს. აქ მოსულს რომ მხედავენ ჩემი მკვდრები, სიზმარში მეცხადებიან, კარგადა ვართო — მეუბნებიან. ახალგაზრდობაში მეშინოდა სიკვდილის. ვერ წარმომედგინა, რომ აღარ ვიქნებოდი, ან მზე რაღასთვის გაანათებდა და ან ყვავილი ვისთვისღა გაიღვიძებდა... 18 წლის შვილი რომ მომიკვდა, მინდია, კარგა ხანს ვუცქერდი ზეცას გაოგნებული და მიკვირდა, დედამიწას რომ არ ემხობოდა, ქვეყანა რომ არ დაიქცა. მაგრამ მივხვდი, რომ ყველას თავისი წილი მზე და მთვარე აქვს, თავისი ცა და მიწა... ჩემი მინდიას მზე ჩაესვენა, თორემ ციცოს წილი ხომ დარჩა, ლაშასი და გიორგისი, ბერდიასი და მზიასი, ჰოდა, იმ მზეებს უნდა მოვფრთხილებოდი, ამ სხივებით უნდა გადამერჩინა სული... — შენ ხომ ხარ დედა?

— არა! — თავი დავხარე.

— რათა, შვილო, რათ აგვიანებ, არ გინდა სამოთხე იხილო? ღვთისმშობელს თაყვანს იმიტომ ვცემთ, რომ დედა იყო, კაი შვილი გაზარდა... დედა ხომ გყავს?!

— როგორ არა, ძალიანაც მიყვარს. ვერ წარმოგვიდგენია უერთმანეთოდ სიცოცხლე!

— ჰოდა, ახლა წარმოიდგინე, რომ არ ჰყოლოდი, კარგად იქნებოდა?!

— აი, ჩემი სახლიც! — დაასრულა საუბარი. ფილმში თუ მინახავს ისეთი სახლი. ბანიანი და ნახევრად მიწური, მაგრამ მაინც საოცრად სუფთა და კრიალა. ხატებთან მიმიყვანა, სანთელი აანთო და მომაწოდა: — ჩემი ჩამოქნილია, რასაც ინატრებ, აგიხდებაო.

სანთელი ხელებში ჩამეწვა, ათასი რამე ვეჩურჩულე მზევინარის ხატებს და როცა გაშლილ სუფრასთან მიმიწვია, მაშინღა გამახსენდა: — შენი შვილები სად არიან-მეთქი?!.

— ბარში გადასახლდნენ, ზაფხულობით ამოდიან, ძნელია მთაში ცხოვრება. არც სინათლეა, არც ტელევიზორი და რადიო, გაზეთებიც იშვიათად მოაქვთ. სკოლა დაიხურა და ბალღებს წიგნის გარეშე ხომ არ დატოვებდნენ?! მეც იქით მეძახიან, მაგრამ გული არ მიდგება... ცხვარიც გაილახა ბარში, ბეწვი გაუფუჭდა, რძემ ცხიმი დაკარგა, ყველმა — გემო...

არაყი ჩამოასხა.

— ეს მწარეა, ჩვენ ტკბილად ვიყოთ, ცრემლი გვაშოროს, ლხინი მოგვცეს. სტუმარი ვარო, რომ მითხარი შეხვედრისას, ყველანი სტუმრები ვართ, შვილო, წუთისოფლის სტუმრები... ადრე თუ გვიან, ყველას მოგვიწევს „შინ დაბრუნება“ — იქ კი, გითხარი, ვიწრო არის გასავლელი, სხეულსაც ვერ გაატევ, მხოლოდ ღრუბლად ქცეული სული თუ გაფარფატდება და ოხრად დაგრჩება ნაგროვები ოქროვერცხლი და ნაშენები სასახლეები. ამიტომ მარგალიტები სულში უნდა დააგროვო, ვარსკვლავივით რომ გაანათოს შენმა სულმა და ღმერთს შენი დანახვა გაუხარდეს...

...იმ ღამეს თავისივე ხელით შეკერილ მატყლის ლეიბ-საბანში ჩამაწვინა მზევინარმა. ტკბილი ძილი და მშვიდი სიზმრები მისურვა. როგორ გავამხილო მე ცოდვილმა და... ღვთისმშობელი ვიხილე სიზმრად, თავისი კაბის კალთებიდან ია-იებს კრეფდა და ხელში მიწყობდა: — წადი, დაარიგე, ქვეყნიერებას მოაფინე, ააყვავილეო.

მეორე დღეს სოფლის ბოლომდე გამომაცილა მზევინარმა. კარგა მანძილი რომ გავიარე, უკან მოვიხედე, ისევ იქ იდგა და რაღაცნაირი სინანულით უქცერდა ჩემს და მას შორის დაცარიელებულ შარაგზას...

***ინგა ჯაყელი***




# რას გვეტყვი, მამაო?

**— 6 მაისს გიორგობაა. ამ დღეს 23 ნოემბერსაც ვზეიმობთ. რატომ არის ეს დღესასწაული წელიწადში ორჯერ?**

— ნათქვამია, რომ საქართველოში წლის ყველა დღეს რომელიმე სოფელში წმ. გიორგის ხსენება აღინიშნებაო, რაც დასტურია იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც საქართველოში დიდმოწამე გიორგი სარგებლობს. განსაკუთრებით კი ვდღესასწაულობთ 6 მაისს, წმინდანის აღსრულების დღეს (303წ.) და 23 ნოემბერს — ბორბალზე წამების დღეს.

**— ჩემი ძმა ამბობს, ღმერთს არ ვუყვარვარ, არ მეხმარება და ამიტომ არასოდეს მიმართლებსო. ვცდილობ, დავარწმუნო, რომ ასე არ არის, რა ვქნა, რა ვურჩიო?**

— სასურველია, თქვენს ძმას წააკითხოთ ჩვენი პასუხი, იგი ასეთია: ჩვენი აზრით, იმაში, რომ მუდმივად არ უმართლებს, ბრალი თვით ადამიანის აზროვნებას მიუძღვის. სიცოცხლე — რაც უფლის ყველაზე დიდი საჩუქარია, თქვენს ძმას უკვე მიეცა. როცა ადამიანს არ ყოფნის მადლიერება იმისა, რომ ჯანმრთელი დაიბადა და საკუთარი ხელით შეუძლია სარჩო მოიწიოს, რასაკვირველია, შრომის კეთილი ნაყოფის მიღებაში ხელი შეეშლება. მიმოიხედოს თქვენმა ძმამ ირგვლივ: ნუთუ ვერ ამჩნევს, რომ მის გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც თვალისჩინი წართმეული აქვთ და ამ სამყაროს ვერ ხედავენ, არიან დავრდომილნი და სმენადახშულები, მას კი თვალისჩინიც აქვს, სმენაც და სიარულიც შეუძლია. ის კი მადლობას არ სწირავს შემოქმედს ამისთვის, არამედ ემდურის. გამოსავალი ღვთის გმობა კი არ არის, არამედ ის, რომ შეიყვაროს უფალი და რწმენით ევედროს. სახარებაში სიტყვები — „ითხოვეთ და მოგეცემათ“ იმას ნიშნავს, რომ ვინც უფალს რწმენით ევედრება, რასაც ითხოვს, მიიღებს.

**— შეიძლება თუ არა გამოვცვალო 19-21 წლის წინ გარდაცვლილი ბებიისა და ბაბუის სურათები საფლავის ქვაზე?**

— უძველესი ქრისტიანები საფლავებზე საერთოდ არ აკეთებდნენ სურათებს — მათი რწმენის გამოხატვა უბრალო საფლავის ჯვრით შემკობა გახლდათ. სურათები სასაფლაოზე მაშინ გამოჩნდა, როცა ფოტოგრაფია შეიქმნა. აქედან გამომდინარე, სურათს საფლავის ქვაზე ეკლესიურ კანონიკასთან კავშირი არ აქვს. თუ თქვენ გნებავთ წინაპრების ძველი ფოტოების შეცვლა, შეცვალეთ, ეს თქვენი პირადი ნებაა.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

მის საფლავზე, მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში განუწყვეტლივ ანთია კანდელი. არ




წყდება მომლოცველთა რიგი, რომელნიც სხვადასხვა მძიმე სენისგან იკურნებიან.

ამჯერად მორწმუნეებს საშუალება აქვთ გაეცნონ მამა გაბრიელის სამახსოვრო ფოტოებს, რომელიც გამოსცა მისმა სულიერმა შვილმა ოთარ ნიკოლაიშვილმა.

ავტორის მოკრძალებული თხოვნაა, თუ ვინმეს მოეპოვება მამა გაბრიელის ფოტო ან ვიდეომასალა, დაუკავშირდნენ.
(ტ. 899-94-60-24).

# „პიტკინა“ — მოპარული მანქანების ყველაზე მსხვილი შემსყიდველი

## როგორ დავიბრუნოთ მოპარული მანქანები?

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

არ დაგიმალავთ და „შავებიც“ ჩავრიე საქმეში — „ავტორიტეტული“ ხალხი, მაგრამ მანქანის ასავალ-დასავალს მაინც ვერავინ მიაკვლია. ბოლოს, ხელი რომ ჩავიქნიე და პოვნის იმედი გადამეწურა, მაშინღა გავიგე, რომ ჩემი მანქანა ორჯონიკიძეში ჰყავდათ.

— **ვინ შეგატყობინათ?**

— იქაური საბაჟოს მოხელეებმა. ჩემი მანქანა იქაურ მილიციელს უყიდია. მას ჩხუბი მოსვლია საბაჟოს თანამშრომლებთან, რომლებმაც სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ კომპიუტერში შეიტანეს ცნობა მოპარული მანქანის აღმოჩენის შესახებ და ეს ცნობა ჩვენმა მებაჟეებმა ამოაგდეს. ასე დავადგინე მანქანის ადგილსამყოფელი.

— **მანქანა დაიბრუნეთ?**

— ჯერ რა დაბრუნებაზეა ლაპარაკი. იმდენი პროცედურა მაქვს გასავლელი, საეჭვოა, დავიბრუნებ თუ არა. ჩემი ახლობელი გავგზავნე ადვოკატთან ერთად ორჯონიკიძეში სიტუაციის გასარკვევად. ეს გვარიანი თანხა დამიჯდა. რომ დაბრუნდნენ, მითხრეს, რომ კიდევ ბევრი ფული დამჭირდება.

— **მაინც, რისთვის?**

— ჩემი „მერსედესი“ ჯერ ჩეჩნეთში გადაუყვანიათ. იქ გაუკეთდა „რასტამოჟკა“ და გაიცა ცნობა, რომ მანქანა 1996 წლიდან(?!) გროზნოშია აღრიცხვაზე აყვანილი. ამის შემდეგ გაყიდეს ორჯონიკიძეში. მანქანა რომ დავიბრუნო, ჯერ გროზნოში უნდა ჩავიდე და „რასტამოჟკა“ გავაუქმებინო. რა ძნელი იქნება ამის გაკეთება ჩეჩნეთში, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ. ვინ აღიარებს, რომ უკანონო განბაჟება გაკეთდა... ერთი სიტყვით, თუ გარისკე და ოთხიათასდოლარიანი მანქანისთვის ჩეჩნეთში ჩახვედი და იქიდან მშვიდობით დაბრუნდი, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. შემდეგ ორჯონიკიძეში უნდა გაიმართოს სასამართლო, რომელიც დაამტკიცებს, რომ მისი ბოლო მფლობელი, ანუ ის მილიციელი, პატიოსანი კაცია. რომ მას ზარალი სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს და რაც გადაიხადა, იმის დაბრუნება თავის თავზე იტვირთოს. ეს ძალიან ძნელი იქნება. ჩემმა ადვოკატმა მითხრა, რომ ორჯონიკიძეში 124 ასეთი მანქანაა დაფიქსირებული, რომლებიც ისევე მოიპარეს და გააფორმეს, როგორც ჩემი. საეჭვოა, იქაურმა მთავრობამ ამდენი ფულის გადაყრა ითავოს. შემდეგ ისევ უნდა გაიმართოს სასამართლო, რომელიც დაამტკიცებს, რომ მანქანის ნამდვილი მფლობელი მე ვარ. ერთი სიტყვით, იმდენი ფული მექნება ორჯონიკიძეში ჩასატანი, ბევრად უფრო ძვირფას მანქანას ვიყიდი. სიმართლე გითხრათ, აღარ ვიცი, ისევ ვიბრძოლო მანქანის დასაბრუნებლად თუ ხელი ჩავიქნიო...

ეს შემთხვევა ერთადერთი რომ არ არის, ამას ჩვენთან საუბრისას სამართალდამცველებიც ადასტურებენ. „კვირის პალიტრას“ ექსპერტი-კრიმინალისტი **ზაზა მორგოშია** ესაუბრება:

— ჩეჩნეთის ფაქტორი მანქანების დაბრუნების საკითხს მართლაც სერიოზულად აფერხებს. მანქანების პატრონებისთვის ჩეჩნეთში ჩასვლა ორმხრივად საშიშია — რუსებიც და ჩეჩნებიც მტრულად დახვდებიან. მომგებიანი ბიზნესის დაკარგვას ნებით არავინ შეეგუება. ჩეჩნეთში დღეს უბედური შემთხვევის ინსცენირება ძალიან ადვილია.

— **თუ ასეა, ამ ხალხისთვის სამუდამოდ დაკარგული ყოფილა მანქანები.**

— ეს საჭირბოროტო საკითხი სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს. საქმე ეხება არა ერთ და ორ, არამედ ასეულობით მანქანას. ამ ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმი, რომელიც მანქანების დაბრუნებას გართულებული პროცედურების გვერდის ავლით უზრუნველყოფს. შეიძლება არ იყოს სწორი შედარება, მაგრამ რაღაც „ბარტერული“ გაცვლის მსგავსი უნდა გაკეთდეს. ვთქვათ, ვლადიკავკაზში აღმოაჩინეს ასი მანქანა, რომელთა მონაცემები საქართველოს შსს-ს მიერ კომპიუტერულ ქსელშია შეყვანილი. იქ მოპარული მანქანების აღმოჩენა ჩვენთანაც შეიძლება, შეიძლება ამ მანქანების გაცვლა. ცხადია, მოსაგვარებელია მათი ახლანდელი მფლობელების ზარალის ანაზღაურების საკითხიც, მაგრამ გამოსავლის პოვნა აქაც შეიძლება.

— **ყველაზე კარგი გამოსავალი მაინც ის იქნებოდა, მანქანის მოპარვა და მისი საზღვრებს გარეთ გაყვანა რომ ასე ადვილი არ იყოს.**

— გეთანხმებით, მაგრამ ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, მანქანების ქურდობის ძირფესვიანად აღმოფხვრა შეუძლებელია. ცხინვალი ჩვენთვის დღემდე აქილევსის ქუსლია. იქ რაც ხდება, ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. ერთ მაგალითს მოვიყვან — ცნობილია, რომ ცხინვალში მოპარული მანქანების ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი ვინმე ოსი „პიტკინაა“. როგორც ჩანს, ამ კაცს იქაური



ხელისუფლება მფარველობს და მასზე ხელი არ მიგვიწვდება. თუ ასეთი ბანდიტები არ აილაგმებიან, არაფერი შეიცვლება.

— **მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „პიტკინამდე“ მანქანები აქედან მიჰყავთ.**

— გეთანხმებით... ამის აღსაკვეთად მოქმედი კანონმდებლობის გამკაცრებაა საჭირო. თუკი კანონი გამკაცრდება და ქურდებს მრავალწლიანი ციხე დაემუქრებათ, ვფიქრობ, ბევრი რამ მოგვარდება.

გადასახედია აგრეთვე საგზაო მაგისტრალების გაკონტროლების საკითხიც. საგზაო პოლიციელს დღეს მანქანის გაჩერების უფლება არ აქვს, თუ იგი აშკარად არ არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს. ასე რომ, ქურდები შეცვლილი ნომრებით ნელ-ნელა, მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე შეიძლება ავიდნენ გორის რაიონამდე, იქიდან კი ბევრი შემოვლითი გზები არსებობს. კიდევ უფრო იოლად გადაჰყავთ ავტომანქანები ოსეთიდან ჩეჩნეთის ტერიტორიაზე.

*დავით დევიძე*






# ხაზიურების ოჯახში სასწაულის სანახავად უამრავი ადამიანი მოდის...

## სააღდგომო საჩუქრის სასწაული




*(დასაწყისი იხ. გვ. 4)*

ჩვეულებრივი ადამიანის გონებას ამ დიდი სასწაულის დატევა უჭირს. აღფრთოვანდება, მაგრამ შეიძლება შეძრწუნდეს, შეშინდეს კიდეც. ბუნებრივად იბადება კითხვები — საიდან, რატომ, რისთვის დაუშვა უფალმა ჩვენს ოჯახზე ეს სასწაული?

— **როდესაც მეუფემ ხაზიურების ოჯახში ხატი ინახულა, რა განაცხადა?**

— აღნიშნა, რომ ეს დიდი სასწაულია. მოილოცეს და ჩვენც, ყველას, საშუალება მოგვეცა ვმთხვეოდით ამ ხატს. სხვათა შორის, იერუსალიმიდან ჩამოტანილი აღდგომის ღვთაებრივი ცეცხლი თელავში პირველად ხაზიურების ოჯახმა შემოაბრძანა.

— **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო ხანებში მირონმდინარე ხატები იშვიათობას აღარ წარმოადგენს, ყოველი ახალი სასწაულის გამოჩენისას ხალხი მაინც სვამს კითხვას — რისი მომასწავებელია იგი? თითქოს ჩვენი ადამიანური ბუნებისათვის საკმარისი არ არის განმარტება იმისა, რომ უფალი ყოველ სასწაულს ჩვენს რწმენაში განსამტკიცებლად, სათნოებაში, უფლის მიმართ სიყვარულში გასაძლიერებლად მოგვივლენს.**

— ჩვენ ყოველდღიურად სხვადასხვა სასწაულს ვხვდებით, მაგრამ ვერ აღვიქვამთ, თუ ისინი მატერიალურად ხილული არ არიან. ამ სასწაულს რახან ჩვენი თვალით ვხედავთ, აღვიქვამთ, თუმცა როგორც ჩანს, ისე მივეჩვიეთ ამგვარ მოვლენებს, რომ თითქოს აღარ გვიკვირს იგი, არადა, სასწაული უპირველესად მეტი სიმტკიცისთვის, ძალისხმევისთვის, სულიერად გაძლიერებისთვის გვეძლევა ხოლმე. როცა ხაზიურების ოჯახში მოვლენილი სასწაული ოჯახის წევრების მეგობრებმა, ახლობლებმა და მეზობლებმა ნახეს, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ უნდა იმარხულონ, ილოცონ და ეკლესიურები გახდნენ. ეს ნიშანია იმისა, რომ უფალმა ერთბაშად უამრავი თესლი გააღვივა. ღვთის სასწაულებს ჩვენ ვერ ჩავწვდებით. შეიძლება იმიტომაც უშვებს იგი ამას, რომ რაც შეიძლება მეტი გზააბნეული შვილი მოაბრუნოს და თავისი კალთის ქვეშ შეიფაროს. ჩემს მრევლში ეს პირველი სასწაულია და ყოველდღე დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს. ღვთის ნებით, საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმართ ქართველის ერთგულებამ ჩვენს სისხლსა და ხორცში მყარად გაიდგა ფესვი. თუმცა, რწმენაში გასაძლიერებლად მეტი ძალისხმევა გვჭირდება ერსაც და ბერსაც. ალავერდის ტაძარში წმინდა ქეთევანის ნაწამები სხეულის ნაწილები ასვენია. კახეთს ამ მანათობელი წმინდანის მადლიც იფარავს. ამიტომაც არავის გვაქვს უფლება, მოვდუნდეთ სულიერებაში და დიდი დედოფლის ღვაწლის გაგრძელებაზე არ ვიფიქროთ. უფლის ხელთუქმნელი ხატის სასწაულიც ამის მიმანიშნებელია.

ხაზიურების ოჯახში სტუმრობისას, იესო ქრისტეს ხელთუქმნელი სასწაულმოქმედი ხატის მიმართ თაყვანისცემის შემდეგ, ოჯახის წევრებს გავესაუბრეთ. 16 წლის ერეკლე ხაზიურისგან შევიტყვეთ, რომ „კვირის პალიტრის“ სააღდგომო ნომერში ჩადებული უფლის ხელთუქმნელი ხატი მისთვის ნათლულის ბიძაშვილს უჩუქებია, რომელიც ხაზიურებთან ღვთაებრივი ცეცხლის მეზობელ სოფელში წასაღებად მისულა. „ღვთაებრივი ცეცხლი რომ ჩაქრა, კვირაცხოვლობის წინადღეს, შაბათს, ხატიდან მირონმა იწყო დენა. ჩარჩოში ჩასმის შემდეგ მინის შიდამხრიდანაც მოდის მირონი“, — გვითხრა ერეკლემ, იგი ოჯახის სხვა წევრების მსგავსად გაოგნებული და გაოცებულია იმის გამო, რაც უფალმა მათ ოჯახს მოუვლინა. ხაზიურები თავს განსაკუთრებულ მორწმუნეებად არ თვლიან. „ეკლესიაში დავდივართ მე და ერეკლე. აღმსარებლები ვართ, მაგრამ ჩემი მეუღლე და უმცროსი ვაჟი, თითქმის შორს იყვნენ ეკლესიისგან. სამწუხაროდ, ღვთისადმი მათი დიდი მოკრძალება იმაში გამოიხატებოდა, რომ სალოცავში ცხვარს კლავდნენ და სუფრასთან გულწრფელად წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოებს უფლის სადიდებლად. ამ სასწაულმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. ყოველ ნაბიჯზე ვაკონტროლებთ საკუთარ თავს. რაც ხდება, იმის გაგება გვიჭირს, ჩვენ ხომ ჩვეულებრივი მოკვდავები ვართ, თანაც არც ისე ეკლესიურად მცხოვრებნი, არც ისე ძლიერნი რწმენაში, რომ ეს სასწაული ჩვენთვის იოლად მისაღები ყოფილიყო“. — ასე გამოხატავს საუბარში თავის ემოციებს ციცო ხაზიური. ხაზიურების ოჯახში სასწაულის სანახავად უამრავი ადამიანი მიდის. ყველა გაოგნებულია ნანახით.

ვილოცოთ ყველამ ერთად საქართველოსთვის, რომელიც ჯერაც ბეწვის ხიდზეა და ხსნას ელის. ხსნას, რომელიც უფლის მიმართ ვედრებას მოაქვს და არა ბოღმასა და შურს.

*ეკა ლომიძე*


რა უნდა ქნათ
თუ სისხლში HC-ვირუსი აღმოგაჩნდათ?



ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს მომავლისთვის

„ალერსიანი მკვლელი“ - ასე უწოდებენ C-ჰეპატიტს დრამატული ფინალის მქონე უსიმპტომო მიმდინარეობით.

დაიცავით ღვიძლი დაშლისაგან!

ამაში დაგეხმარებათ ნატურალური ჰეპატოპროტექტორი

„სილიმარინი“

- იცავს ღვიძლის უჯრედებს ვირუსისა და ტოქსინების ზემოქმედებისგან
- ხელს უწყობს ღვიძლის უკვე დაზიანებული უჯრედების აღდგენას
- უზრუნველყოფს ღვიძლში დეტოქსიკაციის პროცესს.

ჯანმრთელი ცხოვრება — ბედნიერი ცხოვრება

ჯეოვიტი — თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

Schiff 60

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ჯეოვიტი GEOVIT

www.schiffvitamins.com

# ვინც პირველი ისვრის, ის წაგებული დარჩება

## ამბობენ, ავტონომიის მეთაურის პოსტს ბათუმის ახლანდელი მერი დაიკავებსო



ბათუმი და თბილისი კვლავ ძაღლსა და კატასავით წაეკიდნენ ერთმანეთს. ორივე მხრიდან მკაცრი ულტიმატუმები ისმის. ლიდერები ერთმანეთს საკუთარი სპეცრაზმებით აშინებენ. ბევრი ამგვარი ქადილი გამიგონია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების დაწყების წინ. ჩვენ მზად ვართ ჩვენი კონსტიტუციური წყობის დასაცავადო, — განაცხადა აჭარის ლიდერმა და დიალოგის აღდგენის სურვილიც გამოთქვა, — დროა საუბრის ტონი შევცვალოთ და ჩაის და ყავის სუფრას მივუსხდეთ მოსალაპარაკებლადო. ავტონომიის მეთაურმა დაიწუწუნა, — ავტონომიამ ცენტრის მიერ წამოწყებული 12 პირობა შეასრულა, დანარჩენის შესრულებასაც აპირებდა, მაგრამ საამისოდ დროა საჭიროო, და მიაყოლა, — აბსურდულ მოთხოვნებს არ შევასრულებთო; თუმცა არ დაუზუსტებია, რომელს თვლიდა აბსურდულად. ამასობაში კი ჯვარედინი მუქარები ბათუმსა და თბილისს შორის სულ უფრო მწვავდება — დეპუტატმა გიგა ბოკერიამ ასლან აბაშიძეს მტკიცედ მოსთხოვა — ნებაყოფლობით და რაც შეიძლება მალე დათმოს უფლებამოსილება — „ტახტიდან გადადგომის“ შემთხვევაში ხელსუფლება მას და მისი ოჯახის წევრებს ხელშეუხებლობის გარანტიებს მისცემსო.

ვესტერნებში ყოველთვის ის იმარჯვებს, ვინც გასროლას მოასწრებს. თბილისისა და ბათუმის დაპირისპირებაში კი ყველაფერი პირიქითაა, ვინც ისვრის, სწორედ ის წააგებს. ნერვების ომი მიდის, სადაც არც საქართველოს პრეზიდენტს და არც აჭარის ლიდერს არ აქვთ უფლება, დაღვარონ თანამემამულეთა სისხლი. გაიმარჯვებს ის, ვისაც ნერვები არ უღალატებს. მიხეილ სააკაშვილი შეტევაზე გადადის — ასლან აბაშიძე თავს იცავს. მათი ბრძოლა რინგს წააგავს. ჯერჯერობით ქულებით პრეზიდენტი იგებს. მაგრამ ახლა თამაში გადამწყვეტ ფაზაში შედის. მიხეილ სააკაშვილს უკანდასახევი გზა აღარ დარჩა — საქართველო ნანგრევებად არის ქცეული და მან ქვეყნის შენება უნდა დაიწყოს. დაყოვნებას ხალხი არ აპატიებს და მით უმეტეს, ასლან აბაშიძესთან მარცხს. სააკაშვილისთვის ეს პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება, გამარჯვება კი იმის დასტური, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტი ნამდვილი ეროვნული ლიდერი გახდა. აჭარის მმართველს კი, პირიქით, შეუძლია უკან დაიხიოს. ამბობენ, მოსკოვი და თბილისი ასეთ ვარიანტს განიხილავენ: ასლან აბაშიძე უსაფრთხოების პირადი გარანტიებით ნებაყოფლობით გადადგება, ავტონომიის მეთაურის პოსტს კი მისი ვაჟი, ბათუმის ახლანდელი მერი დაიკავებსო. „აჭარის ლომისთვის“ რასაკვირველია, ეს უკეთესი ვარიანტი იქნებოდა, ვიდრე პირველმა გასცეს ბრძანება „ცეცხლი!“ და ურჩი ადგილობრივი ლიდერიდან სეპარატისტად და მეამბოხეთა ბელადად იქცეს.

***უტრო რუ***

# საფირონები პრიმა-ბალერინისათვის

ერთხელ, ნიუ-იორკის საიუველირო მაღაზიაში შესულმა და ძვირფასი თვლების ელვარებით მოხიბლულმა ბალეტმაისტერმა ჯორჯ ბალანჩინმა ზურმუხტების, ძოწებისა და ბრილიანტებისადმი მიძღვნილი ბალეტის დადგმა გადაწყვიტა. დიდი მაესტრო საფირონებისთვისაც აპირებდა ვარიაციების შექმნას, მაგრამ ეს იდეა ვერ განახორციელა. და აი, ახლა ბალეტმაისტერმა გიორგი ალექსიძემ, კომპოზიტორმა დათო ევგენიძემ, მხატვარმა ალექსანდრ ვასილიევმა და რეჟისორმა ანდრის ლიეპამ ამ ძვირფასი ტრიპტიქის შევსება გადაწყვიტეს და მარიას თეატრის პრიმა-ბალერინის, ირმა ნიორაძისთვის „ახალი ოპერის“ სცენაზე სპექტაკლი „საფირონები“ დადგეს. სპექტაკლის პრემიერა შედგა მოსკოვში, ჯორჯ ბალანჩინის ასი წლისთავის აღსანიშნავად. სცენაზე ირმა ნიორაძე ბრწყინავდა. პრემიერამ დიდებულად ჩაიარა, ხოლო სპექტაკლის შემდეგ, პირდაპირ ფოიეში მიღება გამართა ცნობილმა საიუველირო სახლმა AVAKIAN-მა, რომლის მეპატრონე, ცნობილი ლონდონელი იუველირი ედმონდ ავაქიანი სპექტაკლის სპონსორი და საპატიო სტუმარი იყო. პრემიერაზე მოსკოვის ბრწყინვალე საზოგადოება შეიკრიბა. ქალბატონები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ საღამოს თემას და სხვადასხვა პატიოსანი თვლებით იწონებდნენ თავს. აღელვებული ბალეტის პროდიუსერი, მეღვინე გოჩა ჩხაიძე მილოცვებს იღებდა და ამბობდა, ამ დადგმას იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ ჩემს ცოლს, ირმა ნიორაძეს ძალიან უყვარს ბალანჩინიო.

**— ირმა, ბალანჩინი აღიარებდა, რომ მას, როგორც აღმოსავლელ ადამიანს ყოველთვის ხიბლავდა ძვირფასი ქვები, თქვენც ხომ საქართველოდან ხართ, თანაც ქალი...**

— მეც ძალიან მიყვარს პატიოსანი თვლები, განსაკუთრებით თეთრი მარგალიტი და ლურჯი ტოპაზი.



**— როგორ გადადგით ბალერინისთვის მეტად გმირული ნაბიჯი და ბავშვი გააჩინეთ? ეს თქვენი გადაწყვეტილება იყო თუ მეუღლისა — ქართველი ქმრები ხომ მბრძანებლები არიან.**

— ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ხვდები, რომ ეს მშვენიერი ნაბიჯი უნდა გადადგა. ჩვენ ეს ერთად გადავწყვიტეთ. რაც შეეხება ჩვენს მამაკაცებს — ისინი კულტურული მბრძანებლები არიან...

***იბეჭდება შემოკლებით***
***მოსკოვსკი კომსომოლეცი №91***

# თუ გინდა აშშ-ის პარტნიორის დამარცხება, აშშ-ის პარტნიორი უნდა გახდე!

— წერს ანალიტიკური ცენტრი STRATFOR-ი სტატიაში „ბრძოლა ყოფილი საბჭოთა კავშირის გამო: სომხეთის მოსაპოვებლად“. ცენტრის ექსპერტები ასკვნიან, რომ აშშ-მა სამხრეთ კავკასიაში მოწინავე მოთამაშის როლი დაისაკუთრა. იმისთვის, რომ ვაშინგტონმა მართლა მიაღწიოს ამას, აუცილებელი იქნება სომხეთის გადაბირება, რადგან აზერბაიჯანი და საქართველო ისედაც ამერიკის მხარეს არიან. ერევანი რუსეთის პარტნიორია და ირანთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აქვს. STRATFOR-ის აზრით, აშშ ყველაფერს იღონებს სომხეთის კუთხეში მისამწყვდევად და მაშინ ის იძულებული გახდება, თავისი პრიორიტეტები ამერიკის სასარგებლოდ გადასინჯოს. გარდა ამისა, აშშ ამით ორ გლობალურ ამოცანას წყვეტს: საბოლოოდ დაასუსტებს რუსეთის გავლენას ამ რეგიონში და შეკრავს წრეს სამხრეთიდან ირანის გარშემო. „სომხეთმა მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორიები დაიკავა და არც აპირებს მის დატოვებას, მაგრამ აშშ-ის პარტნიორის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი აშშ-ის პარტნიორი გახდები,“ — აცხადებენ ანალიტიკოსები. ჯერჯერობით, STRATFOR-ი არ ელოდება სომხეთიდან საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მკვეთრ ცვლილებას, „რადგან მას რუსეთთან მჭიდრო ისტორიული და კულტურული კავშირი აქვს“. მიუხედავად ამისა, სომხეთის დაპყრობის ამოცანა რეალურია, ამ საქმისთვის ვაშინგტონი საფუძველს უკვე ამზადებს. ერევანში შენდება აშშ-ის საელჩოს უზარმაზარი შენობა, რომელიც ვაშინგტონს 80 მლნ დოლარი უჯდება. მიწა საელჩოსთვის სომხეთის მთავრობისგან 5 მლნ-ად შეიძინეს. ეს შენობა იქნება აშშ-ის წარმომადგენლობის ყველაზე დიდი ნაგებობა მსოფლიოში.

***რეგნუმ რუ***

# ქართველი ქურდი რუსეთში იმალებოდა



მოსკოვში დააკავეს „კანონიერი ქურდი“ თამაზ ქარცივაძე, მეტსახელად „კუსა“, რომელსაც ქართველი სამართალდამცავები 12 წელია ეძებენ.

41 წლის თამაზ ქარცივაძე 1992 წლიდან საერთაშორისო ძებნაშია. მან თავის მშობლიურ ბათუმში 5 ტყვიით სიცოცხლეს გამოასალმა პოლიციელი. თუმცა თავად ამბობს, — მოკლულს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ხოლო ის ხუთი ტყვია ჩემი არ იყოო. „კანონიერმა ქურდმა“ მკვლელობაზე ლაპარაკს თავი აარიდა. ქარცივაძე ჯერ კურსკის ოლქში იმალებოდა გივი ბედოიძის სახელით, მერე, როგორც კი გაიგო, რომ მისი ადგილსამყოფელი შეიტყვეს, მოსკოვში გაემგზავრა და იქ ხშირ-ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს. მაგრამ ბოლოს მაინც იპოვეს. ბინის ჩხრეკისას მილიციელებმა აღმოაჩინეს პისტოლეტი — იჟ-78, რომელშიც 4 ტყვია იდო. ქარცივაძემ სამართალდამცველებს ჯერ ბედოიძედ წარუდგინა თავი და პასპორტი აჩვენა, მაგრამ განყოფილებაში მიყვანილმა ნამდვილი ვინაობაც გაამხილა.

თამაზ ქარცივაძის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონოდ ტარების მუხლით. მას სასჯელის მოხდა, ალბათ საქართველოში მოუწევს.

***კომერსანტი***

# ქეთევანი — წლის მთავარი ჯაზური სენსაცია



19 წლის ქეთი მელუამ იერიშით აიღო ბრიტანული ჰიტ-პარადები. ნორა ჯონსის შარშანდელ წარმატებას რამდენიმე მუსიკალური აღმოჩენა მოჰყვა. ერთ-ერთი მათგანი ქეთი მელუა იყო. ის აჭარაში დაიბადა, რვა წლამდე ბათუმში ცხოვრობდა. მამამისი ქირურგია და ბელფასტში გადავიდა სამუშაოდ. ლონდონში ოჯახის გადასვლის შემდეგ ქეთი მუსიკალურ სკოლაში შევიდა. შარშან თავის პროდიუსერთან, მაიკლ ბატთან ერთად, ალბომი ჩაწერა. ხელი მოაწერა კონტრაქტს ხუთ ალბომზე, რომელიც მას 2 მლნ გირვანქა სტერლინგს მოუტანს. დღეს გოგონა, რომლის ნამდვილი სახელია ქეთევანი, ბრიტანეთის ერთ-ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა მომღერალია. გაყიდული დისკის, CALL OFF THE SEARCH-ის რაოდენობამ დიდი ხანია მილიონს გადააჭარბა.

ცოტა ხნის წინ ქეთი მოსკოვში მიიწვიეს ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ იუბილეზე. კონცერტის შემდეგ კორესპონდენტს ინტერვიუზე დათანხმდა. ჯაზის სენსაცია ინგლისურად ლონდონური აქცენტით ლაპარაკობდა, რუსულად კი ქართულით, თან პატრიოტულად „ბორჯომით“ ისველებდა ყელს.

— მე მარტო ჯაზს და ბლუზს არ ვასრულებ, ჩემს ალბომში ბევრი თანამედროვე პოპულარული მუსიკაცაა, თუმცა ჯაზის სუნთქვა იქაც იგრძნობა. მსმენელი მუსიკაში „ჯაზს“ ან „ბლუზს“ კი არ ეძებს, არამედ მელოდიას, რომელიც ხშირად აკლიათ სიმღერებს. ეტყობა, ჩემს სიმღერებში ამას პოულობენ.

**— ბევრ კარგ ქართველ ჯაზის მუსიკოსს იცნობს მსმენელი...**

— სამწუხაროდ, მე არავის ვიცნობ, რადგან საქართველოდან 8 წლისა წავედი. ხანდახან ვფიქრობ, მუსიკის სიყვარული სამშობლოდან მომდევს — საქართველოში ხომ ჰაერში ტრიალებს ზეიმის შეგრძნება და ეს მუსიკაშიც აისახება.

**— აჭარასთან თუ გაქვთ კავშირი?**

— დიახ, მე ბათუმში გავიზარდე. თბილისში კი ბებია და მეგობრები მყავს. ვცდილობ, იქ ყოველ ზაფხულს ჩავიდე. წელსაც ვაპირებ წასვლას.

**— სანამ მუსიკოსობას მოჰკიდებდით ხელს, ისტორიკოსის და პოლიტიკოსის კარიერაზე ფიქრობდით. როგორ მოაგვარებდით დღევანდელ კონფლიქტს თქვენს სამშობლოში?**

— ძნელი შეკითხვაა, ძალიან სერიოზული საკითხია. მე ოპტიმისტი ვარ და იმ ადამიანებისა მჯერა, ვინც იქ ცხოვრობს. თავად მათი ცხოვრების წესი, მუსიკის, მზისა და ღვინისადმი სიყვარული გადაარჩენთ. მე მჯერა პრეზიდენტ სააკაშვილისა. აჭარა ხომ საქართველოს ნაწილია. იმედი მაქვს, ასლან აბაშიძე შეძლებს თბილისთან მოლაპარაკებას. უპირველესად, უბრალო ხალხის პრობლემები უნდა გადაწყდეს, მიეცეთ მათ მუშაობის საშუალება, გადაუხადონ საკადრისი ხელფასი და მაშინ გლობალური საკითხებიც გადაწყდება.

**— ცნობილია, რომ თქვენი ცხოვრების წესი სულაც არ შეესაბამება „ვარსკვლავურ“ ყოფას.**

— რასაკვირველია, მესმის, რომ ამ ინდუსტრიაში შეუძლებელია მოდური ტანსაცმლის, მაკიაჟისა და იმიჯის შექმნის გარეშე არსებობა. ვცდილობ, აუცილებელი მინიმუმი დავიცვა. ვიცი, რომ სცენაზე, ფოტოზე კარგად უნდა გამოვიყურებოდე, მაგრამ მაღაზიებში სიარული არ მაინტერესებს, უპირველესად, კომფორტს ვაფასებ...

***კომერსანტი №77***

# სერგეი შამბა: აფხაზეთი არ იქნება საქართველოს შემადგენლობაში

გაეროს ეგიდით ჟენევაში ჩატარებულ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო გარანტიებისადმი მიძღვნილ ორდღიან სემინარში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოსა და აფხაზეთის წარმომადგენლები, რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი მიხეილ ბოჩარნიკოვი. „გულახდილად ვილაპარაკეთ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებზე და, მგონი, გამოსავალსაც ვიპოვით. მთავარია, ორივე მხარემ შეიგნოს, რომ ერთი მიზანი და საერთო ამოცანა გვაქვს — ერთად ცხოვრების საშუალების აღდგენა. ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია,“ — განაცხადა სემინარის დამთავრების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების დარგში გიორგი ხაინდრავამ. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი ამბობს: „ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს პოლიტიკური ძალა ან ლიდერი, რომელიც აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში ხედავდეს. ასე რომ, ეს საკითხი დღის წესრიგიდან ავტომატურად არის მოხსნილი. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, სადაც წერია, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მზად ვართ, მხოლოდ ამ პოზიციიდან ვილაპარაკოთ.“ სერგეი შამბამ დასძინა, — თუკი საქართველო უარს იტყვის საკითხის ძალისმიერ გადაწყვეტაზე, მაშინ კონსტრუქციული საუბარი შესაძლებელი იქნება.

შამბამ ისიც აღნიშნა, რომ გიორგი ხაინდრავას ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება მზადაა, ახლებურად მიუდგეს კონფლიქტის დარეგულირების საქმეს, მზადაა დიალოგისა და კომპრომისისთვის.

***რია ნოვოსტი***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

**ა.წ. 5–11 აპრილის „კვირის პალიტრის“ ნომერში გამოქვეყნებულ სარეკლამო სტატიაში სათაურით „თბილღვინო“ უმაღლესი ლიგისკენ მიისწრაფვის“ გაიპარა უზუსტობა, კერძოდ, „...არც ერთ ქართველ მწარმოებელს არ დაუძველებია მუხის კასრებში მაღალხარისხიანი წითელი, მშრალი ღვინოები...“**

**უნდა იკითხებოდეს „...ჩვენს მიერ დამზადებული იქნა, ფრანგულ მუხის კასრებში უნიკალური ტექნოლოგიის და მაღალი ფასის მქონე წითელი მშრალი ღვინოები...“** R



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პაწაწინები ჭკვიანობენ

— ელენე, ნუ მაბრაზებ, თორემ ინტერნატში ჩაგაბარებ! — ეუბნება ბებია პატარა **ელენე ელიაშვილს.**
— მერე იქ გამოვკარგდები?

***

5 წლის **ჯუბიკო გუბელაძეს** დედა თითების სახელწოდებებს ასწავლის. ჯუბიკოც მონდომებით იმეორებს, მაგრამ ცერის სახელი ავიწყდება. უცებ მოაგონდა და სიხარულით წამოიძახა:
— ნაცარა!

***

3 წლის **გიორგი ნაბიჯაშვილი** ეუბნება დედას:
— დედა, ლამპას ხმამაღლა აუწიე, რა?!

***

2 წლის **თამთა მაისურაძე** ბებოს სასეირნოდ უნდა წაეყვანა და დედამისს სთხოვა — ბავშვს ფეხსაცმელი მოუტანეო. მოუტანა, მაგრამ ბებომ დაიწუნა, — მეტისმეტად ღიააო და უთხრა:
— ეს ზაფხულისაა, სხვა მომიტანეო.
პატარა თამთამ უპასუხა:
— ზაფხულისა კი არა, ჩემია.

## I აბა, გამოიცანი

**1) რა ეწოდება ლამაზად წერის ხელოვნებას, ლამაზად წერას?**
ა) კალკულაცია; ბ) კალიგრაფია; გ) ფერწერა; დ) კალკირება.

**2) რომელია ზედმეტი?**
ა) მასლაათი; ბ) ბაასი; გ) მუსაიფი; დ) ჯაჯღანი.

**3) რომელია აჭარული ცეკვა?**
ა) მთიულური; ბ) განდაგანა; გ) მხედრული; დ) სამაია.

**4) ვინ დაწერა ოპერა „ქეთო და კოტე“?**
ა) ვიქტორ დოლიძემ; ბ) ზაქარია ფალიაშვილმა; გ) დიმიტრი არაყიშვილმა; დ) ნიკო სულხანიშვილმა.

**5) რომელი მცენარე არ არის მარცვლეული?**
ა) ცერცვი; ბ) მუხუდო; გ) ფეტვი; დ) თხილი.

**6) რომელი ქვეყნიდან იყო წმინდა ნინო?**
ა) კაბადოკიიდან; ბ) ანტიოქიიდან; გ) სამარიიდან; დ) გალილეიდან.

**7) ვის ეკუთვნის სიტყვები: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ“?**
ა) გრიგოლ ორბელიანს; ბ) ვაჟა-ფშაველას; გ) ილია ჭავჭავაძეს; დ) აკაკი წერეთელს.

**8) გადმოცემის თანახმად, საქართველოს რომელმა მდინარემ დაახრჩო არაბთა ლაშქრის 35000 ცხენი?**
ა) ცხენისწყალმა; ბ) ალაზანმა; გ) ენგურმა; დ) რიონმა.

## II იპოვე ორი ერთნაირი დათუნია





რომელი გვირაბიდან გამოვიდა მანქანა?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: *„სულდგმულია ერთი ბეწო, უყვარს თხილი და კაკალი, მაგრამ თუ ფისომ წაასწრო, აუვარდება კანკალი“.*



## იპოვე 10 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## იესო უქადაგებს მოწაფეებს

*ბიბლიური მოთხრობა*

თერთმეტი მოწაფე გალილეას წავიდა, მთაზე, სადაც იხილეს იესო და თაყვანი სცეს მას; ხოლო ზოგი შეეჭვდა. მაშინ მიუახლოვდა მათ იესო და უთხრა მათ: „მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც. წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით; ასწავლეთ მათ, დაიცვან ყველაფერი, რაც მე გიბრძანეთ. და ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და, განიკითხება. ხოლო მორწმუნეთაგან განუყრელნი იქნებიან ეს სასწაულნი: ჩემი სახელით განდევნიან ეშმაკთ და ახალ ენებზე იმეტყველებენ. აიყვანენ გველებს და თუ სასიკვდილოს დალევენ რასმე, არ ავნებს მათ, დაადებენ ხელს სნეულთ, და განიკურნებიან ისინი. და აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე“.

მრავალი სარწმუნო ნიშნით, იესო ცოცხლად წარუდგა თავისი ვნების შემდეგ, ორმოცი დღე ეჩვენებოდა და ესაუბრებოდა მათ: „ნუ გაშორდებით იერუსალემს, არამედ მოელოდეთ აღთქმას მამისას, რომელიც ისმინეთ ჩემგან. აი, სიტყვები, რომელთაც ჯერ კიდევ თქვენთან მყოფი გეუბნებოდით: რომ უნდა აღსრულდეს ყველაფერი, რაც დაწერილია ჩემთვის მოსეს რჯულში და ფსალმუნში“. მაშინ გაუხსნა მათ გონება, რათა შეეცნოთ წერილი. და უთხრა მათ: „ასე დაიწერა, ასე უნდა წამებულიყო ქრისტე და მესამე დღეს აღმდგარიყო მკვდრეთით და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული და ცოდვათა მიტევება ყველა ხალხში, იერუსალემიდან მოყოლებული. ხოლო თქვენა ხართ ყოველივე ამის მოწმენი. და აჰა, მე მოგივლენთ მამის ჩემის აღთქმას, ხოლო თქვენ დარჩით ქალაქ იერუსალემში, ვიდრე არ შეიმოსავთ ძალას მაღლით. რადგანაც იოანე ნათელს სცემდა წყლით, ხოლო თქვენ ნათელს იღებთ სულით წმიდით, არცთუ მრავალი დღის შემდეგ. თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სული წმიდა გადმოვა თქვენზე, და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალემში, მთელს იუდეასა და სამარეაში, მიწის კიდემდე“.


# საუკეთესო ზღაპრები

## +4 გასართობი გვერდი

გამოსულია 50-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეკვეთა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „ნაცარქექია“ ხელახლა დაისტამბა

# „აქეთ მზეა, იქით მთვარე..."

## ლაზეთი ლაზეთშივე მოგენატრება...

„ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო..." ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაშლილი და გადაჭიმული, უძლეველი, შეურყეველი. მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ ეს დიდი მიწა ავტონომიურ რესპუბლიკებად, ოლქებად ან ფედერაციებად დაიყოფოდა. მაშინდელი ქართველები ალბათ ვერც იმას იფიქრებდნენ, რომ რასაც მტერი ძალით ვერ წაგვართმევდა, ჩვენივე უნიათობითა და სიბრიყვით დავკარგავდით, ოდესღაც საქართველოს კალთაში იყო ლაზეთიც. დღეს კი, თითქმის ოთხი საუკუნის მერე, უძველესი კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა ქვეყნის საკუთრებაა და აქამდე ისტორიულ სამშობლოსთან თავისუფალი კავშირი მხოლოდ ამ კუთხის სიმბოლოდ აღიარებულ მიმინოს ვერ აუკრძალა ვერავინ. ნისლდაფენილი, ლურჯი მთებიდან მზესთან ერთად ცაში აჭრილი, ლაზი მიმინო საზღვარს არ ცნობს, მისთვის აქეთ ლაზეთი და იქით საქართველო არ არსებობს. მისმა გულმა არც ნოსტალგიით მოგვრილი კაეშანი იცის. თუმცა, ნოსტალგია აღარც ძველი ლაზების შთამომავალთ ტანჯავთ, ეს გრძნობა ოთხასი წლის მანძილზე მათ წინაპრებთან ერთად ჩაიფერფლა. დღეს კი ლაზმა იცის, რომ „მეგრელი მისი ჯიმაა (ძმა), დანარჩენი საქართველო კი დიდი ჯიმა, ქართველები მათთვის ქრისტიანი ლაზები არიან..." დადიანების სასახლეთა დარჩენის ფონდის თავმჯდომარის, ტელეკომპანია „მზის" კორესპონდენტის **გიორგი კალანდიას** მიერ ლაზეთში გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა უამრავ ქართველს გაუღვიძა ძველი იარა, რომელიც, სამწუხაროდ, არასდროს მოშუშდება და გულგატეხილთათვის ისევე შორი იქნება ლაზეთიდანაც, როგორც ირანიდან, ეგვიპტიდან... თუმცა, ლაზეთი აქვეა, ჩვენს თვალსაწიერში.

**— გიორგი, ვის ეკუთვნის ლაზეთში მოგზაურობის იდეა?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ანატოლიისა და შავი ზღვისპირეთის შესწავლის ცენტრი, სადაც მოღვაწეობს ჩემი მეგობარი, ახალგაზრდა ისტორიკოსი ბუბა კუდავა. იგი დიდი ხანია დაინტერესებულია ლაზეთით, კარგად იცნობს ამ მხარეს. მე გულმოდგინედ ვეძებ დადიანების მოღვაწეობის კვალს უცხოეთში. მეგონა, ლაზეთშიც წავაწყდებოდით. ერთხელ, მე და ბუბამ გადავწყვიტეთ, უძველეს კოლხეთის ისტორიულ მხარეს ვწვეოდით, მაგრამ ძალიან რთული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, აქამდე ლაზეთში კინოკამერით არავინ ყოფილა, არავის გადაუღია იქაური ცხოვრების მართლაც უნიკალური კადრები. მოკლედ, იდეა ოცნებად იქცა და ტელეკომპანია „მზის" დახმარებით ჩვენი ხანმოკლე, ხუთდღიანი, მაგრამ არაჩვეულებრივი მოგზაურობა შედგა. ლაზეთში სამხრეთ საქართველოდან წავედით. არასოდეს დამავიწყდება ძველისძველი მესხური სოფელი, რომელიც ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ბანიანი სახლების დანახვაზე თავი შუა საუკუნეების საქართველოში მეგონა.



„რა ვუთხრათ უცხოობაში დღემდე ქართველობაშემონახულ ჩვენს ძმებს..."



სუმელას სამონასტრო კომპლექსი

თითქოს დრო გაჩერდა იქ, საქართველოსთან დაშორების გამო.

მაშინდელი განცდების სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. გრძნობა გამოწვეული იყო არა მარტო ფსიქოლოგიური ფაქტორით, არამედ გარემოთიც. ვიფიქრე, ზღაპარში მოვხვდი-მეთქი. სამხრეთ საქართველო, თავისი ზვიადი, სალი კლდეებით, ოქროსფერი და დიდებულია, მეფეს ჰგავს, ლაზეთი კი დედოფალივით ლამაზი და უზომოდ თბილია — ხასხასა მთებით, ბუნებით. საოცარი პეიზაჟი იშლება: ლაზეთისკენ გაიხედავ და, ლაჟვარდოვან ზღვას, მართლაც სულისწამლებ ცას და მზეს დაინახავ. საქართველოსკენ მობრუნებულს კი ცის კიდურზე გარინდული მთვარე გაგაოგნებს. აქეთ მზეა, იქით მთვარე, როგორც ზღაპარში. თვალიდან არ ამომდის ახიზის ციხე, თითქოს უზარმაზარ კლდეზე ამოზრდილი თუ ამოკვეთილი. არადა თავისი ხელით, არწივის ბუდესავით დაუშენებიათ იგი უძველეს ქართველებს. ვერაფრით გამიგია, როგორ აიტანეს იმ სიმაღლეზე საშენი მასალა. განსაცვიფრებელია არტანუჯის ციხე. მაგრამ მე ახიზმა დამატყვევა იდუმალებით, ძალიან მეამაყებოდა, როცა ოქროსფერ კლდეზე ოქროსფერივე ქვით დაშენებულ ოქროსფერ ციხეს ვუყურებდი. მე-19 საუკუნეში იოსებ ყიფშიძეს და გიორგი ერისთავს უმოგზაურიათ ლაზეთში. გიორგი ერისთავი ახიზს უწოდებს „პატარა ციხეს მაღალ კლდეზე", მაგრამ არაფერს ამბობს ამ ციხის ისტორიაზე, რომელიც ძალზე მწირია, არავინ იცის, ზუსტად ვინ და როდის ააშენა. მითხრეს, — ნელ-ნელა ნგრევა დაიწყოო, ვაითუ, განადგურდეს...

**— თქვენმა ფილმმა უკმარისობის გრძნობა გაგვიჩინა, თითქოს ბევრი რამ არ თქვით, კადრს მიღმა დატოვეთ. რატომ?**

— გვინდოდა, ფილმის დამთავრების შემდეგ მაყურებელს გული დასწყვეტოდა მცირე მეტრაჟის გამო, ლაზეთი მონატრებოდა. ფილმში რომ ყველაფერი გენახათ, ალბათ აღარ გაგიჩნდებოდათ მტანჯველი სევდა და სურვილი — თქვენი თვალით ნახოთ ის ხალხი, ვისაც არ უნახავხარ, მაგრამ ენატრები, თქვენი ხმა არ სმენია, მაგრამ მისალმებისთანავე გცნობს. სასტუმრო „პერონითში" უზომოდ სტუმართმოყვარე ლაზები გვეუბნებოდნენ, — ქართველებს უთხარით, ჩვენზე „კაი დოჭარანო", ანუ კარგი დაწერონო. შეგხედავენ თუ არა, მაშინვე გცნობენ, რომ ქართველი ხარ. მალაზიასთან ვიდექით, მოვიდნენ ლაზები და ღიმილით გვკითხეს, — ლაზები ხართო? მათთვის ლაზები ორ ჯგუფად იყოფიან: ქრისტიანებად და არაქრისტიანებად. ქრისტიანი ლაზები ჩვენ ვართ, მაკრიალელმა 100 წლის ბებია ჰავანამ მითხრა, — ლაზი და მეგრელი ძმები არიან, ქართველი კი დიდი ჯიმაა, ანუ დიდი ძმააო. ორად გაყოფილ სარფს მელენს და მოლენს უწოდებენ. მელენი — საქართველოს მხარეა. ძალიან გვესიამოვნა და გაგვიკვირდა კიდეც: ლაზიც და თურქიც, გაიგებს თუ არა, რომ ქართველი ხარ, ცდილობს, ქართულად დაგელაპარაკოს. ურთიერთობებშიც დიდი სითბო იგრძნობა. საზღვრების გახსნის გამო ბევრი სწავლობს ქართულს. ლაზეთში აქვთ ქართული ტელევიზია „გელიშიმი", სადაც ჩვენი ფილმის ჩვენებასაც აპირებენ.

**— საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ლაზი მომღერლის მიერ შესრულებულმა კოლხურმა სიმღერებმა, „სულიკომ". ნუთუ ასე უფრთხილდებიან, ასე ინახავენ წინაპართა მიერ დანატოვარ განძს...**

— ლაზები ბრწყინვალე მომღერლები არიან. არცაა გასაკვირი — ისეთი მხარეა, მუნჯიც რომ იყო, ენასაც ამოიდგამ და ამღერდები კიდეც. განზრახული გვაქვს მათი სიმღერების ჩაწერა და საქართველოში მოწვევაც.

**— ბებია ჰავანაზე რას იტყვით? მასზე ძალიან ცოტა თქვით ფილმში...**

— უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ ბებია ჰავანაც, 100 წლის ქალბატონი ცდილობდა, რომ საუბარში რაც შეიძლება მეტი ქართული სიტყვა გაერია, რათა უკეთ გაგვეგო მისი. თანაც თავს გვაწონებდა ქართულის ცოდნით — იცოდა, რომ ამ ამბებს საქართველოში მოისმენდნენ. ბებია ჰავანას არ ახსოვს სულთანი, მაგრამ ახსოვს დრო, როცა ლაზეთში რუსები იდგნენ. დედა მელენის სარფიდან მყავდაო, — გვიამბობდა. ოთხი წლისას გარდაცვლია, დედის სახელი ჰქვია თვითონაც, მამას ხუცესი რქმევია, რომელსაც ეურჩებოდა თურმე: „მამამ ორჯერ მომინდომა გათხოვება თურქზე, მაგრამ გავჯიქდი. იქითა საქართველოში გავიქეცი, თურქს როგორ გავყვებოდი, წესს როგორ დავარღვევდი, ლაზი ლაზს მიყვება, ან მეგრელს, ან სხვა გურჯს. თურქს — არამც და არამც!" ის შეყვარებული თურქი ძალიან ახალგაზრდა მომკვდარა. ბებია ჰავანა ხუმრობდა, — იმას რომ წავყოლოდი, ადრეც დავქვრივდებოდიო. ბებია ჰავანას შვილიშვილმა პაპის, ვეზირ-ოღლუს, საფლავი მაჩვენა და მითხრა, — ქართულად ვეზირიშვილები ვართო. გვინდა, ბებია ჰავანასგან ჩაწერილი ლაზური თქმულებები, ლექსები, ზღაპრები ვთარგმნოთ და ქართულ და ლაზურ ენებზე გამოვცეთ. ვფიქრობთ, ეს ენათმეცნიერებისთვისაც კარგი საქმე იქნება და თავად ბებიაც იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

იცით, კიდევ რამ გამაკვირვა, ეს ხალხი საოცრად ჯანმრთელები არიან, ძალიან უყვართ სიცოცხლე და დიდხანსაც ცოცხლობენ. ეს შეიძლება იმის ბრალიც არის, რომ მთაში ცხოვრობენ. დამშვიდობებისას ბებია ჰავანამ დაგვლოცა, — ღმერთმა დიდხანს გვაცოცხლოსო. მეც, რახან 100 წლისა იყო, ვუთხარი ღმერთმა კიდევ 60 წელი მოგცეთ-მეთქი. არაო, სამოცს სამოცი დუმატე. აი, მაგდენი მეყოფაო. ძალიან ყოჩაღად გამოიყურება. არ გამიკვირდება, თუ მოინდომა, მაგდენხანს კიდევ იცოცხლებს. წამოსვლის წინ ვუთხარი, — საქართველოში უნდა წაგიყვანო-მეთქი. არაო, საქართველოში რა მინდა ახლა, უკვე ბებერი ვარო. წაგიყვანთ, გაგათხოვებთ-მეთქი. გაეცინა, — ო, თუ გასათხოვებლად მიგყავარ, მაშინ ყაბულს ვარო. ძალიან კარგი ბებიაა. საერთოდ, შესანიშნავი ხალხია ლაზები. გახსოვთ ფილმიდან ბებია ბაბაილი, ბუბას ნაცნობი? მაკრიალში ლაზური გზით ფეხით ამომავალს წავაწყდით. უცნაური პრინციპები აქვთ: მხოლოდ ლაზური სახლები უდგათ, ახალ გზას — ძველი, ძნელადსავალი, მაგრამ ლაზური ბილიკი ურჩევნიათ, ლაზურ სიმღერებს უსმენენ და... ახლა ყელში მეჩხირება რაღაც. როცა ლაზეთში მივდიოდით, ბუბა მეუბნებოდა, — ლაზეთი ლაზეთში ყოფნისასვე მოგენატრებაო. ვერ წარმომედგინა ასეთი რამ, სად არ ვყოფილვარ, წლობით მიცხოვრია სხვაგან, მაგრამ არ მომნატრებია, ლაზეთი კი მენატრებოდა. იმ რამდენიმე დღეში ლაზეთის ისტორიული საიდუმლოს მხოლოდ უმცირესი ნაწილი ვიხილეთ, უამრავი დაგვრჩა სანახავი. აქ, ჩაბადის იქით, არის სუმელა, რაც ქართულად სამებას ნიშნავს, ეს არის ლაზეთის ტურისტული მექა. კლდეში გამოკვეთილი უზარმაზარი სამონასტრო კომპლექსი ვარძიას ჰგავს, ოღონდ უფრო დიდია. გვინდა სუმელაზე გადავიღოთ ფილმი.



ბებია ჰავანა და გიორგი კალანდია

**— მათ საქციელში, ცხოვრების წესში იგრძნობა რაიმე საერთო ქართულთან, საქართველოსთან?**

— ბებია ჰავანას დღეგრძელობის საიდუმლოს „დასატყუებლად" ვკითხე, — რას ჭამთ-მეთქი. ხილი ჩამომითვალა: მსხალი, ვაშლი, ტყემალი. ტყემალი რად გჭირდებათ-მეთქი და — საწებელს ვაკეთებ, კაწახურსო. მჭადი ჰყვარებია ძალიან. ფაქტობრივად, მათი კერძები სრულიად ქართულია. უამრავი რამ აკავშირებთ ჩვენთან. მხოლოდ სჯული აქვთ სხვა. ამ საკითხზე არც გაგვიმახვილებია ყურადღება. მათი ქორწილი ჩვენსას ჰგავს, სატირალში ტირიან და ჩვენსავით მოთქვამენ.

**— უძველესი დროიდან ლაზეთშიც, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ვაზი ხარობდა და ღვინოს წურავდნენ, უკვე გამაჰმადიანებულ ლაზებს რა დამოკიდებულება აქვთ ღვინოსთან?**

— როცა ბებია ჰავანას ყურძნის შესახებ ვკითხეთ, გვიპასუხა, — ვიცით შავი, წითელი და თეთრი ყურძენი — ბადაგს ვადუღებთო. როგორც ჩანს, გენეტიკა თავისას შვრება და ვაზის მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა, მაგრამ მათ აღარ აქვთ ღვინო, ქრისტიანობის ერთ-ერთი სიმბოლო. გენეტიკაზე გამახსენდა: გიორგი ერისთავი ლაზეთის შესახებ წერს, — თუ თურქი ქართულის შესწავლას ექვს თვეს ანდომებს, საამისოდ, ლაზისთვის ერთი თვეც საკმარისია. გენეტიკა აქ ძალიან იჩენს თავსო.

**— უძველესი ქართული ეკლესიების მიმართ რას განიცდიან?**

— იქ არ ლოცულობენ, მაგრამ უვლიან. მინდა მადლობა გადავუხადოთ თურქებს იმისათვის, რომ იქ ჩასვლის და გადაღების უფლება მოგვცეს, რომ იქ არის ლაზური ტელევიზია, ათა-თურქის ძეგლის გვერდით კი დგას ლაზური სახლი. ჩვენს ისტორიულ ძეგლებს არ ანგრევენ, პატრონობენ, ჩვენც შესწავლის საშუალებას გვაძლევენ. მაკრიალში საოცარი ფრესკებია შემორჩენილი. ლაზები ქილისეს ეძახიან ეკლესიას და იციან, რომ ეს მათი წინაპრის მიერ არის აშენებული, უფრთხილდებიან ხიდებს. ასევე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ისტორიკოსებისგან განსხვავებით, თურქები დიდ ყურადღებას აქცევენ ლაზეთის ისტორიას. უამრავი წიგნია გამოცემული, სადაც მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ლაზეთი წინათ საქართველოს ნაწილი იყო. ამას იქ არავინ უარყოფს. არავინ ართმევს ლაზებს უძველეს წარსულს.

**— ლაზური ძალიან განსხვავდება საერთო ქართულის, მეგრულისა და სვანურისგან?**

— საერთო ქართულისგან განსხვავდება. მათ ბევრი ისეთი სიტყვა აქვთ, რომელსაც ალბათ მხოლოდ ძველი ქართველები ამბობდნენ. „ზღვა" „ზუღაა" მათთვის. ბევრი საერთო აქვს მეგრულთან, მაგრამ სიტყვა „კარგის" აღსანიშნავად ისინი „ჯგირს" კი არ ამბობენ. არამედ — „კაის", და ა.შ. თამარ მეფეზე სიმღერებს მღერიან, მაგრამ თითქმის არაფერი იციან მის შესახებ. ბებია ჰავანამაც ასე მიპასუხა, — მეფე თამარისა არა ვიცი რა, მაგრამ თამარზე ლაზების სიმღერა ვიციო...

**— ისევ ხომ არ აპირებთ ლაზეთში დაბრუნებას?**

— არა მარტო ლაზეთში, გადავწყვიტეთ საზღვარს გარეთ მცხოვრებ ქართველებს ყველგან ვესტუმროთ. ვაპირებთ მოვინახულოთ ის ადგილები, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ. გვინდა ქართული კვალი ყველგან დავაფიქსიროთ, რათა ჩვენი ისტორია უკეთ შევისწავლოთ. იქნებ გაიბას ძაფი სიახლოვისა, მეგობრული ურთიერთობები დამყარდეს. ვფიქრობ, ამით არც იმ ქვეყნების ხელისუფლება იქნება უკმაყოფილო, სადაც ქართველები უკვე საუკუნეებია, სახლობენ. თურქეთის ელჩს, ქალბატონ დიჯლე ქოფუზს ძალიან უნდოდა იქაური ინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაგვხვედროდნენ და მეტი გვენახა და გაგვეკეთებინა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ეს ვერ მოხერხდა.

**— ბოლოს, დადიანების სასახლის შესახებ მინდა გკითხოთ, როგორც ვიცით, ამ მხრივ ისევ პრობლემები გაქვთ.**

— სამწუხაროდ, ასეა. მიკვირს, რომ რევოლუციით შევარდნაძის პრობლემა მოგვარდა და დადიანების სასახლის პრობლემას არ დაადგა საშველი. ჩამოიქცა ჭერი ეკატერინესეულ სასახლეში, ინგრევა ეს უმშვენიერესი ძეგლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასახლის დირექტორის ავკაცობის დამადასტურებელი უამრავი სიუჟეტი და სტატია დაიბეჭდა (მათ შორის, „კვირის პალიტრაშიც"), ა.წ. 7 მარტს მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონოდ ტარებისა და ტერიტორიის გაქირავებისათვის, ეს კაცი დღემდე მაინც დირექტორის მოვალეობას ასრულებს. ორი სასამართლო პროცესი მოვიგეთ, მაგრამ ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, ამ წაყრუების პოლიტიკით ყველაფერი ჩანაგდება და ნადგურდება. დირექტორს, თავისი საგამგებლო ჭერი თავზე ექცევა, ეზოში ძროხები და ღორები დარბიან და მაინც სასამართლოებში საჩივლელად და ტერიტორიების გასაქირავებლად იცლის. მეუბნებიან, მოითმინე და ყველაფერი მოგვარდებაო. როდის? რესტავრაციაგაკეთებული ნივთები უპატრონობის გამო ისევ ზიანდება. რევოლუცია რომ მოხდა, ვფიქრობდი, ვარდი ჩვენს სასახლეშიც აყვავდება-მეთქი. სასახლის წინა ეზოში ეკატერინე ჭავჭავაძეს ვარდების ულამაზესი ბაღი ჰქონდა გაშენებული. ვარდებით ჰქონდა დაწერილი ინიციალები თავისი და მეუღლისა — ე.დ. და დ. დ., ახლა იმათგან აღარაფერია დარჩენილი. ვიმედოვნებ, რომ ამ სასახლეს, ბოლოს და ბოლოს, მიხედავენ, თუ არა, სხვა გზა არ დამრჩენია, მეცნიერებათა აკადემიის წინ კიბეზე დავჯდები და შიმშილობას დავიწყებ, ვინძლო დადიანების სასახლეს ყურადღება მიაქციოს ვინმემ და იქაურობა საბოლოოდ არ გაპარტახდეს, თორემ რა აზრი აქვს ლაზეთში ან სხვაგან სიარულს, რა ვუთხრათ უცხოობაში დღემდე ქართველობაშენახულ ჩვენს ძმებს — საქართველოში რაც გვაქვს, იმასაც ვერ ვუვლითო?!

ეს დიდი სირცხვილია.

*ეკა ლომიძე*

# ორი დადა, ცის ანა და დიდი, დიდი სიყვარული...

**ჯემალ სეფიაშვილის** სიმღერები უცებ გაყვარებენ თავს. თითქოს ყოველთვის უსმენდი, თუ არ უსმენდი — გენატრებოდა, თუ არ გენატრებოდა — ღიღინებდი, ესე იგი, შენში იყო. აქ შეგვეძლო დაგვესრულებინა კიდეც წერილი, იმიტომ, რომ ეს ფრაზა თითქმის სრულ ინფორმაციას შეიცავს კომპოზიტორის შესახებ; მაგრამ არ შევჩერდებით, იმიტომ, რომ სულ ახლახან დავიწყეთ და ძალიან გვინდა მისი დანახვა, ვინც ამ მშვენიერი მელოდიების უკან დგას — ბატონი ჯემალ სეფიაშვილი.

**— მოდით, ვისაუბროთ იმ თბილისზე, იმ ქუჩაზე, რომელიც პირველად დაინახეთ, რომელმაც გაგაცნოთ ცხოვრების ავ-კარგი...**

— დავიბადე კლარა ცეტკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, მშობიარობა კი ჩემმა 14 წლის მამიდამ „მიიღო“, — გვითხრა ბატონმა ჯემალმა, — 6 წლის ვიყავი, არაგვისპირელის ქუჩაზე რომ გადავედით, იქვე ახლოს. ყველაზე ტკბილი მოგონებები სწორედ ამ ქუჩებს უკავშირდება. პატარა საერთო ეზო გვქონდა. მგონი, ჩემი სასტუმრო ოთახი უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი ეზო იყო. ყველამ ვიცოდით ერთმანეთის ჭირვარამი. ყოველ საღამოს ეზოში ვიკრიბებოდით... ზოგი მწნილს გამოიტანდა, ზოგი ლობიოს, ზოგიც პურს და ერთ სუფრასთან თავმოყრილები, ბედნიერად ვგრძნობდით თავს. ჩვენთვის არ არსებობდა არც თანამდებობრივი, არც ეროვნული ზღვარი. ქალის მთავარ ღირსებად ოჯახის მოვლა-პატრონობა ითვლებოდა, მამაკაცისა — პატიოსანი შრომა. 26 წლის ვიყავი, იმ უბნიდან რომ წამოვედი. ახლა რომ ვუყურებ, ისეთი ურთიერთობები თითქმის აღარ არსებობს და თუ არსებობს, ალბათ ისევ იმ ძველ უბნებში, სადაც თითქმის ბარაკებში ცხოვრობს ხალხი.

**— რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად იმ წლებიდან?**

— სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ჩვენს უბანში იყო ერთი „ძველი“ ბიჭი, მან მთელი სვანეთის უბანი შემოიარა ფეხით. ყველას ეუბნებოდა: ხედავთ, რა ბიჭი გაიზარდა ჩვენი ჯემალიო? ასეთი სიხარული იცოდნენ ჩემმა მეზობლებმა. სამშობლოს სიყვარულს, იცით, როგორ გამოხატავდნენ? მხოლოდ შესმული ღვინის რაოდენობით კი არა, ჩვენი ეზოს, ქუჩის მოვლით... ქალები გამოდიოდნენ, ალაგებდნენ ყველაფერს... ჩამოივლიდა უსაყვარლესი კაცი, ფოსტალიონი. მძიმე ჩანთას ჩვენს კიბესთან ტოვებდა და აღმართს შეუყვებოდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთით... უბნის ექიმი გვყავდა, გვარად გოზალოვა. შემოვარდებოდა ეზოში და მაშინვე დაიწყებდა ყვირილს, — სეფიაშვილო, ბიულეტენს არ მოგცემო. ვეტყოდი, — მობრძანდით, ჯერ მნახეთ-მეთქი. ჩქარა, დროზე მითხარი, რა გტკივაო, — მკითხავდა. როცა ვახველებ, აქ მტკივა-მეთქი, — შევბედავდი. შენც ნუ დაახველებ მერეო, — იტყოდა და გაიქცეოდა. ბრწყინვალე პროფესიონალი იყო. რა თქმა უნდა, სერიოზული დაავადება არც გამოეპარებოდა და სხვანაირად მკურნალობდა კიდეც...

ჩვენ ხომ ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ჩვენი მეზობლებიც ასე იყვნენ. ყველას თითო ოთახი გვქონდა მიშენებული სამზარეულოთი. თუკი ვინმეს ორი ოთახი ჰქონდა, ესე იგი, ძალიან კარგი მაცხოვრებელი იყო. ის რომ დაინახავდა, ჩვენთან სტუმრები მოდიოდნენ, აუცილებლად გვეტყოდა, — ჩემთან სუფრა გაშლილია, მობრძანდითო. კარი ხომ არასოდეს იკეტებოდა. ზაფხულში ქალაქიდან თუ გაგვიყვანდა დედა, გასაღებს ზღურბლზე, იატაკის ტილოს ქვეშ ტოვებდა, რომ მეზობელს თუ დასჭირდებოდა, შესულიყო... გვყავდა მეეზოვე, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა. ისიც ჩვენი უბნელი ქალი იყო, დილით დაალაგებდა ქუჩას... საღამოს, თუ საჭირო გახდებოდა, ჩვენ ვეხმარებოდით...

მერე დგებოდა მურაბების სეზონი. დაიწყებოდა ქალების შეჯიბრი, ვინ როგორ მურაბას მოხარშავდა. აუცილებლად მიუკითხავდა დედა თითო ქილას მეზობლებს. ისინიც ასევე იქცეოდნენ... ვიცოდით, რომ მურაბა ზამთრის ნუგბარი იყო, მაგრამ ერთხელ მე და ჩემი ძმები შევიპარეთ, ჟოლოს მურაბა ჩუმად შევსანსლეთ. დედა შინ არ იყო. დავწექით დასაძინებლად. სამივეს არანორმალურად გვდიოდა ოფლი... დედამ — რა დაგემართათ, ცუდად ხართო? მერე გვკითხა: — მურაბა ხომ არ ჭამეთო? რომ გამოვტყდით, სამივე დაგვტუქსა... საერთოდ, დედის ხელი ხშირად გვხვდებოდა. ასე იცოდა — ერთი რომ დავაშავებდით, სამივეს მოგვხვდებოდა ხოლმე.

**— თქვენ უფროსი ბრძანდებით?**

— დიახ, ჩემზე სამი წლით უმცროსია მერაბი, რომელიც 26 წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. უმცროსი ძმა, ბობო, 12 წლის წინ ამერიკაში გარდაიცვალა.

**— ძალიან გაგიჭირდებოდათ მას შემდეგ, რაც ძმები ამერიკაში წავიდნენ...**

— 1979 წელს წავიდნენ ამერიკაში მამაჩემი, ჩემი ძმები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბიძები, მამიდები. მე და დედა დავრჩით, დღესაც ვდარდობ, რომ ჩემს ოჯახში ჩემი სისხლისმიერი ნათესავი (ძმა, ძმისშვილები) არ შემოდის. დღესაც კი დიდი წვალებაა საჭირო, რომ ჩავიდე და ისინი ვნახო. არაერთხელ ვარ ამერიკაში ნამყოფი, მაგრამ იყო დრო, როცა მიმოსვლასა და ტელეფონით დალაპარაკებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ათი წელი გავიდა ისე, რომ ერთმანეთის ხმა არ გაგვიგონია. ჩვენ 1979 წელს სამუდამოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. დედაჩემი 1985 წელს უეცრად გარდაიცვალა, ხელში შვილების სურათები ეჭირა. შემდეგ... საზღვრები რომ გაიხსნა, პირველად ჩავფრინდი ამერიკაში. მას შემდეგ ჩემთვის არ არსებობს ქვეყანა, სადაც შეიძლება წავიდე სამოგზაუროდ. არსებობს ერთადერთი ქალაქი — ნიუ-იორკი, სადაც ჩავდივარ, იქ მამის და ძმის საფლავები მეგულება და უახლოესი ადამიანები მელიან.



**— ვაჟკაცობაა, რომ შეძელით თქვენი სიყვარულის ერთგულება და თბილისში დარჩენა.**

— მე ვიცოდი, რატომ ვრჩებოდი. ისიც ვიცი, რა არის ემიგრანტის ცხოვრება. ამას ვერ გავუძლებდი. ჩემი უმცროსი ძმა სწორედ ნოსტალგიამ მოინელა. მერაბი უკვე ამერიკელია, მისი შვილები უფრო ამერიკელები არიან, მაგრამ ემიგრაციას თავისი ვერაგი კანონები აქვს. ფესვებს ადამიანი ვერ მოიკვეთს. ამასთან დაკავშირებით რისი თქმაც მინდოდა, ბევრი რამ ჩემი სიმღერებით გითხარით...

**— მუსიკალური განათლება ბავშვობაშივე მიიღეთ?**

— 37-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ერთხელ წავიკითხე განცხადება, რომ იხსნებოდა მუსიკალური წრე, დავდექი რიგში და ჩავირიცხე: I კლასიდან III-ში გადამიყვანეს, მესამიდან — V-ში. გამოვდიოდი კონკურსებზე, ოლიმპიადებზე, არაერთხელ დამაჯილდოეს ოქროს მედლით. მერე მირჩიეს, მუსიკალურ სკოლაში გადავსულიყავი. გადავედი კიდეც VI მუსიკალურ სკოლაში, დირექტორი იყო ქალბატონი ნათელა ფოცხვერაშვილი. იქაც ასეთი ტემპით გავაგრძელე სწავლა. V კლასიდან VII-ში გადამიყვანეს და უცებ თავი დავანებე.

**— რატომ?**

— არ მახსოვს, დამეზარა თუ ვინმემ მითხრა რამე... მახსოვს, ქალბატონი ნათელა მოვიდა, დედას ეხვეწებოდა, — ნუ დაანებებინებთ თავსო, მაგრამ არაფერმა გაჭრა...

**— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში როგორ მოხვდით?**

— როგორც მედალოსანს, ორი გამოცდის ჩაბარება მომიხდა. მეორე გამოცდის ნიშანი ღამის ორ საათზე გამოგვიცხადეს. ისევ ფრიადი მივიღე. ჩავირიცხე კიდეც გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. გახარებული ფეხით წავედი საბურთალოდან სვანეთის უბნამდე. ეზოში რომ შევედი, დავიძახე: — დედა, მომილოცე, სტუდენტი ვარ-მეთქი. დედა აივანზე გამოვიდა: — რა გაყვირებს, ხალხს სძინავს, ხვალ დილაუთენია სამსახურში უნდა წავიდნენო. რომ მივუახლოვდი, თვალზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა. ასე გვზრდიდა დედა, თავშეკავებულად, მკაცრად. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სოსო ტუღუშის ორკესტრთან ვთანამშრომლობდი. ოლიმპიადებზე თითქმის ყოველთვის ვიმარჯვებდით. მერე დაუსწრებელზე გადავედი... აუცილებლად უნდა მემუშავა. დავიწყე კიდეც ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში ზეინკლად მუშაობა.

**— არ გაგიჭირდათ?**

— არა... მუშაობა რატომ უნდა გამჭირვებოდა? დღესაც ასე ვარ, უსაქმოდ ვერ დამინახავთ. მერე დამაწინაურეს, ინჟინერი გავხდი, სწორედ ამ ფარმაცევტულ ქარხანაში მუშაობისას გავხდი ანსამბლ „მელოდიის“ წევრი, აქ დაიწერა ჩემი პირველი სიმღერა „სიყვარულის სანთლები“.

**— არც კონსერვატორიაში გამოცდების ჩაბარება გაგჭირვებიათ?**

— წამებით მოვიპოვე ნიშნები... მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, ბედნიერი ვარ, რომ იქ ვისწავლე. ამბობდნენ ხოლმე: ეს არაპროფესიონალია, მაგისი სიმღერების რადიოთი გადაცემა არ შეიძლებაო. ორი ჩემი სიმღერა აკრძალეს კიდეც. გადავწყვიტე, კონსერვატორიაში ჩამებარებინა გამოცდები. იმ დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა დამთავრებული მქონდა, ორი ალბომი — გამოშვებული. კომკავშირის პრემიაც მქონდა მიღებული. მაშინდელმა კომკავშირის ცკ-ის მდივანმა, ჟიული შარტავამ, შუბლით გაიტანა ეს საკითხი. კომპოზიციაში შესანიშნავი პედაგოგი მყავდა — ალექსანდრე შავერზაშვილი. ლატავრა პატარიძემ და ლიანა გორდელაძემ 6 თვეში შემასწავლეს მუსიკალური სკოლის კურსი სოლფეჯიოსა და ჰარმონიაში. თვითონაც გაოცებულები იყვნენ — ერთ კვირაში თითქმის ერთი წლის პროგრამას გავდივართო. მერე დაასკვნეს: ეს მათემატიკოსია და სხვანაირად აზროვნებსო.

**— გიყვართ მათემატიკა?**

— ძალიან, ნებისმიერ ამოცანას ამოგიხსნით.

**— გენატრებათ ამოცანების ამოხსნა?**

— არ მენატრება. ჩემს შვილს ხომ ვასწავლიდი, შვილიშვილს ხომ ვასწავლი... მეზობლებიც ხშირად მაკითხავენ, შემოდიან წიგნით ხელში: ჯემალ ბიძია, დაგვეხმარეო! ზოგი IX-X კლასელია.

**— სანოტო რვეულით თუ შემოდიან თქვენთან?**

— არა... დღეს ბავშვებს აქვთ სანოტო რვეული? მოსასმენად კი ხშირად შემოდიან.

**— თქვენი როიალი როგორ მდგომარეობაშია? მსმენია, ზოგი კომპოზიტორის ემოციები ინსტრუმენტს საკმაოდ აზიანებსო.**

— არა, მე ყველაფრის მოვლა მიყვარს, რაც ჩემ ირგვლივაა. ჩემი როიალი ყოველთვის გაწკიპინებული და ლამაზია. მაქვს სინთეზატორი, ისიც მოწესრიგებულია. ჩემს ნივთებს ჩემი ოჯახის წევრები არ ეხებიან. არ დამავიწყდება: დიდი ხნის წინ შევიძინე ძალიან კარგი აუდიოსისტემა „ვეგა“. ჰქონდა ფირფიტების საკრავი. ელა ფიცჯერალდის ფირფიტა მოვიტანე და მოსმენა დავაპირე, არ უკრავს... მეუღლეს ვკითხე: — ამისთვის ხელი ხომ არ გიხლია-მეთქი? მხოლოდ მტვერი გადავწმინდეო. ჩვარს ნემსიც გააყოლა თურმე. იმ დღის შემდეგ აღარაფერს ეკარებიან...

**— ესე იგი, თქვენს როიალს არავინ ეკარება...**

— მე, ჩემი მეგობრები და ჩემი შვილიშვილი — უკრავს. მან პირველი სიტყვა „დადა“ თქვა და მე დამიძახა. ჩაწერილიც მაქვს ვიდეოკასეტაზე. რომ წამოიზარდა, თავის თავსაც დადა დაარქვა. ასე ვართ ორი დადა. პატარა კატოც ორივეს დადას გვეძახის.

**— პატარა დადა ჰგავს უფროს დადას?**

— ჰგავს. მთავარია, რომ გიორგი ბეჯითი ბიჭია და მოვალეობის შეგრძნება აქვს. ამას წინათ ღამით, თორმეტის ნახევარზე, დამიძახა: — ინგლისურის მომზადება დამავიწყდა და რა ვქნაო...

**— ინგლისურიც იცით?**

— აბა, რა, მე ხომ ყველაფერი უნდა ვიცოდე. უნდა ნახოთ, როგორ ვაწესრიგებ ყველაფერს. ისიც უნდა ნახოთ, როგორ მაქვს დალაგებული ჩემი არქივი. მე არასოდეს ვეძებ პასპორტს. ცისანა, მაგალითად, სულ ეძებს პასპორტს. მე ყველა ანკეტა, ქვითარი შენახული მაქვს.

**— ოჯახში არ ეწყინებათ, რომ ამბობთ, ყველაფერს მე ვუძღვებიო?**

— რატომ ეწყინებათ? მათ ხომ თავისი საქმე აქვთ.

**— არ იღლებით?**

— არა. ვერ მნახავთ ტახტზე წამოწოლილს, ტელევიზორთან დამჯდარს. საქმეს სულ ვეძებ. ვინც ეძებს, ის პოულობს. ერთსა და იმავე საქმეს არ ვაკეთებ, ამიტომ არც ვიღლები. მნახავთ ჩაქუჩით, ხელსაწყოებით. სარეცხის მანქანას ვერ გავაკეთებ, მაგრამ წვრილმანებს — კი ბატონო. ქალს შინ უამრავი საქმე აქვს. ახლა ჩაქუჩითაც იმან ირბინოს?

**— ყოველთვის ასე ფიქრობდით თუ ახლა, როცა უკვე ბაბუა ბრძანდებით, მიხვედით ამ დასკვნამდე?**

— დედამ გაგვზარდა ასე. უპირველესად, საკუთარ თავს უნდა მოსთხოვო. ადამიანი რომ იბადება, მასში მხატვარიც არის, კომპოზიტორიც, მათემატიკოსიც... მთავარია, რა გაიღვიძებს. ადამიანები ზარმაცები ვართ... მაგრამ არ უნდა ავყვეთ სიზარმაცეს. მშობლებზეც ბევრია დამოკიდებული. პაგანინის დღეში თორმეტჯერ ჯოხით სცემდა მამა. მე რომ მეცოდება პაგანინი, მამამისს არ შეეცოდებოდა? მაგრამ ასე იყო საჭირო.

**— ისე მიამბობთ პაგანინის ამბებს, თითქოს თქვენც მრისხანე მამა იყოთ...**

— არა, მე ვერ ვიყავი მკაცრი მამა და ძალიან ვდარდობ. ცისანა უნიჭიერესი გოგოა, მაგრამ ზარმაცობს. სულ ვედუდღუნები ამის გამო, მაგრამ რა ვქნა. ცისანა — ცის ანაა და როგორ გავუბრაზდე? ერთხელ რომ გავუბრაზდე, ხუთჯერ ვიდარდებ და ვინანებ. აი, გიორგი ბიჭია. მამაკაცია...

**— და თქვენ მკაცრი „დადა“ ხართ?**

— არა... სამწუხაროდ, არც დადა ვარ მკაცრი.

**— თქვენი პროფესიის გარდა, კიდევ რა გიყვართ?**

— ძალიან მიყვარს ფერწერა, თეატრი, მიყვარს ტექნიკა. ინსტრუქციას აუცილებლად ბოლომდე ვკითხულობ. აბა, დადა, წავიკითხოთო, მეტყვის პატარა დადა და ვკითხულობთ. მანაც ისევე იცის ყველაფერი, როგორც მე. ჩემი ოჯახის ქალებმა კი, შეიძლება ვიდეო ვერ ჩართონ. ან მე მეძახიან, ან დადას.

**— ცხოვრება სიხარულისა და ტკივილის მონაცვლეობაა. ვინ იცის, რამდენი წუხილი გახსოვთ...**

— ერთი ამბავი მახსენებს თავს: ბებიაჩემი ვერა დარბაისელი ქალი იყო. ცისანა მყავდა პატარა, ეზოში შევედი. ბებია შემომეგება. შემოგევლე, ერთი ჩამახუტეო, — გამოიწია ბავშვისკენ. დაიცა, ბებო, ბავშვი არ გამივარდეს-მეთქი, — ვუთხარი... ისე მოხდა, რომ ორ-სამ კვირაში ბებია მოულოდნელად გარდაიცვალა. დღემდე ვერ მომინელებია, რომ ცისანაზე ვუთხარი, დაიცა, არ გამივარდეს-მეთქი და იმწუთას არ მივაწოდე ხელში... მახსოვს, II კურსზე ვიყავი, ლაზარევკაში ვისვენებდით. დეპეშა მოგვივიდა — კლასელი გარდაიცვალაო. გაოგნებულები ვიყავით, მაშინ ახალგაზრდა რომ გარდაიცვლებოდა, მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ბოლო დროს შევეჩვიეთ ასეთ უბედურებებს. ასაკი რომ გემატება, ხვდები, სიკვდილი თურმე არაფერი ყოფილა, მისი არ უნდა შეგეშინდეს... არ ვიცი, რა არის სიკვდილი სინამდვილეში. მაგრამ კლინიკური სიკვდილი კი განვიცადე 1994 წელს — ალერგიული შოკი დამემართა. მაშინ ჩემთან იყვნენ ავთო ჩხიკვიშვილი, საშა იაშვილი, მაგული გორდელაძე... ცუდად გავხდი და დავვარდი. ბნელ გვირაბში გავედი და ჩემი ძმა დავინახე, წინ დამხვდა და ორივე ხელით მანიშნა, — წადიო... თავს ძალიან მსუბუქად, სრულ ნეტარებაში ვგრძნობდი. მერე ნელ-ნელა დავმძიმდი და ყვირილი შემომესმა: — გვიშველეთ, ჯემალი მოკვდაო. გონს რომ მოვედი, დავინახე — ავთო ჩხიკვიშვილს თავი გატეხილი ჰქონდა, კედელზე მიურტყამს... აქ რა მინდოდა-მეთქი, — ვიკითხე. თქვენ არ იცით, რა კარგი იყო იქ. უბრალოდ, არ მინდა ისე წავიდე, რომ ბევრი დამრჩეს გასაკეთებელი. მაინც ერთს დავამატებ, ჩემი უზომო სიცოცხლის სიყვარულია ყველაფრის საფუძველთ საფუძველი. დანარჩენი — სიმღერებში იკითხება...

**ლელა ჯიყაშვილი**



# გამარჯობა, „კვირის პალიტრა"!..

**ასე იწყება მკითხველთა წერილების უმეტესობა, რომლებიც თავიანთ გაზეთში (ასე უწოდებენ ისინი „კვირის პალიტრას") ხედავენ თანამდგომსა და გულშემატკივარს. გვიგზავნიან შეკითხვებსა და წინადადებებს, ლექსებსა და მოთხრობებს, კურიოზებსა და ანეკდოტებს, საინტერესო მოსაზრებებს; ზოგიც უბრალოდ, თავის ამბავს გვიყვება გულწრფელად, ახლობელივით... ყველა წერილს ერთი სურვილი გასდევს — იმეგობრონ „კვირის პალიტრასთან". კვლავინდებურად ელოდონ ახალ ნომერს, რომელიც მათ „ქვეყნის ამბებსაც მოუყვება" და მათ წერილებსაც უპასუხებს...**



**თუმცა, როგორც მიმოხილვიდანაც შეიტყობთ, წერილების უმეტესობა სადღეისო პრობლემებითაა გაჯერებული, იმ პრობლემებით, რომელთაც გაზეთი და მკითხველი (და არა მარტო ისინი!) ერთად უნდა შეეჭიდონ...**

## ბერძნების მოახლეებად ქცეული ბებიებისა და დედების სახელით...

*ასე იწერება ათენიდან ცისანა ბუზალაძე-ლაცაბიძისა და იმედს გამოთქვამს, რომ ახალი პრეზიდენტი და ახალი მთავრობა მაინც შეძლებენ უამრავი ადამიანის სამშობლოში დაბრუნებას, იმ ადამიანებისა, „რომლებიც უპატრონო ცხვრის ფარასავით არიან გაფანტულნი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში".*

*ქალბატონი ცისანა იმ ახალგაზრდებზე წუხს, მცირეწლოვანი შვილებით უკვე უცხო ქვეყნების მოქალაქეებად რომ ქცეულან, რომ ის პატარები „დედაენის" გარეშე გაიზრდებიან... თავისი ქვეყნის მდიდარი კულტურა და ტრადიციები ზერელედ ან სულაც არ ეცოდინებათ და ასე დაიკარგება ათიათასობით ქართველი...*

„მე სამშობლოში ჩემი მეუღლის საფლავის გვერდით მოზომილი მიწა, ჩემი შვილების და შვილიშვილების სიყვარული დამაბრუნებს (რამდენია ჩემისთანა, ვინ დათვლის), ვითხოვ მხოლოდ ახალგაზრდების დაბრუნებას... ნუ გავიმეტებთ შვილებს სხვის მოახლეებად!.." — *არ შეიძლება მშვიდად წაიკითხო ეს სტრიქონები, რადგანაც ზოგჯერ საკუთარ თავსაც კი გვინდა დავუმალოთ ძალზე შემაშფოთებელი რეალობა — 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით 1989 წლის აღწერასთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 857,6 ათასი კაცით შემცირდა (ანუ 15,8 %-ით). ეს, რაც დოკუმენტურადაა აღრიცხული, მაგრამ რამდენი ადამიანია საქართველოში ჩაწერილი და საზღვარგარეთ წასული (ყალბი პასპორტებით ან სულაც უპასპორტოდ!). არალეგალური მიგრაციის (და საერთოდ მიგრაციის!) პრობლემით ალბათ ახლა მაინც დაინტერესდებიან სერიოზულად კომპეტენტური სამთავრობო ორგანოები.*

## ნოსტალგია

*რუბრიკას „მკითხველის ფოსტა" ხშირად ეხმაურებიან. ამჯერად ქუთაისელ მზია ჟორჟოლიანს წარმოგიდგენთ:* „წავიკითხე ათენში მომუშავე ქალბატონის წერილი და ამჟამად უცხოეთში მყოფი ყველა ჩემი ახლობლის ტკივილმა შემახსენა თავი. ამ ცოტა ხნის წინ ჩემს მეგობარს ათენში გავუგზავნე მოთხრობა, რომელშიც ნოსტალგიამოძალებული ემიგრანტების გულისთქმა ჩავტიე. პასუხად დამირეკა და მითხრა, ვისაც კი ქართველს მივწვდი აქ, ეს მოთხრობა ყველას წავაკითხე. იქნებ „კვირის პალიტრაში" გამოაქვეყნო, რომ ყველამ წაიკითხოსო". *რედაქცია სიამოვნებით გთავაზობთ ამონარიდს ამ მოთხრობიდან:*



***„...შენგან შორსა ვარ, ძალიან შორს, მაინც ვერ გელევი! თილისმასავით ვინახავ შენზე მოგონებებს... მერე კი ისევ გსაყვედურობ გამეტებისთვის.***

***მენატრები...***

***მიწიდან ძირფესვიანად ამოღებული იები კარგა ხანს ვაცოცხლე. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გაძლეს, ვერ შეეგუენ უცხო მიწას, უცხო გარემოს... მე კი ვცდილობ შევეგუო, მაგრამ მეც „ჭკნობა მეპარება" იმ იებივით, უსამშობლოდ რომ ვერ გაძლეს...***

***სიზმარშიც შენკენ მოვდივარ, ჩემო საქართველო, მე ხომ შენთან დავტოვე ყველაზე ძვირფასი, ყველაზე თბილი, ყველაზე ლამაზი... ის, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია"...***

*ვერაფერს დაამატებ. ბევრს შეიძლება სენტიმენტალურადაც მოეჩვენოს ეს სტრიქონები, მაგრამ ეს ხომ დღევანდელი რეალობაა, რომელსაც ვერსაც გაექცევი...*

## კანონი, რომელიც ქვეყანას... ძარცვავს

„გამაგებინეთ ერთი, ვინ დაამტკიცა კანონი საქართველოდან შავი და ფერადი ლითონის ჯართის გატანის შესახებ. აღდგომის მეორე დღეს მამაჩემის საფლავზე მისულს გული ლამის წამივიდა. მისი საფლავიც გაძარცული დამხვდა და ახლომახლო თითქმის ყველა საფლავიდანაც რაღაც იყო წაღებული..." — *გვწერს ერთი მკითხველი, რომლის გვარს და სოფელს არ ვასახელებ, რადგან ასეთი ფაქტი ერთეული როდია. ჯერ რკინის ღობეები აიღეს, მერე რკინის ჭიშკრები, სპილენძისა და თითბრის ქვაბ-ჭურჭელი გაიტანეს თავისი და მეზობლების სახლებიდან, ახლა საფლავებს მიადგნენ... არყის სახდელ ძველებურ სპილენძის ქვაბს რომ დაჭრი, ან ბებიის ნამზითვ დალესტნურ თუნგსა და თასებს კაპიკებად რომ ჩააბარებ ჯართის მიმღებ პუნქტს, ან შენ ვერა ხარ მთლად კარგად, ან ისეთ ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც კანონებზე ცოტა არ იყოს, მწყრალად არიან... უფრო მეტსაც გეტყვით, არაერთი ქარხნის აღჭურვილობა დაჭრეს და თურქეთში ჯართად გაიტანეს, სატელეფონო ხაზები და ელექტროკაბელები გაძარცვ-გაანადგურეს... ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯართის მიმღები პუნქტია. მიდიან და მიდიან ტრასებზე ჯართით დატვირთული უცხოური სატვირთო მანქანები...*

*ჩალის ფასად პრივატიზებული ფაბრიკა-ქარხნები დაჭრილ-გაძარცულია. გიგანტური საწარმოო ხაზებიდან მხოლოდ ჩონჩხია დარჩენილი... როგორ ფიქრობთ, სად გაქრა ყველაფერი, — საზღვარგარეთ გაიყიდა... ჯართად!*

*ჰოდა, სანამ ჯერ კიდევ დარჩენილა რაიმე „განუჯართებელი", იქნებ ყურად იღონ კანონმდებლებმა ეს საყოველთაო პრობლემა და გააუქმონ კანონი საზღვრების გარეთ შავი და ფერადი ლითონის ჯართის გატანის შესახებ.*

## სიმინდი წელიწადში ერთხელ მოდის!..

*სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან თხოვნით მოგვმართავს დარეჯან ქირია. იგი სოფელში ცხოვრობს მეუღლესთან და შვილთან ერთად. ადრე თავს როგორღაც ირჩენდნენ, მაგრამ ახლა 12 წელია, უმუშევრები არიან. ერთადერთი შემოსავალი სიმინდია. ყიდიან თავიანთ მოწეულ სიმინდს და ყიდულობენ ოჯახისთვის სასიცოცხლო პირველადი მოხმარების პროდუქტს.*

„მაგრამ ეს ოხერი სიმინდი, წელიწადში ერთხელ მოდის! რამდენს გაუძლოს სიმინდმა და რამდენს გავუძლოთ ჩვენ?" — *ამ სიტყვებიდან დიდი ადამიანური სატკივარი იკითხება, რომელიც ქართულ სოფელს კარგა ხანია ჟამივით შემოეჩვია.*

— კიდევ როგორღაც გაგვქონდა თავი, მაგრამ ოპერაცია დამჭირდა და ყველაფერი გავყიდეთო, — *დასძენს ქალბატონი დარეჯანი (აქ თავს კიდევ ერთი პრობლემა იჩენს — არაფრისმქონე ადამიანებს კატასტროფულად დიდ თანხებს სთხოვენ მკურნალობისთვის, რისთვისაც ზოგჯერ სახლ-კარის გაყიდვაც უწევთ!) და წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება, თავის კუთვნილ გაყინულ ხელფასს ითხოვს.*

*გვინდა ხმა მივაწვდინოთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფოთის საზღვაო ძალებს, საიდანაც დარეჯან ქირიას ასაღები აქვს 1998-1999-2000 წლების ხელფასი. იქნებ დაეხმარონ თავიანთ ყოფილ თანამშრომელს, ის ხომ მხოლოდ თავის კუთვნილ ხელფასს ითხოვს...*

## ანაკლიაში გვეპატიჟებიან

*მოსწავლეები ხატია აფხაზავა, თორნიკე სვანიძე და ეკა წურწუმია ანაკლიიდან გვიგზავნიან ბარათს.*

— თქვენი დიდი გულშემატკივრები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ რაიონული ცენტრიდან შორს ვცხოვრობთ და ყოველთვის ვერ ვყიდულობთ გაზეთს. კიდევ კარგი, ჩვენს უბანში ერთ ოჯახს ყოველკვირეულად ჩამოაქვს ზუგდიდიდან „კვირის პალიტრის" ახალი ნომერი, რომელსაც მორიგეობით მთელი თხუთმეტი ოჯახი კითხულობს... — *გვწერენ მოსწავლეები და თხოვნითაც მოგვმართავენ, იქნებ ვინმეს გააგებინოთ და მოგვხედონ: გზა არა გვაქვს, ოჯახებს მაინც აყაჩაღებენ, დენი ბოლოს ორი კვირის წინ გვქონდა ორიოდე საათით... ყველა პრობლემას ვერც ჩამოვთვლითო...*

*მაგრამ ახალგაზრდები ოპტიმიზმს მაინც არ კარგავენ, თანაც, ანაკლიაში გვეპატიჟებიან. ხომ იცით, ზაფხულში ზღვას არაფერი ჯობია, ჰოდა, ვისაც დასვენება გინდათ, ჩვენთან ჩამოდით. „სამეგრელოს" ეროვნულ პარკს დაგათვალიერებინებთ და სასიამოვნო დროსაც გაგატარებინებთო...*

## ნუ ენდობით თაღლითებს

*რუსთაველი მ. მესხი თაღლითის მსხვერპლი გამხდარა. მის ამბავს სრულად მოგითხრობთ, მსგავს სიტუაციაში მოხვედრისას ისე მკაცრად რომ არ დაისაჯოთ, როგორც ჩვენი მკითხველი.*

„იმდენად იმედგაცრუებული ვარ, რომ არ ვიცი, საიდან დავიწყო. — *გვწერს მ. მესხი,* — ამ გაჭირვების დროს, სამუშაო რომ ვერსად ვიშოვე, ოჯახისა და შვილების გადასარჩენად გადავწყვიტე საზღვარგარეთ წასვლა. ამერიკის საელჩოდან უარით რომ გამომისტუმრეს, სხვა გზას დავუწყე ძებნა და „ვიპოვე" კიდეც. ახლობელმა თბილისში მცხოვრებ ხ. ფ.-სთან გამგზავნა. იმან კიდევ მ. ჯ.-სთან, ეგ აგზავნის ხალხს ამერიკაში სამუშაოდო. ვენდე, მივუტანე პასპორტი და 8.000 დოლარი(!), ნასესხები ფული. თავი რომ დამეზღვია, სესხება ნოტარიუსით გაფორმდა...

მას აქეთ ორი წელი გავიდა. ვერც ამერიკაში წავედი სამუშაოდ და ვერც ჩემი გასესხებული ფული დავიბრუნე, ვერც კანონით და ვერც უკანონოდ!

ვის არ მივმართე, მაგრამ უშედეგოდ. მ. ჯ.-ს თავის სახელზე თბილისში არაფერი აქვს გაფორმებული (არადა ბინაც აქვს და მანქანაც!). სხვის ქონებას ხომ ვერ გაუყიდიან. როგორც მითხრეს, არც 8.000 დოლარის გულისთვის ჩასვამენ ციხეში(!).

მირჩიეთ რა გავაკეთო..."

*გთავაზობთ ადვოკატის კომენტარს:*

„თქვენმა მკითხველმა სასარჩელო განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს. წარადგინოს დოკუმენტები სესხის ნოტარიულად გაფორმების შესახებ. გამოიყოფა საექსპერტო ჯგუფი, ჩატარდება სათანადო მოკვლევა და როგორც მომჩივანის წერილიდან ჩანს, მოქალაქე მ. ჯ. მრავალი მუხლით იქნება გასამართლებული".

## „ტოლით" მაინც დამეხმარეთ...

*თამაზ მამესწარაშვილმა საყვედური გვაახლა „კვირის პალიტრაში", ლექსებს არ მიბეჭდავთო. საყვედურს ერთი თხოვნაც მოაყოლა, ვაზისუბანში ვცხოვრობ, მე-9 სართულზე. სახურავიდან წყალი ჩამომდის და ამის გამო მეზობელთან ხშირი კონფლიქტი მაქვს და იქნებ მიშველოთ, ვის მივმართო, „ტოლით" მაინც რომ დამეხმაროსო.*

*გამგეობას უნდა მიმართოთ, ბატონო თამაზ, ან კიდევ მერიის შესაბამის განყოფილებას. ჩვენ კი ამჯერად „ნავსს გავტეხთ" და მკითხველს შევთავაზებთ იმ სტროფს, რომელიც საყვედურ-სათხოვართან ერთად მოიტანეთ რედაქციაში:*

*სამწუხაროდ, არ მიბეჭდავს*
*ლექსებს „კვირის პალიტრა",*
*ვერ ეტევა მის ფურცლებზე*
*ჩემი სიტყვის „კალიბრა",*
*რა უსტარი არ ვუგზავნე,*
*ვინც გაიგო, გაკვირდა,*
*გულნატკენი და ნაწყენი*
*კვლავ ვკითხულობ „პალიტრას".*

## ზოგი ასე უბერავს...

*კამპანიამ საქართველოს ახალი სახელმწიფო ჰიმნის ტექსტისა და მუსიკის შერჩევის შესახებ მკითხველებიც „აიყოლია". ბევრი მათგანი თავის მოსაზრებას გვთავაზობს. თავს არ შეგაწყენთ ყველას ჩამოთვლისგან, უბრალოდ, ერთი, ჩვენი აზრით, „ორიგინალური" წინადადება გვინდა წარმოგიდგინოთ:*

„კიდევ ერთხელ გთხოვთ მოისმინოთ ერთი მელოდია, — *გვწერს ბატონი თ. კ.,* — რომელიც ზუსტად აკმაყოფილებს ჰიმნის ყველა მოთხოვნას. იგი იქნება ყველასათვის ადვილად სამღერი, „მარსელიოზას" დონის პოპულარული ჰიმნი. გთხოვთ, ჰიმნის ჟღერადობით შეასრულოთ ცნობილი მელოდია „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი..." კინოფილმიდან „ქეთო და კოტე". თუნდაც გადაამუშავეთ და ისე მოასმენინეთ კომისიას და პრეზიდენტს..."

*...ხომ იცით, ზოგი ასე უბერავს, ზოგი კიდევ ისე... თუმცა, ეს ლირიკული სიმღერა კლიპმეიკერებმა მშვენივრად მოარგეს სარეკლამო კლიპს, რომელშიც პატარა მომღერალი ზუკა ხუციშვილი არაჩვეულებრივად თამაშობს შეყვარებული ბიჭის როლს.*

*სიმღერა ამ კლიპს კი „მოერგო", მაგრამ ჰიმნისა რა მოგახსენოთ... თანაც, ახალი ჰიმნის ტექსტი და მუსიკა უკვე არჩეულია.*

## დაგვიანებული წერილი გოდერძი ჩოხელს

*გთავაზობთ ქარელელი ჟურნალისტის, იუმორისტული გვერდის „სა-დღე-გრძელოს" ერთ-ერთი ავტორის, შოთა ქელეხსაშვილის ღია წერილს, რომლითაც იგი მწერალ გოდერძი ჩოხელს მიმართავს:*

„ჩემო გოდერძი, გულმა მაინც ვერ გამიძლო და გწერ. ვინც შენ ახლოს გიცნობს, შენი ფაქიზი და ამასთან გოროზი ბუნება იცის, ვერ დაიჯერებს მაგ წამიერ სისუსტეს. მაგრამ ვაგლახია წუთისოფელი, თანაც დღევანდელი... ჩვენ



**ჟურნალისტი შოთა ქელეხსაშვილი გოდერძი ჩოხელთან ერთად**

ხომ ხშირად ვიყავით ერთად ბიჭვინთის ტრადიციულ ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარებზე. საათობით ვსაუბრობდით. შენ გუდამაყრის მშვენიერებაზე, მე — ქარელის „ყინცვისსა" და ორთუბანზე... ერთმანეთს ვეპატიჟებოდით, ნათლიობაც გადავწყვიტეთ...

მიხაროდა, როცა შენს ფილმებს უჩვენებდნენ. მახსოვს, როგორ გეამაყებოდა, „მსახიობი" დედა მყავსო, შენს „ბაკურხეველ ხევსურში" შავ ნინას როლის შემსრულებლად რომ „გაიმეტე"...

მერე კი, როცა მორიგ ბიჭვინთურ სემინარებზე გასამგზავრებლად ვემზადებოდით, წასვლის წინადღეს ჟურნალისტთა კავშირში მისულთ გამოგვიცხადეს, რომ აფხაზეთში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო სემინარი გაურკვეველი ვადით გადაიდო...

მას შემდეგ ჩვენი შეხვედრა ველარ მოხერხდა, მაგრამ მეგობრობა გაგრძელდა, რადგან შენი ყოველი ახალი ფილმის ნახვისას თუ ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისას ამაყად ვამბობდი: — ეს ჩემი მეგობარია, გოდერძი ჩოხელი! და თუ შესაძლებლობა მომეცემოდა, საგულდაგულოდ შენახული ერთად გადაღებული ფოტოებითაც ვიწონებდი თავს (ერთ-ერთ ფოტოს, ბიჭვინთაში გადაღებულს, რედაქციაშიც ვაგზავნი).

...მაინც იმედი მაქვს, რომ გოდერძი ჩოხელი კვლავაც შეეჭიდება სიტყვისა და ლექსის მუზას („კვირის პალიტრამ" ხომ მისი არაჩვეულებრივი პოეზიითაც გაგვანებივრა)".

*ჩვენი მხრივ, გვინდა ბატონ შოთას და ჩვენს უამრავ მკითხველს სიურპრიზი მოვუწყოთ და ბატონი გოდერძი ჩოხელის სურვილისამებრ მისი ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი შემოგთავაზოთ:*



**კიდევ ერთხელ თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილეთ სარედაქციო ფოსტა, რომელიც ყოველდღე ივსება მკითხველთა ახალი წერილებით. ამ წერილებს რედაქცია არასოდეს დატოვებს უყურადღებოდ...**

***ელენე სალარიძე***

CMYK

# სკანვორდი ფრაგმენტებით





1. ფრანგული წარმოშობის რუსი იუველირი
2. წიგნი, რომელიც დიდი ტირაჟით იყიდება
3. მშობელი
4. სენკევიჩი იყო ამ ნავზე
5. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში
6. [illegible]
7. ნეგროიდი
8. ნოტი
9. უტოტო ხე
10. ისტორიული პრილიანტი
11. შოკოლადის — პასტა
12. „... მეჯ“ [illegible]
13. ტიბეტელი მღვდელი
14. ხასიათი, ზნე
15. ქართული სამარკო ღვინო
16. გიორგი გაჩეჩილაძის სცენური სახე
17. სახელურიანი ბინოკლი
18. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში
19. ამერიკელი მსახიობის სარანდონის სახელი
20. ქალაქი იტალიაში
21. „ქალი კამელიებით“ — რ. ტეილორი და გ...
22. ... ხრუშჩოვი
23. რუნი თამაშობს ამ გუნდში
24. მარია კალასის როლში — ... არდანი
25. ა. ტოლსტოის ფანტასტ. რომანი
26. კურორტი დიდი სოჭის შემადგენლობაში
27. ქართული ვალუტა
28. წილი საერთო საქმეში
29. ჩასათვლელი მოედანი კეტბურთში
30. ლობიოს „ნამცხვარი“
31. მტაცებელი ცხოველი
32. დონ ჟუანის მოსამსახურე
33. ვნებიანობა
34. ერთი ხელი ნარდში თამაშისას
35. მედეას მამა
36. სინატრასა და ალენის ყოფ. ცოლი ... ფეროუ
37. თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა
38. ლეონარდოს ნახატი „მადონა ...“
39. [illegible]
40. „ჩელსის“ ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი
41. ბატონი (თურქულ-სპარსულად)
42. სერაპიონის მიერ დაარსებული მონასტერი
43. XV საუკუნის იტალიელი ფერმწერი
44. გადასვლა, რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრა
45. ოფიცრის პირველი წოდ. კაზაკთა რაზმში
46. რასაც გულადი მტერს არ შეაქცევს
47. ამერიკელი კინომსახიობი
48. მინერალური ლურჯი საღებავი
49. იტალიის ტელეკომპანია
50. სახელმწიფო აზიაში
51. ზღაპრული ცხენი
52. ინგლისის ახალი ჩემპიონი ფეხბურთში
53. გერმანელი ფეხბურთის ლეგენდა ... ზეელერი
54. ძაღლის ჯიში
55. ლეონარდოს დაბადების ადგილი
56. ნოტი
57. ცვაიგის რომანი „ჟოზეფ ...“
58. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
59. შეჯიბრი ავტომობილებით
60. რკინა ჩლიქზე
61. [illegible]
62. [illegible]
63. ჩინური ჭადრაკი
64. მომღერლის ცალკე პარტია
65. სიმღერა ოპერაში
66. პოპულარ. მომღერალი .... მარტინი
67. მუხის ნაყოფი








**წინა სკანვორდის პასუხები**

1. ცუნამი; 2. ბური; 3. ნაცია; 4. ბანა; 5. მირაბო; 6. მი; 7. „ყორანი“; 8. ციცარი; 9. ცარი; 10. არი; 11. მარაბუ; 12. ხერხი; 13. კურკა; 14. რაიონი; 15. ში; 16. კლოუნი; 17. „სალამბო“; 18. ლაურა; 19. პა; 20. ჯო; 21. ბურკინა; 22. არე; 23. ნოსტე; 24. კუბალა; 25. ბლუ; 26. ბრა; 27. დოინჯი; 28. ჯინა; 29. სუსი; 30. ბაჯო; 31. იონი; 32. ხაო; 33. ნეი; 34. ვიკონტი; 35. მარადონა; 36. თმა; 37. რიგა; 38. პორტიკი; 39. დონა; 40. პირი; 41. კარმა; 42. ფრი; 43. მოთელვა; 44. ტიკი; 45. ალპაკა; 46. ფარადა; 47. აპოგეა; 48. იონა; 49. ნო; 50. ნანი; 51. ტენერიფე; 52. არკა; 53. აკა; 54. მედია; 55. ელვა; 56. რეპი; 57. ჩეკი; 58. „ტატუ“; 59. კი; 60. ვალუა; 61. „ტუ“; 62. არნი; 63. პი; 64. გიტარა; 65. ტარა; 66. მალვინა; 67. უმა; 68. ცუსიმა.

1. ცოცვა ბალასტით; 2. ოჯახური სალონი; 3. მუსუსი; 4. ამისგან ჩემპიონი არ დადგება; 5. ხუმარა დანტისტი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

# ნარსული, რომელიც ალარ არსებობს...

## გამოხმაურება „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციაზე „კაცი, რომელიც წარსულს ეძებს!..“

ვიცი, ჩვენს ერთგულ მკითხველს არ დაავიწყდებოდა ბატონი ლადო, ჩემი სინანულში ჩავარდნილი რესპონდენტი, ახალგაზრდობაში დაშვებულ შეცდომას რომ ნანობდა და მისი გამოსწორების უდიდეს სურვილთან ერთად, კიდევ უფრო დიდი იმედი ჰქონდა...

მაინც შეგახსენებთ, რომ ბატონი ლადო 2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციის დროს გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე შემთხვევით შეხვდა ქალს, რომელიც წლების წინ მისგან დაფეხმძიმდა და დახმარების ნაცვლად, კაცმა იგი თავიდან მოიშორა, მარტოხელა დედის სასტიკი ხვედრისთვის გაწირა გოგონა, რომელსაც თავი შეაყვარა...

ბატონმა ლადომ ისიც კი არ იცოდა, ქალიშვილი გაუჩინა თუ ვაჟი ეთერმა, თავის დროზე ამით არ დაინტერესებულა... როცა ბატონმა ლადომ მითხრა, — ღმერთმა სხვა შვილი არ მომცა და აყვანილი გოგონა გავზარდეო, — სიმართლე გითხრათ, არც მისი უშვილობა გამკვირვებია (უარყოფილი სიყრმის შვილის გამო) და არც სურვილი — ენახა ის, მისი სისხლისა და ხორცის ნაწილი. ვინც ოდესღაც ზედმეტად მიიჩნია იმაში დარწმუნებულმა, რომ ცხოვრება ჯერ კიდევ წინ იყო და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი მნიშვნელოვანიც... არადა, რამდენჯერ უნდა დავრწმუნდეთ ანდაზად ქცეული სიბრძნის ჭეშმარიტებაში — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!..

მოკლედ, ქალბატონი ეთერი გამოგვეხმაურა. წერილის ავტორი მე ვიყავი და ამიტომაც ელოდა ჩემთან შეხვედრას. რადგან იმხანად თბილისში არ ვიყავი, წერილად დაუწერია თავისი სათქმელი და ყოველგვარი ჩასწორების გარეშე გთავაზობთ ახლა მის ბარათს: „გამარჯობა, ინგა! მთელი „კვირის პალიტრა“ მომიკითხე, ძალიან მიყვარხართ ყველანი, თქვენ ჩემი მარტოხელა ცხოვრების გამლამაზებლები ხართ... თვალებს არ დავუჯერე, როცა ერთ-ერთ წერილში მე მომმართავდით, ასეთი რამის წარმოდგენაც არ შემეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრება მართლაც საწიგნო და საჟურნალოა, კარგი მაგალითია იმისა, რა საშინელებაა გათელილი სიყვარული და დანგრეული ცხოვრება...

ლადო მეც მაშინვე ვიცანი, როგორც კი დამიძახა და მომიახლოვდა. გული ყელში მომებჯინა... გავიქეცი და შიშით ვიხედებოდი უკან, მეგონა, საშინელი წარსული მომდევდა და თუ დამეწეოდა, საბოლოოდ გადამთელავდა... ფიქრიც კი მაშინებს იმაზე, რაც იყო...

დედა ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა. დედინაცვალს თავისი შვილებიც გულს უწვრილებდნენ და მე რომ ზედმეტად მივეჩნიე, რა გასაკვირი იყო?!.. ძალიან ღარიბები ვიყავით, თბილისში გამონაცვალი კაბით და ფეხსაცმლით ჩამოვედი. ვოცნებობდი, ნასწავლი, სახელოვანი ქალი დავდგებოდი და სოფელში საჩუქრებით ხელდამშვენებული დავბრუნდებოდი. მე კი, სულელმა, ლადოს დავუჯერე და... მუცელი კარგად მეტყობოდა, სოფელში რომ დავბრუნდი. გახსენებაც არ მინდა, რა დღეში ჩამაგდეს შინაურებმაც, მეზობლების მწარე ენამაც... მამა შინ არ მიშვებდა, მით უმეტეს, დედინაცვალი...

ჩემი შვილი 1956 წლის 13 აპრილს დაიბადა. ბიჭს მამის სახელი დავარქვი რატომღაც, თითქოს მაშინ კიდევ ვებღაუჭებოდი იმედს, რომ მამამისი გონს მოეგებოდა, მოგვიკითხავდა... ბევრს ვშრომობდი, სწავლის გაგრძელებაზე ოცნებაც არ შემეძლო. ფული მინდოდა დამეგროვებინა და ჩემი შვილი იმ სოფლიდან წამეყვანა, სადაც არასოდეს მოაშორებდნენ „ნაბიჭვრის“ სახელს და გულს ატკენდნენ, გააბოროტებდნენ... სამი წლის მყავდა ლადო, უბედურება რომ დაგვატყდა თავს, გამიცივდა ბავშვი და ექიმებმა მენინგიტის დიაგნოზი დაუსვეს, ხერხემლიდან სითხე აუღეს, სიცოცხლე კი შეუნარჩუნეს, მაგრამ... წელს ქვემოთ მოწყდა და სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის



სავარძელს...

ბევრი ვიბრძოლე, ქვასაც აატირებდა ჩემი საცოდაობა, დედინაცვალსაც მოულბა გული, მამაჩემიც „გატყდა“ და შეუძლებელი შეძლეს. თბილისში პატარა ქოხი ვიყიდე, რომლის ერთადერთი ფანჯარაც ქუჩაში გამოდიოდა და იმ ფანჯრით და ქუჩით შემოიფარგლა ჩემი შვილის სამყარო... მე ფაბრიკაში ვმუშაობდი და როგორღაც გაგვქონდა თავი.

ჩემმა შვილმა იცოდა სიმართლე. ისიც, თუ ვინ იყო მამამისი და როგორ მიგვატოვა. ნატრობდა — ნეტავ ერთხელ მანახვა, რომ ერთადერთი წინადადება ვუთხრა, — ძილში კოშმარები არ გაწუხებსო?! კარგი ბიჭი იყო ჩემი ლადუნა, ბევრს კითხულობდა, წიგნი მისთვის ბევრს ნიშნავდა...

დრო და ჟამი რომ აირია, ძალიან გაგვიჭირდა. 90-იანი წლების დასაწყისში ჩემი ფაბრიკაც დაიხურა და იყო დღეები, როცა პურიც არ გვქონდა მე და ჩემს საცოდავ შვილს. სასოწარკვეთილმა სამათხოვროდაც გავიშვირე ხელი, მერე ერთმა ნაცნობმა ეკლესიაში მიშოვა დამლაგებლის ადგილი და... ამან გადამარჩინა, რწმენამ შეუძლებელი შემაძლებინა, თორემ რამდენჯერ მიფიქრია თვითმკვლელობაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლადოს თირკმლების მწვავე უკმარისობა განუვითარდა და დაიღუპა კიდეც, მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. სიკვდილის წინ მითხრა: — ნუ მტირი, ბედნიერი ვარ, რომ შენზე ადრე მივდივარ წუთისოფლიდან, წარმოიდგინე, შენ რომ ჩემზე ადრე მომკვდარიყავი, მე ვის იმედად უნდა დაგეტოვებინეო. 1996 წლის ზაფხულში გარდაიცვალა, 40 წლის ასაკში... მას შემდეგ სიკვდილის მოლოდინით ვცხოვრობ, ჩემი გზა სამკუთხედად შეიკრა — შვილის საფლავი, ეკლესია, ჩემი პატარა ქოხი!.. მიტინგზე იმედმა მიმიყვანა, რომ თუ მთავრობა შეიცვლებოდა, რაღაც ჩემს მსგავსებსაც ეშველებოდათ — მე სამუშაო მინდა და სიბერის შიშისგან გათავისუფლება!...

...ლადოზე აღარც ვფიქრობდი. არც მეგონა თუ ვიცნობდი და, სიმართლე გითხრათ, ისიც ჩემს წარსულთან ერთად დავმარხე!..

რომ დავინახე, მეგონა, წარსულის ყველა ტკივილი დამიბრუნდა!..

ღმერთმა აპატიოს და შეუნდოს!.. მე ის არაფერში მჭირდება, მით უმეტეს, ჩემს საბრალო შვილს... ვიცი, მის საფლავზე მისვლის სურვილი გაუჩნდება, მისი სურათების ნახვა ინდომოს იქნებ...

არა!.. დაგვანებოს თავი და ნუ ცდილობს იმ წარსულის დაბრუნებას, რომელიც აღარ არსებობს!.. ღმერთს მადლობა უთხრას, რომ ცოცხალია და შვილი (თუნდაც ნაშვილები) ჰყავს, შვილიშვილები ეფერებიან!.. მე კი, ყველაფერ ამის უფლება წამართვა და ახლა რისთვის მეძებს, ხომ არ ჰგონია, მილიონიც რომ გადამიხადოს, შეძლებს, ან მე დამიბრუნოს სიმშვიდე და ან საკუთარ თავს?!

ოდესღაც სიგიჟემდე მიყვარდა... მერე მძულდა და ვწყევლიდი... ახლა კი, აღარავითარი გრძნობა აღარაა ჩემში, ყველაფერი შვილთან ერთად დავასამარე და თუ რამ მსურს, სიკვდილია, ჩემს საოცნებო ვაჟკაცთან „შეხვედრა“, რომელიც ხშირად მესიზმრება და მამშვიდებს — აღარაფერი აღარ მტკივა, მარტო სიარული კი არა, ფრენაც შემიძლიაო... ეჭვიც არ მეპარება, ანგელოზად იქცეოდა!...

სხვა რაღა გითხრათ... დაგლოცავთ ყველას.

პატივისცემით — ეთერ როხვაძე
10 თებერვალი, 2004 წელი.“

*...სანამ საგაზეთოდ მოვამზადებდი, წერილი ბატონ ლადოს ვაჩვენე და აქვითინებული კაცისთვის ნუგეშის თქმა არც მიცდია...*

***ინგა ჯაყელი***

# ჟანგბადიანი ალკოჰოლი



რა სიახლე შეიძლება შეიტანოს ვინმემ მარტინის ლიქიორის, ტკბილი ღვინის თუ სხვა ალკოჰოლის სმაში? ალბათ მხოლოდ სხვადასხვა ფორმის ჭიქით თუ მიირთმევთ მათ. მაგრამ ინგლისში, ბრისტოლში, ბარებში უკვე გამოჩნდა პორტატიული მოწყობილობა, რომელსაც „ალკოჰოლი სითხის გარეშე“ ეწოდება და უმალ მოიპოვა პოპულარობა. მოწყობილობა უმარტივესია, მასში ასხამენ იმ რაოდენობის სასმელს, რამდენის დალევასაც აპირებენ. აპარატი სასმელს ჟანგბადს ურევს და სპეციალური მილის საშუალებით შეგიძლიათ სასმელი აეროზოლებულ მდგომარეობაში მიიღოთ. ასეთი ჟანგბადიანი სასმლის მიღება საშიში და აკრძალული არ არის. მეტიც, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მისი სმის დროს ბევრად უკეთ შეიგრძნობა სასმლის გემო და სურნელი. ამასთან, ასეთი სახის სასმელს ბევრს ვერ დალევთ — ერთი ჭიქა ჟანგბადიანი მარტინის მიღებას ოცი წუთი სჭირდება. ბრისტოლის ბარების ხშირი კლიენტები ამტკიცებენ, რომ ჟანგბადნარევი ვისკი ბევრად უფრო გემრიელია, სიამოვნება (თრობა) მისგან თანდათანობით მოდის და ბევრი სასმლის მიღების შემთხვევაში „ნაბახუსევის ეფექტი“ არასოდეს შეინიშნება. ჟანგბადიანი სასმელი თანდათან არეალს იფართოებს. ბრისტოლის თითქმის ყველა ბარში თუკი მაგალითად, ვისკის უკვეთთ, გეკითხებიან: „ვისკი ყინულით, გაზიანი წყლით თუ ჟანგბადით?“

# ხელის ჩამორთმევის საიდუმლო



ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ხელის ჩამორთმევის მანერით შეიძლება განისაზღვროს ადამიანის ხასიათი და განწყობა. მაგალითად, გამართული ხელის მაგრად ჩამორთმევა (დისტანციის დაცვით) აგრესიული ხასიათის მაჩვენებელია. მხოლოდ თითების მოჭერით — მეგობრობისა და სითბოს გამომჟღავნებაა. თუ ხელის ჩამორთმევის დროს ადამიანი მოსაუბრის ხელს თავისკენ ექაჩება, ნიშნავს იმას, რომ ის არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული. ორივე ხელის ჩამორთმევა გამოხატავს გულწრფელობას, ნდობას და გრძნობების სიღრმეს. თუ ადამიანი მეორე ხელით ეხება მოსაუბრის მხარს ან იდაყვს ხელის ჩამორთმევის დროს, ის ძალიან ემოციურია.

გარდა ამისა, ხელის ჩამორთმევის სტილით შეიძლება ადამიანის ტემპერამენტის განსაზღვრაც. ცხელი და მშრალი ხელები აქვთ გულკეთილ ადამიანებს, შემოქმედებს, კომუნიკაბელურებს. ხოლო ცხელი და ნამიანი ხელები — მერყეობის, უმიზეზოდ გაღიზიანებისა, სიმკაცრის ნიშანია. მშრალი და ცივი ხელები ჩვეულებრივ არის დამუხრუჭებული მოძრაობის, გაწონასწორებული ხასიათის დამადასტურებელი, ხოლო ცივი და ნესტიანი ხელისგულები აქვთ მელანქოლიურ ადამიანებს.

ეტიკეტის მცოდნეთა აზრით, ხელის ჩამორთმევა უნდა იყოს ხანმოკლე, ზომიერად ძლიერი და მეგობრული — როცა ადამიანს ხელს ართმევ, თვალებში უნდა უყურო.

მანდილოსანმა ყოველთვის პირველმა უნდა გაუწოდოს ხელი მამაკაცს, ამ უკანასკნელმა კი თავად უნდა აირჩიოს, ეამბოროს ხელზე თუ ჩამოართვას ხელი, ხელმძღვანელმა — ხელქვეითს, ასაკით უფროსმა — უმცროსს. ბევრ ევროპულ სახელმწიფოში ხელის ჩამორთმევა მიღებულია არა მარტო მისალმებისას, არამედ დღეში რამდენჯერმე, ყოველი შეხვედრისას.

# ვინ რით სვამს ღვინოს?

*„ქეიფს ვიწყებ დილიდან“... გახსოვთ, ხომ ეს სიმღერა? სიმღერა იქით იყოს და, დღესაც ბევრია თურმე ისეთი, გათენებისთანავე თვალი და გული საქეიფოდ რომ ეწევა და მთელ დღეს გრიალ-ღრიალში ალამებს ამფსონებთან ერთად. გასაგებია, რომ საქართველოში ქეიფით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ მოქეიფეთა ფანტაზია აუცილებლად გაგაოცებთ. თურმე რით აღარ სვამენ სასმელს. მარტო ყანწებში კი არ ვარდებიან, ქალის ფეხსაცმელში, ლამპის შუშაში, კრამიტში, ორლულიან თოფში, 500-ვატიან ნათურაში, პოლიციის „მიგალკაში“ და ა.შ.*

**დევი (33 წლის):** — უცხოელები გვყავდა სტუმრად, ირლანდიელები. ძალიან იქაჩებოდნენ — მაგარი მსმელები ვართო. ვიფიქრეთ, გვეშველა, ვნახეთ ვაჟკაცები და კაი ქეიფი გამოგვივაო. წავედით ქუთაისში, იქაურ ძმაკაცთან. პაპანაქება ზაფხული იყო. რომ დაგვინახა, ეგრევე მანქანებში გვიკრა თავი საპატიო სტუმრებთან ერთად და მდინარის ნაპირს მიგვაყენა მოწამეთის მონასტრის ქვევით. ირლანდიელები დაგიჟდნენ — რა ლამაზი ბუნებააო. ძლივს დავსვით სუფრასთან, რომელიც ზედ მდინარეში გაშალა ჭიჭიკია-პოლიციელმა. კარგად რომ გავხურდით, გადავწყვიტეთ, ორიგინალური სასმისებით გვესვა ღვინო. ირლანდიელები ჩვენზე ნაკლები გიჟები არ აღმოჩნდნენ, ერთმა აიხირა, „ჭიჭიკიას“ მანქანას პოლიციის „მიგალკა“ მოხსენითო. მოვხსენით. იმით დალიეს ქართველი და ირლანდიელი სამართალდამცველების სადღეგრძელო. გაგვიტკბა, ისეთი სისულელეები ჩავიდინეთ, ისე გამოვთვერით, რომ ის ღამე წყლიდან გამორიყული თევზებივით ნაპირზე მიყრილებმა სულ ოხვრაკვნესაში გავატარეთ.

**შოთა (28 წლის):** — მეგონა, მარტო უფროსი თაობის კაცებს ჰქონდათ ახირება — ქეიფის დროს განსხვავებული სასმისებით ესვათ ღვინო. მე და ჩემმა მეგობრებმა მგონი, სულ გავაფრინეთ. სოფელში ვესტუმრეთ ბებიაჩემს. თან საჩუქრებიც ჩავუტანეთ. დედაჩემმა საგანგებოდ გამატანა ბებიასთან კაბა, წინდები, შარფი, ჟაკეტი და წითელგულა კალოშები. გახარებულმა ბებიამ სუფრა გაგვიშალა და გახურდა ქეიფი. ჯერ ბებია-ბაბუების სადღეგრძელოზე რომ მიდგა, გამახსენდა წითელგულა კალოშები და ბებიას ვთხოვე, მომიტანე, უნდა დაგისველომეთქი. ბებიამაც მომიცუნცულა ახალი „ბაჩები“ და არც მაცია, არც მაცხელა, ჩავასხი ღვინო და ისე შევსვი ტკბილი მოხუცების სადღეგრძელო. მოკლედ, მას მერე სმა კალოშებით განვაგრძეთ. მერე ბებია თურმე არ იცვამდა კალოშს, ამით „ბოვშვებმა“ ღვინო სვესო!.

**ნიკო (52 წლის):** — სანადიროდ წავედით, ხუთნი ვიყავით. წესად გვაქვს, კაი ღვინო და პურმარილიც მიგვაქვს თან. ხელი მოგვეცარა. ვერაფერი მოვინადირეთ. გავშალეთ საღამოს კოცონთან სუფრა და დავიწყეთ ლხინი. კაი შექეიფიანებულები ვიყავით. ხელის მოცარვის მიზეზის ძებნა რომ მოგვინდა. დავიწყეთ საქმის გარჩევა და დავასკვენით, რომ თოფები არ გვივარგოდა. ერთი ვაჟა გვყავს, დიდი ფანტაზიორი ვინმეა. ადგა, აიღო თავისი ორლულიანი თოფი, გამოაცალა ტყვიები, ჩაასხა ლულებში ღვინო და თქვა, — ამით კაი მონადირეებს გაუმარჯოსო. ამას რომ ბორიამ შეხედა (არაყს სვამდა), დააძრო ტყვიის მასრა, ჩაასხა არაყი და — ამით ყველა ხელმოცარულ მონადირეს გაუმარჯოსო.



**ლევანი (43 წლის):** — არეული დრო, „მხედრიონობა“ რომ იყო, ძმაკაცს მანქანა მოჰპარეს. გადავატრიალეთ მთელი თბილისი. ვინ არ შევაწუხეთ და მივაგენით. მოვაგვარეთ საქმე და ისე, რომ პატრონმა არაფერი იცოდა, მანქანით შინ მივადექით. გადაირია კაცი სიხარულით, სასწრაფოდ სუფრა გაგვიშალა გარაჟში. შევუბერეთ, მაგარი ქეიფი გავაჩაღეთ. ბოლოს, ისე გავაფრინეთ, რომ მანქანა ლამის ნაწილებად დავშალეთ. მოვხსენით ფარები, კიდევ რაღაცები, რაშიც ღვინის ჩასხმა შეიძლებოდა და ისე ვსვით. ბოლოს შუქი ჩაქრა, სანთლები ავანთეთ და მასპინძელმა ორასვატიანი ნათურა მოხსნა ჭერიდან და მერე იმით დავლიეთ და გავითიშეთ. დილით, საწოლში რომ გავიღვიძე, ძალიან გამიკვირდა, თურმე მასპინძლის ვაჟებს ავუთრევივართ სახლში სათითაოდ.

**გიორგი (38 წლის):** — ახალი დაქორწინებული ვიყავი. მეუღლის ბებია-ბაბუამ გურიაში დაგვპატიჟა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ჭინჭილა რომ შემოიტანა ბებომ, მან კი მომიღო ბოლო. 70 წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი ისე არაკრაკებდა ყელში ჭინჭილიდან ღვინოს და ისე ცქვიტად გამოიყურებოდა, რომ გაოცებას ვერ ვფარავდი. ამათ როგორ უნდა მაჯობონ-მეთქი და ავყევი. კინაღამ ბოლო მომიღო ციდა ჭინჭილამ. მას მერე განსხვავებულის ხსენებაც არ მინდა.

***ეკა ლომიძე***

# როცა ცვლილება შევატყვე, უკვე გვიანი იყო



ქალბატონმა ნელიმ (ყველა სახელი შეცვლილია) თავიდანვე მითხრა: თქვენთან დარდის გასაქარვებლად და რჩევის მისაღებად მოვედი, რადგან ისეთ დღეში ვარ, ჰაერივით მჭირდება გულისხმიერებაო. იგი 51 წლისაა, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება. მიმიხვდა ფიქრს და გამომეპასუხა: არ ვიმჩნევ დარდს, რადგან ცხოვრებამ ასე გამწირა, ვცდილობ, ამაყი და უდარდელი ქალის როლი ვითამაშოო.

— მე და თამაზს ორი წელი გვიყვარდა ერთმანეთი, — დაიწყო ქალბატონმა ნელიმ. გვქონდა ნიშნობა, სამი თვის მერე კი — ქორწილი. საუცხოო ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. თამაზის მეგობრები ხუმრობდნენ კიდეც, — ცოლის ასეთი სიყვარული არ გაგვიგონია. სანამ შეყვარებულები იყავით, კიდევ ჰო, შენთან ყოფნა ერჩივნა, მაგრამ ახლა რაღა სჭირს, როცა შინ უზიხარ, ამისთანა რა აჭამეო. ამის გაგონება მსიამოვნებდა და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. დრო გადიოდა, ბავშვი არ მიჩნდებოდა. თამაზი მამშვიდებდა, მაგრამ ვატყობდი, ძალიან განიცდიდა უშვილობას. ოთხი წლის შემდეგ მოსკოვში წავედი სამკურნალოდ. თამაზმა ჩამაცილა, ერთი კვირის მერე კი გამობრუნდა, რადგან სამსახურში ბევრი საქმე ჰქონდა. ვიმკურნალე. დამაიმედეს ექიმებმა, — აუცილებლად გეყოლება ბავშვიო. მართლაც, დავორსულდი. მეც და თამაზიც ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავით, მაგრამ არ დაგვცალდა — სამი თვის მუცელი მომწყდა. დარდით აღარ ვიყავი. ბოლოს, ძალა მოვიკრიბე და თამაზს ვუთხარი: — ეგოისტი არასოდეს ვყოფილვარ და მინდა შენ მაინც იგრძნო მამობის სიხარული, ამიტომაც უნდა გავშორდეთ-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა. უშენოდ რა გამაძლებინებს, ბავშვი ავიყვანოთ და გავზარდოთო. სასტიკი უარი ვუთხარი. ჩავალაგე ჩემი ნივთები და მშობლებთან დავბრუნდი რაიონში. ერთ კვირაში ჩამომაკითხა. დარდისგან საოცრად მოტეხილი მეჩვენა. დამენანა, მე ხომ იგი თავდავიწყებით მიყვარდა, ასე მის საკეთილდღეოდ მოვიქეცი და თუკი უჩემობა დატანჯავდა, მაშინ რაღად მინდოდა სიცოცხლე? ერთად დავბრუნდით თბილისში.

რამდენიმე ხნის შემდეგ თამაზმა მითხრა: ვიცი, ძალიან გიჭირს უშვილობა. ბავშვის აყვანაც არ გინდა... დედაჩემის ნაცნობმა მირჩია, არის ერთი ქალი, რომელიც გარკვეული თანხის სანაცვლოდ შენგან ბავშვს გააჩენს. მას სხვისთვისაც გაუჩენია ბავშვი. ეს მისი საარსებო წყაროაო.

ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ ძალიან გამიხარდა. რა თქმა უნდა, მერჩივნა, საყვარელი მამაკაცის შვილი გამეზარდა, ამიტომაც დავთანხმდი, მხოლოდ ვთხოვე, ის ქალი მაჩვენე-მეთქი. დამპირდა, მიგიყვან მასთან და გაგაცნობო, მაგრამ ერთი თვის მერე მისი ფოტოსურათი მომიტანა: ეს ფოტო ჩუმად წამოვიღე, რადგან უარი მითხრა შენს გაცნობაზეო. აღარაფერი მითქვამს, ფოტოსურათს ხშირად ვაკვირდებოდი და მიკვირდა: ნეტავ რა გაუჭირდა ამისთანა ამ ლამაზ და კოხტა გოგოს, რომ სხვა კაცებისგან შვილებს აჩენს და ყიდის-მეთქი. ციცო ხომ მაშინ 22-23 წლისა იქნებოდა. როცა მშობიარობა დაეწყო, თამაზმა არ წამიყვანა, თვითონ გულშემატკივრობდა, გათენებისას კი მახარა, ბიჭი შეგვეძინაო. ლაშა დავარქვით. თამაზმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ სამშობიაროდან ბავშვი პირდაპირ ჩვენთან წამოვიყვანეთ...

ახლაც მიკვირს, როდის ან რატომ ხდება, რომ გრძნობა თვალსა და ხელშუა ქრება, ოდესღაც უზომოდ შეყვარებული კი თვალთმაქცობას იწყებს? თავდაპირველად ჩვენ ორივე ძალიან ბედნიერები ვიყავით. ლაშას მოვლაპატრონობაში ისე გავერთე, რომ თამაზის შეცვლა ვერც შევნიშნე, ხოლო როცა დავინახე, უკვე გვიანი იყო...

მალე, ჩვენი ბედნიერი ოჯახის ნანგრევებქვეშ მოყოლილებმა წარსული გავაანალიზეთ და აღმოჩნდა, რომ თამაზს ბავშვის გაჩენიდან რამდენიმე თვის შემდეგ, გული გასწევია ციცოსკენ. მერე იმასაც მიმხვდარა, რომ მიუხედავად „ყველაფრისა“, ეს ქალი უყვარს. კარგა ხანს ვერც მე მთმობდა, ვერც ციცოს ელეოდა და იყო ასე, ორწყალშუა. ბოლოს, გამომიტყდა: ვერ ვითვალთმაქცებ, მე და ციცო ფოთში (ციცო იქაურია) მივდივართ... მარტო არ დარჩები, ლაშას შენ დაგიტოვებთო. მწარედ გამეღიმა: — მადლობის მეტი რა მეთქმის-მეთქი.

ტკივილს ლაშაზე ზრუნვით ვიქარვებდი... არაფერს ვაკლებდი, მაგრამ, ეტყობა, რაღაც მაინც დავაკელი. მეცხრე კლასში იყო, როცა ორ მეგობართან ერთად ბინის გაქურდვისთვის დაიჭირეს და არასრულწლოვანთა კოლონიაში გაამწესეს. თუკი აქამდე არც ისინი მეხმიანებოდნენ და არც მე ვაწუხებდი, ამჯერად გავაგებინე ლაშას ამბავი. ახლაც მიკვირს, როგორ ძლებდნენ ამდენი ხანი ბავშვის გარეშე? ლაშა ხომ მათი შვილი იყო? მოგვიანებით თამაზმა ამ კითხვაზე ასე მიპასუხა: ისედაც გული გატკინეთ და ბავშვს აღარ გვინდოდა შეგცილებოდითო. ეგებ სჯობდა, ხანდახან მაინც „შემცილებოდნენ“ და მოენახულებინათ ბიჭი. იქნებ ამდენ დავიდარაბას ავცილებოდით მეც და ლაშაც?!

— **ჩამოვიდნენ მშობლები?**

— მხოლოდ თამაზი. ციცომ კვლავ არ ისურვა არც ჩემი და არც ლაშას ნახვა. თითქოს რაიმე ბრალი მის წინაშე მე მიმიძღოდა.

— **თამაზმა რით ახსნა ციცოს გულგრილობა?**

— იოლი ახსნა მოუძებნა: ციცო გარანტიას ვერ მოგცემს, რომ ბიჭს, გაცნობის მერე, სამუდამოდ არ წაიყვანს და ენანები. ურჩევნია, თვითონ სტკიოდეს გული, ვიდრე შენ გატკინოს და არ დაგიფასოს ლაშასთვის გაწეული ამაგიო.

— **რით დამთავრდა ლაშას ამბავი?**

— ლაშა ორი წლის მერე გათავისუფლდა. ცოდვას ვერ ვიტყვი, თამაზმა მართლაც ბევრი ირბინა, რომ ოთხწლიანი სასჯელი გაენახევრებინა.

— **ბიჭმა თუ იცოდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები?**

— კი. როცა წამოიზარდა, ყველაფერი ვუამბე. ძალიან გაბრაზდა. ისე გამწარდა, რომ მათი ნახვაც აღარ მოინდომა. ალბათ ამიტომაც გადადგა მცდარი ნაბიჯი. იმ პერიოდში მისთვის სულერთი გახდა ბევრი რამ.

— **ახლა თუ აქვს ურთიერთობა მშობლებთან?**

— ახლა ლაშა 21 წლის არის. სწავლობს. ერთხელ, მე თვითონ ვთხოვე, წადი და მოინახულე მშობლები-მეთქი. დამიჯერა. მაშინ 18 წლის იყო. ესტუმრა თამაზს და ციცოს. მას შემდეგ სურვილი აღარ გასჩენია მათი ხელმეორედ ნახვისა. თუმცა, თავის და-ძმასთან კარგი ურთიერთობა აქვს. დათო და თეა (18 და 16 წლისანი არიან) ხშირად გვსტუმრობენ და ყოველთვის გვიხარია მათი ნახვა.

— **დღემდე გტკივათ გული თამაზის საქციელის გამო?**

— არა უშავს... სამაგიეროდ, მყავს შვილი. ლაშას უსაზღვროდ ვუყვარვარ და მჯერა, არასოდეს გამწირავს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

**ჩვენ გვწერენ**

# უცნობი ბიჭი თვალის დახამხამებაში გაქრა...

„19 წლის ვარ. მინდა ჩემი საიდუმლო, რომელსაც შვიდი წელია ვინახავ, გაგანდოთ. მისი გამხელა ვერავისთან გავბედე, ალბათ უფრო იმიტომ, რომ ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს გული არ სტკენოდათ.

თბილისელი არ გახლავართ. სხვა ქალაქში ვცხოვრობ. მშობლებმა მე და ჩემი და დასასვენებლად გაგვგზავნეს ერთ-ერთ სანატორიუმში. გართობის და დასვენების მაგივრად სწორედ იმ ზაფხულიდან დაიწყო ჩემი დიდი ტრაგედია.

ერთხელ თავი ამტკივდა და სასეირნოდ არ წავედი. ის იყო, უნდა დავწოლილიყავი, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ალბათ ჩემი და დაბრუნდა-მეთქი, გავიფიქრე და კარი გავაღე. ასე, 20 წლის უცნობი ბიჭი შემოვიდა ოთახში, კარი შიგნიდან ჩაკეტა და დანით დამემუქრა, — ხმა არ ამოიღო, თორემ ყელს გამოგჭრიო. შიშით ვერც ხმა ამოვიღე და ვერც თავის დაცვა შევძელი — ან კი რა შემეძლო 12 წლის გოგოს...

ის ბიჭი თვალის დახამხამებაში გაქრა.

თავს მოვიკლავ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ... ადვილი არ ყოფილა სიცოცხლესთან გამოთხოვება.

გადავწყვიტე, ჩემი ტკივილი საიდუმლოდ შემენახა, საკუთარ თავს კი სიყვარული ავუკრძალე. თაყვანისმცემელი არ მაკლდა, მაგრამ იმ დღიდან პირს არავის ვუჩვენებდი. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მაგრამ მაინც მოვიდა სიყვარული...

დათოს გაცნობისთანავე მოვეწონე. იმდენად კარგი ადამიანი აღმოჩნდა, მეც შემიყვარდა. მერე სიყვარულში გამომიტყდა. უარი ვუთხარი. განცვიფრდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო ჩემთან. იმ ღამეს გამოვიტირე ჩემი სიყვარული... მესამე დღეს დათომ დამირეკა. მთხოვა, შემხვდიო. ძალიან მენატრებოდა და უარი ვერ ვუთხარი...

დათომ მაგრძნობინა სიყვარულის ძალა და ფასი. ბევრჯერ გადავწყვიტე, გამემხილა მისთვის ყველაფერი, მაგრამ ვერ შევძელი.

ამ წერილის გამოგზავნა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე.

ქალბატონო მარინა და ძვირფასო მკითხველო, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რა გზას დავადგე? ამას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დამტოვებთ.“.

P.S. *რადგან ანა მეც მთხოვს რჩევას, შემდეგი ნომრისთვის აღარ გადავდებ და აქვე ვუპასუხებ: ანა, გაუფრთხილდი სიყვარულს. თავს ნუ იდანაშაულებ, რატომ თავიდანვე არ ვუთხარი დათოს ყველაფერიო. ადრე თუ გვიან, უნდა დასძლიო შიში. თუკი დათოსაც გულწრფელად უყვარხარ, გაპატიებს (თუმცა, საპატიებელი არც რა გაქვს!), უფრო სწორად, დაივიწყებს იმას, რომელმაც შენს სულს ასეთი დაღი დააჩნია. რაც არ უნდა აკოწიწო ბედნიერება, მაინც დაკარგავ, თუკი მის მოპოვებას ტყუილით შეეცდები. დარწმუნებული ვარ, დათო გაგიგებს...*

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რჩევები დიასახლისს

## ასე ამოიყვანეთ ლაქები

**სანამ ლაქების ამოყვანას დაიწყებდეთ, შეამოწმეთ, რამდენად მდგრადია ქსოვილი. უკუღმა მხრიდან ლაქა გარშემო წყლით დაასველეთ, ამოუდეთ რამდენიმე ფენად დაკეცილი სუფთა ქაღალდის ხელსახოცი. გამწმენდი საშუალება ბამბის ტამპონით ნაპირიდან ცენტრისკენ წაუსვით. თუ ლაქა ძლიერ ჭუჭყიანია, ქაღალდის საფენი და ტამპონი რამდენჯერმე გამოცვალეთ.**

**წითელი ღვინის:** სველ ლაქას მოაყარეთ მარილი;

**ლუდის:** დალაქავებული ქსოვილი გარეცხეთ სპირტგარეულ თბილ წყალში (1 ს/კ სპირტი/0.5 ლ წყალი);

**ხილის:** სველ ლაქას მოაყარეთ მარილი, ლიმონმჟავა და მოასხით ლიმონის წვენი;

**პომიდვრის:** ლაქას წაუსვით წყალბადის ზეჟანგი ან ნიშადურის სპირტი;

**ჩაის:** წაუსვით ლაქას გლიცერინისა და ნიშადურის სპირტის (4X1) ნაზავში დასველებული ბამბის ტამპონი;

**შოკოლადის, ნაყინის:** გარეცხეთ თბილ წყალში გახსნილი ბორის საპნით (1ლ წყალი/10გ საპონი);

**ცხიმის, კარაქის, პომადის:** წაუსვით ლაქას უფერო თხევადი საპნისა და ბენზინის (1X10) ნარევი, გააჩერეთ ცოტა ხანს და შემდეგ სუფთა ბენზინით გამორეცხეთ;

**ზეთიანი საღებავის:** შალის ქსოვილიდან ლაქა ამოიყვანეთ მზესუმზირას ზეთში დასველებული ბამბის ტამპონით;

**ცვილის, პარაფინის:** გამშრალი ცვილი ან პარაფინი დანით ფრთხილად გადაფხიკეთ, შემდეგ ქსოვილი მოათავსეთ ქაღალდის ფურცლებს შორის და ცხელი უთოთი დააუთოეთ;

**ოფლის:** გაწმინდეთ წყლით განზავებულ (1X1) ნიშადურის სპირტში დასველებული ტამპონით. შემდეგ დალაქავებული ადგილი ამორეცხეთ წყლით;

**ჟანგის:** შალსა ან აბრეშუმზე გაჩენილი ლაქები გაწმინდეთ ნიშადურის და წყლის ნაზავში (1X6) დასველებული ბამბის ქსოვილით, შემდეგ გამორეცხეთ თბილი ლიმონის წვენით.

# მსუქანი და გამხდარი

***„კაცებს რომ ჰკითხოთ, ქალები სულითა და გულით მხოლოდ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავენ, ორიოდ გრამის მომატება თავზარს სცემთ და ტანადობის შესანარჩუნებლად უამრავ ხერხს მიმართავენ. მე თუ მკითხავთ, ამ საკითხში კაცები ქალებს არ ჩამოუვარდებიან, ბოლო დროს საკუთარ გარეგნობას იმდენად დიდ დროს უთმობენ, რომ მეშინია, ნარცისებად არ იქცნენ, მაგათ ხომ საკუთარი თავის სიყვარული არც ისე აკლიათ!***

**ნატა (38 წლის):** — ამას წინათ პარფიუმერიის მაღაზიაში შევედი სახის გამწმენდი „ფილინგის“ შესაძენად. რამდენიმე ფირმის პროდუქცია გადმოვაღებინე გამყიდველს და ვთხოვე აეხსნა, რომელს რა ღირსება ჰქონდა. უცებ საუბარში 50 წელს მიტანებული მამაკაცი ჩაგვერია და ღიმილით მირჩია, — აი, ამას თუ აიღებთ, ნამდვილად არ ინანებთო. ისეთი მოვლილი კანი, ხელები და თმა ჰქონდა, რომ ჯერ დავიბენი, მერე კი ვკითხე, — სპეციალისტი ბრძანდებით-მეთქი? არა, რას ამბობთ, უბრალოდ, კარგად ვიცი მათი მნიშვნელობაო. დავუჯერე. მან კი იმდენი რამე იყიდა, პირდაღებული დავრჩი. გამყიდველმა შემამჩნია გაოცება, გაიცინა და ამიხსნა — ერთ დროს მაგის აქ შემოსვლაზე ჩვენც ასე გვემართებოდა, მაგრამ ახლა მივეჩვიეთ, საკუთარ თავს გადაყოლილი კაცია. მაგარი მზეთუნახავი ცოლი ჰყავს, მისთვის ყველაფერს თვითონ ყიდულობს. ერთად დარბიან, ერთად ვარჯიშობენ, ერთად ცურავენ. ერთად ძალიან ლამაზი სანახავები არიანო. მოვედი შინ და გადავწყვიტე, ჩემი მეუღლეც მიმეჩვია ამგვარი კომფორტისთვის. ეჰ, არა შეჯდა მწყერი ხესაო... მოგცლია ერთიო, — ხელი ამიქნია.



**ლევანი (42 წლის):** — ვცდილობ, სულ ფორმაში ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ მაგარი დაძაბული სამუშაო რეჟიმი მაქვს, ვარჯიშისთვის, ცურვისთვის და საერთოდ, საკუთარი თავის მოსავლელად ყოველთვის ვიცლი. ქალსაც იმის მიხედვით ვცემ პატივს, რამდენად უვლის საკუთარ თავს. ძალიან პრეტენზიული კაცი ვარ. იმას კი არ ვითხოვ, ქალი აუცილებლად მზეთუნახავი იყოს, არა, ლამაზი, ნავარჯიშევი სხეული უნდა ჰქონდეს. კუნთები უნდა უბრწყინავდეს. ასეთი ქალი სულიერადაც ძლიერია და მისი ნახვა გახალისებს.

**ვაკო (28 წლის):** — ვერ ვიტან ქონიან ხალხს. განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მუცლებს რომ ძლივს დაათრევენ. ასე მგონია, ასეთებს სიცოცხლის ხალისი აქვთ დაკარგული. ჩემი ცოლი, სანამ ჩემი გახდებოდა, ანუ სანამ შეყვარებულები ვიყავით, იმდენი ვარბენინე კუს ტბაზე, ოლიმპიადაზე რომ გავუშვა, ჩემპიონი გახდება. ისეთი ლამაზი სხეული აქვს, ავ თვალს არ ენახვება. ხუმრობს ხოლმე, — შენ გამომძერწეო. ორსულობის დროსაც კი ვავარჯიშებდი.

**გურამი (58 წლის):** — სიმსუქნე კარგი არ არის. არც ქალი ვარგა ვეშაპივით და არც კაცი. მაგრამ ქალი სავსე უნდა იყოს, ხორციანი, ცოტა ზანტიც, კატასავით. სირბილისა და ვარჯიშისა არაფერი მწამს. ქალმა თავისი საქმე უნდა იცოდეს, მისი ხუნტრუცი არ ვიცი მე. კაცს კიდევ რა ევარჯიშება ამ დროში? ჩემი ეგრე აცუნცრუკება იქნება, რომ ვირბინო? ხომ დაწყდნენ სიცილით ჩემი შემხედვარეები.

**დევი (35 წლის):** — ეჰ, ვარჯიში კაია, მაგრამ კაცი უზნეო არ უნდა იყოს, თუ ვარჯიშობ, უნდა ივარჯიშო და თვალები აქეთ-იქით არ უნდა აცეცო. ამას წინათ დავრბოდი ჩემთვის ტბის გარშემო. უცებ დავინახე, მაგარი ქალი გარბის. გავყევი. თურმე სპეციალური სავარჯიშო პროგრამა ჰქონია. ბილიკებზე კი არ უნდა ერბინა, არამედ ქვა-ღორღში და სადღაც ჯანდაბაში. ისე მოხდენილად დახტოდა ქვებზე და ორმოებზე, რომ თვალს ვერ მოწყვეტდი. მივყვებოდი მის კვალს. ამასობაში ფეხი ამიცდა და ტალახში მოვადინე ზღართანი. ჩემს ყვირილზე უკან არც მიუხედია. ეჰ, რა ბუტბუტრა ხარ, დევი-მეთქი, — ვუთხარი ჩემს თავს და წავფრატუნდი მანქანისკენ...

**ლიზა (71 წლის):** — კაია ბებო, ვარჯიში, კაი. რაც მაგი დავიწყე, მას მერე, ასე მგონია, თავიდან დავიბადე. მე და ჩემი კაცი თავიდან დავცუხცუხებდით. ახლა კი დავრბივართ და თავი ისე მოგვწონს, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ამას წინათ მაღაზიებში დავდიოდით. კოტეს ვუთხარი, — ურიგო არ იქნება ტინეიჯერებივით თუ ჩავიცვამთ-მეთქი. მართლაც, ვიყიდეთ ჯინსები, კაი მაისურები და ახლა შვილიშვილებთან ერთად „ვბლატაობთ“ და ვარჯიშის შემდეგ აღარც სახსრები გვაწუხებს.

***ეკა ლომიძე***



„გადავწყვიტე და გადმოგცემთ ამ ჩანაწერებს...“

# პირადი ჩანაწერები, ანუ მოგზაურობა „ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში“

ნურავინ იტყვის, დროს მნიშვნელობა არა აქვსო. წლები მაინც ანელებს ტკივილს და დარდს, ტაბუდადებულ თემას კი ნებსით თუ უნებლიეთ სამზეოსკენ გააჩოჩებს.

ამ ორი წლის წინ, როცა გია ფერაძეზე წერილს ვწერდი, გიას უფროსი ძმა, ბატონი ილიკო, დამპირდა, თუკი ოდესმე გადავწყვეტ გიას დღიურის გამომზეურებას, აუცილებლად „კვირის პალიტრაშიო“. ამას წინათ შევეხმიანე და დანაპირები შევახსენე. დიდხანს არ უფიქრია, ისე გადმომცა გიას დღიური, რომელსაც იგი პატიმრობაში 1988 წელს წერდა.

ბატონმა ილიკომ მანდო გიას პირადი ჩანაწერები და ესლა მითხრა: „გიორგი შენგელაიას ფილმში, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, გიამ ლეკო თათაშელის როლი ითამაშა. ალბათ ბედისწერაა, რომ თათაშელის ტრაგიკული სახე მთლიანად მიესადაგა... გიას ისეთი მძიმე ხვედრი ხვდა, თათაშელის ტანჯვა-წამება მასთან არაფერია. ბევრმა დღემდე არ იცის, იმ საშინელი დღის შემდეგ პატიმრობაში რა გადაიტანა. მისი პიროვნების ბოლომდე შესაცნობად იმ დღეების გახსენებაა საჭირო, როცა ბედმა ზურგი აქცია და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ციხე მოატარა. გიას ცხოვრების ერთი ნაწილი — ფერადი და საზეიმოა — როლებით, წარმატებებით და გასტროლებით სავსე, მეორე კი — შავ-თეთრი და მძიმე, ტანჯვა-ვაებიანი... თითქმის 9 წელი ვიფიქრე, გამომეტანა თუ არა საზოგადოების სამსჯავროზე გიას ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში მოგზაურობა, მისი დარდიანი ფიქრები, ზოგჯერ ღიმილის მომგვრელი ეპიზოდები, რომლის მიღმაც გაუნელებელი სევდა ჩანდა. ბოლოს მაინც გადავწყვიტე და თქვენ გაძლევთ ამ ჩანაწერებს“.

1985 წელს მეუღლის მკვლელობისათვის გია ფერაძეს მიესაჯა 17 წელი.

1986-87 წლებში დაიწყო მისი „მოგზაურობა“ — თბილისი-ვლადიმირი-თბილისი.

1988-98 წლები — თბილისი-წულუკიძე-იაკუტია.

1989-90 წლები — იაკუტია-მახაჭყალა.

1991 წელი — მახაჭყალა-რუსთავი.

1992 წელი — ამნისტიით გათავისუფლდა.

აი, ასე „იმოგზაურა“ მან 7 წელი, ხოლო რას განიცდიდა და რას ფიქრობდა, ამას მისი დღიურიდან შეიტყობთ. ეს ჩანაწერები დაკავშირებულია მის მესამე „მოგზაურობასთან“ წულუკიძიდან იაკუტიამდე. მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, გია აქაც გიაა და არ კარგავს ჩვეულ იუმორს, რომელმაც გააძლებინა.

## ციხის დღიურიდან
### (სტილი დაცულია)

**1988 წ.:** „როგორც ყოველთვის, მესამედაც მომატყვილეს. საქმე შენი დაიშალაო და თბილისში უნდა გაგიშვათ „სიზო-1“-შიო. მე დეგენერატმა „რუგზაკში“ ვდურთე ნივთები და შევახტი „ჩორნი ვორონას“, რასაც ჩვენთან „ვორონოკს“ უძახიან. ჩამოვედი ქუთაისში და მკითხეს: — ესა და ეს თქვენ ბრძანდებითო? აქეთ გადმობრძანდით, რუსეთის ხალხთან ერთადო.

რაღას ვიზამდი. „პატარა კაცსა დიდ კაცთან როდის გასვლია მართალი?“

17 მარტამდე ვიყავი ქუთაისის ციხეში, მერე კი რუსეთისკენ მიკრეს თავი. 18-ში როსტოვის ციხეში გავჩერდი, ხოლო 19-ში ვოლგოგრადისკენ გავემგზავრე.

ვოლგოგრადში, ე.წ. ჯულაევგრადში, დავყოვნდი 2 დღე. 22-ში დამიძახეს სარატოვიდან: — გია, დროზე, გელოდებითო. მეც, სხვა რა გზა მქონდა? 23-ში ჩავედი სარატოვში. ვიკითხე, — ვინ მეძახდა-მეთქი? იქ მომიგეს: ბიძია, რაცხა ცუდად გამოიყურები, მგონი, გზაში გაგვიცივდი და ახლა უნდა გაგათბოთო. ისე მარბენინეს მისქვეშა გადასასვლელში, უკან ძაღლები და შტიკიანი ჯარისკაცები მოგვდევდნენ, რომ ათი დღე სული ძლივს მოვითქვი. შევედი სარატოვში „ეტაპკაში“, როგორც ყოველთვის, მარტო ვარ. ირგვლივ 8 კაცია, მაგრამ ეგენი გინდა ყოფილან, გინდა არა.

მე ვცოცხლობ, რადგან ვიცი, რომ არსებობთ ჩემო დედიკო, ჩემო ძმაო, შვილებო და ჩემო სისხლო და ხორცო — ჩემო მეგობრებო. ო, რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით. ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავი, ალბათ კიდევ როდესმე ვიქნებით ერთად. ყოველ შემთხვევაში, „ია ტაკ ხოჩუ“. შინაგანი ხმა მპასუხობს: ძალიან ბევრი მაინდომე, აი, გიაჯან! მოხარშულ წაბლზე უარს ხომ არ იტყვი?!

1 აპრილამდე ვიყავი სარატოვის ციხეში. 1-ში მითხრეს: „დღეს პირველი აპრილია, გამგზავრებაც ადვილია“. მეგონა, კვლავ მატყვილებდნენ, მაგრამ მართლა არ გამამგზავრეს, აა?! ავიკარ გუდა-ნაბადი და ჩელიაბინსკისკენ, ჰერიი...

დღეს უკვე აპრილის ორია და სტოლიპინშიც „სბორია“.

3-ში უკვე ჩელიაბინსკში ვიქნები, მერე საით, როგორ და როდის, — „ჩორტ ეგო ზნაეტ“...

აპრილი კი ჩემი თვეა. მე მართლაც მაგრად მიყვარს აპრილი... 10-ში ჩემი პატარა გოგოს დაბადების დღეა, 20-ში კი — ჩემი.

რა საოცარი ოთხეული შევიკრიბეთ 20 აპრილს: ჰიტლერი, ნაპოლეონი, ხრუშჩოვი და მე. ორი დღით გვიან დაიბადა ვოვა ულიანოვი, მე იმის დაბადების დღეც... სამწუხაროდ, გარდა ჩემი დაბადების დღისა, ვერც ერთისას ვერ დავესწრები — საპატიო მიზეზი მაქვს.

ეჰ, გია... გია... ფერა... ფერა... გია... გია... ფერა... ფერა... — ისმოდა ბორბლების რაკა-რუკი. მე კი ვიჯექი და გულში ბანს ვეუბნებოდი.

დღეს 10 აპრილია! ჩემი გოგო 4 წლის გახდა...

დღეს 10 აპრილია! აღდგომაა! ქრისტე აღსდგა.

აღდგომა ჩემთვის უწმინდესი და სასწაულად ლამაზი დღესასწაულია. წითელი კვერცხი... ბატკანი... სანთელი... გაზაფხული.

*„ღმერთო ჩემო, რა დღე დადგა,*
*მე ვკვდები და ქრისტე აღსდგა —*
*ჭეშმარიტად!“*

დღეს ვინ იცის, რამდენმა ურწმუნომ და უხატომ გადაიწერა პირჯვარი. იმდენი საათი, ან თუნდაც წამი რომ მომაკლონ, მთავრობა კიდევ ვალში დამრჩება. დაველოდები, რას მომიტანს ხვალინდელი დღე. ისე, ღვთის წყალობით, ჩაი არ გვაკლია, ჩეფირი — არესტანტების „კონიაკი“. კიდევ კარგი, რომ საშუალება გვაქვს, ჩაით მაინც ვთქვათ გულის ნადები.

მე ისევ ეტაპს ველოდები.

დრო გარბის. მე კვლავ სვერდლოვსკის „პერესილკაში“ ვარ.

მოდის დალოცვილი და ამავე დროს დაწყევლილი 20 აპრილიც — ჩემი დაბადების დღე. დაიქცეს ეს დღე. ჯიგარი ბიჭები არიან ჩემთან ერთად. ჩეჩენი საიდა, ყაზახები — ანვარ „ლაბზი“ (ბრძენს ნიშნავს) და ხალიდა, ვახა, მალიშა და იურა. 20 აპრილს დილიდანვე ადგნენ და საჭმლის მომტანს რაღაც ჩვენებური ფოკუსი ჩაუტარეს. იმან კი მოიტანა მაგარი შაქარი და 2 პაიკით მეტი პური. გავილვიძე და დამახვედრეს „კრიტნიკების“ ტორტი. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმის ყურებას არაფერი ჯობდა. ზემოდან წვრილად დაფქვილ შაქარზე ჩაით ეწერა „გია 40 ლეტ“.

*„გია, აი, ესეც 40 წელი,*
*სულ გაგითეთრდა ტიალი წვერი,*
*გუშინ ყმაწვილი გერქვა სახელად,*
*უცებ, ერთ დღეში გახდი ბებერი.“*

ჩაი შემოვინახეთ ამ დღისთვის სპეციალურად. მივიღე მილოცვები. გვერდით ქურდები ისხდნენ: თბილისელი ვახო და სოხუმელი სლავიკა. ჯემპრი მაჩუქეს — შავი, ჩვენებური. ჩემმა კამერის ბიჭებმა კი — პირსახოცი, ცხვირსახოცები, ნასკები, შარფი და ვისაც რა ჰქონდა, მრავალი სხვა სახსოვარი. მადლობელი ვარ იმათი. ყველას თავისი დარდი აქვს და ღმერთი იყოს მათი მფარველი.

*„ისევ ეტაპის ცდაში, ისევ ჭაღარა თმაში,*
*ეს მერამდენე თვეა, რომ მივეთრევი გზაში.“*

იაკუტიამდე მივაღწევ თუ არა, აზრზე არა ვარ. ერთი კი ვიცი, მე მიყვარს ყველა, ვისაც ვუყვარვარ. ვისაც არ ვუყვარვარ და, თავის გზაზე გაუმარჯოს. ეტყობა, ეგეთები ბევრია, რადგანაც კარგა ხანია კრიტის რეჟიმი დამიმთავრდა, მაგრამ მე ისევ კრიტის რეჟიმი მაქვს. ზონა წესიერად არც მინახავს და აღარც მჯერა, თუ ოდესმე ვნახავ.

თუმცა, დავიცადოთ, სად გვეჩქარება? მივყვეთ დინებას.

დღეს უკვე 21 აპრილია. დავლიეთ ბოლო ჩაი. თავი გვტკივა საშინლად.

21-ში „პატივცემულებმა“ ინებეს და შეგვრეკეს პატარა ოთახში. 22-ის საღამომდე იმ პატარა ოთახში ვიყავით 70 კაცი. ამათ ეხერხებათ, მაგაში ოსტატები არიან. ეს ხომ შრომა-გასამხეცებელი კოლონიაა.

როგორც იქნა, ისევ მატარებელი. ისე მიხარია ხოლმე, თითქოს სადმე, საზღვარგარეთ მივდიოდე.

ოცდასამი — გათენდა — დაღამდა.

ოცდაოთხი — გათენდა — დაღამდა.

ოცდახუთი — გათენდა, ჯერ კარგად არ დაღამებულა.

მივაღწიეთ კრასნოიარსკს. ვიფიქრე, კრასნოიარსკის ციხეში რამდენიმე დღეს გამაჩერებდნენ. ამ ქალაქთან ხომ ჩემი გასტროლების დროინდელი საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. ეჰ, გულით კი მინდოდა, მაგრამ ცხოვრება ეგრეა მოწყობილი. გულით რაც გინდა, ის სად არის, ბაბაია? „ზაკონ პოდლოსტი პროცვეტაეტ“. ზუსტად ერთ საათში დამიძახეს ეტაპზე გასავლელად. ეგეთი რამ მე არ მახსოვს, რაც ეტაპებში ვარ, რომ მატარებლიდან მატარებელზე დავეძახეთ ერთ დღეში, მაგრამ ხომ ხვდებით, რატომ მოხდა ასე? მე მინდოდა, რომ დავრჩენილიყავი კრასნოიარსკში. „ვნუტრენი გოლოსი“ კვლავ მეუბნება: „ეჰ, გიაჯან! შენი მიკვირს, ველარ გაიგე, რომ უბედო ხარ? ამ ხნის კაცი მაკვირვებ, აი!“

**„გულით რაც გინდა, ის სად არის, ბაბაია? „ზაკონ პოდლოსტი პროცვეტაეტ“. ზუსტად ერთ საათში დამიძახეს ეტაპზე გასავლელად. ეგეთი რამ მე არ მახსოვს, რაც ეტაპებში ვარ, რომ მატარებლიდან მატარებელზე დავეძახეთ ერთ დღეში, მაგრამ ხომ ხვდებით, რატომ მოხდა ასე? მე მინდოდა, რომ დავრჩენილიყავი კრასნოიარსკში. „ვნუტრენი გოლოსი“ კვლავ მეუბნება: „ეჰ, გიაჯან! შენი მიკვირს, ველარ გაიგე, რომ უბედო ხარ? ამ ხნის კაცი მაკვირვებ, აი!“**

ოცდაექვსი გათენდა. საღამოს ვიქნებით ირკუტსკშიო, — ასე თქვეს.

ჩამოვედით ირკუტსკში. შეგვყარეს ისევ ოთახში, მაგრამ ოთახიც არის და ოთახიც. წარმოიდგინეთ კუბო — რამდენიმე კაცზე. ტემპერატურა იგივე, რაც მიწის ქვეშ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ალბათ დაახლოებით ეგრე იქნება. 27-ში საღამომდე გამოვკუბოვდით. ხო, მართლა! წამოგვყარეს ღამის 3 საათზე მკვდრები, ძვლების გასათბობად. ცოტა შევითბეთ ძვლები და ის იყო, ამ ქვეყნისკენ უნდა მოგვეხედა, რომ „ჩქარა-ჩქარას“ ძახილით გაგვრეკეს ისევ იმ „სასაფლაოზე“, ე.ი. იმავე კუბოში, ე.ი. იმავე კამერაში ჩაგვასვენეს. იქნება ასე საბოლოოდ გაცივდეთო, მაგრამ მოხდა სასწაული. არავინ მომკვდარა. ყველა გაგვანაწილეს კამერებში. აქ ცოტა მოვითქვი სული. ახლა ვზივარ ირკუტსკში და ველოდები.

მოვიდა პირველი მაისი. დაიწყო დღესასწაულები.

მოვიდა 7 მაისი. გამოგვათრიეს კამერიდან და ჩაგვათრიეს ისევ იმ ყინულის კუბოში, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

„გამოგვათრიეს, ჩაგვათრიეს, წაგვათრიეს“ — რატომ ვხმარობ ამ სიტყვებს? იმიტომ, რომ ამათ სხვანაირად არ შეუძლიათ და იმ მოპყრობას, როგორც ჩვენ გვექცევიან, სხვას ვერაფერს დაარქმევ.

როგორც იქნა, დაგვიძახეს ეტაპზე. გავედით გასაშრობად და საჭმლის მისაღებად. აქ პურის რაოდენობაზე მიხვდები, სად მიყავხარ. ნახევარი პური — ულან-უდემდე, 1 პური — ჩიტამდე, 2 პური — ტახტამიტამდე („დოლინა სმერტი“), 3 პური — ხაბაროვსკამდე. ასევე თითო კოვზი შაქარი — ჩიტამდე, 2 კოვზი ტახტამიტამდე, 3 კოვზიც ხაბაროვსკამდე. ასევე ზუსტად ნაწილდება თევზი. მე მივიღე ყველაფერი თითო-თითო. უკვე გასაგებია, სადაც მივდივარ. ჩვენთან, საქართველოში, დედა შვილს რომ წყევლის: შენ წადი არმოუსვლელში, ჩიტაში და იაკუტიაშიო... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩიტაში ვზივარ და ხვალ სად წავალ, არ ვიცი.

დაველოდები, როდის წამათრევენ ჩიტიდან. აქ შემოვბრძანდი (ჩემს თავს თუ არ ვეცი პატივი, აბა, ესენი სულ ფეხებზე მიკიდებენ) 9 მაისს, გამარჯვების დღეს...

...25 მაისია უკვე. ის განწყობა დგება, როდესაც ყველაფერს ფეხზე იკიდებ. სწორედ ასე ვარ მეც. არაფერი ვიცი, როგორ ხართ, ჩემო ახლობლებო. მე კი გწერთ წერილებს, მაგრამ არ ვიცი, მოდის თუ არა თქვენამდე. იქნებ, თქვენც ამ დღეში ხართ — არ იცით, როგორ ვარ, სად ვარ, რას ვაკეთებ. ასეთია პატიმრის ხვედრი ეტაპში. მას აქვს მიმართულება და პატიმრის ნომერი. სხვა არანაირი მისამართი და უფლება მას არ გააჩნია. ვზივართ და ველოდებით თვითმფრინავს. როდის ინებებს ამინდი ჩემს გამგზავრებას?

*„ვაი, ჩემს უბედურ თავს,*
*ველოდები თვითმფრინავს,*
*ამ ლოდინში დრო გადის*
*და ეს წლებიც მიფრინავს.*
*მალე წამიკითხავენ*
*მეც ჩუქჩების სიაში*
*თავს ამოვყოფ სულ მალე*
*„მზიან“ იაკუტიაში“.*

P.S. როგორც იქნა, გიამ შუა ივნისში მიაღწია „მზიან“ იაკუტიას, ცოცხალ-მკვდარმა, მაგრამ მას წინ კვლავ ელოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი „მგზავრობა“.

ახლობლებთან ერთხელაც არ დასცდენია იმ მტანჯველი დღეების შესახებ, რაც მან ციხიდან ციხეში გადასვლების დროს გადაიტანა. თუმცა, თქმა რად უნდოდა, როცა მის სახესა და თვალებში ყველაფერი იკითხებოდა...

**მარინა ბაბუნაშვილი**


ყველაფერი
უძრავი ქონების შესახებ
ახალ ყოველკვირეულ ჟურნალში




გარდა სარეკლამო ინფორმაციებისა, ჟურნალშია: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, რჩევები...

## ორშაბათი 3 მაისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 18.15 ანონსი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00 მოამბე 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 „ღამის მატარებელი“ 23.00 მოამბე 00.00 მხ. ფილმი „პარმის სავანე“ 1-ლი ს.

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 19-20ს. 21.00 დოკ. სერიალი „გაცოცხლებული ქვები“ 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „მელოდია სარდაფიდან„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.20 სერიალი „მაშველები„ 17.25 პერეკროსტოკი 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ჯაშუში“ 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი „სექსუალური ფანტაზიები“. მთ. რ-ში: ხავიერ ბარდემი, ვიქტორია აბრილი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 13.15, 17.20, 01.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 00.55 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები„ 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „მაისის ღვინო„ 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ მე-3 ს. 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 23.00 სპორტ. პროგრამა „გოლი“ 23.30 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-5 ს.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10 დღის კინოდარბაზი 12.00, 15.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი „ცოფიან გზაზე„ (დანიელ ბრეტი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ელენე ტროადან“ (სიენა გვილორი)

12.00 ინდური მხ. ფილმი „მასწირე შენი თავი„ 15.00 მხ. ფილმი „ცისფერი კრუიზი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ. ფილმი „იამაკასები„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი„ 22.30 „საქმე და ეკონომიკა“

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ „ვირტუალური ქალიშვილი„ 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია „ოქროს ციებ-ცხელება„ 11.20 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 დეტექტივი „კინდჯაიტი„ 13.55 მუსიკა 14.10 მელოდრამა „ქარწაღებულნი„ 1 ს. 16.20 მულტფილმი „ნოტრდამის კუზიანი-II„ 17.25, 19.50, 23.20, 02.45, 04.35 მუსიკა 18.20 ვესტერნი „განდევნილი„ 19.50 მუსიკა 20.10 თრილერი „მაჰოუნის საკუთრება„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 კომედია „სულელები არა ვართ„ 03.00 დრამა „ობობა„ 05.00 დოკუმენტური ფილმი

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ჩვილის გაპარვა“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „აფერა“ (დასტინ ჰოფმანი) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 24.00 მხ. ფილმი „ციხე 03„ 3-ლი ს.

07.00, 11.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО" 08.00 Худ.фильм "ПРИКЛЮЧЕНИЯ ПРИНЦА ФЛОРИЗЕЛЯ". 2 с. 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" 11.30 Песня года. Финал. Часть 3 13.40 "По следам "Всадника по имени Смерть" 14.10 Мультфильм "Принцесса Мононоке" 16.20 "Марку Фрадкину - 90" 17.10 Худ.фильм "ДОБРОВОЛЬЦЫ" 19.10 "Смешные люди" 20.20 Церемония вручения народной премии "Золотой Граммофон" 22.00 Время 22.20 Церемония вручения "Золотой Граммофон". Продолжение 00.00 Худ.фильм "АННА И КОРОЛЬ" 02.40 Худ.фильм "КРАСНАЯ РОЗА". 3 с. 04.20 Комедия "ЛЮБИТЬ ВОСПРЕЩАЕТСЯ"

## სამშაბათი 4 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „პარმის სავანე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“ 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 11-12ს. 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 17.30 „ამბობენ“ (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 1-ლი ს. 00.00 მხ. ფილმი „პარმის სავანე„ მე-2ს.

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 „პალიტრა“ 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ყველაფრის ფასად“

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „ჯაშუში„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 19.10 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. „დეპორტივო“-„პორტო“

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 14.35, 17.20, 02.20 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები“ 11.05 „არტ-ბულვარი“ 11.25 სპ. პროგრამა „გოლი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.50 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ 21.30 ლარის მახე 23.00 ერთხელ ჰოლივუდში 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 00.40 სპ. პროგრამა „გოლი სერია A“

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი „ლევიაფანი“ (პიტერ უელმური) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „იქ სადაც ოცნებები ხდება“ (რობინ უილიამსი)

12.00 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი„ 13.30 „საქმე და ეკონომიკა“ 14.30 მხ. ფილმი „არმაგედონი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ “წყალი თავს ზემოთ“ 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 დოკუმენტური ფილმი 10.10 კომედია „სულელები არა ვართ„ 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 თრილერი „მაჰოუნის საკუთრება„ 14.10 მელოდრამა „ქარწაღებულნი„ 2 ს. 16.20 მულტფილმი „ახალი ბრემენელები„ 17.05 ისტორიული ფილმი „ახალგაზრდა აივენჰო„ 19.00 „დღეს მსოფლიოში„ 19.20 დოკუმენტური ფილმი 20.10 ფანტასტიკა „თვითმარქვია„ 21.50, 02.55 მუსიკა 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 კომედია „არლეტი„ 03.20 მხ. ფილმი „ქარაფშუტობა„ 05.00 დოკუმენტური ფილმი

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ნილაში“ 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ცუდი კომპანია“ (ენტონი ჰოპკინსი) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 24.00 მხ. ფილმი „ბორნის იდენტიფიკაცია“ (მეტ დეიმონი)

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО" 08.00 Худ.фильм "ПРИКЛЮЧЕНИЯ ПРИНЦА ФЛОРИЗЕЛЯ". 3 с. 09.20 Служу Отчизне! 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Лошадиная энциклопедия" 12.30 "Угадай мелодию" 13.10 Худ.фильм "ЛЕТЯТ ЖУРАВЛИ" 15.00 "Пестрая лента". Татьяна Самойлова 15.50 Концерт "Народная марка" в Кремле 17.30 Праздничный "Ералаш" 18.00 Живая природа. "Глазами зверя" 19.10 Мюзикл "ЗОЛУШКА" 21.20 Худ.фильм "К-19" 23.50 "Карнавал на берегу мечты" 00.40 Бокс. Крис Берд - Анджей Голота 01.40 Церемония вручения премии "Радиомания" 03.10 Худ.фильм "РЕЙД НА РОММЕЛЯ"

## ოთხშაბათი 5 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „პარმის სავანე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“ 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 13-14ს. 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 „ღამის მატარებელი“ 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 მხ. ფილმი „სტიქსი“

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 „გემრიელად მიირთვით ბავშვებო“ 21.30 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „ყვარყვარე„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი“-„მონაკო“

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.05 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „გოლი სერიაA“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 00.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ 21.30 „პირველი ნახევარი“ 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-7 ს.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი “28 დღის შემდეგ“ (სილიან მარფი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ზღვათა მბრძანებელი“ (რასელ კროუ)

12.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი“ 14.00 მხ. ფილმი „გლადიატორი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ ფილმი „დრაკონის კოცნა„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ “დიდი ტურნე“ 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ფილმი-ზღაპარი „დაბრუნება ოზის ქვეყანაში„ 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 ფანტასტიკა „თვითმარქვია„ 14.10 კომედია „ითამაშე, როგორც ბექჰემი„ 16.20 მულტსერიალი 16.55 მუსიკალური კომედია „გაუფრთხილდით ქალებს!„ 1 ს. 18.20 თრილერი „შოუ იწყება„ 19.55, 03.00 მუსიკა 20.10 კომედია „შესისხლხორცებულნი„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „მკვდარი„ 03.10 ისტორიული ფილმი „ატილა დამპყრობელი„

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „საჭირო ადამიანები“ (ალ პაჩინო) ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ტანგო და კეში“ (სტალონე) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 24.00 მხ. ფილმი „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ (ტომ ჰენკსი).

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20 Худ.фильм "К-19" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Худ.фильм "ЖДУ И НАДЕЮСЬ". 1 с. 14.30 Док.детектив "Опасен и склонен к побегу" 15.00 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Природа вещей" 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Худ.фильм "КАК БЫ НЕ ТАК". 1 с. 22.00, 00.30 Время 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Кремль-9. "В.Молотов. Школа выживания" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Искатели. "Мятежный форт" 01.40 "Крылья". "Небесные рыцари" 02.10 Максим Никулин в программе "Форганг" 02.40 Худ.фильм "ВОЙНА МЕРФИ" 04.20 Худ.фильм "ВЗЛОМ"

## ხუთშაბათი 6 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „კეთილი კაცი„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“ 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 15-16ს. 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 სერიალი „ფსიქ-ფაქტორი“ 00.00 მხ. ფილმი „სისი„

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა“ 1-ლი ნ. 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი“ 22.00 მხ. ფილმი „პროზაკის თაობა„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 22.50 ღამის კურიერი 01.00 მხ. ფილმი „სერპიკო“. მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ჯონ რენდოლფი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 X-კლუზივი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 00.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.30 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „ცხელი ძაღლი“ 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა“ 23.30 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-8ს.

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი “სიკვდილის ზღვარზე“ (ჯეიმი ჯოელ ოსმენტი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“ (ელიზაბეტ ტეილორი)

12.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 2“ 14.00 მხ. ფილმი „ტაქსი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ. ფილმი „ბარი ველური კოიოტი„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ „ამაზონი ცეცხლში„. მთ.რ-ში სანდრა ბალოკი, კრეიგ შეფერი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი„ 1 ს. 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 კომედია „შესისხლხორცებულნი„ 14.25 სათავგადასავლო ფილმი „ზევსი და როქსანა„ 16.20 მულტფილმი 16.55 მუსიკალური კომედია „გაუფრთხილდით ქალებს!„ 2 ს. 18.20 დოკუმენტური ფილმი 19.00 „დღეს მსოფლიოში„ 19.30, 21.40, 23.20, 02.45, 05.40 მუსიკა 20.10 მხ. ფილმი „საჰაერო ტერორისტები„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.00 ფილმი-ფანტასტიკა „აკვილიბრიუმი„ 03.00 მხატვრული ფილმი „მოცეკვავის დრო„

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „გაქცევა“ (ალეკ ბოლდუინი) ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ლეონი“ (ჟან რენო) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2“ 24.00 მხ. ფილმი „ვანილის ცა“ (ტომ კრუზი)

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 Мультсериал "Кошки-мышки". 12.40 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 13.20 Олег Меньшиков в фильме "ЖДУ И НАДЕЮСЬ". 2 с. 14.30 Искатели. "Мятежный форт". 15.10 Город женщин. 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. фильм "Невеста для адмирала". 20.50 "Стирка на миллион". 21.00 Евгений Сидихин в боевике "КАК БЫ НЕ ТАК". 2 с. 22.00, 00.30 Время. 23.35 Кремль-9. "В.Молотов. Арест жены и опала". 00.50 "Фабрика звезд". 01.10 Новые чудеса света. "Евротоннель".

## პარასკევი 7 მაისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „სისი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „აერობუსი“ 15.15 მხ. ფილმი „ფორსაიტების საგა“ 17-18ს. 17.00 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი 19.05 „იმღერე რამე“ 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი“ 22.00 „ღამის მატარებელი“ 23.20 „ღამის მატარებელი“ 00.00 ჯაზ-ფესტივალი 01.15 მხ. ფილმი „ლამაზი ჯონი„

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა“ მე-2 ნ. 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „სახიფათო პროფესია„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელეღიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელეღიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი „წყალქვეშა ნავი“. მთ. რ-ში: იურგენ პროხნოვი, ხერბერტ გრუნმეიერი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.50, 17.50, 02.25 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ 11.30 „ლარის მახე“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.55 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „ნირო ვულფის საიდუმლოება“ 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.35 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X-კლუზივი 23.55 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ მე-9ს. 01.05 „NBA“-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „კლიფორდი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი “განთიადი„ (ენტონი ჰოპკინსი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „აზუმი“ (იოჰირო ჰარადა)

12.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3“ 14.00 მხ. ფილმი „ტაქსი 2„ 15.30 მხ. ფილმი „პაროლი ხმალთევზა„ 17.000, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ. ფილმი „არც ცოცხალი არც მკვდარი„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „გმირი“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო“ “დიდი დღე„ მთ.რ-ში ჯულიანა მარგულისი, აივენ სერჯი. 03.45 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი„ 2 ს. 11.00 მუსიკა 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 მხ. ფილმი „საჰაერო ტერორისტები„ 13.50 მუსიკა 14.10 დრამა „თეთრი ოლეანდრი„ 16.20 მულტფილმი „ჰერკულესი„ 17.50 მუსიკა 18.20 სათავგადასავლო ფილმი „ლილიპუტები და გოლიათები„ 20.10 კომედია „ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი„ 21.30, 03.20 მუსიკა 22.40 „პოზიცია„ 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.20 თრილერი „პრეზიდენტის თვითმფრინავი„ 03.50 მელოდრამა „სიცოცხლე და მეტი არაფერი„

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „კომანდო“ (შვარცენეგერი) ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „კელის ბანდა“ (ო. ბლუმი) 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 24.00 მხ. ფილმი „ბონი და კლაიდი“ (უორენ ბიტი)

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.10 "Ералаш". 11.40, 19.50 Сериал "КЛОН" 12.45 Торжественная церемония вступления в должность президента Российской Федерации В.Путина. 13.30 Георгий Жженов в фильме "ГОРЯЧИЙ СНЕГ" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.15 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Охота на "крокодилов". 19.50 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время. 22.45 "Фабрика звезд". 00.00 Премьера. "С поднятыми руками". 00.05 Эдриен Броуди в фильме "ПИАНИСТ"

## შაბათი 8 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.10 მხ. ფილმი „მოვედვართ და მოვიმღერით“ 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.15 სერიალი „გრაფი მონტე კრისტო“ 5-6ს. 14.00 სერიალი „ნაპოლეონი და ევროპა“ 15.15 დოკ. ფილმი 15.55 ავტორბოლა „ფორმულა-1“ 18.00 ვესტნიკი 18.40 „იმღერე რამე“ 19.15 ტელეზღაპარი 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.50 ფორტუნა 22.30 „საღამოს საუბრები“ 00.15 მხ. ფილმი „შეყვარებული გასტროლიორი“

19.00 მულტფილმი „სიმბა ფეხბურთელი“ 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 მუს. ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „ადამიანი მატარებლიდან„

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები“ 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი“ 18.00, 01.10 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ 19.30 სერიალი „სერიული მკვლელობები“ 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო„: მხ. ფილმი „ბუზი“. რეჟ. ფრანსუა ოზონი 01.20 მხ. ფილმი „სიყვარული გერმანიაში“. მთ. რ-ში: ხანა შიგულა.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები„ 10.05 ანიმაც. ფილმი “მითიური მეომრები„ 10.30, 18.00, 02.15 იმედის მელოდიები 11.00 „ნბა“-ს ჟურნალი 11.30, 01.30 ტვ-მარკეტი 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი„ 13.10 სერიალი „რელიქვიების მაძიებელი„ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 16.30 პირველი ნახევარი 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი“ 20.00 ქართ. სერიალ „ყაყა და ლუდი“ 20.45 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 22.00, 02.00 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „მარლენი“ (კ. ფლინტი) 03.00 ეროვნული საკალათბ. ასოციაცია - პლეიოფი.

09.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები„ 10.20 საბ. სერიალი „საოცრებათა სეზონი„ 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „სენტიმენტალური ამბები“ 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.15, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 16.00 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 16.30 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი„-„ჩელსი„ 18.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 ფეხბურთი მზეზე 21.00 მხ. ფილმი „ერთი ამოსუნთქვით“ (ჟან-პოლ ბელმონდო) 23.00 მხ. ფილმი „სვოთი„ (სამუელ ელ ჯექსონი)

12.00 მხ. ფილმი „გმირი“ 14.00 მხ. ფილმი „შოუ იწყება“ 16.00 მხ. ფილმი „ნილაში“ 17.30 მხ. ფილმი „სიძულვილის სიყვარული„ 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ 00.20 მხ. ფილმი „შიშის ძალა“

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„ „კრუიზი„ მთ. რ-ში კლაივ ოუენი, ალექსის კინგსტოუნი.

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „თავზეხელაღებულთა კუნძული„ 11.30 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 „პოზიცია„ 14.10 კომედია „ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი„ 15.30 მუსიკა 16.10 მულტფილმი „გენიალური ბიჭუნა„ 17.40, 21.40, 02.50 მუსიკა 18.20 მელოდრამა „ნოსტალგია მამაზე„ 20.10 მხ. ფილმი „წყლის პირას„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 «Слово» 00.40 თრილერი „ჯაშუშური თამაშები„ 03.00 მხ. ფილმი „ცეკვები მგლებთან„

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „კაპიტან კორელის მანდოლინა“ (ნ. კეიჯი, პ. კრუსი) ინგ. ენაზე 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „ავიდარა“ 22.00 მუსიკა 24.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-3“ (მელ გიბსონი)

07.00, 11.00, 13.00 Новости. 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Сквозь огонь и воду". 07.40 Александр Збруев в фильме "ПЯДЬ ЗЕМЛИ" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря. 10.10 Здоровье. 11.10 "Смак" 11.30 "Кумиры" + кумиры - 2". 12.40 "Ералаш". 13.10 Никита Михалков представляет: "Солдатская правда Астафьева". 13.40 "Служу Отечеству!" Праздничный концерт. 15.00 Надежда Румянцева в комедии "КРЕПКИЙ ОРЕШЕК" 16.30 "У Победы - женское лицо". Праздничный канал. 17.30 Леонид Неведомский в детективе "ПО ДАННЫМ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА" 19.10 "Кто хочет стать миллионером?" 20.10 ПРАЗДНИЧНЫЙ КОНЦЕРТ, ПОСВЯЩЕННЫЙ ДНЮ ПОБЕДЫ. 22.00 Время. 22.20 Георгий Юматов в фильме "ОФИЦЕРЫ" 00.10 Том Хэнкс в боевике "СПАСТИ РЯДОВОГО РАЙАНА" 03.10 Боевик "ДВОЙНАЯ МАТРИЦА". (Япония). 05.00 Худ. фильм Бертрана Тавернье "ЭТО НАЧИНАЕТСЯ СЕГОДНЯ".

## კვირა 9 მაისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „შეყვარებული გასტროლიორი“ 10.00 დილის პაემანი 11.05 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „რბოლა „ქვემეხის ბირთვი“ 14.00 სერიალი „ნაპოლეონი და ევროპა“ 15.15 სპექტაკლი „ადამიანი იბადება ერთხელ“ 16.55 ავტორბოლა „ფორმულა-1“ 19.00 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ქალაქები“ 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი“ 21.00 კონცერტი 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ამბობენ“ 23.15 მხ. ფილმი „ჭარისკაცის მამა“

9.00 მხიარული კარუსელი 19.30 სერიალი „ეშმაკუნა“ 21.00 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში“ 22.00 მხ. ფილმი „მამაჩემი გმირია“.

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები“ 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.30 კურიერი 18.20 სერიალი „განდგომილი„ 18.45 მხ. ფილმი „ჯვარცმული კუნძული„. რეჟ. ნ. სანიშვილი 21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი“ - „პატრონი„ 877 45-79-25 ჟორჟ სკოტი, კარლ მოლდენი, „პიანისტი„ 877 45-79-26 ედრიან ბროუდი, ტომას კრეტჩმანი, „თეირანი-43“ 877 45-79-27 ნატალია ბელოხვოსტიკოვა, ალენ დელონი. 23.45 მხ. ფილმი „მდიდარი“. მთ. რ-ში: ლინო ვენტურა, კლაუდია კარდინალე.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 18.45, 00.15 ქრონიკა 09.10, 12.15, 19.45, 03.50 იმედის მელოდიები 09.30 ტვ-მარკეტი 10.05 ანიმაც. ფილმი “მითიური მეომრები„ 10.30 „დილის ფოსტა“ 11.00 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 12.30 საქმე № 13.15 „ერთხელ ჰოლივუდში“ 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები“ 14.30 მერიდიანი 15.15 „რეტროსკოპი„- მხ. ფილმი „ეშმაკისეული სილამაზე„ 17.05 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 17.30 სპ. პროგრამა „ასი“ 18.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 19.45 სერიალი „გაზაფხულის 17 გაელვება“ 22.00 დროება 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.20 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია -პლეიოფი. 03.20 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „მხიარული მელოდიები„ 10.20 საბ. სერიალი „საოცრებათა სეზონი„ 11.30 საუბრები ბიზნესის შესახებ 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „სენტიმენტალური ამბები“ 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 21.55 საინფ. გამოშვება „მზერა“ 18.05 სერიალი „ოდისევსი“ 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე“ 20.30 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა „ფულემი“-„არსენალი„ 22.30 ფეხბურთი მზეზე 23.00 მხ. ფილმი „ჰიტლერი“ (რობერტ კარლაილი)

12.00 გადაცემა „შამარერა“ 12.30 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ 14.00 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 15.30 მხ. ფილმი „მანდაის რაინდები„ 17.00 მხ. ფილმი „კეიტი და ლეო„ 19.00 ინდ. მხ. ფილმი „სიყვარული„ 22.00 მხ. ფილმი „დამლაგებელი“ 00.00 მხ. ფილმი „სნაიპერი“

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო„ „ნოსტალგია მამულზე„ მთრ-ში დირკ ბოგარდი, ჯეინ ბირკინი.

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია „სტუარტ ლიტლი 2„ 10.45 დოკუმენტური ფილმი 11.20 „ექსკლუზივი„ 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 დრამა „პერლ-ჰარბორი„ 15.25 დოკუმენტური ფილმი 16.20 მულტფილმი „ჯუნგლების მბრძანებელი„ 17.35 მხატვრული ფილმი „44-ის აგვისტოში„ 20.10, 00.40, 05.45 მუსიკა 20.30 კომედია „მისტერ პიტკინი მტრის ზურგში„ 23.00 «Слово» 01.00 სათავგადასავლო ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში“ 03.10 დოკუმენტური ფილმი

10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი [illegible] (მელ გიბსონი)

07.00 Новости. 07.10 Всеволод Санаев в фильме "ПЯТЬ ДНЕЙ, ПЯТЬ НОЧЕЙ" 09.00 "День Победы". Праздничный канал. 11.00 Москва. Красная площадь. Военный парад, посвященный Дню Победы. 11.55 "Песни Победы". Концерт. 13.50 Евгений Леонов в фильме "БЕЛОРУССКИЙ ВОКЗАЛ" 15.30 Премьера. "Его позывной - "Маэстро". 16.00 Новости. 16.10 "Жене Окуджава". 17.00 "РЕБЯТА НАШЕГО ПОЛКА". КОНЦЕРТ ГРУППЫ "ЛЮБЭ". 18.30 Леонид Быков в фильме "В БОЙ ИДУТ ОДНИ СТАРИКИ" 19.55 МИНУТА МОЛЧАНИЯ. 20.00 Информационная программа. 20.20 Сергей Гармаш в фильме "НА БЕЗЫМЯННОЙ ВЫСОТЕ" 1 с. 22.00 Время. 22.20 Сергей Гармаш в фильме "НА БЕЗЫМЯННОЙ ВЫСОТЕ". 2 с. 00.00 "ДЕНЬ ПОБЕДЫ". ПРАЗДНИЧНЫЙ КОНЦЕРТ.

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფო ზარმა“

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ ხუთი თვის ორსული (ტყუპზე). 8 კვირის ორსულობის პერიოდში მაღალი სიცხის გამო ექიმმა დამინიშნა გენტამიცინის ნემსები. 10 ამპულა გავიკეთე. გთხოვთ გამარკვიოთ, რამდენად მიზანშეწონილია ამ წამლის მიღება ორსულთათვის და ხომ არ იმოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე?**

***პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი ლ.მ.***

გენტამიცინი ფართო სპექტრის ანტიბიოტიკია. იგი მიეკუთვნება ამინოგლიკოზიდების ჯგუფს, ამ ჯგუფის ყველა ანტიბიოტიკს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული გვერდითი ეფექტები: ოტოტოქსიკურობა (უარყოფითად მოქმედებს სასმენ აპარატზე) და ნეფროტოქსიკურობა (უარყოფითად მოქმედებს შარდგამომყოფ სისტემაზე). ამიტომ, გარკვეული მდგომარეობების დროს მათი დანიშვნა არ შეიძლება. ორსულობისას გენტამიცინს ნიშნავენ მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით, ანუ როცა მისი გაკეთება აუცილებელია. თქვენ არ აკონკრეტებთ, თუ რის გამო გქონდათ მაღალი ტემპერატურა. საინტერესოა, შეიძლებოდა თუ არა სხვა შედარებით ნაკლებტოქსიკური ანტიბიოტიკების შერჩევა. რაც შეეხება ბავშვების მდგომარეობას, მათი განვითარების შეფასება შესაძლებელია ულტრასონოგრაფიული მეთოდით.

**ჩემს მეუღლეს ჰქონდა პროსტატიტი და რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდა. ახლა კარგად არის. სჭირდება თუ არა მას რაიმე განსაკუთრებული რეჟიმის დაცვა? როგორ უნდა იკვებოს?**

***ვერიკო მ.***

ქრონიკული პროსტატიტის დროს პაციენტი უნდა ერიდოს მწარე და ცხარე საკვებს, ალკოჰოლს, რაციონში უნდა შეზღუდოს ციტრუსი. სიმსუქნე, უმოძრაობა და სქესობრივი ურთიერთობისგან თავის შეკავება ასევე ხელს უწყობს დაავადების გამწვავებას. მაგრამ ყველაზე მძლავრი მაპროვოცირებელი ფაქტორი გახლავთ ორგანიზმის გადაცივება.

**მამაჩემს ჰქონდა შარდკენჭოვანი დაავადება. ბოლო დროს ვატყობ, რომ პერიოდულად მაქვს ტკივილის შეტევები წელის არეში. შეიძლებოდა თუ არა, რომ თირკმლის კენჭები მემკვიდრულად მიმეღო მამისგან?**

***პატივისცემით, მალხაზ ონიანი***

სამწუხაროდ, ასეთი რამ შესაძლებელია. მემკვიდრული ფაქტორი შარდკენჭოვანი დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მემკვიდრულად გადადის ნივთიერებათა ცვლის თავისებურება მშობლიდან შვილზე, ამას ემატება ისიც, რომ მათ ერთნაირი გარემო პირობები აქვთ, ერთნაირად იკვებებიან, რაც კენჭების ჩამოყალიბებისადმი მიდრეკილების რეალიზებას უწყობს ხელს.

გირჩევთ, დროულად ჩაიტაროთ ულტრაბგერითი გამოკვლევა და მიმართოთ უროლოგს კონსულტაციისთვის.

**მყავს 7 თვის გოგონა. იგი ხელოვნურ კვებაზეა. ეს ერთი თვეა, პატარა ძალიან ოფლიანობს, თანაც მეტისმეტად გაღიზიანებულია, სულ ტირის. სიცხე არ აქვს, სხვა თითქოს არაფერი აწუხებს, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც შეიძლება გამომეპაროს. მირჩიეთ რამე.**

***ლელა კოპალეიშვილი, თბილისი***

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს ორგანიზმში გაძვალების პროცესები, აქვს თუ არა პატარას კბილები, იხურება თუ არა ყიფლიბანდი. პირველ რიგში უნდა გამოვრიცხოთ D ვიტამინის დეფიციტით გამოწვეული რაქიტის არსებობა. მისი დიაგნოზის დადგენა პედიატრს შეუძლია. ასევე უნდა გაკეთდეს სისხლის საერთო ანალიზი ანემიის (სისხლნაკლულობის) გამოსარიცხად.

## კარაბადინი

**ვეხმაურები ბატონ ვალერი ლ-ს. წავიკითხე გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (15-21/III-ის ნომერში) თქვენი ავადმყოფობის თაობაზე — გაწუხებთ ეკზემა.**

**საჭიროა, მოძებნოთ მამაკაცი, რომელიც ეწევა თუთუნს ჩიბუხით. უნდა აცალოთ, რამდენიმე დღე, რათა ჩიბუხის მილში დაგროვდეს თუთუნის ნამწვი — ნიკოტინი. შემდეგ ჩიბუხის მილიდან ნამწვს გამოიღებთ და წაისვამთ დაავადებულ ადგილებზე (ჯერ უნდა დაიბანოთ, კარგად შეიმშრალოთ და შემდეგ წაისვათ). არ შეიხვევთ. იქნებით წოლით მდგომარეობაში. ნიკოტინი გაგაბრუებთ და არ შეგეშინდეთ. მალევე გამოხვალთ ამ მდგომარეობიდან.**

**იმ შემთხვევაში, თუ ერთ წასმაზე არ გიშველათ (რაც იშვიათია), კიდევ გაიმეორეთ. გისურვებთ გამოჯანმრთელებას.**

***პატივისცემით, თ. მაისურაძე***

**ექიმის კომენტარი:** ნიკოტინს ახასიათებს ქსოვილოვანი ცვლის პროცესების გააქტიურება ადგილობრივი ზემოქმედების დროს. ამის შედეგად კი ხორცდება ჭრილობები და აღდგება დაზიანებული ქსოვილები. ალბათ სწორედ მის ამ ეფექტთანაა დაკავშირებული თუთუნის ნამწვის გამოყენება ეგზემის დროს. თუმცა, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ დაზიანების კერები დიდია, შესაძლოა განვითარდეს ნიკოტინური ინტოქსიკაცია, ამიტომ გირჩევთ, სიფრთხილით მოეკიდოთ მკურნალობის ამ მეთოდს.

**„კვირის პალიტრის“ 1-ელი მარტის ნომერში მკითხველი ითხოვდა ყაბზობის სამკურნალო ხალხურ რეცეპტს:**

**ფაიფურის ან მინის ჭურჭელში სუფრის კოვზით საღამოს ჩაყარეთ ქატო (კოვზი კარგად გადავსებული უნდა იყოს), დაასხით ერთი ჩაის ჭიქა დასალევი წყალი და კოვზით კარგად მოურიეთ. დილით წყალი გადაღვარეთ, რაც გადაილევება. დარჩენილი ქატო კი ისე გადაანაწილეთ, რომ მიიღოთ დღეში 3-ჯერ სუფრის კოვზით ჭამამდე. ქატოს შეჭამთ და მერე მიაყოლებთ საჭმელს. ქატო უნდა იყოს სუფთა. ბაზარში რომ ქატო იყიდება ცხოველებისთვის, საკვებად არ მიიღოთ. უნდა მიხვიდეთ წისქვილში, სადაც ხორბლის დაფქვისას ფქვილი ხარისხდება და ქატო ცალკე გამოიყოფა. ქატო ამ წესით უნდა მიიღოთ რამდენიმე თვე. შემდეგ შეწყვიტეთ — მოსინჯეთ, იქნებ თავისთავად აღდგეს კუჭის მოქმედება. თუ გაგიჭირდათ, ისევ გააგრძელეთ მიღება. მე თვითონ სამი წლის წინ ვიმკურნალე, ქატო მივიღე შვიდი თვის განმავლობაში. ახლა თავს კარგად ვგრძნობ.**

***ქ. ხაშური***

**ექიმის კომენტარი:** ქატოს დღეს მედიცინაში ფართოდ იყენებენ კუჭ-ნაწლავის ფუნქციის აღსადგენად. იგი აწესრიგებს პერისტალტიკას. ასე რომ, მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტი შეგიძლიათ გამოიყენოთ ყაბზობის დროს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**ვარ 30 წლის. სახეზე გამიჩნდა პატარა, თეთრი ლაქა, რომელზეც წვერი აღარ ამომდის. თუ ვინმემ იცის რაიმე ამ ავადმყოფობის შესახებ, გთხოვთ მასწავლოთ.**

***გ.ფ. თბილისი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ისევ მაღალი წნევის შესახებ

ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმაზე, მაღალია, ნორმალური თუ დაბალი წნევა. ექიმების აზრით, ნორმალურია: 20-დან 40 წლამდე — 120-130-70-80, 40-დან 60 წლამდე 135/85, 60 წლის და უფრო მეტი ხნის ადამიანებისთვის — 140/90.

სისხლის წნევა მუდმივად იცვლება. დღისით



მაღალია, ვიდრე ღამით, ძილის დროს უფრო დაბალია, ვიდრე მუშაობის დროს. მაგრამ თუ 2-3 კვირის განმავლობაში წნევა ნორმაზე მაღალია, მიმართეთ ექიმს, რადგან მაღალი წნევა — ეს ჰიპერტონიაა და მასთან ერთად — ინფარქტი, ინსულტი, გულის უკმარისობა, სიბრმავე და უამრავი სხვა დაავადება.

მაღალი წნევის დროს ადამიანს ყურებში ხმაური ესმის, თავი სტკივა, თავბრუ ეხვევა, აქვს პირღებინების შეგრძნება, ტკივილი გულის არეში, ზოგჯერ ცხვირიდან სისხლი სდის. ჰიპერტონია მეტად ვერაგი დაავადებაა, რადგან ნელა და შეუმჩნევლად ვითარდება. მაღალწნევიანი ადამიანები მეტად მეტეომგრძნობიარენი არიან. ამინდის ცვალებადობამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტონიული კრიზი ან სხვა რამ, უფრო სერიოზული...

ასეთი შემთხვევებისგან თავის დასაცავად ამერიკელები წარამარა იზომავენ წნევას, რათა არ გამოეპაროთ ეს დაავადება.

### რაზეა დამოკიდებული მაღალი წნევა?

*ასაკზე* — ჰიპერტონია ემართებათ 35 წლის და მეტი ხნის ადამიანებს. წნევა ასაკთან ერთად მაღლა იწევს და ჩნდება მეტი შანსიც — ჰიპეტონიით დაავადებისა.

*სქესზე* — ჰიპერტონიით უფრო ხშირად ავადდებიან მამაკაცები, ვიდრე ქალები. ქალებს შორის კი დიდი შანსი აქვთ მათ, ვინც კლიმაქსის პერიოდი გაიარა.

*მემკვიდრეობითობაზე* — რაც უფრო მეტი ჰიპერტონიკია ახლო ნათესავებში, მით მეტია ჰიპერტონიის რისკი.

*სტრესზე* — ეს ყველაზე ვერაგი და უმოკლესი გზაა ჰიპერტონიისაკენ. პარაშუტით მხტომელებსა და სხვა ექსტრემალური სიამოვნების მოყვარულებს ძალიან დიდი შანსი აქვთ ჰიპერტონიკთა რიცხვში მოხვედრისა. ადრენალინი აჩქარებს გულს, რაც წნევის ამაღლებას იწვევს.

*ჩვევებზე* — ნიკოტინი ვნებს სისხლძარღვების კედლებს, რაც წნევაზე მოქმედებს. ალკოჰოლი — გულისთვის ტვირთია, ე.ი. მაღალი წნევა გარანტირებულია და კიდევ: ზედმეტი მარილი წნევას მაღლა სწევს.

*უმოძრაობა* — მათ შორის, ვინც მჯდომარე საქმიანობას ეწევა, 30-40%-ით მეტი ჰიპერტონიკია, მათ ხომ გული „უზარმაცდებათ“.

### წნევის გაზომვის 4 მნიშვნელოვანი წესი:

1. წნევა გაიზომეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო აბაზანის, ყავის ან ჩაის მიღებიდან ნახევარი საათის შემდეგ.

2. წნევა გაიზომეთ მშვიდად და დამჯდარმა. კითხვის დროს წნევა დაბალია, აქტიური ლაპარაკის დროს — მაღალი.

3. უმჯობესია წნევა გაიზომოთ ორივე ხელზე, საბოლოო შედეგად მიიჩნევა მაღალი მაჩვენებელი.

4. წნევის გაზომვისას ხელი გაიშიშვლეთ, რადგან აკაპიწებულმა სახელოებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს წნევის მაჩვენებლის სიზუსტეზე.

### მაღალი არტერიული წნევის დროს

1. როდესაც მედიკამენტოზური მკურნალობითი კრიზისი მოხსნილია, შეგიძლიათ წნევა დაარეგულიროთ ბუნებრივი საშუალებებით: საუკეთესო საშუალებაა კატაბალახას წვეთები, რომელიც კი არ უნდა დალიოთ, არამედ იყნოსოთ ყოველდღე ნახევარი წუთი, ერთი თვის განმავლობაში, ძილის წინ (დაიხსომეთ, მხოლოდ ძილის წინ!) წინააღმდეგ შემთხვევაში ეფექტი საპირისპირო იქნება. თუ მეორე დღეს თავის ტკივილს შეიგრძნობთ, შეამცირეთ შესუნთქვის ხანგრძლივობა.

2. 100-100გ გვირილა, კრაზანა, ნეგოს ყვავილები და არყის ხის კვირტები შეურიეთ ერთმანეთს. დილით 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ რამდენიმე წუთი და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი ჭამის წინ და მეორე ნახევარი ჭამის შემდეგ. ასე გაიმეორეთ დღეში 2-ჯერ. გემოვნებისთვის შეგიძლიათ 1 ს/კ თაფლი დაამატოთ.

***სობესედნიკი №3***

## სამკურნალო ტრუსები

გერმანელმა და ავსტრიელმა მეცნიერებმა შექმნეს სამოსი, რომელსაც ადამიანის მკურნალობა შეუძლია. სამოსი ჩვეულებრივი რეიტუზია. იგი პატრონს A, B და C ვიტამინებით კვებავს ფეხების გავლით. ვიტამინები მიკროკაფსულებშია მოთავსებული, სხეულის სითბოს ზეგავლენით ნელ-ნელა იხსნება და ორგანიზმში შედის. გარდა ამისა, ქსოვილში „ჩამონტაჟებული“ ბალზამი აცხრობს რევმატიულ ტკივილს წელსა და ფეხების სახსრებში. სამკურნალო ტრუსები უკვე იყიდება ავსტრიაში — ვიტამინების სათადარიგო კომპლექსთან ერთად იგი 8 დოლარი ღირს.

***ზდოროვიე №4***

## სიცოცხლის ელექსირი უძველესი ჩინეთიდან



ჯერ კიდევ უძველეს ჩინეთში, ცინის დინასტიის (ჩვ.წ.აღ-მდე 221წ.) დროს, ჩაის სოკო სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ელექსირად მიიჩნეოდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო სოკო — ჩეს (ან ლინგ-ჩე) ღვთაებრივი ძალა. 414 წელს იაპონიაში გამოიძახეს ერთ-ერთი ჩინელი ექიმი, რათა სოკოთი მოერჩინა იმპერატორი ინკიო. ეს წელი შეიძლება ჩაითვალოს იაპონიაში სოკო ჩეს „დაბადების“ თარიღად და მისი საზეიმო სვლის დასაწყისად აზიასა და ევროპაში.

ჩაის სოკო ორი სხვადასხვა მიკროორგანიზმის ნაერთია — საფუვრის სოკო და ძმარმჟავას ბაქტერიები წარმოქმნიან მედუზის მსგავს ბაქტერიების კოლონას, რომლის ზედაპირი მკვრივი და პრიალაა, ქვედა ნაწილი კი ასრულებს ღივის (მრავალძარღვოვანი ძაფისებური ყლორტის) ფუნქციას. ჩაის სოკო შეიცავს რძის, ძმრისა და ვაშლის მჟავას, სხვადასხვა ფერმენტს, PP და C ვიტამინებს და ა.შ.

ჩაის სოკო, რომელიც გემოთი ღვინოს წააგავს, შველის ცხვირ-ხახისა და პირის ღრუს ანთებას (ამ დროს უმჯობესია ჩაის სოკო შეათბოთ), ჩაის სოკოთი მკურნალობენ ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებს. ის აძლიერებს საჭმლის მომნელებელ წვენს. მჟავები, რომელსაც სოკო შეიცავს, კუჭ-ნაწლავში სპობენ მავნე ბაქტერიებს, ამ მხრივ ის ერთგვარი ანტიბიოტიკიც არის. რეკომენდებულია მისი ბაქტერიციდული თვისებების გასაძლიერებლად დაემატოს თაფლი.

გთავაზობთ *ნევრალგიური ხასიათის თავის ტკივილის, ანგინის, კონიუქტივიტის, ჩირქოვანი ჭრილობების დროს* ჩაის სოკოს (როგორც ანტიბაქტერიული საშუალება) მიღების წესს:

1/2 ჩ/ჭ ჩაის სოკო მიიღეთ 3-4-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე;

*კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს* მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ჩაის სოკო და ერთი საათით წამოწექით მარჯვენა მხარეს;

*რეკომენდებულია:* ანგინის დროს მისი ყელში გამოვლება, სურდოს დროს ცხვირის ნესტოების გამორეცხვა.

ჩაის სოკოს რეგულარული მიღება არეგულირებს არტერიულ წნევას, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას.

***ლიზა №16***

## უმშვენიერეს ქალბატონს, მანანა შარაშიძეს

თქვენ ალბათ, აღარც გახსოვართ, იმდენი ადამიანისთვის გაგიწვდიათ დახმარების ხელი. მე კი თქვენი დაბადების დღე არასოდეს დამავიწყდება — იმ დღეს ხომ დედა გავხდი, როდესაც თქვენთან, უმძიმეს მდგომარეობაში მომიყვანეს. ჩვენს დროში ძნელია, ვინმე კომფორტით და ტექნიკური მიღწევებით გააკვირვო. ადამიანური სითბო კი უფრო და უფრო იშვიათი ხდება — თქვენი კლინიკა ორივე ფაქტორის ბედნიერ დამთხვევას წარმოადგენს.

ჩემი ბიჭუნა ერთი წლის ხდება. მასთან ერთად გილოცავთ დაბადების დღეს, თქვენს ოჯახთან და კოლეგებთან ერთად დიდხანს და ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებთ — ბევრი სიცოცხლის გადასარჩენად.

***კლინიკური მედიცინის ცენტრის ყოფილი პაციენტი***

# ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ ᲡᲯᲝᲑᲡ



სპორტით ჯანმრთელობის გაუმჯობესების სპონტანური ცდები უმეტესწილად ვნებს ადამიანს, ვიდრე სარგებლობა მოაქვს. როგორც კვლევებმა ცხადყო, უსისტემო, დამქანცველი ფიზიკური ვარჯიშები, განსაკუთრებით დილაობით, ათეროსკლეროზს იწვევს.

როგორც აღმოჩნდა, პულსის გაძლიერებასთან ერთად მკვეთრად იზრდება გულის მიერ ჟანგბადის მოხმარება, ვარჯიშშეუჩვეველ სისხლძარღვებზე კი ამ დროს ე.წ. საცობები ჩნდება. ექიმები გვირჩევენ, ვივარჯიშოთ საღამოობით. ამ დროს სისხლძარღვები უფრო ელასტიკურია.

**ოკნა №14**


**ᲒᲐᲘᲖᲝᲛᲔᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲑᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ**



ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲗ!!! 95 ᲚᲐᲠᲐᲓ

- ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ
- ᲢᲔᲡᲢ-ᲩᲮᲘᲠᲔᲑᲘ
- ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲜᲔᲛᲡᲔᲑᲘ
- ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲩᲮᲕᲚᲔᲢᲘ
- ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ

ᲨᲞᲡ „ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲡᲢᲘ"
ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ Ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**

**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

ინფორმაცია ტელეფონით:
8(93) 31 42 35



**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!**
**ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ!**

**ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲚᲢᲠᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ!**







**ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲚᲘᲒᲐ"**

ᲡᲔᲥᲡᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*


# ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

**უნდა მივიყვანო თუ არა ჩემი 10 წლის გოგონა გინეკოლოგთან? რამდენად საჭიროა მოზარდი გოგონას კონტროლი?**

**ლ.ბ.**



ზოგიერთი გინეკოლოგიური პათოლოგია (მათ შორისაა სასქესო ორგანოების განვითარების ანომალიები და სხვა) გოგონას დაბადებისთანავე ვითარდება, თუმცა მათი გამოვლენა, სამწუხაროდ, მოგვიანებით ხდება. დაგვიანებული მკურნალობის შემთხვევაში მოზრდილი გოგონა მძიმე ფსიქიკურ განცდებში ვარდება.

მცდარია აზრი, თითქოს გინეკოლოგთან ვიზიტი მხოლოდ ზრდასრულ ქალს ესაჭიროება. ხშირად მოწიფულობის ასაკში გამოვლენილი გინეკოლოგიური პათოლოგიის მიზეზის ძებნა (შარდ-სასქესო ორგანოების ანთებითი, ინფექციური დაავადებები, უნაყოფობა და სხვა) ბავშვთა ასაკში უხდება ექიმს. ამიტომ პატარა გოგონაზე გინეკოლოგიური მეთვალყურეობა, ხოლო ნებისმიერ საეჭვო შემთხვევაში — მკურნალობა აუცილებელია.

ბავშვთა გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და გამოკვლევა-გასინჯვა პედიატრსაც შეუძლია. ექიმი ითვალისწინებს ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს, რაც გოგონას ასაკის მიხედვით ცვალებადობს.

სიცოცხლის პირველი 6-8 კვირის თავზე მოქმედებას იწყებს დედის ორგანიზმიდან მიღებული ჰორმონი — ესტროგენი, ზოგიერთ ბავშვს უშუპდება და უმაგრდება სარძევე ჯირკვლები, საიდანაც შეიძლება რძემაც გამოჟონოს, საშოს ლორწოვანი შესქელებული და შესივებულია, მუქი წითელი შეფერილობის, შეიძლება აღინიშნოს სისხლიანი გამონადენი.

8 კვირიდან 2 წლამდე დედისეული ჰორმონის დონე თანდათან მცირდება. ზოგიერთი გოგონას ორგანიზმში ესტროგენი გვიან „ქრება", ამიტომ გაჯირჯვებული სარძევე ჯირკვალი გაცილებით დიდხანს ნარჩუნდება. ჯერ კიდევ საშვილოსნოსში და განვითარების დროს შესაძლებელია საკვერცხის კისტა გაჩნდეს და ეს პროცესი საშოდან სისხლდენით გამოვლინდეს. ეს ფუნქციური ფოლიკულური კისტაა, რომელსაც მკურნალობა არ ესაჭიროება.

2 წლიდან 8 წლამდე დიდი სასირცხო ბაგეები არასრულად ფარავენ მცირე ბაგეებს. ამ პერიოდში შესაძლოა განვითარდეს ვაგინიტი — საშოს ანთება.

8 წლიდან 9 წლამდე ძლიერდება ორგანიზმის მიერ ესტროგენების პროდუქცია. დიდი სასირცხო ბაგეები ზომაში მატულობს, სარძევე ჯირკვლები კი, პირველ მენსტრუაციამდე ორი წლით ადრე იწყებს ზრდას.

მოზარდობის პერიოდში გოგონას სასქესო ორგანოები სრულყოფას განიცდის.

*გინეკოლოგიური გამოკვლევები:* მცირე ასაკის ბავშვების გამოკვლევა რთულია, რადგან პატარები შფოთავენ. თავისებურებებთანაა დაკავშირებული მოზარდი გოგონების გასინჯვაც. გასათვალისწინებელია ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური თავისებურებანი. ხშირად საჭირო ხდება სასქესო ორგანოებიდან ნაცხის აღება ისეთი პათოლოგიების გამოსავლენად, როგორებიცაა გონორეა, ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, სოკო და სხვა. როდესაც მსუქანი და ლაბილური ფსიქიკის მოზარდების გასინჯვა შეუძლებელი ხდება, ექიმი მხოლოდ ულტრაბგერითი კვლევით კმაყოფილდება.

სარძევე ჯირკვლების სიმსივნე მოზარდ გოგონებში ძალზე იშვიათია, თუმცა კონტროლი უკვე მოწიფულობის პერიოდიდან უნდა დაიწყოს. სარძევე ჯირკვლის პათოლოგიის გამოვლენა თავად გოგონას უნდა შეეძლოს და ნებისმიერი არასასურველი ცვლილების დროს (ქსოვილის შესქელება, ტკივილი, გამონადენი დვრილიდან) უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. სარძევე ჯირკვლის პათოლოგიებს შორის უხშირესია მასტოპათია, რომელიც ქალთა თითქმის 85%-ს აღენიშნება.

მკერდი გოგონამ ყოველდღიურად უნდა გაისინჯოს. საუკეთესო პერიოდი მენსტრუაციის შემდეგი ერთი კვირაა (ამ დროს ძუძუს ქსოვილი რბილია და წარმონაქმნი უკეთესად ისინჯება). გასინჯვა უმჯობესია აბანოში, გასაპნულ სხეულზე, თითების (ცერა და საჩვენებელი) მსუბუქი ზეწოლით. თითები რგოლისებურად უნდა ამოძრაოს ძუძუს გარეთა საზღვრიდან დვრილისკენ.

*ვულვოვაგინიტი.* ბავშვებში ამ დაავადებას მათი ასაკისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება განაპირობებს — ჰორმონ ესტროგენის დაბალი დონე, საშოს ნეიტრალური გარემო. ამ პათოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ჰიგიენური ნორმების დაუცველობას (გარეთა სასქესო ორგანოების არასრულფასოვანი გაწმენდა-დაბანა), ჭიებით ინვაზიას — ბავშვი იქავებს სასქესო ორგანოებს, აზიანებს, კაწრავს კანს, რაც ხელს უწყობს ინფექციის შეტანას ორგანიზმში. ზოგიერთი ჭია, მაგალითად, მახვილა, იოლად აღწევს საშოს და აღიზიანებს მის ლორწოვანს. ვულვოვაგინიტს განაპირობებს მჭიდრო, ხელოვნური ბოჭკოს საცვლები.

დაავადების დროს აღინიშნება საშოს არეში ქავილი, წვა, თეთრი გამონადენი, საჭიროა საშოს ნაცხის გამოკვლევა, მკურნალობა — თბილი ჯდომითი აბაზანების მიღება დღეში 3-ჯერ, ბავშვი დაბანეთ „რბილი" საპნით, რომელიც მცენარეული ზეთების დანამატებს შეიცავს. გაამშრალეთ რბილი პირსახოცით. თუკი ეს მკურნალობა შედეგს არ გამოიღებს, 3 კვირის შემდეგ ექიმი უნიშნავს ანტიბიოტიკებს, შესაძლებელია ჰორმონებსაც.

მოზარდ გოგონებში ვულვოვაგინიტი უმეტესად კონკრეტული გამომწვევითაა განპირობებული. ესენია: საშოს ტრიქომონა, სოკო კანდიდა — გონორეის გამომწვევი. ამიტომ, მკურნალობის დროს უშუალოდ გამომწვევ მიკროორგანიზმს ებრძვიან.

*თეთრად შლა* — როგორც მოზრდილ ქალებში, ასევე გოგონებში ხშირი სიმპტომია. ის ხასიათდება თეთრი ფერის გამონადენით და შეიძლება შეგვხვდეს დაავადებულ, ასევე ჯანმრთელ ბავშვშიც — ფიზიოლოგიური თეთრად შლა — პირველი ორი კვირის განმავლობაში. იგი გამოწვეულია დედის ჰორმონებით და მკურნალობას არ საჭიროებს. ფიზიოლოგიური თეთრად შლა კვლავ სქესობრივი მომწიფების პერიოდში იჩენს თავს. ამ დროს ყალიბდება საკვერცხეების ფუნქცია და, შესაბამისად, თეთრი ფერის გამონადენი ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ დროს მკურნალობა საჭირო არ არის.

პათოლოგიური თეთრად შლა განპირობებულია სხვადასხვა სახის ინფექციით.

*ამენორეა* — მენსტრუალური ციკლის არარსებობაა. მოზარდ გოგონებში ამენორეას იწვევს სტრესი, წონაში დაკლება, საცხოვრებელი პირობების შეცვლა, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა, ნერვული ანორექსია, ჭარბი წონა, საკვერცხეების პოლიკისტოზი, აფრისებრი ჯირკვლის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი. მკურნალობა გამომწვევი მიზეზების მიხედვით ინიშნება.

*ალიგოდისმენორეა ანუ* მტკივნეული მენსტრუაცია — შეიძლება იყოს ფუნქციური — ჯანმრთელ გოგონებს აწუხებდეს ან ორგანული, სხვადასხვა დაავადების დროს (მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი პროცესები, ენდომეტრიუმი და სხვა). ამ დროს მიზანშეწონილია წოლითი რეჟიმის დაცვა, სითხის სმა, ხოლო თუ ტკივილი ხანგრძლივი და ძლიერია, საჭირო ხდება დამატებითი გამოკვლევების ჩატარება და მკურნალობის დანიშვნა.

**მაია მუხიგული**


**ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲘᲡ, ᲐᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲜᲐᲞᲠᲐᲚᲘᲡ, ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲡ**

**ᲣᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝᲓ, ᲣᲡᲘᲡᲮᲚᲝᲓ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ**

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲣᲠᲔᲗᲠᲝ-ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲘᲡ, ᲣᲠᲝᲒᲔᲜᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

მის: ბახტრიონის 18
სამედიცინო ცენტრი „ᲚᲐᲖᲔᲠᲘ"
☎ 91-18-33; 899-70-00-40


# ᲯᲐᲠᲐᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

**ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲠᲔᲡᲞᲘᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ** — შეურიეთ ერთმანეთს 1 ს/კ მზესუმზირის ზეთი, 1 ს/კ 20%-იანი სპირტზე დამზადებული დინდგელის ნაყენი და 1 ს/კ ცაცხვის თაფლი. ნარევი წაუსვით მდოგვის საფენზე, დაიდეთ მკერდსა და ზურგზე (სიცხე არ უნდა გქონდეთ).

**ᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ** — კარგად შეურიეთ 1ს/კ რუხი ხორბლის ფქვილი (ბავშვისთვის 2-3 კოვზი), თითო-თითო ს/კ მდოგვის ფხვნილი, მზესუმზირის ზეთი, თაფლი და 1,5 ს/კ არაყი, ნარევი შეათბეთ წყლის ორთქლზე და წაუსვით ოთხად დაკეცილ მარლის ნაჭერს, დაიფინეთ მკერდზე იმ ადგილას, საიდანაც ისმის ხიხინი ან გრძნობთ დისკომფორტს. ზემოდან დააფარეთ ცელოფანი და შეიხვიეთ შალის ქსოვილით.

**ᲑᲠᲝᲜᲥᲘᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ** — თხლად დაჭრილი შავი ბოლოკი ფენა-ფენა ჩააწყვეთ მომინანქრებულ ქვაბში, დააყარეთ შაქარი და 2 საათი შუშეთ ჰაერღუმელში. გადაწურეთ მინის ქილაში და მიიღეთ 1 ს/კ წვენი 4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

**ᲰᲐᲘᲛᲝᲠᲘᲢᲡ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ:** წვრილ სახეხზე გახეხილი 1 თავი ხახვი გაწურეთ ორფა მარლაში, 10 წვეთი ჩააწვეთეთ ჭიქაში, დაუმატეთ იმდენივე სამედიცინო სპირტი.

კანიანად მოხარშეთ კარტოფილი და გაიკეთეთ ინჰალაცია. შემდეგ ნესტოებში ჩაიწვეთეთ 2 წვეთი ხახვისა და სპირტის ნარევი (მეტი არ შეიძლება) თავდაპირველად, აგეწვებათ, მაგრამ უნდა მოითმინოთ, სამაგიეროდ, შემდეგ იგრძნობთ თავს კარგად, დილით სრულიად ჯანმრთელი ადგებით.

**ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ:** ორ-ორი ცალი ლიმონი და ფორთოხალი გაატარეთ ხორცსაკეპში. ამ ნარევს დაუმატეთ 2 ს/კ თაფლი, გაქენით და შეინახეთ ერთი დღე-ღამე თბილად, შემდეგ შედგით მაცივარში. მიიღეთ 1 ს/კ 2-3-ჯერ დღეში.

**ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ** — მიიღეთ 15-25 წვეთი ჟენშენის ნაყენი 3-ჯერ დღეში, 2 კვირის განმავლობაში. დაიხსომეთ! დოზის გაზრდა გამოიწვევს უძილობას, აღზნებას, თავის ტკივილს.

**ᲘᲓᲐᲧᲕᲔᲑᲖᲔ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲮᲔᲨᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲛᲣᲥᲔᲑᲐᲡ** იწვევს ავიტამინოზი, ასევე მექანიკური გაღიზიანება (ზამთრის უხეში სამოსი, იდაყვებზე დაყრდნობით ხშირი კითხვა და ა.შ.). გაუხეშებული კანის დასარბილებლად ხმარობენ ავოკადოს ზეთს და ოჯახურ მათეთრებელ საშუალებებს (ლიმონის წვენს, არაჟანს), ვიტამინის კომპლექტებს.

**ᲓᲐᲛᲡᲙᲓᲐᲠᲘ, ᲒᲐᲣᲮᲔᲨᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲥᲣᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ:**

1. რამდენიმე ცალი მოხარშული კარტოფილი დაჭყლიტეთ, აურიეთ 2-4 ს/კ სახამებელში, ჩადეთ თასში, დაასხით თბილი წყალი და გააჩერეთ ამ მასაში ფეხები. შემდეგ დაიმუშავეთ ქუსლები პემზით და წაისვით მკვებავი კრემით.

2. ქილაში ათქვიფეთ 1 კვერცხი, დაამატეთ 1-1ს/კ მცენარეული ზეთი და 70%-იანი ძმრის მჟავა. დაახურეთ თავზე და თქვიფეთ 5 წუთი მაინც, ნარევის შესქელებამდე. ყოველი დაბანის შემდეგ შეიზილეთ ქუსლებში (პროცედურა გააგრძელეთ, სანამ არ მოგირჩებათ). ნარევი შეინახეთ მაცივარში.

**ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲔᲛᲢᲕᲠᲔᲗ:** ზეითუნის ზეთი რამდენიმე წუთი ადუღეთ ორთქლზე, შეაგრილეთ და წაისვით ფრჩხილებზე. პროცედურა გაიმეორეთ კვირაში ერთხელ. ფრჩხილები აღარ დაგიშრევდებათ, დაიბრუნებენ ჯანმრთელ ფერს და ბრწყინვალებას.

# „არც ერთ ქვეყანას არა აქვს სხვა ქვეყნის საქმეში ჩარევის უფლება"

*აიათოლა სეიედ მუჰამედ ჰამენეი — ირანის ლიდერის ძმა, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია. „ნეზავისიმაია გაზეტამ" ინტერვიუ ჩამოართვა მას. გთავაზობთ ამონარიდს:*

**— ისლამს ხშირად აიგივებენ ტერორთან. რა უნდა გაკეთდეს ამ შეხედულების გასაბათილებლად?**

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისლამის ჭეშმარიტ არსში ჩაწვდომა. ყურანში ნათქვამია: ვინც ერთ ადამიანს მოკლავს — ბევრის მკვლელია. ვინც იარაღით სხვას ემუქრება, კიდეც რომ არ მოკლას, დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. ხალხის დაშინება ტერორის ტოლფასია. ისლამი არც ძალადობას ქადაგებს და არც სისასტიკეს. ისლამური მმართველობა სამართლიანობას ემყარება, მაგრამ ისლამური ქვეყნის მმართველები ზოგჯერ პირადი ამბიციებით ხელმძღვანელობენ. გახსოვთ ალბათ, ლუდოვიკო XIV ამბობდა, — სახელმწიფო — ეს მე ვარო. ზოგჯერ ამ პრინციპს მსოფლიოს დესპოტური მმართველები იზიარებენ და თუ ეს მუსლიმანურ სახელმწიფოშიც ხდება, ისლამის ბრალი სულაც არ არის.

**— ირანში კანონს, სასამართლოს, უშიშროების ორგანიზაციებს ერთპიროვნულად აკონტროლებს თქვენი ძმა. რამდენად დემოკრატიულია ქვეყნის ამგვარი მოწყობა?**

— მე ვმონაწილეობდი კონსტიტუციის შედგენაში. მაშინ არ ვიცოდით, ქვეყნის ლიდერი ვინ იქნებოდა, მაგრამ თვალწინ გვქონდა წინა რეჟიმის მაგალითი და არ გვინდოდა, იგივე გამეორებულიყო. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ჯარზე, სასამართლოსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფო ორგანოზე კონტროლს ერთი საიმედო ადამიანის ხელში უნდა მოეყარა თავი. ირანის ლიდერის მოღვაწეობას სასულიერო პირთაგან შემდგარი საბჭო ადევნებს თვალს და თუ რამე შეეშალა — გადააყენებენ. კათოლიკე მღვდელთან მქონდა საუბარი, მას გაუკვირდა — როგორ შეიძლება არჩეული ლიდერის გადაყენებაო. მაგრამ ირანის კონსტიტუციით ლიდერს ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც სხვას და თუ დანაშაულს ჩაიდენს, ლიდერი აღარ არის. ასე რომ, სწორედ ჭეშმარიტი დემოკრატიაა ირანში.

**— შეიძლება თუ არა, რომ ერაყი ირანის ისლამური რესპუბლიკის მსგავს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს?**

— თუ ამერიკელები დემოკრატები არიან და ადამიანის უფლებებს იცავენ, თავი დაანებონ ერაყელ ხალხს და მისცენ საკუთარი კონსტიტუციის შექმნისა და მმართველობის ფორმის არჩევის შესაძლებლობა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №76***

# იასირ არაფატის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია



ისრაელის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში არიელ შარონმა განაცხადა, რომ ვაშინგტონში, ჯორჯ ბუშთან შეხვედრისას, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების გზების განხილვისას, იასირ არაფატზეც ილაპარაკეს. „პრეზიდენტ ბუშს ვუთხარი, — ვერავის მივცემ იმის გარანტიას, რომ იასირ არაფატს ფიზიკურ ზიანს არ მივაყენებ-მეთქი. მას, ვინც ხოცავს ებრაელებს ან სხვებს უბრძანებს მათ მოკვლას ებრაელობის გამო, უნდა ესმოდეს, რომ სიკვდილი არ ასცდება", — თქვა არიელ შარონმა. როცა ტელეჟურნალისტმა ჰკითხა, — ჯორჯ ბუშმა პასუხად რა გითხრათო, შარონმა თავმდაბლურად განაცხადა: — სხვისი ნათქვამის გამხელიც უფლება არა მაქვსო. ამ ინტერვიუს შემდეგ აშშ პრეზიდენტის მრჩეველმა კონდოლიზა რაისმა არიელ შარონის კანცელარიის უფროსს დაურეკა და აუწყა, — აშშ-ის პოზიცია იასირ არაფატის მიმართ უცვლელია, ჩვენ ბატონ პრემიერს ავუხსენით, რომ თეთრი სახლი არაფატის ფიზიკური განადგურების წინააღმდეგიაო.

ისრაელელი ანალიტიკოსების აზრით, არიელ შარონს ეს განცხადება პარტია „ლიკუდის" წევრებს შორის პოპულარობის ასამაღლებლად და რეფერენდუმში გამარჯვების მოსაპოვებლად სჭირდება. ისრაელის მმართველი პარტიის „ლიკუდის" რეფერენდუმი ამ დღეებში გაიმართება.

პრემიერის ნათქვამმა დიდი აღშფოთება გამოიწვია რამალაში. ათასობით პალესტინელი შეიკრიბა ავტონომიური რესპუბლიკის თავკაცის რეზიდენციასთან. თავად არაფატი, რომელიც დაჯგუფება „ჰამასის" გაზრდილი პოპულარობის გამო ჩრდილში იყო მოქცეული, შარონის მუქარის შემდეგ კვლავ ყურადღების ცენტრშია და მის სახლთან შეკრებილ მომიტინგეებს დაჰპირდა — შაჰიდივით მოვკვდებიო.

***კომერსანტი №75***

# ავსტრიელებმა პრაგმატიკოსი ირჩიეს

ავსტრიის სოციალისტური პარტიის კანდიდატი ჰაინც ფიშერი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. იგი განათლებით იურისტია, ცნობილია, როგორც კომპრომისული და პრაგმატული გადაწყვეტილების მომხრე პოლიტიკოსი. საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე — ავსტრიის მმართველი სახალხო პარტიის წარმომადგენელი ქალბატონი ბენიტა მარია-ფერერა ვალდნერი ეწინააღმდეგებოდა ვენის მუდმივი ნეიტრალიტეტის კურსს. ფიშერი კი აცხადებდა, — ნეიტრალური კურსი არ უნდა შეიცვალოსო. საპრეზიდენტო არჩევნებში ჰაინც ფიშერის გამარჯვება იმის მაჩვენებელია, რომ ამომრჩევლები სწორედ მის შეხედულებას იზიარებენ. ეს მარტო ალპური რესპუბლიკისთვის კი არა, მთელ ევროპაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.



ჰაინც ფიშერის ინაუგურაცია ივლისში გაიმართება. იგი შეცვლის პრეზიდენტ თომას კლესტილს, რომელიც ორჯერ იყო არჩეული პრეზიდენტად 6-წლიანი ვადით და არჩევნებში მესამედ მონაწილეობის უფლება აღარ ჰქონდა. ჰაინც ფიშერი ავსტრიის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსია, ბოლო 12 წელი პარლამენტის სპიკერია. მან უარი თქვა პრეზიდენტის ვილაზე ვენის ფეშენებელურ რაიონში და განაცხადა, რომ ისევ თავის ბინაში იცხოვრებს — გარეუბანში, მუშათა რაიონში.

***ნიუზუიქი***



**ბრიუსელში ევროკავშირის დიდმა მოხელეებმა ზარ-ზეიმით მიიღეს ადრე შერისხული ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი. თუმცა შეხვედრას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია — ლიბიის რევოლუციის თავკაცს მაშინ ეცა ვიღაც უცნობი თანამოაზრე თაყვანისმცემელი, როცა ევროკავშირის კომისიის თავმჯდომარე რომანო პროდი ხელსართმევდა. ანალიტიკოსების აზრით, 15 წლის შემდეგ კადაფის პირველი ოფიციალური ვიზიტი ევროპაში — ისტორიულია: იწყება ახალი ეტაპი ლიბიისა და ევროპის ურთიერთობაში.**

# ალ გორი ჯონ კერის დაეხმარება

**აშშ**-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა და ჯორჯ ბუშის მეტოქემ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ალ გორმა განაცხადა, რომ 6 მლნ დოლარს გადასცემს დემოკრატიულ პარტიას ჯონ კერის საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

„მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის მომავლისთვის, ამიტომაც მინდა დავეხმარო ჯონ კერის გაპრეზიდენტებაში. ყველაფერს ვიღონებ, რომ დემოკრატებმა კვლავ შეძლონ სენატისა და წარმომადგენელთა პალატის გაკონტროლება. კერი შესანიშნავი პრეზიდენტი იქნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის უსათუოდ გაიმარჯვებს. ჯორჯ ბუშისა და დიკ ჩეინის ცრუ დაპირებები არ სჭირდება ამერიკას", — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ალ გორმა.

***ნიუს რუ***

## მოკლედ

**ევროკავშირს** კიდევ ათი ქვეყანა შეემატა — ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკია, სლოვენია, მალტა და კვიპროსი. ახლა ბლოკში 25 სახელმწიფო შედის.

**ერაყში** ომის დამთავრების წლისთავის წინა დღეს ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა აჩვენა ერაყში დაღუპული 700-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურის ფოტო და მათი გვარებიც გამოაცხადა. პროგრამის მიზანი იყო შეეხსენებინა ამერიკელებისათვის ერაყში დაღუპული თანამემამულეები, თუმცა ბევრის ვარაუდით ეს იყო ნამდვილი ანტისამხედრო პროპაგანდა.

**ვარშავის** სასამართლომ ცნობილ პოლონელ კინოპროდიუსერს ლევ რივინს („შინდლერის სია", „პიანისტი") ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა პოლონეთის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორისაგან ქრთამის სახით 17,5 მლნ დოლარის მიღების მცდელობისათვის. სასამართლო პროცესის დროს გაირკვა, რომ რივინი რედაქტორს ქრთამს სთხოვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის უზრუნველყოფისთვის. ამას იგი პოლონეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების საშუალებით განახორციელებდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ლეშეკ მილერმა შეძლო წაყენებული ბრალდების თავიდან აცილება, მაგრამ სასამართლო პროცესის შემდეგ მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა. იგი სხვა კორუფციულ სკანდალებშიც არის ეჭვმიტანილი.

**ბულგარეთის** პრეზიდენტის გეორგ პირვანოვის კორტეჟს, ერაყის ქალაქ ქერბალაში ცეცხლი გაუხსნეს. დაჯავშნულ მანქანაში მსხდომ პრეზიდენტსა და მის მხლებლებს არაფერი დაშავებიათ. ბულგარეთი არ აპირებს თავისი სამხედრო კონტინგენტის ერაყიდან გაყვანას. თუმცა უკვე დაკარგა 6 ჯარისკაცი მათ ბაზაზე ერაყელთა მიერ განხორციელებული ორი ტერაქტის შედეგად.

**მაკედონიას** ახალი პრეზიდენტი ჰყავს — ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბრანკო ჩრვენკოვსკი. ჩრვენკოვსკის ხმა მისცა მოსახლეობის 62%-მა. ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გააგრძელებს ავიაკატასტროფაში დაღუპული პრეზიდენტის ბორის ტრაიკოვსკის სამშვიდობო კურსს.

**აშშ-ში** ქალაქ დევენსის კლინიკაში, 81 წლის ასაკში, გარდაიცვალა სიცილიური მაფიის მთავარი დონი გაეტანო ბადალამენტი, რომელსაც მეტსახელად „ტანოს" ეძახდნენ. ამერიკულ მაფიასთან დაკავშირებული დონ ტანო იყო საერთაშორისო დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, რომელსაც იტალიიდან აშშ-ში გაჰქონდა ნარკოტიკების დიდი პარტიები. 1987 წელს გაეტანო ბადალამენტის აშშ-ში 45-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 2002 წელს კი იტალიის სასამართლომ დაუსწრებლად სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 1978 წელს ჩადენილი მკვლელობისათვის.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



# რა წერია გასაიდუმლოებულ პროექტში?

## მისცემენ თუ არა ეკონომიკას ჩრდილიდან გამოსვლის შესაძლებლობას?

*როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ახალი საგადასახადო კოდექსი შეიმუშავა და განსახილველად რამდენიმე სახელმწიფო უწყებას წარუდგინა. ეკონომიკის სამინისტროს და სავაჭრო-სამრეწველო პალატის გარდა, აღნიშნულ პროექტს თურმე თავად პრემიერ-მინისტრი, ბატონი ზურაბ ჟვანიაც გაეცნობა. როგორც ჩვენთან საუბრისას მცირე მეწარმეთა ასოციაციის წევრმა, ბატონმა თამაზ ვაშაკიძემ განაცხადა, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ჯერჯერობით ორი თავისგან შედგება და ორი გადასახადის — მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის განხილვას წარმოადგენს. გარდა*



**მართალია, ეს არ არის კოდექსის საბოლოო სახე, თუმცა ის, რაც აქ წერია, რეალურად სამეწარმეო სფეროსთვის ვერაფერი შეღავათი იქნება. რადგან ძირითადი გადასახადები ფაქტობრივად, უცვლელი რჩება.**

*ამისა, პროექტში აღნიშნულია ის გადასახადები, რომლებიც შესაძლოა საერთოდ გაუქმდეს. როგორც ჩანს, პარლამენტის კარამდე აღნიშნულ პროექტს ჯერ არ მიუღწევია, რადგან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარისთვის, ბატონ რომან გოცირიძისთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი. სად და როგორ მოიპოვეს მცირე მეწარმეთა ასოციაციაში აღნიშნული დოკუმენტი? როგორია ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის შინაარსი და რა გადასახადებისგან გაათავისუფლებენ მეწარმეებს? აღნიშნულ საკითხებზე თავად ბატონი* **თამაზ ვაშაკიძე** *გვესაუბრება.*

— **ბატონო თამაზ, სად მოიპოვეთ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი და ვინ აწერს ამ პროექტს ხელს?**

— პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონ ზურაბ ნოღაიდელის ხელმოწერა ახლავს. ჩვენმა ასოციაციამ ეს პროექტი სხვადასხვა გზით მოიძია, თუმცა მთავარი მაინც მისი შინაარსი და მომავალი კოდექსის ძირითადი მიმართულებებია, რომლებზეც მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. პროექტში გარკვევით წერია, რომ საერთო სახელმწიფო გადასახადებიდან რჩება ფაქტობრივად ყველა გადასახადი — საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების, აქციზები და სოციალური გადასახადები. აღნიშნული გადასახადების განაკვეთების რეალურ შემცირებაზე პროექტში არაფერია ნათქვამი, პროექტიდან ჩანს, რომ ადგილობრივი გადასახადებიდან მომავალ საგადასახადო კოდექსში დარჩება ქონების და მიწის გადასახადი. პროექტის მეორე პუნქტში ვკითხულობთ, რომ იმ გადასახადებიდან, რომლებზეც ამჟამად მიმდინარეობს მსჯელობა, პირველი მცირე ბიზნესის გადასახადია. განხილვის საგანია აგრეთვე ფიქსირებული გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. არ მესმის, რა მსჯელობა უნდა სათამაშო ბიზნესის გადასახადს?! გადასახადები, რომლებსაც აუქმებენ, გახლავთ — ავტოტრანსპორტის მესაკუთრეთა გადასახადი (ძვირად ღირებული ავტოტრანსპორტის საშუალებათა მესაკუთრეები კი ქონების გადასახადით დაიბეგრებიან), უქმდება გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემისათვის. გარდა ამისა, ავტოტრანსპორტის მესაკუთრეთა გადასახადი გათვალისწინებული იქნება ნავთობპროდუქტებზე აქციზში. უქმდება გადასახადები მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე, გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის, მავნე ნივთიერებისა და გარემოს დაბინძურების გადასახადი (ამ პუნქტში მოიაზრება მხოლოდ ნავთობპროდუქტები და ბენზინგასამართი სადგურები), უქმდება ბუნებრივი რესურსით სარგებლობის გადასახადი. ადგილობრივი გადასახადებიდან გასაუქმებელთა სიაში მოხვდნენ საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი და გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის. ამავე პროექტში ვკითხულობთ, რომ საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი ანუ ფიზიკური პირის შემოსავლის ზედა ზღვარი 18%-იანი განაკვეთით განისაზღვრება, მაშინ, როდესაც დღეს ფიზიკური პირის შემოსავალი 20%-იანი განაკვეთით იბეგრება. მართალია, ეს არ არის კოდექსის საბოლოო სახე, არამედ მხოლოდ რამდენიმე მიმართულებაა გამოკვეთილი, თუმცა ის, რაც აქ წერია, რეალურად სამეწარმეო სფეროსთვის ვერაფერი შეღავათი იქნება. რადგან ძირითადი გადასახადები ფაქტობრივად, უცვლელი რჩება.

*პარლამენტის წევრი და ეკონომიკის ექსპერტი ბესო ჯუღელი იმ კომისიის წევრია, რომელიც ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნაზე მუშაობს, ამიტომ საგადასახადო კოდექსის პროექტთან დაკავშირებით კომენტარი მასაც ვთხოვეთ.*

**ბესო ჯუღელი:**

— სამწუხაროდ, ჩვენში ბევრმა მეწარმემ შავი ფულის კეთების მეტი არაფერი იცის და ბოდიშს ვიხდი უხეშობისთვის, მაგრამ საკუთარი მუცლის იქით არ იყურებიან. კარგი იქნება, თუ ეკონომიკურ ლიტერატურას გაეცნობიან, ხოლო ეკონომიკურ პოლიტიკაში ცხვირს ნაკლებად ჩაყოფენ. მინდა გითხრათ, რომ როდესაც ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტზე დავიწყეთ მუშაობა, თავიდანვე დავისახეთ მიზნად ისეთი ძირითადი გადასახადების პარამეტრების შემცირება, როგორიცაა: დამატებული ღირებულების გადასახადი, საშემოსავლო და სოციალური გადასახადი. მე არ ვიცი, პროექტის რა ვარიანტი გაუგზავნა ფინანსთა მინისტრის აპარატმა შესაბამის უწყებებს განსახილველად, მაგრამ იმ ვარიანტში, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ პრემიერ-მინისტრთან, სოციალური გადასახადი შემცირებულია ორჯერ, საშემოსავლო გადასახადიც გარკვეულწილად შემცირებულია და იყო მსჯელობა, რომ მომხდარიყო დღგ-ის 20%-იანი განაკვეთის დიფერენცირება. რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის გადასახადს, გარწმუნებთ, რომ მასზე მსჯელობა საერთოდ არ ყოფილა. გადაჭრით ითქვა, რომ იგი უნდა გაუქმდეს.

— **ბატონო ბესო, თქვენ ბრძანეთ, რომ არ იცით, პროექტის რა ვარიანტი გაეგზავნა განსახილველად სახელმწიფო უწყებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთდროულად რამდენიმე ასეთი ვარიანტი არსებობს?**

— ახალი საგადასახადო კოდექსის მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობს, რომლის დამუშავებაშიც მე ვმონაწილეობ. გამორიცხულია, რომ კომისიის წევრები ერთი მიმართულებით ვმუშაობდეთ, ფინანსთა სამინისტრომ კი სრულიად სხვა მიმართულების ტექსტი გაავრცელოს. გარწმუნებთ, რომ რეალურად მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია და რამდენიმე პარამეტრი გაგიმხილეთ კიდეც. თუმცა, როგორც ამ კომისიის წევრს, არ მაქვს იურიდიული უფლება პროექტის ყველა პარამეტრზე გესაუბროთ, რადგან კოდექსი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. მაგრამ გეტყვით, რომ ყველა ძირითადი გადასახადის პარამეტრის ლიბ-



**სამწუხაროდ, ჩვენში ბევრმა მეწარმემ შავი ფულის კეთების მეტი არაფერი იცის. კარგი იქნება, თუ ეკონომიკურ ლიტერატურას გაეცნობიან, ხოლო ეკონომიკურ პოლიტიკაში ცხვირს ნაკლებად ჩაყოფენ.**

ერალიზაცია მიმდინარეობს.

— **როგორ ფიქრობთ, მოასწრებთ ამ კოდექსის სრულყოფილი ვარიანტის შექმნას მაისისთვის?**

— მაისის ბოლომდე საგადასახადო კოდექსს აუცილებლად წარვუდგენთ პარლამენტს განსახილველად. მინდა დავაიმედო საზოგადოება, რომ ბესო ჯუღელი, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციისთვის იბრძვის, ამ შანსს არ დაკარგავს. ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ მაქსიმალურად მისაღები კოდექსი დავამტკიცოთ. ჩემთვის მთავარია, რომ პირველ რიგში კოდექსი მეწარმეს უნდა წაადგეს. მირჩევნია დღეს მქონდეს ნაკლები საბიუჯეტო შემოსავალი, მაგრამ ამუშავდეს წარმოება და მოხდეს ხალხის დასაქმება. არ არის აუცილებელი ახლავე მივიღოთ მაღალი ფისკალური ეფექტი, მთავარია, რომ საუკეთესო გარემო შევქმნათ წარმოების განვითარებისათვის.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე,**
ეკონომიკის ექსპერტი:

— ფინანსთა სამინისტროს ქმედება მიუღებელია ჩემთვის. უნდა დაიწეროს ახლებური, ფილოსოფიურად გამართული საგადასახადო კოდექსი. საგადასახადო კოდექსი არ არის სადამსჯელო ოპერაციის ტრაქტატი. იგი უნდა იყოს ერთგვარი კონტრაქტი სახელმწიფოსა და მეწარმეს შორის, სადაც ორივე მხარეს თავისი პასუხისმგებლობა ეკისრება. თუ ასე არ ჩამოყალიბდა საგადასახადო კოდექსი, მივიღებთ იმავე შედეგს, რაც მოქმედ საგადასახადო კოდექსს დაემართა, როდესაც მასში ათასამდე შესწორება შევიდა. საგადასახადო კოდექსი აუცილებლად უნდა იყოს მდგრადი, ამისათვის სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი საჯაროდ განხილვა და მიღება. მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ ის, რომ გადასახადების სახეობათა რაოდენობას შეამცირებენ, მერწმუნეთ, საკმარისი არ არის. თუ არ შემცირდა ძირითადი გადასახადების (საშემოსავლო, მოგების, დამატებული ღირებულების და სოციალური) განაკვეთები, მეწარმის მოგების 70% გადასახადებს მოხმარდება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ეკონომიკა ვერასოდეს ვერ აშენდება და ჩრდილიდან ვერ გამოვა. არსებობს თეორია, რომელიც ჩემი მოგონილი ნამდვილად არ არის და ამერიკელების მიერ არის შემუშავებული, რომ მშენებარე ეკონომიკაში საგადასახადო ტვირთი 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ისეთ მდიდარ ქვეყანაშიც კი, როგორიც შვედეთია, საგადასახადო ტვირთი 67%-ს შეადგენს. ეს ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან და იქაც კი ამცირებენ გადასახადებს, რადგან ქვეყნის ეკონომიკა ველარ უძლებს ასეთ საგადასახადო პოლიტიკას.

— **რამდენ პროცენტამდე უნდა იქნეს დაყვანილი საგადასახადო განაკვეთები, რომ მომავალმა საგადასახადო კოდექსმა რეალური შედეგი მოგვცეს?**

— საშემოსავლო და მოგების გადასახადი, რომელიც პრაქტიკულად ერთი და იგივე გადასახადია, სხვადასხვა სახით ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის 20-იდან 10%-მდე უნდა შემცირდეს. დამატებული ღირებულების გადასახადი დიფერენცირებული უნდა იყოს სხვადასხვა საქონელზე, მაქსიმალური განაკვეთი კი, ისევე როგორც რუსეთში, 16% უნდა იყოს და არა 20%, ხოლო პროდუქციის სხვადასხვა სახეობაზე კი მისი განაკვეთი 8%-ს არ უნდა აღემატებოდეს. სოციალური გადასახადი დღეისათვის ჯამაგირის 33%-ს შეადგენს. თავის დროზე, ეს კომუნისტების მიერ მოგონილი გადასახადია, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ პენსია მაშინ თოთხმეტი ლარი არ იყო. ამ სახის გადასახადი ასეთი დიდი განაკვეთით კი იმის საწინდარია, რომ ქვეყანაში ხელფასი არასოდეს არ იქნება დეკლარირებული.

— **რამდენად მისაღებია თქვენთვის ის ფაქტი, რომ იმ კომისიის შემადგენლობაში, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობს, არც ერთი მეწარმე არ შედის, თუ არ ჩავთვლით „ყოფილ" ბიზნესმენს ბესო ჯუღელს. ხომ არ გამოიწვევს ეს მეწარმეთა ინტერესების უგულებელყოფას?**

— ასეთი ტიპის კანონები კარგმა ეკონომისტებმა და კვალიფიციურმა იურისტებმა უნდა დაწერონ და არა მეწარმეებმა, მაგრამ არა ასე მალულად, როგორც ეს ახლა ხდება. აუცილებლად უნდა ხდებოდეს თითოეული პუნქტის ზოგადსახელმწიფოებრივი განხილვა. საჭიროა, რომ ეს კანონი საჯაროდ გამოქვეყნდეს, როგორც ეს საფრანგეთსა და შვეიცარიაში მოხდა. ეჭვი მიჩნდება, რომ იმიტომ ცდილობენ ამ კანონის მაქსიმალურ გასაიდუმლოებას, რათა რაც შეიძლება ნაკლები დრო დარჩეს კრიტიკისთვის. მაისის ბოლოს კი მიართმევენ პრეზიდენტს დაპირებულ კოდექსს და ბიუჯეტის დროულად დამტკიცების მიზნით, ნაჩქარევად მიიღებენ კიდეც. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ მთელი ბიზნესი დარჩება ჩრდილში. რატომღაც გვგონია, რომ სახელმწიფო კარგად იარსებებს, როდესაც კარგია ქვეყნის ბიუჯეტი. ბიუჯეტი კი ნამდვილად არ არის ეკონომიკის სარკე. შემიძლია დაგისახელოთ ძალიან ბევრი ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად მძლავრია, მაგრამ საკმაოდ მცირე ბიუჯეტი აქვს. შვეიცარიაში, მაგალითად, მხოლოდ ექვსი სახელმწიფო მანქანაა, მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისში ალბათ 600 000-ია. ეკონომიკისთვის მთავარი ინდიკატორი არის მთლიანი შიდაპროდუქტი და არა ბიუჯეტი. მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდას კი ლიბერალური საგადასახადო კოდექსი განაპირობებს. ის კოდექსი კი, რომელსაც ჩვენი მთავრობა უახლოეს მომავალში პარლამენტს შესთავაზებს, ვეჭვობ, საქართველოს ეკონომიკას სისხლის ბოლო წვეთს გამოადენს.



**საგადასახადო კოდექსის შემუშავებაზე შესაბამისი კომისია მუშაობს, თუმცა მათი ქმედებები იმდენად არის გასაიდუმლოებული, რომ პროექტის გაცნობის საშუალებასაც კი არ გვაძლევენ.**

*ვადა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის წევრებს ახალი საგადასახადო პროექტის წარსადგენად მისცა, 3 მაისს იწურება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაპირებულ ლიბერალური კოდექსის მაგივრად სუბიექტურ მოსაზრებებს არ შეგვრიგებენ და მის ნაცვლად ძველი კოდექსის სახეცვლილ ვარიანტს არ შემოგვთავაზებენ, რადგან ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის დაჩაჩანაკებული ეკონომიკა კიდევ ერთ დარტყმას ზურგში ნამდვილად ვერ აიტანს.*

***ემა ტუხაშვილი***


ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
● უნივერსალური ●
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99. 569195; 899 931110 ●
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან
იყიდება მხოლოდ თბილისის ოფისიდან



შპს „გეოკორი"

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9800 |
| ევრო | 2,3610 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4998 |
| რუსული რუბლი | 0,0684 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3885 |


„ალუპლასტის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779



შპს „პოლიგრაფისტი" (სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13 (რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎ 95-00-97



TeleTRADE
ფინანსური კომპანია აცხადებს პერსონალის მიღებას
სამუშაო მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე (Forex&stock)
სპეციალობა ფინანსური ანალიტიკოსი
წინასწარი მომზადება
ჩაწერა გასაუბრებაზე ტელ: 29-34-16

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. – თქვენ აგაშენათ ღმერთმა!



აგვისტოს პაპანაქებაა. გლდანის ბაზართან მანქანა დავაყენე და ის-ის იყო ბაზარში შესვლას ვაპირებდი, რომ ერთ-ერთ მანქანასთან ჩემი თანამშრომელი ჟორა ჩ. შემომეფეთა.

— თუ ძმა ხარ, საბურავმა დამიშვა და „ნასოსი" გექნებაო.

მეც ამოვიღე მანქანიდან დგუში და უფროს კაცს პატივი ვეცი — თვითონ დავიწყე დაშვებული საბურავის დაბერვა. რომ იტყვიან, არაქათი გამომეცალა, სანამ დავბერავდი...

— მე რომ მანქანაში ჩავჯდები, დავქოქავ და „ნასოსით" დაბერვა მაშინ შეწყვიტე — იქნება ვულკანიზაციამდე როგორმე მივაღწიოო... — მთხოვა ჟორამ.

ვხედავ, ჟორას გასაღები მოუმარჯვია და კარგა ხანს აწვალებს მანქანის კარს, რომელიც, რატომღაც არ ემორჩილება. დიდი ხნის ჯაჯგურის შემდეგ ნირწამხდარმა აქეთ-იქით მიმოიხედა და... მწარედ შეიკურთხა:

— უნდა მაპატიო, ჩემო ძმაო!.. მანქანა შემეშალა...

გულამოვარდნილმა დაბერვა შევწყვიტე.

რამდენიმე მანქანის იქით თავისი „ჟიგული" დალანდა, რომელსაც ყველა საბურავი წესრიგში ჰქონდა(!). ჩაჯდა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

ბაზრის შესასვლელთან მდგარი ჯიხურიდან კი ღიმილით გამოვიდა ერთი ახმახი, რომელიც, თურმე, მთელ ჩვენს „საქმიანობას" სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს.

— თქვენ გიშველათ ღმერთმა!.. რა ხანია, წასვლას ვაპირებდი და ამ სიცხეში მაგ საბურავის დაბერვის არც თავი მქონდა და არც სურვილიო...

***გერონტი მესხი, თბილისი***

## 2. როცა ხტუმრები იგვიანებენ...



მოგეხსენებათ, გაჭირვებამ ბევრი გადახვეწა საქართველოდან, მათ შორის ჩემი ქალიშვილიც, რომელიც გერმანიაში გაემგზავრა.

სწავლობდა იქ, მუშაობდა და ბოლოს გათხოვდა.

შარშან ზაფხულს მოუთმენლად ველოდით მონატრებულ ქალიშვილს, ახალშეძენილ სიძესა და შვილიშვილს. ახლობლებიც მოვიპატიჟეთ, პირდაპირ სუფრაზე ველოდით ძვირფას სტუმრებს. ბოლო მომენტში კი შეგვატყობინეს, მიზეზთა გამო ვერ ჩამოვალთო.

წაიშინა ხელები თავში ჩემმა მეუღლემ, ატირდა, მაგრამ რა ატირდა:

— დავკარგეთ შვილი, ჩვენ რომც დავიხოცოთ, ის აქ ჩამომსვლელი აღარ არისო!

მოვეფერე ნერვებაშლილ ქალს, შეძლებისდაგვარად დავამშვიდე და მერე „მრისხანედ" ვუთხარი:

— მოიცა, ჩამობრძანდება შენი ქალიშვილი აქ და მე იმას დედას... — მოკლედ, შევაგინე მამაპაპურად...

— ჯუმბერ, მაგიზა იმათ ჩამოსვლას თუ ვუცადეთ, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! — გამოცოცხლდა ჩემი კნეინა და სასწრაფოდ შეიმშრალა ცრემლები.

***ჯუმბერ ქკუასელი, რუსთავი***

## 3. ჯვიცი ბვარმე ხტის...



ამას წინათ სვანეთში ვიყავი საქმიანი ვიზიტით. ადგილობრივი ინტელიგენტის ოჯახში მოვხვდი. საღამო ჟამს გარეთ ვისხედით და ვსაუბრობდით. ამ დროს ოჯახის უფროსმა თავის არც ისე პატარა ბიჭს (13-14 წლის იქნებოდა) გასძახა, ენახა — შუქი იყო თუ არა. ისიც წავიდა, მანქანაში ჩაჯდა, სინათლეები აანთო და მამას გამოსძახა, მოსულა დენი, მამიო.

P.S. როგორც შემდეგ მამამისმა ამიხსნა, მანქანა ახალი ნაყიდი ჰყოლიათ და ჯერ არ იცოდა პატარა სვანმა მანქანაში და სახლში სხვადასხვა დენის წყარო რომ იქნებოდა.

***ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***

## 4. წერილი



გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, ჩემს მეზობლად მაშო ბებო ცხოვრობდა. მისი შუათანა ვაჟი ყვარლის ტრესტში მუშაობდა პარიკმახერად. ერთ დილას მე და მისი შვილიშვილი სკოლაში მივდიოდით. დაგვიძახა და გვთხოვა: — ეს წერილი ფოშტის ყუთში ჩააგდეთო. დავინტერესდით, ვის უგზავნიდა წერილს მაშო ბებო. კონვერტს დავხედეთ, წავიკითხეთ მისამართი და სიცილისგან ადგილიდან ველარ ვიძროდით. „მისამართი" ასეთი იყო: — ყვარლი ტრეიტი, მიიღოს პარიკმახერ ვახტანგამ. თუ იმას არ მიუვიდეი, უკან დამიბრუნეით, მაშო.

ის წერილი ჩვენ კი ჩავუშვით ყუთში, მაგრამ არც ვახტანგს მიუღია და არც მაშო ბებოს დაბრუნებია უკან...

***რ. ველისციხელი, გურჯაანი***

## 5. –„პაკრიშკას" მაგი შველის?!



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ერთხანს ცნობილი მწერალი ოტია იოსელიანი მუშაობდა. ერთხელ, დამქანცველი რეპეტიციის შემდეგ მწერალს ენაკვიმატი რეჟისორი მურმან ფურცხვანიძე მიუახლოვდა და შეშფოთებულმა აუწყა:

— ბატონო ოტია, თქვენი მანქანის საბურავი მოუპარავთ და რამე ვიღონოთ!

— არ გაღამრიო, კაცო, გუშინ ვიყიდე სახელდახელოდ. ვინ ოხერმა მეიპარა, ნეტა? — სიბრაზისგან ბოლთას სცემდა კულისებში.

ბოლოს „დაინდეს" ცნობილი მწერალი და ღიმილით შეაპარეს:

— დღეს პირველი აპრილია, ბატონო ოტია!

— ორი აპრილი იყოს, კაცო! „პაკრიშკას" მაგი შველის?! — გაოცდა მწერალი.

მაშინ „შანტაჟიორებმა" მეტი დამაჯერებლობით ერთხმად დააგუგუნეს:

— ბატონო ოტია, დღეს პირველი აპრილია!

— გადამრევს ეს ხალხი, მაგი მიშველის ახლა მე?!

ცნობილი მწერალი ძლივსღა დაარწმუნეს, რომ მისი მანქანა ისევ „საღ-სალამათი" იყო.

***ე. ფ., წყალტუბო***

## 6. ექიმის დარიგების „მსხვერპლი"



ზესტაფონში ყველასათვის კარგად ცნობილმა ექიმმა, ომარ მახათაძემ მამიდის ქმარს, მამიას სოფელში ჩააკითხა და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში დახმარება აღუთქვა. საჭირო იყო ანალიზების აღება.

ორშაბათი იყო და რადგან მამია ნასაუზმევი გახლდათ, სისხლის აღება აღარ შეიძლებოდა, ამიტომ ომარმა შარდის ანალიზი თვითონვე წამოიღო და ბიძა დაარიგა: — ხუთშაბათს, 10 საათამდე არაფერი შეჭამო და ჩამოვალ თუ არა, სისხლის ანალიზსაც აგიღებო.

ომარი, დაპირებისამებრ მართლაც ჩავიდა ხუთშაბათს დილით ბიძასთან და რას ხედავს: ბიძამისი სულთმობრძავი წევს ლოგინად. ერთი კი გაიფიქრა, ავადმყოფობა გაურთულდაო, მაგრამ რომ გაიგო, რაც მოხდა, გულიანად იცინა. საცოდავ მამიას თურმე ორშაბათის შემდეგ ლუკმაც არ გაუსინჯავს და სისხლის ანალიზის აღებას „უზმოზე" ელოდა...

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## 7. ფოტოგრაფი იხსენებს



ომის ინვალიდი ვარ, ვმუშაობდი ფოტოგრაფად სამტრედიაში. ერთხელ ჩემთან მოვიდა შუახნის ჩასუქებული მანდილოსანი და მთხოვა, სურათი გადამიღეო. მე მივუთითე სკამზე და ვუთხარი, დაბრძანდით-მეთქი. მან სკამი გვერდზე გასწია, მოხერხებულად დადგა ზურგშექცევით, კაბა აიწია და წელი მომიშვირა... გაოცებულმა წამოვიძახე, რა ხდება-მეთქი. მან კი მშვიდად მიპასუხა, წელის ტკივილები მაქვს და ექიმმა მითხრა, სურათი გადაიღეო...

***ი. კალაძე, სამტრედია***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან

ანეკდოტის ნომერი ____

**კვირის პალიტრა №18**

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 5 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 მაისის 13 საათამდე.*

# გამოვლინდა კურიოზების კონკურსის კიდევ სამი გამარჯვებული:

უნდა აღინიშნოს, რომ აპრილში ბევრი მართლაც კარგი კურიოზი დაიბეჭდა. ასევე საგრძნობლად გაიზარდა იმ მკითხველთა რიცხვიც, რომლებიც ასახელებენ საუკეთესო კურიოზის ავტორებს. რამდენიმე კურიოზმა კი მკითხველთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა:

პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი წილად ხვდა თბილისელ **პაატა ბაკურაძეს** კურიოზისთვის — „მზრუნველი" სიძეები" (45,0%); მეორე ადგილზე თბილისელი **თეიმურაზ ვარდოსანიძეა** კურიოზით — „სიცხიანი" რადიატორები" (44,3%), ბატონი თეიმურაზი მიიღებს პრემიას — 30 ლარს. ხოლო მესამე ადგილი და პრემია — 20 ლარი დაიმსახურა თბილისელმა **შოთა ჩხეიძემ** კურიოზით — „შენი" ჩემია" (32,5%). პრიზიორებს ვულოცავთ გამარჯვებას და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 6 მაისს, 17 საათზე.

**კურიოზების კონკურსი გრძელდება!**

31 მაისის ნომერში თქვენ შეიტყობთ მაისის თვის გამარჯვებულთა ვინაობას:

წარმატებებს გისურვებთ!

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**8.** ავტოინსპექტორმა გააჩერა სვანი, ფარები არ გინათებს და 10 ლარი ღირსო!

მეუღლემ წასჩურჩულა, არც დაფიქრდე, მიეცი, წელან სახელოსნოში ხომ ფარების გაკეთებაში 25 ლარი გთხოვესო!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***





**9.** ფსიქიატრი პაციენტს ულოცავს:

— გილოცავთ პროგრესს — თქვენ თითქმის განიკურნეთ!

— და თქვენ ამას პროგრესს უწოდებთ?! სამი თვის წინ მეფე ვიყავი, ახლა კი ვინ ვარ? არავინ!

***ანიკო, თბილისი***

**10.** — აწი მართლა აღარ დავლევ!.. — ეუბნება მიხო მიტუას.

— რათა, ჯოო?!

— რო დავლევ, მარო ორად მეჩვენება და გაძლება არ უნდა მაგასა?

***დათო სამუშია, წალენჯიხის რაიონი, სოფელი ლია***



## მადლობა

**დათო ხუბუას!**

ყავარჯნებით ზუგდიდის ქუჩაზე მიმავალ I ჯგუფის ინვალიდს ფეხი დამისხლტა. წაქცეული, უცნობმა პირმა ამაყენა და მიპატრონა. გმადლობთ, ბატონო დათო, გულისხმიერებისათვის. თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისაც შეუძლია, სხვისი ტკივილი გაიზიაროს და ამით სატკივარი შეუმსუბუქოს გაჭირვებულს. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა ადამიანები.

*ტოჩკა დარცმელია*

## ბინები

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი საბაზანო-ტუალეტით, ეზო 1200კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტელ: 899 94-11-94

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვესაჭიროება გამყიდველები გარე ვაჭრობისათვის, პრესის გასავრცელებლად. ტელ: 95-21-08

ოფისში სათანამშრომლოდ გვესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე, ინტელექტუალური ადამიანები. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 33-59-23. ლეილა

ყურადღება! უცხოურ კომპანიაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომლები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობები: უმაღლესი განათლება და ასაკი 25-55 წელი. უპირატესობა მიენიჭებათ ექიმებსა და შემდეგ კომპანიებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს: „დერმაჯეტიქსი", „ნიუვეისი", „დოვგანი", „ორიფლეიმი", „ვიზიონი", „ფაბერლიკი", „ევონი"... ტელ: 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

„გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" სამუშაოდ იწვევს 18-დან 45 წლამდე მანდილოსნებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

მრავალპროფილიანი კომპანია გთავაზობთ თანამშრომლების მიღებას მზარდანაზღაურებად სამსახურში. აუცილებელია უ/გ. გასაუბრება – წინასწარი ჩაწერით. ტელ: 38-86-87

ყურადღება! რეალური სამუშაო უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანებისათვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან. ტელ: 96-29-30

## მომსახურება

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე" გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასებში გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD-ზე). შეკვეთები მიიღება: ალმაშენებლის გამზ. №164. ტელ: 34-29-75; 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ ხოტივარი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვიტამინები, რომლებმაც მსოფლიო დაიპყრო! სუპერსიმაღლე, თვეში – 3-4 სმ; გახდომა-გასუქება, თვეში 7-20 კგ. აგრეთვე გთავაზობთ სხეულის ცალკეული ნაწილების კორექციას და ნაოჭების გასწორებას მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. თქვენ მოიხსნით ყველა პრობლემას. საერთო კონსულტანტი – მედეა. ტელ: 34-02-38; 899 51-18-20

## მკურნალობა

ექიმი-ფიტოთერაპევტი ტასო ელიზბარაშვილი გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას მცენარეული პრეპარატებითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. აქვე ტარდება კომპიუტერული დიაგნოსტიკა. მიღება წინასწარი ჩაწერით (კვირის გარდა), 10-18 სთ. მის. ალმაშენებლის №109 (ეზოში, ხელმარცხნივ, ნაცრისფერგისოსებიანი კარი). ტელ: 94-19-84 (სამს.); 899 74-23-69; 96-35-92

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (ტ = 37,2°ჩ), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 54-64-81

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით, უნებლიე შარდვას, ნევროზებს, რადიკულიტს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს. საერთო მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: დავით ალმაშენებლის №113. ტ: 95-74-29 (სამს.); 96-38-27

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მცენარეული პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, წნევები, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, სახსრები, ბუასილი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, კოლიტი, თვალის დაავადებები, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! ანტიალკოჰოლი, ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, სახსრების მარილოვანი დაავადებები, კლიმაქსი, პროსტატიტი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, კუჭის წყლულოვანი დაავადებები. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმთან ეფექტური, უნიკალური ბრძოლა საქართველოში, მხოლოდ ჩვენთან – აბსოლუტურად უსაფრთხო მკურნალობა! არ იწვევს გართულებებს, წმენდს ორგანიზმს, ამშვიდებს გაღიზიანებულ ნერვულ სისტემას, აწესრიგებს ძილს, ხსნის ნაბახუსევის („პახმელიის") სინდრომს. მკურნალობა შესაძლოა პაციენტისაგან ფარულადაც (ოჯახის წევრის მიერ). ტელ: 899 22-63-90

ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი რეაბილიტაცია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, სისხლძარღვთა შევიწროება – უნიკალური, ექსკლუზიური, მაღალეფექტური პრეპარატებით (აკ. ლიხარიოვის მეთოდიკა). ტელ: 77-71-22; 99-75-90. ლელა

ყურადღება! ხერხემლისა და სახსრების დაავადებების, ნევრალგიების, რადიკულიტების, პლექსიტების, მიოზიტების მაღალეფექტური მკურნალობა. ეფექტი – პირველი დღეებიდან!!! მეთოდი აპრობირებულია თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტში. მიღება კლინიკაში წინასწარი ჩაწერით. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის! – ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, ფსიქოემოციური სფეროს მოწესრიგება, ჰეპატიტები. ალკოჰოლისაგან გათავისუფლება ხდება პაციენტისგან შეუმჩნევლად, მისი სურვილის მიუხედავად, მაქსიმალური ეფექტით. პრეპარატები მოსკოვშია დამზადებული, სერტიფიცირებულია, გვერდითი მოვლენების გარეშე. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული პრეპარატებით – ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზები, ქრ. ბრონქიტი, პნევმონია, ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, ბრონქიალური ასთმა, ბუასილი, კოლიტი, კატარაქტა, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება. ტელ: 32-39-46; 899 43-97-34. ნათია

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებზე შექმნილი ЛООВИТ-ის პროდუქციით და პროგრამებით, უნიკალური შედეგებით: ალკოჰოლიზმი, ნევროზი, შიში, დეპრესია, უძილობა, თავის ტკივილები, გაფანტული სკლეროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ალერგია, ასთმა, პროსტატიტი, თვალის პათოლოგიები, ენურეზი. ტელ: 893 96-94-51

ვმკურნალობ: წითელ ქარს, ფსორიაზს, ეგზემას, მუნს (ვარჩენ ორი წასმით), სოკოს, ბებერას, მეჭეჭებს, ლაქებს, ჭორფლს, ფერიმჭამელებს, ოფლიანობას. მკურნალობა გარანტირებულია. მის: ლიბანის ქ. №5 (ცენტროლიტი). პროვიზორი ჩაკვეტაძე. ტელ: 62-25-75

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

## იყიდება

ახალი სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. უჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. ანტენის მეშვეობით შეგიძლიათ უყუროთ ქართულ, რუსულ და ევროპის 300 ტელეარხს, უმაღლესი ხარისხით. კომპლექტის ფასი – $135, მონტაჟი – $20. რუსეთის 23 ტელეარხი – ფასი მონტაჟით, $200-დან $220-მდე. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## სხვადასხვა

24 აპრილს, ზემო ბახტრიონზე დაიკარგა კურცხაარის ჯიშის, ხვადი, 9 თვის ლეკვი. მპოვნელი დასაჩუქრდება. ტელ: 893 13-80-68

ა.წ. 7 ივნისს უნივერსიტეტ „საქართველოში" ტარდება სტუდენტთა კონფერენცია თემებზე: ა) ბიომედიცინის აქტუალური საკითხები; ბ) საერთაშორისო სამართლის პრობლემები; გ) სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემები; დ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, მოგვაწოდოთ თეზისები 20 მაისამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის (ყოფ. ბუდაპეშტის) ქ. №1ბ, უნივერსიტეტი „საქართველო", სტუდენტთა კონფერენციის ორგკომიტეტი. თეზისი დაბეჭდილი უნდა იყოს თაბახის ფურცელზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე (A4, ფონტი გეოდუმბა და Times New Roman, 12, ინტერვალი – 1,5) და არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.









### ვალენტინა ხარჩილავა-იმედაშვილის მონატრება

ერთი მძიმე და ტკივილიანი წელი გავიდა, რაც მოულოდნელად წახვედი ამ წუთისოფლიდან. შენ წახვედი ფიზიკურად, მაგრამ აქ დარჩა შენი კეთილი საქმეების კვალი. შენ იყავი ოჯახის, ნათესავების, კოლეგებისა და მეგობრების უზარმაზარი იმედი. გიყვარდა ადამიანები და მათი სიყვარულით ცხოვრობდი. სამწუხაროდ, განგებამ ინება, ჩვენგან რომ წასულიყავი. რაც დრო გადის, მით უფრო სანატრელი ხდება შენთან გატარებული წუთები.

ჩვენზე ზრუნვაში განვლე მთელი ცხოვრება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენ გვიფრთხილდებოდი. როგორ გვიყვარდი და გვეამაყებოდი.

ლაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

ღმერთს შევთხოვთ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში ამყოფოს.

*საყვარელი ოჯახი*

### ზაზა წიკლაურის მონატრება



ჩვენო ტკბილო შვილო ზაზა! პირველი მაისი ხომ შენი დაბადების დღეა. ვაი ამ დღეს, მას ხომ უშენოდ ვხვდებით. შენ ამშვენებდი ოჯახს, სამეგობროს. დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა, კაცურად იცხოვრე, შვილო, 30 წელი და ისე წახვედი. ცრემლების გარდა ვერაფერს გჩუქნით შენს დაბადების დღეზე.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი სული.

*შენი უბედური დედა ნანული, მამა მირიანი*

### მზია ყენია-ბეჟიტაშვილის ხსოვნას!



ჩვენო ძვირფასო, საყვარელო დედა, რა მოულოდნელად წახვედი ჩვენგან, როგორ დაგვტოვე ობლად, გაემგზავრე შენს ძვირფას მეუღლესთან, მშობლებთან, ძმასთან... სათნო და კეთილი – ტკივილს არ გვიმხელდი, შვილიშვილის სიყვარული, ახლობლების ალერსი ყველაფერს გავიწყებდა.

გმადლობთ, დედიკო, ასეთი თბილი რომ იყავი, უამრავი კარგი რამ რომ გვასწავლე, ერთგულება და თანადგომა რომ გვასწავლე... ვეცდებით, შენი ხსოვნა არ შევარცხვინოთ, ისე ვიცხოვროთ, როგორც შენ და მამას გაგიხარდებოდათ.

ღმერთმა აცხონოს შენი სული...

*მაია და ირმა ბეჟიტაშვილები*

### ბერდია ყარმაზანაშვილის მონატრება

პირველი მაისი შენი დაბადების დღეა, შენ ხომ 25 წლის გახდებოდი. უკვე მეორედ ვხვდებით ამ დღეს უშენოდ – ცრემლით, ტკივილით, რომელსაც საშველი არა აქვს. უსაშველოდ, ტკივილამდე მენატრები, უბედური დედის შვილო. მხოლოდ 23 ბედნიერი წელი გვერგო შენთან ერთად ყოფნისა, ჩემო გაუხარელო, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულო. შვილო, დღე-დღეზე ველოდით შენს გაბედნიერებას, მაგრამ



ბედნიერების უმაღლეს წერტილზე ასულს ბედმა გიმუხთლა – შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, მე კი, მარადიული ტკივილი, მწარე სიცოცხლე, ცივი ქვის ყურება და შენი ლამაზი სურათის მოფერება. ეს ჩემთვის მძიმე სასჯელია. მწარეა უშენოდ ყოფნა, შენი სიცილი და ლაპარაკის გაგონება მენატრება.

*შენი უბედური დედა!*

### გიორგი ფოცხვერაშვილის მონატრება



6 წლის გიორგი...

2 მაისი – გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს! როგორ?! ძალიან ძნელია, საფლავზე დაბადების დღის მოლოცვა. ძალიან გვიჭირს უშენობა. მოგვენატრა შენი ლამაზი სიცილი. უწყინრად დაიძინე და ველარ გაიღვიძე. რაოდენ სატანჯველი იყო 20 იანვრის დილა შენთვისაც და ჩვენთვისაც. წელს პირველი კლასის მოსწავლე უნდა გამხდარიყავი, შენს ტოლებთან ერთად მერხს მისჯდომოდი და ,,დედაენა'' გესწავლა, მაგრამ სწორედ მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ზეცად ამაღლდა შენი ლამაზი, სპეტაკი სული.

*,,წლები შესრულდა, გიორგი, შენ რაც ჩვენიდან წახვედი*
*გული გვატკინე სუყველას და დაგვიტოვე ნაღველი.*
*ვიგონებთ და ვიცრემლებით, ღმერთო, ასე რატომ?*
*ჩვენ ყველანი ამქვეყნად ვართ და შენს ნახვას ვნატრობთ''.*

*მშობლები*

### დათო ბოჩიას ძე კეშელავას ხსოვნას!



6 მაისს შვიდი წელი შესრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ჩვენო საყვარელო დათო.

შვიდი წელია, რაც ჩვენგან წახვედი და ძალიან გვიჭირს უშენოდ ცხოვრება – შენს მშობლებს, ძმებს, ნათესავებსა და მეგობრებს.

რადგანაც ასეთი ყოფილა შენი ბედი, ჩვენ რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ ღმერთს ვთხოვოთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

### ნათელა კოჭლამაზაშვილის მონატრება

დრო მკურნალიაო, – ტყუილია. შვილის სიკვდილით დაჭრილი დედის გულს ვერაფერი განკურნავს.



უშენოდ ჩემთვის დღეები აღარაფერს წარმოადგენს. სულში სიცარიელეა. ტკივილს ვგრძნობ. ყველაფერმა ლაზათი დაკარგა, გაიყინა. ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელი უშენოდ სიცოცხლეა, დედისა და ძმის ტკივილო.

ცრემლში გავატარეთ ორი გაუსაძლისი წელი. სევდით დამძიმებული გულები დაგვიტოვე, ჩვენო დიდო იმედო, მოურჩენელო ჭრილობავ.

ყოველდღე გეძახი, მენატრები, მოფერება მინდა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჭიშკარს გავყურებ, იქნებ შემოაღო კარი, შემოანათო, ჩემო ძვირფასო, ლამაზო ნათელა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სათნო, სპეტაკი სული.

*დედა, ძმა*

### ბენია დომენტის ძე გეგეშიძის მონატრება

გავიდა ტკივილიანი და დარდიანი 4 თვე. გვიჭირს



უშენობა. დიდი გულის პატრონი იყავი და დიდი დარდიც დაგვიტოვე. შენ ყოველთვის იცოცხლებ ჩვენს გულებში, ყოველთვის საამაყო მეუღლე, მამა და ბაბუა იქნები. გვენატრება შენი მზრუნველობა.

1-ელი მაისი შენი დაბადების დღეა, 63 წლის გახდებოდი. ვაი, რომ უშენოდ ვხვდებით პირველად შენს დაბადების დღეს.

გილოცავთ, გვენატრები, გეფერებით.

მოვალთ შენს საფლავთან, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

### ელდარ ასკილეისკირის მონატრება



გავიდა უსაშველოდ ტკივილიანი, ცრემლიანი, გაუსაძლისი ორი წელი. ორი წელია, არ გვინახავს შენი მშვიდი, ღიმილიანი და ბედნიერი სახე, აღარ გვსმენია შენი ჭკვიანური მიზნები მომავალზე.

სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, ჯან-ღონითა და ბედნიერებით აღსავსე ვაჟკაცი გვყავდი, შვილო, რომელიც ოჯახის შექმნაზე ფიქრობდი, სწავლაზე (წელს ამთავრებდი ინსტიტუტს), სამსახურსა და ყველაფერზე, რაც კი რამ კარგი არსებობს ამქვეყნად.

2002 წლის 30 აპრილს უბედურმა შემთხვევამ, ოცი წლის ასაკში გამოგვტაცა შენი თავი ხელიდან. უძლურები აღმოვჩნდით შენ წინაშე, შვილო, მაშინაც და დღესაც მზად ვართ შენს სანაცვლოდ... მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ვაი შენს დედ-მამას! უშენოდ ყველაფერმა აზრი დაკარგა. შენით ვამაყობდით და ვხარობდით, ყველა შემოგვნატროდა, – რა ბედნიერები ხართო. დღეს კი ყველასთვის საცოდავი დედ-მამა გავხდით, ასეთი კეთილშობილი შვილის დაღუპვის გამო...

ჩვენ გვჯერა შენი სხვა განზომილებაში არსებობისა.

ყოველდღე ვანთებთ სანთლებს, ვლოცულობთ შენი სულის უკვდავსაყოფად და გვჯერა, რომ ცათა სასუფეველში დაიმკვიდრე მარადიული ბინა.

*შენი უბედური მშობელი, ბებია და დაიკო*



### იური ჩერქეზიას ხსოვნას!

5 მაისი შენი დაბადების დღეა, გვაკლიხარ და გვენატრები. წახვედი ამ ქვეყნიდან და წაიღე სიკეთით, სიყვარულით სავსე გული...

წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი და აუტანელი სიცარიელე, რომელსაც დრო ვერ ამოავსებს, ვერ განკურნავს.

ჩია, ძალიან გვენატრები, ძნელი ასატანია უშენობა.

*შენი ოჯახი*

### დარეჯან ლომიძე-აბრამიშვილის მონატრება



1-ელი მაისი შენი დაბადების დღეა, რომელსაც შენს მარადიულ სასუფეველთან, წმინდა სანთლებითა და ცრემლით მოგილოცავთ შენი შვილები.

ჩვენო მონატრებულო, სათნო და ლამაზო დედავ! გვიჭირს უშენობა, წარმოუდგენელია ჩვენთვის შენ გარეშე ყოფნა. ყოველი მხრიდან გელით, გვესმის შენი ტკბილი, აუღელვებელი ხმა, რჩევა და გაფრთხილება.

ძნელია შეეგუო იმ აზრს, რომ აღარ გყავს ადამიანი, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასი ხარ ამქვეყნად, რომლის კალთაც ყველგან გიცავს და გიფარავს; რომ დაკარგე იმედი, ნუგეში თანამგრძნობი... შენ არა მარტო ჩვენი, სხვისი დარდისა და სიხარულის თანაზიარიც იყავი, სამაგიეროს კი არავისგან ითხოვდი. გულში იკლავდი ტკივილსა თუ სათქმელს. სწორედ ამიტომ ვერ გაგიგეთ, როგორ გეტკინა ოჯახზე ზრუნვით გალეული გული, რომელმაც გზაში გიმტყუნა. ბუნებამ არ მოგვცა დრო შენს გადასარჩენად. ვერ შევამჩნიეთ შენს თმაში გარეული სიკვდილის მაცნე ჭაღარა, ვერ მოვასწარით შენი მოფერება, შენი სურვილების შესრულება, მაგრამ გვჯერა, რომ შენი სიცოცხლე სადღაც მარადისობაში გადასახლდა და ჩვენს ყველა სიხარულსა და წარმატებას შენი უკვდავი სულიც გაიგებს და გაიზიარებს.

*შენი შვილები*

### ევა მაღედანისა და ხათუნა გულედანის ხსოვნას!

გავიდა ტკივილიანი და ცრემლებით სავსე ერთი წელი. დაგვრჩა მხოლოდ თქვენი ფოტოები და საშინელი მონატრება.





გვაკლიხართ ყველას, თქვენი უსაზღვრო კეთილი ღიმილითა და უანგაროდ მადლისმქმნელი ბუნებით.

დედა და ხათო! დრო ვერ დაფერფლავს თქვენს სიყვარულსა და ხსოვნას. ისღა დაგვრჩენია, შევთხოვოთ უფალს, რომ ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა და თქვენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოთ გზა მარადიულ სასუფეველში.

ღმერთმა ნათელში დაავანოს თქვენი სულები.

*ოთარი, ეთერი, ნაზი შვილებით*

### ფატიმა ჯიჯელავას!



4 მაისი – ორმოცი დღის დასასრული, შენი სულის სახლიდან გაქცევა... რათა 5 მაისს დაბადების დღე საფლავზე აღნიშნო.

მთელი შენი ცხოვრება მაგალითია ღირსეული ქართველი ქალისა, რომელსაც ცხოვრებამ ბევრი სიმწარე აგემა, მაგრამ ერთხელაც ვერ დააჩოქა.

ძალიან ცოდო ხართ, დედა, თქვენ – ასაკოვანი ხალხი, რომლებიც ლოდინითა და დარდით აღსავსე თვალებით მიდიხართ ამ ქვეყნიდან. ვისი შრომითა და გარჯით გალამაზდა ის კუთხე? თითქოს თქვენი წასვლით ეპოქა მთავრდება, რომელიც უფრო გვაშორებს აფხაზეთს.

თბილისმა თბილად მიგვიღო, მაგრამ ჩვენი თავი ჩვენადვე ,,არ გვეყუდნეს''! სოხუმში, აჩადარაში ცხოვრების მთელი ისტორიაა დარჩენილი. მამა-პაპის საძვალე, ორი შვილის, ორი შვილიშვილისა და მეუღლის საფლავები გელოდებათ შენ და შენს უფროს შვილს რეზოს, რომელიც ქუთაისში გარდაიცვალა.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

*შვილები: გონელი, ეთერი, ლუიზა, მზია, მარინე*

### ინგა ბოჭორიშვილის და გიორგი საყვარელიძის გახსენება



ინგა, ჩვენო საყვარელო და მონატრებულო მეგობარო! ორმოცი დღე სრულდება, რაც შენი მხიარული ხმა აღარ გვესმის. ძალიან მძიმე და ტკივილიანია დღეები უშენოდ. მაინც ყოველთვის ჩვენთან ხარ – შიგნით, გულისგულში. გიხსენებთ ღიმილით და ასეც უნდა იყოს. შენ ხომ სიცოცხლეს და სიყვარულს ასხივებდი.

გიორგიც შენსავით სიკეთითა და სითბოთი სავსე იყო. ალბათ ამიტომ შეგახვედრათ განგებამ ერთმანეთს და ამიტომაც აღარ ინება თქვენი დაცილება.

ნათელში გამყოფოთ უფალმა!

*თამრიკო, ნინო, ეკა, ნინო*

### ნინო ბეგიაშვილის გახსენება



დღეს უკვე ორმოცი დღეა, რაც უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს. ცისიერი შენი სული მიწისთვის მეტისმეტად მსუბუქი აღმოჩნდა და მარტის ღამეს აჰყვა შორეულ ლანდად. შენი შეწყვეტილი სიცოცხლე სალოცავ ხატად ექცა შენს დედმამიშვილებს. გვჯერა, ცად ანგელოზთა გუნდი გმფარველობს.

ჩვენო კეთილო და უძვირფასესო ნინო! გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენთვის ყოველთვის ლამაზი, სიცოცხლით სავსე და ახალგაზრდა დარჩები. გვეგონა, სულ ჩვენთან იქნებოდი და უშენოდ სიცოცხლე ვერ წამოგვედგინა, მაგრამ ადამიანები თურმე ყველაფერს ვეჩვევით, თუკი ამას შეჩვევა ჰქვია. ჩვენ ხომ ერთი დღეც არ გვიცხოვრია უშენოდ და დაუსრულებლად გელით...

*შენი დები: ეთერი, მაყვალა, ჟუჟუნა*

### მერი დევდარიანის ხსოვნას!



ამ ბოლო წლებში ჩვენმა ინსტიტუტმა ბევრი საუკეთესო მეცნიერი დაკარგა. უკვე 40 დღეა, რაც გულისტკივილით განვიცდით თქვენს გარდაცვალებას. პატიოსანი, ზედმიწევნით მაღალი დონის პროფესიონალი, უანგარო, საქმის უღალატო და სამართლიანი – ასე გიცნობდით და გაფასებდით. ცხოვრობდით ჩუმად. თუმცა თანამედროვე ცხოვრებაზე გული გწყდებოდათ, მაგრამ არავის ახვევდით საკუთარ ტკივილს; რასაც ყოველდღიურობა გთავაზობდათ, მშვიდად და უშფოთველად ღებულობდით; ყველაფერს ღვთის ნებად მიიჩნევდით და ხვდებოდით ისე, როგორც ეს ქრისტეს სულით, კულტურითა და ბუნებით დაჯილდოებული დიდი ერის ჭეშმარიტ შვილს შეეფერებოდა.

წახვედით და თბილი მოგონებები დაგვიტოვეთ. ნათელში იყოს თქვენი ლამაზი, სპეტაკი სული. არასოდეს დაგივიწყებთ.

*ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის კოლექტივი*



ლიანა, ანზორი, ლუიზა და ნარგიზა; მადონა, გელა და გიგა ჯოჯუები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 90 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე, რამდენიმე თაობის და მათ შორის, მათი აღმზრდელი, უხუცესი პედაგოგი, ბრწყინვალე პიროვნება, რომელსაც მრავალ სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც მიჰყვება თან

**არკად (ავთანდილ) ალექსანდრეს ძე კვიტატიანი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.



ნუცუბიძის III მიკრორაიონის, I კვარტლის, მე-15 კორპუსის მეზობლები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დახვეწილი ინტელიგენტი, სიკეთითა და სათნოებით სავსე გულის ადამიანი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა

**თენგიზ გელოვანი.**

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.



168-ე საშ. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღირსეული მასწავლებელი, შესანიშნავი ადამიანი

**სილვა ოგანეზოვა**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილი ჯემალ გუბელაძე; რძლები: ლუიზა თევდორაძე, ნაირა დეისაძე; შვილიშვილები: ლევანი, ლალი, ლადო, გიორგი გუბელაძეები; რძლები: ნონა გაბრიჩიძე, თამარ ფარცხალაძე; სიძე გიგა ღონღაძე: შვილთაშვილები: ბექა, თამუნა, თეონა, ნათია, ანა, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოგუცა დომენტის ასული გუბელაძე**

*პანაშვიდი:* 2, 3 მაისს, 16 საათზე.
*გამოსვენება:* 4 მაისს, 17 საათზე.
*მისამართი:* წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ფარცხანაყანები.

## ...ქარში ფოთოლიც არ დაკარგულა მაჩაბელივით

წელს დიდ საზოგადო მოღვაწეს, მთარგმნელს **ივანე მაჩაბელს** დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა. ივანე მაჩაბელი გამორჩეული გახლდათ – ნიჭით, ღვაწლით... სულ 44 წელი იცოცხლა, მაგრამ ამ მოკლე დროში უამრავი რამ მოასწრო. მისმა გაუჩინარებამ ყველა საგონებელში ჩააგდო.

1898 წლის 26 ივნისს შინიდან გავიდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. რაღას არ ამბობდნენ: ახლობელ წარჩინებულთან შელაპარაკება მოსვლია, მას მოუკლავს და მდინარეში გადაუგდიაო; თურმე მტრებს (რომლებიც ცოტა არ ჰყავდა) მკვლელი დაუქირავებიათ, ,,ძლიერსა ამა ქვეყნისასა'' კი უზრუნია, რომ ცხედარი აღარასოდეს გამოჩენილიყო... ვარაუდი სხვაც ბევრი იყო, სინამდვილეში ვერაფერი დაადგინეს, ვერც მკვლელობა, ვერც თვითმკვლელობა. ამ დიდი ადამიანის გაუჩინარების ფაქტი დღემდე ბურუსითაა მოცული.

ივანეს მამამ, თავადიშვილმა გიორგი მაჩაბელმა მთელი სიცოცხლე ლხინში გაატარა, ოჯახის ქონება დუქნებში გაანიავა, სიკვდილმაც შეზარხოშებულს უწია და შვილებს ,,მემკვიდრეობით'' ვალები დაუტოვა.



7 წლის ვანო იმდენად გონიერი ყოფილა, რომ ეკლესიაში მღვდელს ეხმარებოდა თურმე. მისი წაკითხული სამოციქულო ეკატერინე გაბაშვილსაც ჩარჩენია მეხსიერებაში. იგონებდა, როგორ აწყდებოდა ხალხი ერთმანეთს, რომ სანთლის შუქით განათებული ქერაკულულიანი ბიჭი დაენახათ... უცხო ენებს ელვის სისწრაფით ითვისებდაო. გიმნაზიაში სწავლისას პეტრე უმიკაშვილმა მასში მომავალი მთარგმნელი დაინახა. პედაგოგი ვანოს ხშირად ავალებდა ამა თუ იმ ტექსტის თარგმნას.

წარმატებით დაამთავრა გიმნაზია, სწავლის ფულს თავად მოუყარა თავი და პეტერბურგში გაემგზავრა. იქ შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენები. იქვე მოჰკიდა ხელი შექსპირის თარგმნას.

იმ წლებში ვანო მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე მეგობრობდნენ. ერთადაც კი მუშაობდნენ თარგმანზე. როცა ილია საქართველოში დაბრუნდა, თან ჩამოიტანა მაჩაბლის ნათარგმნი ,,მეფე ლირი'' და თავად მიიტანა დასაბეჭდად... გაზეთები წერდნენ, – არ გვეგონა, ლირი ასე კარგად თუ გადმოითარგმნებოდა ქართულ ენაზეო. ასე ხდებოდა მსოფლიო კულტურის შედევრები ხელმისაწვდომი ქართველთათვის. ქართული თეატრიც უკვე გაითავისებდა შექსპირს.

ივანე მაჩაბელი პეტერბურგიდან გერმანიაში გაემგზავრა, იქიდან საფრანგეთში. თბილისში დაბრუნებული პირველად თურმე ილია ჭავჭავაძესთან მივიდა. ილიასა და გრიგოლ ორბელიანის რეკომენდაციით მალე დიდ ასპარეზზე გავიდა. იგი სათეატრო კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1879 წლიდან თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. აქედან ბანკში გადავიდა ,,კასირად'', პარალელურად ,,დროების'' რედაქტორადაც მუშაობდა. დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

...ცენზურამ დახურა მაჩაბლის გაზეთი... მაგრამ იგი უკან არ იხევდა. თავდაუზოგავად შრომობდა, თეატრზე ზრუნავდა, პარალელურად თარგმნიდა...

შემოქმედებით და საერო საქმეს შეჭიდებულს არც პრობლემები აკლდა. ჯერ ბანკის დირექტორად აირჩიეს, მერე მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. ამ გამოუვალ მდგომარეობაში იყო, როცა გაუჩინარდა...

დედამისი – ნატალია სიცოცხლის ბოლომდე ელოდა შვილის დაბრუნებას. არ სჯეროდა, რომ ვანო ცოცხალი აღარ იყო. ყოველ წელს მისთვის ავლებდა ჩურჩხელებს: ვანოს უყვარს, ჩამოვა და უნდა დავახვედროო...

არადა, რომ ეცოცხლა, ვინ იცის, საქართველოს ცხოვრებაშიც რამდენ ცვლილებას შეიტანდა უკეთესობისკენ... მას ხომ ეს ნამდვილად შეეძლო.

მოგვიანებით მასზე იტყვიან: ,,ქარში ფოთოლიც არ დაკარგულა მაჩაბელივით''.

*ლელა ჯიყაშვილი*

ჩვენ გვწერენ

# უცნაური ღრუბელი



— მე და ჩემმა მეუღლემ ოცი წელიწადი მოსკოვში ვიცხოვრეთ. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე და მერე მივეჩვიე. გენადი რუსი იყო, კეთილი, თბილი ადამიანი. ხელისგულზე მატარებდა. მისი მეგობრები გაოცებულნი იყვნენ — ასეთი სიყვარული არსად გვინახავსო. გენადის არც ქალის პატივისცემა ეშლებოდა, არც ოჯახის გაძღოლა. ხშირად სამსახურის გამო ღამეებს შინ არ ათევდა, მერე ყოველთვის ხელდამშვენებული მოდიოდა. თანაც ყოველი ფრენა თითქოს სულიერ ძალას, მხნეობას აძლევდა.

ერთ დღეს მხრებჩამოყრილი დაბრუნდა რეისიდან. უნიათოდ ჩაესვენა სავარძელში და თვალები დახუჭა:

— ნანა, არ შეგეშინდეს, მაგრამ ჩემ თავს რაღაც უცნაური ხდება, — მითხრა შეშფოთებულმა, — ხომ იცი, გუშინ შესანიშნავი ამინდი იყო, ცაზე ღრუბელიც კი არ ჩანდა... თვითმფრინავის მართვისას უცებ, არ ვიცი, საიდან, რუხი ღრუბელი ამეფარა წინ. არასოდეს მინახავს ასეთი რამ: მომწვანო-მოყვითალო სინათლეს გამოსცემდა, თვალს მიბნელებდა, მაგრამ ისეთი ძალა ჰქონდა, რომ განზე ვერ გაიხედავდი, ამიტომ თვალდაუხამხამებლად მივშტერებოდი. მერე ღრუბელი დაიშალა... არ ვიცი, მიმოიფანტა თუ თვითმფრინავის სალონში შეიჭრა...

ვერაფერი გავიგე მისი არეული ლაპარაკიდან, მაგრამ მაინც დავამშვიდე: — ნუ გეშინია, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, ჯანმრთელი ხარ, შინ უვნებლად დაბრუნდი, არაფერი გეტყობა ავადმყოფობის-მეთქი. ხელი ჩაიქნია და ისევ თვალები დახუჭა. მეტი რომ არ გავაგრძელო, გენადი ავად გახდა. აღარც შინ უდგებოდა გული, აღარც თვითმფრინავის მართვა შეეძლო. ამაოდ ვარწმუნებდით, არაფერი მომხდარა, ეკიპაჟის ყველა წევრი ჯანმრთელია, რა უნდა მოგივიდესო. ბოლოს, გამომიტყდა, — იმ დღის მერე უცნაური ხმები მესმის, ვიღაცის შეხებასაც ვგრძნობ, მაგრამ ვერავის ვხედავო. ახლობელმა ექიმმა გვირჩია, ფსიქიატრთან მივსულიყავით. ამას დაემთხვა ერთი უბედური შემთხვევა — მისი კოლეგა და მეგობარი, რომელიც მასთან ერთად იყო იმ წყეულ რეისში, მეოთხე სართულიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. ამან ჩემი მეუღლე გაანადგურა, მივხვდი, რომ ქმარი ფსიქიკურად შეშლილი კი არ მყავდა, მართლაც რაღაც მოხდა.

ერთ დილას, მზე ჯერ კიდევ არ იყო კარგად ამოსული, ოთახი რაღაც სინათლემ გაანათა. გავიხედე და უცნაური რამ დავინახე: ეს იყო ზომით მცირე, მაგრამ თითქოს მკვრივი და შეკრული ღრუბელი, რომელიც ენით აუწერელ სინათლეს გამოსცემდა.... ღრუბელი ოთახში შემოიჭრა. თვალს ვერ ვაშორებდი მის სიკაშკაშეს, ყურებში უცნაური ხმაური მედგა, გული აჩქარებით მიცემდა. არ ვიცი, რა მოხდა... ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ჩემი ცხოვრება რომ თავდაყირა დადგა, ფაქტია.

„ის" მოდიოდა, ვგრძნობდი, როგორ მეხებოდა სხეულზე, თითქოს მსინჯავდა... მესმოდა ხმა... მეუღლეს ყველაფერი ვუამბე და ვთხოვე, ჩემს სამშობლოში წამომყოლოდა საცხოვრებლად, იქნებ თავი დაგვეღწია უცნაური ღრუბლის შემოტევისათვის. დამთანხმდა.

შარშან ნოემბერში ჩამოვედით და თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში დავსახლდით. გენადი თითქოს გამოცოცხლდა, გახალისდა, ბოლოს, ისიც კი თქვა, — იქნებ საქართველოს ავიაკომპანიაში მიმიღონ მფრინავადო. სახლის გვერდით, სხვა მეზობლებივით, ჩვენც პატარა ბაღი გავაშენეთ. გენადიმ იქ კარტოფილი დათესა. უხაროდა — ამას რომ ვუყურებ, ბავშვობა მახსენდებაო. ორი თვის წინ ის ღრუბელი ისევ გამოჩნდა. ახლა უფრო დიდი იყო, უფრო ძლიერად ანათებდა. რომ დავინახე, გენადის ძებნა დავიწყე, შინ არ იყო... აქეთ მივაწყდი, იქით... ბოლოს, სახლიდან მოშორებით ვიპოვე. სხეული უბრწყინავდა, მაგრამ აღარ სუნთქავდა... ექიმებმა თქვეს, — ძლიერმა ინსულტმა იმსხვერპლაო.

მე ეს არ მჯერა. ვიცი, რომ იმ ღრუბელმა იმსხვერპლა ჩემი ქმარი...

***ნანა ჩეროშვილი***

## „საზალღო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი:

1) — ბ); 2) — დ); 3) — ბ); 4) — ა); 5) — დ); 6) — ა); 7) — ბ); 8) — ა).

II. 1-ლი და მე-5 დათუნიები.

III. თაგვი.

# უცხოპლანეტელი ვამშობიარე, მაგრამ...

— ნადირობა მიყვარს ძალიან. ბაბუისეულ თოფს გავიდებ ხოლმე მხარზე და დავეხეტები რაჭის ტყე-ღრეში, — მიყვება ბატონი დავითი, — 1994 წლის აგვისტოში მე და ჩემი ბიძაშვილები დათვის კვალს გავყევით. ნაშუადღევს ვისადილეთ. დაღლილები ვიყავით და ორიოდე ყლუპმა არაყმა ჩემს ამფსონებს ძილი მოჰგვარა. მე, რაკი არ მეძინებოდა, შორიახლო, გამოქვაბულისკენ გავწიე.



გამოქვაბული არ იყო ღრმა, დღის სინათლე საკმარისად ანათებდა. თამამად შევაბიჯე. ჩემი ყურადღება უცნაურმა კვნესამ მიიპყრო. ყოველ შემთხვევაში, იარაღი გავმართე და ხმას გავყევი... მაიმუნი მეგონა კუთხეში, ხმელ ფოთლებზე მიწოლილი არსება. არადა რაჭაში მაიმუნს რა უნდოდა!..

რომ მივუახლოვდი, დაფრთხა, წამოიწია, მაგრამ ვერ ადგა...

დიდი თვალები ჰქონდა, შიშჩამდგარი — თითქოს მუდარით მომჩერებოდა. დაახლოებით 1,30-1,50 სმ სიმაღლისა იქნებოდა, შიშველი იყო.

...ცოტა ხანში მსუბუქი თავბრუს ხვევა ვიგრძენი და თითქოს გონებით „გავიგონე", რომ დახმარება მთხოვა, ის უცნაური არსება მშობიარობდა... მე ვეტერინარი ვარ და ბევრ ცხოველს დავხმარებივარ, საკეისრო კვეთაც კი გამიკეთებია საცდელი ცხოველებისთვის და ამიტომ არ შემშინებია, მაგრამ იმ არსებას სასქესო ორგანო არ უჩანდა და... ეს რომ გავიფიქრე, ისევ „მომესმა" — მე გიკარნახებ, რაც უნდა გააკეთოო... შვილიშვილებს გეფიცებით, არ ვიცი, რას ჩავდიოდი, ეგ კია, როცა ცოტა მოვედი აზრზე, ხელში ახალშობილი მეჭირა, დედის მსგავსად უცნაური, მაგრამ იგი უფრო წააგავდა ადამიანის ნაშიერს, ალბათ იმიტომ, რომ პატარა იყო, სიგრძით 35-40 სმ, ორი კილოგრამიც არ იქნებოდა...

შვილი დედამ ჩამომართვა და რომ დახედა, დაიკვნესა — ბევრი ეფერა, თითქოს ცდილობდა, სიცოცხლე შთაებერა მისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვილი მკვდარი იყო... ისევ შემომხედა სევდიანად და პაწია გამომიწოდა. მივხვდი, შველას მთხოვდა, მაგრამ არაფერი შემეძლო და გულმოკლულმა ვთქვი, — მკვდარია, სამწუხაროდ, ვერ ვუშველი-მეთქი!..

ჩაიკრა გულში პატარა, გავიდა გამოქვაბულიდან. გავყევი უკან. ცოტა ხნის შემდეგ მომხედა, თითქოს დამემშვიდობა... გულთან და შუბლზე უცნაური წვა ვიგრძენი. გონი დავკარგე... არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, თვალი რომ გავახილე, თავს შეშინებული ბიძაშვილები მადგნენ. მოვუყევი მათ, რაც დამემართა. დამცინეს: — ჩვენ დავლიეთ და შენ ტვინი აგრევიაო.

ახლომახლო მაინც ყველაფერი მივჩხრიკ-მოვჩხრიკეთ, მაგრამ იმ უცნაური არსების კვალს ვერსად მივაგენით...

დანამდვილებით ვიცი, ის არც ცხოველი იყო და არც ადამიანი. ვფიქრობ, დედამიწაზე მოხვედრილი უცხო პლანეტის, ან ჩვენთვის უცხო განზომილების მკვიდრთან შემყარა განგებამ, რასაც ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც ადასტურებს. კუჭის წყლული მტანჯავდა წლების განმავლობაში და როცა მორიგ გამოკვლევაზე მივედი, წყლულის ნასახიც არსად ჩანდა. გულიც ვერ მქონდა კარგად, სულ ვალიდოლი მედო ენის ქვეშ. ათი წელიწადია, არც მახსოვს, რომელ მხარეს მაქვს იგი. თუმცა შვილი ვერ გადავურჩინე, რომ დავეხმარე მშობიარობაში, მადლიერების ნიშნად ჯანმრთელობა აღმიდგინა იმ არსებამ...

ხშირად მესიზმრება ხოლმე და გული მწყდება გამოღვიძებულს. ასე მგონია, განგებამ რაღაცის შანსი მომცა და ვერ გამოვიყენე...

...კომენტარს ვერც ამ შემთხვევაში ვაკეთებ, ჩემო მკითხველო და არცაა ალბათ საჭირო. ეგაა, მეც თქვენს მსგავსად გაოცებული ვარ სასწაულის მრავალსახეობის და მრავალფეროვნების გამო!...

***ინგა ჯაყელი***


წარმატების საწინდარი !







# „საცოლის“ მოსავალი

ტოიფაში, საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის ოფიციალურ კურორტზე, ვარდების მოსავალს იღებენ. ტოიფელები ერთი თვის განმავლობაში შეაგროვებენ ვარდის ფურცლებს, ტურისტები კი უფასოდ დატკბებიან სამოთხისებური სურნელებით. 10.000 დოლარად შეუძლიათ მილიონი ალისფერი ვარდიც იყიდონ.

ტოიფური ვარდი საუდელების განსაკუთრებული სიამაყის საგანია. იგი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე იზრდება. მისი სურნელება წმინდა ისლამურ დედაქალაქამდე, მექამდეც კი აღწევს.

განთიადისას შეგროვებული ვარდის ფურცლები პლანტაციაშივე, ვარდის სახარშებში მუშავდება. პირველად პროდუქტს, რომელშიც არომატის კონცენტრაცია 89%-ს აღწევს, „საცოლეს“ უწოდებენ. მას ვარდის წყლისა და სუნამოების მოსამზადებლად იყენებენ. მისით აზავებენ სასმელ წყალს, აყენებენ ჩაის. საუდელები დარწმუნებულნი არიან, რომ ვარდის ნაყენი გულს რგებს, კბილებს იცავს და თავის ტკივილს შველის.

***შტერნი***



# ყველაზე მოდური ვარცხნილობა

ვარცხნილობის მოდის უკანასკნელი გაელვება არის კეფაზე გამოსახული რომელიმე ცნობილი ადამიანის ან ცხოველის სახე. თმა ისე იჭრება და იღებება, რომ თავზე გიჩნდებათ ნამდვილი მეორე სახე. ლონდონში ამ მეტად ფაქიზ და შრომატევად სამუშაოში იღებენ 250 გირვანქა სტერლინგს. გამოსახულება შეგინარჩუნდებათ 6-დან 8 კვირამდე, ამის შემდეგ დაგჭირდებთ მისი განახლება. დალაქი კოლინ უოტკინსი გვთავაზობს ნებისმიერ სიუჟეტსა და პორტრეტს. შეგიძლიათ შეუკვეთოთ ინგლისის დედოფლის სახეც. პროცედურის ხანგრძლივობა არის 3 საათი. ხალხი იმდენად ეჩვევა მეორე სახით სიარულს, რომ ახალ-ახალ სახეს უკვეთენ. ბევრს ძალიან მოსწონს, როცა გამვლელები აქცევენ ყურადღებას — კეფიდან მომზირალი ლომი, ტუტანხამონი, მერილინ მონრო თუ ბევრი სხვა პიროვნება ხომ უმალ გამოგარჩევთ მასაში.

ასეთი ვარცხნილობისთვის დიზაინერებმა სპეციალური ტანსაცმელიც კი შექმნეს. მაგალითად, ჰალსტუხი ზურგზე, ან მაქმანი კისერზე...

***ოჯი***

# დიზაინერები – ბავშვებს



ბრიტანეთში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბავშვებზე მშობლები განსაკუთრებით ზრუნავენ. თუმცა ნისლიან ალბიონზე ბოლო დროს ბავშვთა ძვირად ღირებული ტანსაცმლის მაღაზიები გაიხსნა. ამ მაღაზიებისთვის, ცნობილი მოდელიერები ბავშვებისთვის ქმნიან ტანსაცმელს. ჯორჯო არმანის, ვერსაჩეს და სხვა ცნობილი სამოდელო სახლები თავის კოლექციებში სულ უფრო მეტად წარმოადგენენ ბავშვთა სამოსს. ბრიტანეთში ბოლო ხუთი წელია ბავშვთა ტანსაცმლით ვაჭრობამ 30%-ით იმატა და მან 5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. განსაკუთრებით გაცხოველდა ვაჭრობა წელს ცნობილი დიზაინერების საბავშვო კოლექციების წყალობით.

საინტერესოა, რომ ბავშვის ტანსაცმელს, რომელთა ფასიც 100-დან 2.000 დოლარამდე მერყეობს, მეტწილად შეძლებული ბრიტანელები კი არ ყიდულობენ, არამედ საშუალო ფენის წარმომადგენლები.

კონსერვატორი ბრიტანელები აღშფოთებულნი არიან ბავშვების ასეთი განებივრებით და აცხადებენ, რომ ძვირად ღირებული ტანსაცმელი ბავშვს ათამამებს და ამან შესაძლოა, მის აღზრდაში ცუდი როლი ითამაშოს.

ახალ საუკუნესთან ერთად ბრიტანეთში ახალი თაობის გემოვნება და მოთხოვნილებაც იცვლება. თუკი ადრე ბავშვები მშობლებს ნაყინის ან შოკოლადის ყიდვას სთხოვდნენ, დღეს დოლჩე და გაბანას, ვერსაჩესა თუ ჯორჯო არმანის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ყიდვას ითხოვენ.

***მირორი***

# ნაპოვნია ეგზიუპერის თვითმფრინავი



მარსელის მახლობლად, ზღვის ფსკერზე, აღმოჩენილია ლეგენდარული მწერლისა და მფრინავის ანტუან სენტ დე ეგზიუპერის თვითმფრინავის ნამსხვრევები. ფრანგი მწერალი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ავიაციაში მსახურობდა, 1944 წლის 31 ივლისს საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაფრინდა. უკან დაბრუნებისას მისი თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ გაქრა. 1998 წელს, ფრანგმა მეთევზემ, ჟან კლოდ ბიანკომ, კუნძულ რიუს მახლობლად თევზაობისას, ეგზიუპერის ვერცხლის სახელობითი სამაჯური აღმოაჩინა. ამჯერად თვითმფრინავის ძებნა წარმატებით დაგვირგვინდა. აღმოჩენილი ნაწილების გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეგზიუპერის თვითმფრინავს თავს დაესხა გერმანული მესერშმიდტი და ზღვაში ჩავარდა. ზოგიერთი ფრანგი ექსპერტი ვარაუდობს, რომ მწერალმა, რომელიც 1944 წლის ზაფხულში რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

***ეხო პლანეტი №16***

# ხუან-კარლოსმა იცელქა და...



ესპანეთის სამეფო სახლში სკანდალი მწიფდება, რომლის მთავარი გმირი თვით მეფე იქნება. ხუან კარლოსის საყვარელს მოჰბეზრდა ჩრდილში ყოფნა და გადაწყვიტა საზოგადოებას უამბოს მრავალწლიანი რომანის ამბავი.

სიმართლე ითქვას, ტემპერამენტიანი მეფის სასიყვარულო აფერა არც აქამდე იყო საიდუმლო, უბრალოდ, ამაზე ლაპარაკი ცუდ ტონად ითვლებოდა. ათეული წლების განმავლობაში მეფის საყვარლის სახელს არ ახსენებდნენ. შეყვარებულები გასაიდუმლოებულ ვითარებაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. დედოფალი სოფია დიდსულოვნად ხუჭავდა თვალს ქმრის „ცელქობაზე“. ხუან კარლოსი კი ბედნიერებით ტკბებოდა და არც ფიქრობდა, ოდესმე თუ რაიმე გამჟღავნდებოდა. მაგრამ საყვარელი ასე სულაც არ ფიქრობდა და დაწერა კიდეც ავტობიოგრაფიული წიგნი „მე და ჩემი მეფე“. მეტიც, საპრეზენტაციოდ 2004 წლის 22 მაისი დანიშნა. ამ დღეს უფლისწული ფელიპე ჯვარს იწერს და ესპანეთში ევროპის სამეფო სახლების გვირგვინოსნები მოიყრიან თავს. აქამდე მშვიდი და აუღელვებელი მეფე შეშფოთებულია. სკანდალის საფრთხე აიძულებს, უკიდურეს ზომებს მიმართოს. თუ მისი საყვარელი გაჯიუტდება და გეგმას არ შეცვლის, ფელიპეს ქორწილის გადადება მოუხდებათ.

***მირ ნოვოსტეი***

# მიესაჯა... სწავლა!

15 წლის გრანადელმა (ესპანეთი) ფქვილის ქურდმა მოზარდმა მოსამართლე გააოცა — მან არც კითხვა იცოდა, არც წერა და არც თვლა შეეძლო. გაოგნებულმა მოსამართლემ არანაკლებ გამაოგნებელი ვერდიქტი გამოიტანა: ბიჭს სკოლაში 6 თვით სიარული მიუსაჯა, დღისით მშენებლობაზე უნდა ემუშავა, საღამოობით კი ესწავლა. განაჩენის შემდეგი პუნქტის მიხედვით, თუ ბრალდებული ექვსი თვის განმავლობაში წერა-კითხვას ვერ ისწავლიდა, მშენებლობაზე მუშაობის ვადა კიდევ ექვსი თვით გაეზრდებოდა. ექვსი თვის შემდეგ ბიჭი სასამართლოს წინაშე წარდგა თავისი ცოდნის დემონსტრირებისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა სასამართლომ, რომ ფქვილის ქურდი ბოლომდე მოიხდის სასჯელს.

***ელ მუნდო***

# ქალბატონი ბინ ლადენი



მას კარმენ ბინ ლადენი ჰქვია. ერთ დროს წევრი იყო იმ დიდი ოჯახისა, რომლის წარმომადგენელიც არის მსოფლიოს პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენი.

ბინ ლადენთა კლანი 25 ძმისა და 29 დისგან შედგება. ნახევრად ირანელი და ნახევრად შვეიცარიელი კარმენი 70-იანი წლების დასაწყისში გაჰყვა ცოლად ბინ ლადენის ნახევარძმას და მასთან ცხოვრების 15 წლის მანძილზე მხოლოდ ორჯერ შეხვდა უსამას. პირველად უსამა ახალდაქორწინებულებს შინ ეწვია. მაზლს ჯინსებსა და მაისურში გამოწყობილი უჩადრო კარმენი შეეგება. „უსამამ, რომელიც ფანატიკური მორწმუნეა, სახეზე არც კი შემომხედა, რადგან არამუსლიმანურად მეცვა, იატაკზე დააფურთხა, შებრუნდა და წავიდა“, — იხსენებს კარმენი. ამის შემდეგ უსამას ნახევარძმის ოჯახში ფეხი არ მიუდგამს. კარმენი მაზლს მეორედ მის სახლში შეხვდა. კარმენს უბრძანეს, სტუმრობის თაობაზე წინასწარ ეცნობებინა მაზლის ოჯახისთვის, რათა უსამა შინ არ დახვედროდა. ერთხელ, უსამას ცოლი, ნაჯვაჰი, შვილს, პაწია აბდულას, კოვზით ასმევდა წყალს. კარმენმა ურჩია, — წყალი საწოვრით დაალევინეო და მაღაზიიდან საწოვრიანი ბოთლი მოუტანა. ის იყო, ჩვილს საწოვარა პირში ჩაუდეს, რომ სახლში მოულოდნელად უსამა დაბრუნდა. გაცეცხლებული ეცა ცოლს, ბოთლი ხელიდან გამოჰგლიჯა, დაამსხვრია და ქალს უბრძანა, კარი არასოდეს გაეღო ურწმუნო რძლისთვის.

როდესაც კარმენი ქმარს გაშორდა, თავისი ორი გოგონა თან წაიყვანა და ჟენევაში დასახლდა. მან დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი „სამეფო სახლის შიგნით“, სადაც მოთხრობილი იყო ბინ ლადენებთან ერთად მისი ცხოვრების ამბები. მაშინ გვარი ბინ ლადენი არაფრის მთქმელი იყო და არაბულ სამყაროში ქალის ცხოვრებით არც ერთი გამომცემლობა არ დაინტერესდა. მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, კარმენ ბინ ლადენთან მსოფლიოს წამყვანმა გამომცემლებმა დაიწყეს დაკავშირება. წიგნი ბესტსელერად იქცა და რამდენჯერმე გამოიცა.

კარმენი აცხადებს, რომ მან და მისმა ქალიშვილებმა სრულიად გაწყვიტეს კავშირი ბინ ლადენთა კლანთან და ფეხს არასდროს დადგამენ საუდის არაბეთში. ერთადერთი, რაც მათ ბინ ლადენებისაგან რჩებათ, ეს არის გვარი, რომლის გამოცვლასაც არ აპირებენ, რადგან „კარგად მუშაობს“.

***ნიუ ზუიქი***

# დაუმარცხებელი ღორმუცელა

კორეული წარმოშობის ამერიკელი სონია ტომასი ღირსეულად ატარებს დაუმარცხებელი ღორმუცელის ტიტულს. მის ანგარიშზეა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი ჩქაროსნულ ჭამაში. მაგალითად, 12 წუთში შეჭმული აქვს 25 ჰოთდოგი, 11 წუთში — ქათმის ხორცის 42 კატლეტი, 10 წუთში — ღორისხორციანი 23 ბუტერბროდი, 6 წუთში — 65 მოხარშული კვერცხი.

ამ უჩვეულო რეკორდების დამყარების ჩვევას თუ მიზეზს სონია უბრალოდ ხსნის: „არ მიყვარს წაგება, ჭამაშიც კი პირველი უნდა ვიყო“. ამასთან, რეკორდსმენი თავის წონას — 45 კილოგრამს ეტალონად მიიჩნევს და სისტემატურად ვარჯიშობს, რომ არ გასუქდეს.

***ეხო პლანეტი №15***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შექსპირის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ჩ.** მუსლიმან ქალთა გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ.** მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე.** აინშტაინის ეროვნება; **ნ.** ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **თ.** მღრღნელი ცხოველი; **ა.** ლობიოს სამშობლო; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის ავტორი“; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** ტროპიკული ხილი; **დ.** მცენარე, რომლის ტოტებისაგან დაწნული გვირგვინით გამარჯვებულს უმკობდნენ თავს; **ა.** რითიმე თავდავიწყებით გატაცება; **რ.** უკრაინული სახალხო კრება; **მ.** რა გვარი იყო რომეო; **ო.** ინგლისელი მსახიობი მამაკაცი, ჰენრიხ მეორის როლის შემსრულებელი ფილმში „ლომი ზამთარში“; **ი.** შექსპირის „ოტელოს“ პერსონაჟი; **წ.** ის, რისიც ეშინიათ ცოფით დაავადებულებს; **ყ.** ხორცით მოვაჭრე; **ე.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ა.** აუდი; **რ.** რურუა; **ჩ.** ჩიორა; **ე.** ექსცესი; **ვ.** ვუალი; **ა.** ამური; **ნ.** ნეკნი; **შ.** შლეიფი; **ი.** ისთვუდი; **ა.** ამერიკა; **რ.** რესურსი; **შ.** შტორმი; **ე.** ერმაკი; **მ.** მროველი; **ც.** ციკლოპი; **დ.** დიანა; **ა.** აკვანი; **რ.** როშფორი; **ხ.** ხრისტო; **ა.** აორტა; **რ.** რეესტრი; **თ.** თხა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: დრო საუკეთესო მოკავშირეა.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**3 მაისი:**

**ნონა გაფრინდაშვილი,** მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში; **ნატალია ანდრეიჩენკო,** მსახიობი.

**4 მაისი:**

**რობერტ სტურუა,** საქართველოს სახალხო მხატვარი; **ფრიდრიხ ბროქჰაუზი,** ტიპოგრაფი, საენციკლოპედიო გამომცემლობის დამაარსებელი; **ალექსანდრ კერენსკი,** პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი.

**5 მაისი:**

**კარლ მარქსი,** პოლიტიკური მოღვაწე; **ჰენრიხ სენკევიჩი,** მწერალი.

**6 მაისი:**

**ილია ვეკუა,** მათემატიკოსი, აკადემიკოსი; **ტონი ბლერი,** დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; **რუდოლფ ვალენტინო,** მსახიობი; **ჯორჯ კლუნი,** მსახიობი; **ზიგმუნდ ფროიდი,** ფსიქიატრი, ფსიქოლოგი.

**7 მაისი:**

**ლია სტურუა,** პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; **პეტრე ჩაიკოვსკი,** კომპოზიტორი.

**8 მაისი:**

**ენრიკე იგლესიასი,** მომღერალი; **რობერტო როსელინი,** რეჟისორი; **ჰარი ტრუმენი,** აშშ-ის 33-ე პრეზიდენტი.

**9 მაისი:**

**დემნა შენგელაია,** მწერალი; **ფრანჩესკო ბარაკა,** მფრინავი; **ბულატ ოკუჯავა,** პოეტი, კომპოზიტორი, მომღერალი.

# სიტყვათა კონა

**კამპი** — კბენა, საკბენად მომართვა ყბებისა (ცხენმა კამპი იცის; კამპს გაჰკრავს).

**კანამხალი** — იგივეა, რაც ლახანა (თავხვეული კომბოსტო).

**კანდელი** (ძვ.) — სანათი, ლამპარი.

**კანთიელად** (კუთხ.) — გარკვევით, აშკარად.

**კანკელი** — ეკლესიაში — ჩარჩოებიანი ტიხარი (ჩვეულებრივი ხატებით შემკული), რომელიც გამოყოფს საკურთხეველს.

**კანკლედობა** (ძვ.) — იგივეა, რაც ბრუნება (სახელის ცვლა ბრუნვების მიხედვით).

**კანძი** — ერთი ცხვრის ნაპარსი მატყლი.

**კანჭი** — ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოჭამდე.

**კანჯარი** (ძვ.) — გარეული ვირი.

**კანჯო** — მომცრო ნავი.

**კაპაკუპი** — კბილების ერთმანეთზე ცემის ხმა, — კაპუნი.

**კაპარჭი** — ისრების ჩასაწყობი ბუდე.

**კაპარჭინა** — მტკნარი წყლის თევზი ერთგვარი (მდინარის სახელის მიხედვით, რომელიც პალიასტომის ტბიდან გამოდის).

**კაპელა** (იტ.) — მომღერალთა გუნდი.

**კაპრაში** — ყვითელ-მოწითალო ფერისა (საქონელი).

**კაჟანდევი** — ზღაპრებში — ძალიან დიდი, ვეება დევი.

**კარაბა** — კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი.

**კარაბინი** (ფრ.) — მოკლელულიანი შაშხანა.

# სად არის თემურ ქორიძე

**— სად არის თემურ ქორიძე, რატომ არ მონაწილეობს „ეროვნული თანხმობის კომისიის“ მუშაობაში. რას საქმიანობს? ადრე ის ბათუმში ცხოვრობდა, ახლაც იქ ხომ არ არის?**

***ნიკოლოზ ტეფნაძე***

კითხვაზე უპასუხებს **თემურ ქორიძე**.



— თბილისში, გლდანის მე-3 მიკრორაიონში ვცხოვრობ უკვე დიდი ხანია. პროფესიულ საქმიანობას ვაგრძელებ. მოგეხსენებათ, ლიტერატორი ვარ. ბევრს ვკითხულობ და შესაბამისადაც ბევრს ვწერ. ასევე ვფიქრობ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენებზე. 10 წლის წინ გამოვეცი ერთი კრებული. იმის შემდეგ კი უსახსრობის გამო ვერაფერი გამოვეცი, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დიდი მასალა მაქვს დაგროვილი. რაც შეეხება თავის რჩენას, ვცხოვრობ ერთოთახიან ბინაში ძმასთან ერთად ისევე, როგორც სხვა ბევრი უბრალო და გაჭირვებული ქართველი კაცი. თავს ვირჩენ პენსიით და ეს გახლავთ ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო. „ეროვნული თანხმობის კომისიის“ მუშაობაში არ ვმონაწილეობ, თუმცა ვაპირებ უახლოეს მომავალში გააქტიურებას და ამ პროცესებში ჩართვას.

რაც შეეხება ბათუმს, იქ ხშირად ჩავდიოდი სტუმრად და კარგი ურთიერთობა მქონდა ჩემს სამეგობრო თუ საახლობლო წრესთან... თუ ვინმეს კონკრეტულად ის აინტერესებს, ვუჭერ თუ არა ბატონ ასლან აბაშიძეს მხარს, ვიტყვი, რომ ძალიან მინდა ეს რთული სიტუაცია რამენაირად დარეგულირდეს ხალხის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება თვით ასლან აბაშიძეს, 13 წელი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანმა ხელისუფლებიდან წასვლაზე იფიქროს, იმის მიუხედავად, როგორი დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს ქვეყნისა და ერის წინაშე.

# არაბებისთვის გურჯისტანი... რუსებისთვის გრუზია... ბერძნებმა კი გეორგია შეგვარქვეს,

**— როდის და ვინ დაარქვა საქართველოს გრუზია, გეორგია და ა.შ. რატომ ჰქვია მტკვარს კურა?**

***კარლო ხარატიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **უშანგი სახლთხუციშვილი**, თსუ-ის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

— როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, საქართველოს ეს სახელწოდება თავდაპირველად ბერძნებმა უწოდეს, თუმცა არა გავრცელებული ვერსიის თანახმად (ბერძნულად გეო მიწას ნიშნავს, ხოლო ქართველები მიწათმოქმედებას მისდევდნენ), არამედ იმიტომ, რომ ჩვენს დროშაზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული. თუმცა არც ეს უკანასკნელი ვერსიაა დაზუსტებული. ვარაუდი ძალიან ბევრია, საბოლოოდ რაიმეს მტკიცება კი რთული. სახელწოდება გეორგია ბერძნულიდან სხვა ენებშიც გავრცელდა. მაგალითად, არაბულ ენაზე გეორგია გურჯიად გამოითქვა, ხოლო მე-10 საუკუნის შემდგომ გაერთიანებულ საქართველოს გურჯისტანი დაერქვა. მოგვიანებით, არაბული სახელწოდება გურჯისტანი თურქულ, სპარსულ ენებში გადავიდა, სწორედ მათგან გავრცელებული გურჯისტანი მე-17 და მე-18 საუკუნეებში რუსულად უკვე გრუზიად მოიხსენიება. ანუ გეორგიადან გავრცელებული საქართველოს სახელწოდება ყველა ენაში იმის მიხედვით შეიცვალა თუ როგორ გამოითქვა იგი ამა თუ იმ ქვეყანაში. ასე, მაგალითად, სომხები ვრაცებს გვეძახდნენ, ხოლო საქართველოს — ვრასტანს. სავარაუდოა, რომ ეს სახელწოდება ძველი სპარსული სახელწოდებიდან მოდის, რადგანაც იგივე სპარსელები ვრქებს გვეძახდნენ, ვრქი სპარსულად მგელს ნიშნავს. აქედან მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართველების ტოტემი ძველად მგელი იყო, ვახტანგ გორგასალსაც ხომ მგელი და ლომი ჰქონდა გამოსახული მუზარადზე. რაც შეეხება მტკვარს, მისი ეტიმოლოგია ძალზე რთულია, ვინაიდან სახელწოდება 2 500 წლის მაინც არის. ბევრმა მეცნიერმა სცადა ამის ახსნა, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე დასაბუთებული მტკიცება არ გაგვაჩნია. ბევრს ჰგონია, რომ კურა მტკვრის თარგმანია. ბგერათა ტკ-კომპლექსი რთულად გამოითქმებოდა და ჩვენმა მეზობელმა ბერძნებმაც კურად გამოთქვეს. ამიტომ გავრცელდა რიგ ქვეყნებში კურა. ასეთი მაგალითები სხვა ენებშიც მრავლად გვხვდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის სიტყვა ნათარგმნია.

# ცხინვალიდან შემოყვანილი მანქანები უნდა განბაჟდეს...

**— ვარ საქართველოს მოქალაქე. მყავს ავტომანქანა, რომელიც გაფორმებულია ცხინვალში. მინდა მქონდეს ქართული სანომრე ნიშნები. მითხრეს, რომ იგივე პროცედურა უნდა გავიარო, რაც საზღვარგარეთიდან შემოყვანილი მანქანის გაფორმებისას. მართლა ასეა?**

***ზაზა სხილაძე***

კითხვაზე უპასუხებს საქართველოს შსს-ს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახური.

— საგადასახადო შემოსავლების და შინაგან საქმეთა მინისტრების 2000 წლის 24 თებერვლის ერთობლივი ბრძანების თანახმად, ნებისმიერი ავტომანქანა, შემოყვანილი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, ანუ ცხინვალიდან, უნდა განბაჟდეს საბაჟო დეპარტამენტის ორგანოების მიერ. განბაჟების შემდეგ კი მოხდება მისი რეგისტრირება. ეს იმით იყო განპირობებული, რომ იმ პერიოდისთვის საგრძნობლად მოიმატა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტოინსპექციაში გაფორმებული ავტოტრანსპორტის შემოყვანამ, რომელთაც არარსებული სახელმწიფო სანომრე ნიშნები ჰქონდათ. ამან კი მთელი რიგი პრობლემები წარმოქმნა. მაგალითად, შეუძლებელი გახდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ავტომანქანების გატაცების და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება. აქედან გამომდინარე, ეს აუცილებლობა განპირობებული იყო იმ ქაოსის აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ზემოთ ხსენებულ მდგომარეობას. ამდენად, მოქმედი კანონი არ შეცვლილა — მოქალაქემ ჯერ უნდა განაბაჟოს ავტომობილი და შემდეგ მოახდინოს მისი რეგისტრაცია.



# ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი

**— ვიცით, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის უხუცესი დეპუტატი ელდარ შენგელაიაა. მაინტერესებს, ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი. იქნებ გაგვაცნოთ, ვინ არის, როგორ მოხვდა პარლამენტში და ა.შ.**

***თინა კაჭარავა***



კითხვაზე უპასუხებს **დავით კირკიტაძე**, საქართველოს პარლამენტის წევრი.

— ახალი მოწვევის პარლამენტში მე, დავით კირკიტაძე, მართლაც ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი გახლავართ, თანაც უცოლო... დავიბადე 1978 წლის 2 ივლისს. ვცხოვრობ თბილისში, დიღმის მასივში. დავამთავრე სპორტის სახელმწიფო აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორადი განყოფილება. ერთი წლის მანძილზე ვიყავი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე. პარლამენტშიც სწორედ ნაციონალების სიით მოვხვდი. ნაციონალურ მოძრაობაში ყოფნის პარალელურად ვმუშაობდი სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამჟამად ამირჩიეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრად. რომ იტყვიან, ენერგიით სავსე ვარ და მინდა ჩემს ქვეყანას ვემსახურო. კარგად ვიცი ჩვენი ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ, იმდენად, რამდენადაც თავად ვარ ახალგაზრდა. როგორც ვფიქრობდი და წარმომედგინა პარლამენტი და დეპუტატობა, ზუსტად ისეთი აღმოჩნდა. საქმე აუარებელია და პასუხისმგებლობაც საკმაოდ დიდი... მეც ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო...

# ამერიკის პრეზიდენტები

**— მაინტერესებს, იყო თუ არა აქამდე ამერიკის ისტორიაში შემთხვევა, როდესაც სისხლით ნათესავები ხდებოდნენ პრეზიდენტები. ასევე, გთხოვთ ჩამოგვითვალოთ თანამიმდევრობით ამერიკის პრეზიდენტები.**

***თამაზ ჯგერენაია***

გთავაზობთ აშშ-ის პრეზიდენტების პირველ ოცეულს



1. ჯონ ვაშინგტონი (1789-1797)
2. ჯონ ადამსი (1797-1801)
3. თომას ჯეფერსონი (1801-1809)
4. ჯეიმს მედისონი (1809-1817)
5. ჯეიმს მონრო (1817-1825)
6. ჯონ ქვინსი ადამსი (1825-1829), რიგით მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის შვილი
7. ენდრიუ ჯექსონი (1829-1837)
8. მარტინ ვან ბურენი (1837-1841).
9. უილიამ ჰენრი ჰარისონი 1841
10. ჯონ ტაილერი (1841-1845)
11. ჯეიმს კ. პოლკი (1845-1849)
12. ზექერი ტეილორი (1849-1850)
13. მილარდ ფილმორი (1850-1853)
14. ფრანკლინ პირსი (1853-1857)
15 ჯეიმს ბუკენენი (1857-1861)
16. აბრაამ ლინკოლნი (1861-1865)
17. ენდრიუ ჯონსონი (1865-1869)
18. ულის ს. გრანტი (1869-1877)
19. რატერფორდ ბ. ჰეიზი (1877-1881)
20. ჯეიმზ ე. გარფილდი (1881)

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# ივო შუშაკი „დინამოდან“ გაუშვეს



გასული კვირის სპორტული მოვლენებიდან ივო შუშაკის თბილისის „დინამოდან“ გათავისუფლება ყველაზე გამორჩეული გახლდათ. რა თქმა უნდა, ამ ამბავს სენსაციის შეფერილობაც ჰქონდა. მიზეზი მარტივია — „დინამოს“ ხელმძღვანელობა იოლად შეელია კაცს, რომელმაც ბევრს შეახსენა, რომ ქართული ფეხბურთი თურმე ცოცხალია. რაც მთავარია, იოლად გაწირეს ადამიანი, რომელიც ბოლოდროინდელი ქართული საფეხბურთო წარმატებების უმთავრესი შემოქმედი გახლდათ — 2003 წლის 30 აპრილს „ლოკომოტივის“ სტადიონზე სწორედ შუშაკის ხელმძღვანელობით მოიგო მატჩი საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ნაკრებთან, ეს გამარჯვება საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცა.

ამ თარიღიდან ერთი წელიც კი არ იყო გასული, რომ ივო შუშაკი „დინამოდან“ გაუშვეს...

რა მოხდა, რატომ ვერ შეძლო ბატონმა ივომ უკეთესი შედეგის მიღწევა? თუმცა, ყველაფერი ხომ შედარებითია, შუშაკის ხელში „დინამომ“ სამი ტიტული მოიგო, მათ შორის ერთი საერთაშორისო — დსთ-ის თასი, რაც ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის ტოლფასი გახლავთ...

განა შემთხვევითი იყო ეს წარმატება? სტატისტიკასაც ჩავხედოთ — შუშაკის ხელში „დინამომ“ 106 მატჩი ითამაშა, აქედან 76 მოიგო, 15 ფრედ დაასრულა და 15 წააგო.

ფაქტია, რომ იმ ქართველი ფეხბურთელებიდან, ვინც ივო შუშაკმა ისურვა გუნდის გაძლიერების მიზნით, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ვერც ერთი ვერ მოიყვანა. სამაგიეროდ, გაყიდეს ისეთი ფეხბურთელები, რომელთა ანგარიშზე „დინამოს“ გატანილი გოლების თითქმის 70 პროცენტი მოდიოდა.

დღეს საუბრობენ იმაზე, რომ კრიზისი „დინამოში“ სწორედ დსთ-ის თასის მოგების შემდეგ დაიწყო, არადა ეს სწორედ ის პერიოდია, როცა „დინამომ“, მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ხიზანეიშვილი და ალეკო ამისულაშვილი მოისაკლისა, მაინც ღირსეულად შეძლო გამოსვლა. თუმცა, ამის მერე გუნდიდან ალექსიძე და დარასელიაც გაუშვეს...

თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები ამ ოთხი ფეხბურთელის წასვლის შემდეგ, საკმაოდ ადვილი იყო პროგნოზირება.

დაშლილი „დინამო“ რომ წარმატებას ერთ თვეში ვერ მოიტანდა, ამას რა დიდი ფილოსოფია უნდოდა. შუშაკს გუნდის შენება არ აცალეს. ერთი სიტყვით, კრიზისი, რომელზეც გუნდის ხელმძღვანელობა საუბრობს, მათივე წარუმატებელი სატრანსფერო პოლიტიკის შედეგი გახლდათ და ასეთ დროს სამწუხაროა, რომ განტევების ვაცი ივო შუშაკი აღმოჩნდა.

*დავით პეტრიაშვილი „თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი:*

— არაა დასამალი, რომ ჩვენს მთავარ გუნდში ფაქტობრივად კრიზისია. დროზე უნდა მიგვეღო ზომები, რომ ამ სიტუაციიდან გამოვსულიყავით. გადაწყვეტილება არ არის ემოციებზე დამყარებული. ამ გადაწყვეტილებას სიღრმისეული ანალიზი უძღოდა წინ. ეს იყო ჩვენი და ბატონი ივოს ერთობლივი გადაწყვეტილება. ვისაუბრეთ, დავასახელეთ ყველა ის დეტალი, რამაც ამ ვითარებამდე მიგვიყვანა, ამ კრიზისიდან გამოსვლის გზებიც ერთად ვეძებეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე ოპტიმალური ამ ეტაპზე იქნებოდა, შუშაკს თანამდებობა დაეტოვებინა. ეს არის ის პროცესი, რომელიც ნებისმიერ გუნდში მიმდინარეობს. გუნდს ახლა გია გეგუჩაძე უხელმძღვანელებს.

**— გეგუჩაძე დანიშნულია სეზონის ბოლომდე?**

— ეს გადაწყვეტილება ჩვენ ფაქტობრივად ფორს-მაჟორში მივიღეთ. გია უხელმძღვანელებს გუნდს სეზონის ბოლომდე და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც უფრო გრძელვადიანი იქნება.

**— თვლით, რომ ივო შუშაკმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები „დინამოში“?**

— ვთვლით, რომ ეს იყო ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი.

**— ანუ ამოწურა თავისი შესაძლებლობები?**

— ერთობლივი გადასახედიდან ივო შუშაკს „დინამოში“ მეტის გაკეთება აღარ შეეძლო...

**— კიდევ რა ცვლილებებია გუნდში?**

— სპორტულმა დირექტორმა ბატონმა გივი ნოდიამ დატოვა კლუბი. ეს თანამდებობა უკვე გაუქმებულია.

**— თუ შეიცვალა გუნდის მიზანი ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაზე?**

— მიზანი იგივე რჩება — ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ საქართველოს ჩემპიონობა და თასი. ვფიქრობ, რომ გუნდს ამის პოტენცია აქვს.

**— რამდენად არის გუნდში მიმდინარე ცვლილებები პიროვნული დაპირისპირების შედეგი?**

— არ მინდა ვინმეს დარჩეს ის შთაბეჭდილება, რომ ეს პიროვნული დაპირისპირების შედეგია. ჩვენ რომ ემოციებით გვემოქმედა, შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება ბევრად უფრო ადრე მიგვეღო — თუნდაც ტირანაში მარცხის შემდეგ, მანამდეც იყო ჩავარდნები. ბადრი პატარკაციშვილის და ივო შუშაკის დამოკიდებულება „დინამოთი“ არ დაწყებულა და „დინამოთი“ არ მთავრდება. ისინი მეგობრობდნენ მანამდე, ვიდრე შუშაკი მოხვდებოდა „დინამოში“. ჩვენ ვაპირებთ გაცილება მოვუწყოთ შუშაკს. ბატონ ბადრის ფეხბურთთან „დინამოს“ გარდა სხვა კავშირებიც აქვს უცხოურ კლუბებში, არ არის გამორიცხული, რომ ბატონი ივო, სწორედ ერთ-ერთ უცხოურ კლუბში ვიხილოთ მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

**— ცნობილი ფაქტია, რომ ივო შუშაკი რამდენჯერმე უფრო მეტ ხელფასს იღებდა, ვიდრე ქართველი მწვრთნელები. შუშაკის გაშვება ხომ არ მიანიშნებს, რომ გუნდში ფინანსური კრიზისი დაიწყო?**

— ფინანსურ კრიზისზე საუბარი არ არის...

**— თუ შეიძლება სეზონის ბოლოს ველოდოთ „დინამოში“ უცხოელი მწვრთნელის მოყვანას?**

— დღეს ამაზე არ ვფიქრობთ.

# ბერძენთა წაუგებელი სერია ჰოლანდიელებმა შეწყვიტეს



*უკრაინა-სლოვაკეთი 1:1*

2 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება — ასეთი „დაბალანსებული“ შედეგი აჩვენეს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეებმა 28 აპრილს გამართულ ამხანაგურ მატჩებში, რომელთაგან ყველაზე მეტად თვალში საცემი დიდი ხნის განმავლობაში უძლეველი საბერძნეთის ნაკრების დიდი ანგარიშით მარცხია.

გასაგებია, რომ ოტო რეჰაგელის გუნდი, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობის მქონე ჰოლანდიის ნაკრებთან, თანაც სტუმრად თამაშობდა, მაგრამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ესპანეთისა და უკრაინის უკან მომტოვებელი ნაკრებისთვის 0:4 წაგება, მაინც მოულოდნელი იყო. არადა, პირველი ტაიმი, ბერძნებმა ღირსეულად ჩაატარეს და ნულოვანი ფრით დაასრულეს, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში გამოვლენილმა უყურადღებობამ ელადელები, მშრალზე დატოვა — 49-ე წუთზე მაკაის დაწყებული საქმე, 88-ე წუთზე ვან ჰოიდონკმა მოამთავრა. ამგვარ კრახს, მიმომხილველები ოტო რეჰაგელის მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში 5 ფეხბურთელის შეცვლასაც აბრალებენ. ასე შეწყდა საბერძნეთის ნაკრების 15-მატჩიანი წაუგებელი სერია. ამგვარი სერიებით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს ყაზახეთის ნაკრები, რომელიც შინ, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანთან 2:3 დამარცხდა, რაც, თავისთავად, ბევრ რამეზე მეტყველებს. სხვათა შორის, ყაზახებმა ამ მატჩში ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

ერთნაირი ანგარიშით — 1:1 ითამაშეს უკრაინამ და ალბანეთმა. თუმცა, თუ ალბანელებს ესტონეთში მიღწეული ფრე დადებით შედეგად უნდა ჩაეთვალოთ, საკუთარი კედლებიდან სლოვაკების „უვნებლად“ გაშვება, საეჭვოა, უკრაინელებს აქტივში ჩაუწერონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩში შევჩენკო არ მონაწილეობდა.

ამათგან განსხვავებით, უფრო სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ დანიისა და თურქეთის ნაკრებებს, მაგრამ ამას მათთვის, წარმატების მიღწევაში ხელი არ შეუშლია.

დანიამ შინ შოტლანდიას ებე სანდის მიერ მე-60 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. სხვათა შორის, ეს გოლი თავად სანდისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე მთლიანად ნაკრებისთვის, რადგან დანიელ ფორვარდს ნაკრებში 2002 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ გოლი არ გაუტანია. წინა ამხანაგურის მსგავსად, რომელშიც თურქებმა ასევე სტუმრად ხორვატებთან 2:2 ითამაშეს, ჩვენმა მეზობლებმა ბელგიელებთანაც 2 ბურთი გაუშვეს, მაგრამ სამაგიეროდ, 3 გაუტანეს და ახალი მწვრთნელის, ერსუნ იანალის ხელში გამართულ პირველივე შეხვედრაში მოგება მიითვალეს. „ლევერკუზენის“ გამთამაშებელმა ილდირაი ბაშთურქმა 43-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა (1:1), ხოლო „ვინმე“ თოლგამ თურქები წინ გაიყვანა (2:1). მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრეს და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს, თურქები არ გატყდნენ და ბოლო წუთზე გიოქდენიზმა გამარჯვების გოლიც გაიტანა.

# მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატი ელისტას ვაჩუქეთ

ქართველები რომ ბუნებით ქველმოქმედი ერი ვართ, მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს პირადი პირველობის შესახებ მიღებულმა გუშინდელმა გადაწყვეტილებამაც დაადასტურა. საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით თბილისში ჩამოსულმა ფიდეს პრეზიდენტმა ყირსან ილუმჟინოვმა, მიხეილ სააკაშვილთან სტუმრობის შემდეგ, გეზი ბათუმისკენ აიღო, ასლან აბაშიძეს შეხვდა და საბოლოო ვერდიქტიც გამოიტანა — მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში არ ჩატარდება!

ამის მოსმენა ქართული ჭადრაკის მოყვარულთათვის ძალიან ძნელია, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი. ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, საქართველოს კარგ საქმეში თავგამოჩენის ღვთით ნაბოძები შანსი მოუსპო. სწორედ, ზემოაღნიშნული ფაქტორი მოიყვანა არგუმენტად ყირსან ილუმჟინოვმა მიხეილ სააკაშვილთან საუბრისას, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მას ჩემპიონატის თბილისში გამართვა შესთავაზა. ილუმჟინოვის თქმით, ფიდე თბილისსა და ბათუმს ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილებად განიხილავს და აქედან გამომდინარე, თუკი ბათუმში საშიში მდგომარეობაა, მაშინ არ შეიძლება, რომ თბილისში ყველაფერი უსაფრთხო იყოს.

რა თქმა უნდა, აქ უდიდესი როლი, ილუმჟინოვისა და ასლან აბაშიძის პირად ურთიერთობასთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონატის ბათუმში გამართვის შესახებ, მათ შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამაც ითამაშა.

მოკლედ, ილუმჟინოვმა 2004 წლის მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს პირადი პირველობის მასპინძლად მშობლიური ელისტა გამოაცხადა. ყველაზე სასაცილო კი ის არის (ყალმუხებისთვის და არა ქართველებისთვის), რომ აღნიშნულ ჩემპიონატს ასლან აბაშიძე, ანუ ქართული მხარე დააფინანსებს, ისე, როგორც ეს ხელშეკრულების მიხედვით იყო განსაზღვრული. ალბათ, ეს 500 ათასი დოლარი იქნება საზღაური იმისა, რომ საჯარიმო სანქციების მიხედვით, ქართული ჭადრაკი, დიდი ხნით, საერთაშორისო იზოლაციაში არ მოაქციონ...

# ფაჩულიამ სიტყვა მოგვცა...



საკმაოდ უსიამოვნო მოსასმენი იქნებოდა მაკედონიის, ფინეთისა და ლუქსემბურგის ეროვნული ნაკრების წევრებისთვის ზაზა ფაჩულიას მიერ გასულ კვირაში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე სამივე ქართველი კალათბურთელი — ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და თავად ფაჩულია — 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს. ეს რომ გადაწყვეტილი ამბავია, ამას „ორლანდო მეჯიქის“ ქართველი ლეგიონერის სიტყვებიც ადასტურებს: „ჩვენი სამეული პრაქტიკულად შეთანხმდა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე და ვფიქრობ, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატების მიღწევის დიდი შანსი ექნება“.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო ტურნირი მიმდინარე წლის სექტემბერში იწყება, ოქტომბრიდან კი, NBA-ს მორიგი სეზონი აიღებს სტარტს. ფაჩულიას თქმით, „ორლანდო მეჯიქის“ გრაფიკი ეროვნულ ნაკრებთან ურთიერთობაში მას ხელს არ შეუშლის. ერთადერთი სერიოზული პრობლემა, რომელსაც შეუძლია NBA-ში მოთამაშე ქართველების გადაწყვეტილებისთვის ხელის შეშლა, სადაზღვევო თანხაა. ამ თანხას ყველა ეროვნული ნაკრები იხდის, როდესაც ამერიკაში მოთამაშე ამა თუ იმ კალათბურთელს თავისთან იწვევს და გამონაკლისს არც საქართველოსთვის დაუშვებენ. მხოლოდ შეღავათს თუ გაგვიწევენ და სხვა, მდიდარ ქვეყნებთან შედარებით მცირე თანხას გადაგვახდევინებენ. სწორედ, ამ კუთხით მიუდგა ფაჩულია საკუთარი გუნდის ხელმძღვანელობას და შეახსენა, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანა არ არის. წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს ფედერაციას ამერიკელებისთვის 50 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. ასეა თუ ისე, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უკან დახევას არ აპირებს და მისი პრეზიდენტის, ბესიკ ლიპარტელიანის თქმით: „ფედერაციის მხრიდან NBA-ში მოთამაშე ქართველ კალათბურთელებს არანაირი შეფერხება არ ექნებათ აუცილებელი სადაზღვევო თანხის გადახდასთან დაკავშირებით. ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს, რათა მთლიანად ეროვნულმა ნაკრებმა და თითოეულმა მისმა მოთამაშემ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს“.

საამისოდ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი, ივნისში ეროვნული ნაკრებისთვის ორკვირიანი შეკრების მოწყობა იქნება. ეს შეკრება თბილისში იგეგმება, რის შემდეგაც, ივნისშივე, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს იტალიის საერთაშორისო ტურნირი ელის.

***ნიკა ლებანიძე***

# ბაჯო „სკუადრა აძურას“ გამოეთხოვა



გენუაში „სტადიო მარასიზე“ ესპანეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში რობერტო ბაჯო ხუთწლიანი შესვენების შემდეგ „სკუადრა აძურას“ დაუბრუნდა. დაუბრუნდა, რათა ღირსეულად დამშვიდობებოდა თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს, რომელმაც კეთილი დამოკიდებულება არ დამალა 90-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის მიმართ.

ბაჯოს ნაკრებში მოწვევის ინიციატორი, იტალიის ნაკრების თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი გახლდათ, გულშემატკივარს არც ეს გამორჩენია, ამისი დასტური იყო ტრიბუნებზე გამოფენილი ტრანსპარანტი — „ტრაპ, გმადლობთ საჩუქრისთვის, რომელიც კორეასა და იაპონიაში არ გვაღირსეთ“.

თავად შეხვედრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულად ჩაიარა და ფრედ 1:1 დასრულდა. ბაჯომ 88 წუთი დაყო მოედანზე.

„ეს მატჩი ჩემს ცხოვრებაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს, — განაცხადა მატჩის შემდეგ ვარსკვლავმა, — ვერანაირი ემოციებით ვერ გადმოვცემ იმ სიყვარულს, რომელიც გულშემატკივარმა გამოავლინა ჩემ მიმართ. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის...“

ბევრი ლაპარაკობს იმის შესახებაც, რომ იტალიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ბაჯო დაუბრუნდეს, თუმცა ამაზე „რობის“ გამოკვეთილი პოზიცია აქვს: „ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია... ვთვლი, რომ იმ ფეხბურთელებმა, რომელთაც ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს, დამაჯერებლად წარმოაჩინეს თავი და ღირსნი არიან, პორტუგალიაში იტალიის ეროვნული ღირსება დაიცვან.“

ბაჯოს, რომელიც ამჟამად იტალიის „ბრეშაში“ გამოდის, გადაწყვეტილი აქვს, სეზონის ბოლოს საფეხბურთო კარიერა დაასრულოს.

# ანრი პრემიერლიგაში საუკეთესოა



ლონდონის „არსენალის“ ფრანგი ლეგიონერი ტიერი ანრი, რომელმაც უკვე გაინაღდა ინგლისის ჩემპიონის ტიტული, ზედიზედ მეორედ გახდა ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელი. უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერლიგაში ასეთი პატივი ზედიზედ არც ერთ ფეხბურთელს არ რგებია. საკუთარი გუნდის წარმატებაში ანრიმ ლომის წილი შეიტანა — მის ანგარიშზე ჯერჯერობით 29 გატანილი გოლია.

პროფესიული ფეხბურთის ასოციაციის გამოკითხვისას ტიერი ანრის კონკურენტები იყვნენ „ლივერპულელი“ სტივენ ჯერარდი, „ჩელსის“ ფეხბურთელი ფრენკ ლემპარდი, „ნიუკასლელი“ ალან შირერი, „არსენალელი“ პატრიკ ვიეირა და „ბოლტონელი“ ოგუსტინ ოკოჩა.

დასახელდა ასევე საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი — ამ ნომინაციაში გაიმარჯვა „ჩელსის“ ნახევარმცველმა სკოტ პარკერმა.

***გიგა ხირსელი***

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

## №17 (395) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 569 რესპონდენტი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 246-მა ქალმა და 316-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქალი პარლამენტარი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, პარლამენტართა რიგებში, ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკოს ქალთა შორის, ნინო ბურჯანაძეს ისევ ძალზე მაღალი რეიტინგი აქვს. რესპონდენტთა 88%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური — 1 ქულა კი 2%-მა მიაკუთვნა. **7,69** საშუალო ქულით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე მაია ნადირაძეა, ნაციონალ-დემოკრატების №1 ქალი-დეპუტატი რესპონდენტთა დაახლოებით 7%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მან დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა — 0,7%.

როგორც ჩანს, პოსტრევოლუციური განწყობა ისევ „ძალაშია“ — მესამე ადგილზე ელენე თევდორაძეა საშუალო ქულით 5,18. მას და მრეწველები-ახლების ერთ-ერთ სახეს — მზია თოთლაძეს კი საერთო ის აქვთ, რომ ორივე მათგანი ერთნაირი რაოდენობის მაქსიმალური ქულებით შეფასდნენ — რესპონდენტთა 0,9%-მა დაუწერა ორივე ქალბატონს 8 ქულა.

სულ ბოლო ადგილზე ხათუნა გოგორიშვილია, მკითხველთა 60%-მა შეაფასა იგი მინიმალური ქულით. მაქსიმალური ქულა კი მხოლოდ 4-მა რესპონდენტმა მიაკუთვნა (0,7%).




საპრიზოს ზუსტად **30** ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. თუმცა, ეს რაოდენობა საპრიზო რეიტინგის ისტორიაში რეკორდული არ არის. ერთ-ერთ რეიტინგში 49 გამარჯვებული გვყავდა. ჩვენი პრიზიორები არიან თბილისელები: 78 წლის **მიშა ჩიჩუა,** 30 წლის **ნინო ნანიტაშვილი,** 38 წლის **ბელა ბერია,** 25 წლის **ეკა გოგოხერიშვილი,** 28 წლის **თეა აღდგომელაშვილი,** 33 წლის **მაია ჩიბუხაშვილი,** 46 წლის **ვენერა რამინიშვილი,** 43 წლის **მანანა ცქვიტიშვილი,** 41 წლის **მანანა სიმონიძე,** 57 წლის **ნელი ჩადუნელი,** 39 წლის **ელგუჯა კანდელაკი,** 39 წლის **თამაზ კარიჭაშვილი,** 49 წლის **მერაბ სახვაძე,** 57 წლის **გიორგი მხეიძე,** 52 წლის **მორბედი ქვარცხავა,** 50 წლის **ნუგზარ ტუაევი,** 69 წლის **პაპუნა ბაცანკალაშვილი,** 62 წლის **დავით ავლოხაშვილი,** 24 წლის **კობა გელაძე,** 66 წლის **თეთნულდ ტყებუჩავა,** 33 წლის **კობა ხაჩიური,** 48 წლის **თეიმურაზ სიგუა,** 60 წლის **თეიმურაზ ვარდოსანიძე,** 14 წლის **ლევან ბეჟვაია**, 71 წლის **ვახტანგ თოდრია, ანა ოკინაშვილი, ნადია ურუშაძე;** 16 წლის **სოფო მაჟიშვილი** (ხაშური), 20 წლის **ბექა მამფორია** (ზუგდიდი) და 25 წლის **ენრიკო დონაძე** (ოზურგეთი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 მაისს, 17 საათზე.

## №18 (396) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში».**

**№18 (396) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 5 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №18(396) — პრეზიდენტის ნერვებისმომშლელნი

**თქვენი აზრით, ვინ უშლის ნერვებს პრეზიდენტ სააკაშვილს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№18(396) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | შალვა ნათელაშვილი | |
| 2 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 3 | აკაკი ასათიანი | |
| 4 | ასლან აბაშიძე | |
| 5 | კობა დავითაშვილი | |
| 6 | ლევან მამალაძე | |
| 7 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 8 | გურამ შარაძე | |

*მკითხველის რეიტინგი*

დაასახელეთ ყველაზე პროფესიონალი ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი

✓ ______________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## დამატებითი კითხვის შედეგები

**მისაღებია თუ არა თქვენთვის თბილისის მერის პოსტზე ზურაბ ჭიაბერაშვილის დანიშვნა?**




1. დიახ 40,9%
2. არა 36,4%
3. მიჭირს პასუხის გაცემა 22,7%

*დამატებით კითხვას 506-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას ლაპარაკობ?

______________

______________

______________

______________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ჯემალ გოგიტიძე, ასლან აბაშიძე

ფოტოანტიკვარის მინიშნებამ — „დღე და ღამე გარჯასა და შრომაში“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეები მუხლჩაუხრელ შრომა-გარჯას დღევანდელ პოლიტიკოსთა, ჩინოსანთა, ბიზნესმენთა ცხოვრების წესად აღიქვამენ.

დასახელებულთა შორის არიან — მიხეილ სააკაშვილი (6,6%), ირაკლი ოქრუაშვილი (26,7%), ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიორგი ბარამიძე, გოგი თოფაძე, ბადრი პატარკაციშვილი, გურამ შარაძე და... ტარიელ ონიანი. მაგრამ მკითხველთა ერთმა ნაწილმა ამ პატარა ბიჭუნაში მისი ნამდვილი ვინაობა ამოიცნო. ეს გახლავთ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი (31,1%).



ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი





შალვა ნათელაშვილი, 7 წლის

## ფოტო განწყობისთვის



— ამა, ვინ ვართ ახლა ჩვენ?!

ოჯახს სამი ტყუპი ვაჟი შეეძინა. ამავე ოჯახს ჰყავდა 3 წლით ადრე დაბადებული ბიჭუნა, რომელმაც დიდხანს ათვალიერა თავისი პაწია ძმები და მამას ჰკითხა:

— მამი, ესენი ყველანი აქ დარჩებიან თუ ასარჩევად გამოგვიგზავნეს?



4/V

**სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**
4/V 20-დან 22 საათამდე
7/V 14-დან 16 საათამდე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ჰაიდუკი; 4. თამბაქო; 6. „ადესა“; 7. აკელა; 8. ალიბი; 9. ისარი; 10. ირბახი; 13. სტადია; 16. კრივი; 18. წარღვნა; 19. ლამანჩა; 20. „იმედი“; 22. ეროზია; 23. მაკენა; 25. ამოკი; 27. იპონი; 28. ეთიკა; 29. სატსი; 30. იარლიყი; 31. „აივენჰო“.

**შვეულად:** 1. ჰორაციუსი; 2. იასამანი; 3. ვეტერინარი; 4. თაბაშირი; 5. ორანჟერეა; 11. ბარდო; 12. ხავსი; 14. ტემზა; 15. დანტე; 16. კაი; 17. ილი; 21. ეკონომისტი; 22. ევკალიპტი; 24. ამეთვისტო; 25. აქილევსი; 26. იმიტაცია.








**თარაზულად:** 1. აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 4. თხელი ფიცარი, რომელსაც მხატვრები ხმარობენ საღებავების შესაზავებლად; 6. ავსტრიელი ავტომრბოლელი, მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი „ფორმულა-1“-ში; 7. ფრანგი მსახიობი ფილმებში „ძველი თოფი“, „შინაბერა“; 8. ხილეულის უალკოჰოლო სასმელი; 9. ძეძერუკი, ყაჯირი; 10. ჭერის ანტიპოდი; 13. წყლის საღებავებით დახატული სურათი ახალშელესილ, ჯერ კიდევ სველ კედელსა და ჭერზე; 16. იულ ბრინერის პერსონაჟი ფილმში „შესანიშნავი შვიდეული“; 18. „საბას“ პრიზის მფლობელი ნომინაციაში „საუკეთესო პოეტი“; 19. მდინარე სამხრეთ აფრიკაში; 20. ვივიენ ლის კინოროლი; 22. მოხდენილობა მიხრა-მოხრაში, სინარნარე; 23. მილის სახით მჭიდროდ დახვეული თამბაქოს ფოთლები; 25. ფრინველი ბეღურასებრთა რიგისა; 27. ძლიერი გაჯავრება; 28. ძვირფასი ქვა: მოწითალო ან ჭრელი; 29. ყველაზე ერთგული ცხოველი; 30. ქართველი მწერალი... ლისაშვილი; 31. ცხოველი, რომელიც წყალშიც ცხოვრობს და ხმელეთზეც.

**შვეულად:** 1. სხვადასხვა იურიდიული აქტების დამმოწმებელი პირი; 2. ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი; 3. საკრავის ქართული სახელწოდება; 4. ფირფიტების ძველებური საკრავი; 5. სალექციო ოთახი; 11. ვაზის ფოთოლში გახვეული დაკეპილი ხორცი; 12. პირველი ტრიუმვირატის მონაწილე იულიუს კეისარსა და პომპეუსთან ერთად; 14. დეფორმირებული კვადრატი; 15. მსახიობის ასპარეზი; 16. ბრეჟნევის სიძე 3 დღის განმავლობაში; 17. ი. ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ბუვიეს რომანი; 21. უმართებულო, არასერიოზული დამოკიდებულება რაიმესადმი; 22. სამხედრო ნაწილი, დროებით ან მუდმივად განლაგებული ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში; 24. უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 25. პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი და მხატვარი; 26. ეთიოპიის არაოფიციალური სახელწოდება.


## გელით ჩვენს რიგებში!

- კორპორატიულ და რეგულატორულ საქმეთა აღმასრულებელი;
- მარკეტინგული კვლევისა და ინფორმაციის აღმასრულებელი;
- მომარაგების სექტორის აღმასრულებელი.

*მოთხოვნები აღნიშნული თანამდებობებისათვის:*

✓ საუნივერსიტეტო განათლება ბიზნესისა ან ეკონომიკის სფეროში;
✓ მინიმუმ ერთი წლის სტაჟი აღნიშნულ სფეროში;
✓ ინგლისური, რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
✓ კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობის კარგი უნარ-ჩვევები;
✓ მოგზაურობის შესაძლებლობა.

გამოგზავნეთ თქვენი CV მისამართზე:
natalia_khvan@bat.com
2004 წლის 24 მაისამდე
*მიუთითეთ თანამდებობა, რომელზეც აკეთებთ განცხადებას.*




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (18) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

______

______

______

______

______

______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№18 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 6 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

**„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.